

14/3  
931

პბილუცარში ყვლა ქველსა, შერდილი



# მნათობი

სრულიად საქართველოს სამქალთა შერლუბის აუდერაციის ყთველთვიური  
საბტგადუბრივ-პოლიციური და შსაფვრულ-ლიცერაცურული თრგანო

№ 5-6

ბაიხ-ი36იხი

ქლიწადი შერყ

სახელმწიფო გამომცემლობა

ბფილიხი 1931 წ.

ბიბლიოგრაფიკის 1-ლი  
სტამბა

შტ. № 1645. ტირ. № 2100.  
შთავლ. № 1121.



## წ ი თ ე ლ ი ყ ა ზ ა რ მ ა

აი, ყაზარმა.—

შუშებივით დგანან მხედარნი.

მეც ამათში ვარ.—

მაგუშაგებს წერტი საუბნო.

მოლაშქრის მძიმე საჭურველით სავსე მხრებამდი

პოლიტ-ხელის და

ტყვიამფრქვევის ენით ვსაუბრობ.

ჩემთვის ეს ხვედრი გარკვეული იყო წინდაწინ

და აქ ცხოვრება განცვიფრების გზით არ გამირბის;

რადგან სიხარულს

მუდამ შრომის დღეებს ვწირავდი,

ამტანი დიდი გარჯილობის და სიღარიბის.

თვალს რომ გაეახელ,

ბეტონივით ჩნდება ყაზარმა,

რუხი კედლები დაამძიმებს ფიქრთა ხვეულებს...

და ვამბობ:

— კაცი, თუ იმედით შრომამ აღშარდა.

დღეს სიხარული ყაზარმაშიც განვასხეულე.

მაინც ეს ყოფა

გრიგალივით დაუცხრომელი,

ზღვაზე ატეხილ ზვირთებივით თვალწინ იზრდება.

და ყოველ დარგში თუ ვერ დადექ მზის სიცხოველით,

მძიმდება მუხლი

და ძნელდება მისვლა მიზნებთან.

აქ, გატაცება მრავალნაირ საქმეს მსახურობს,

რიგის გარეშე ველარ რჩება უბრალო წუთიც.—

...და რომ ხვალ მტრებმა

შრაპნელების ზეცა დაგვხუროს,

არის შეძლება

შეტევებში არ შექნეს წუნი.

ვამგარებ ჯანს, რომ დანახული სიღე-კარგეთი,

მივცე დღეები მალალ შრომას სასარბიელოდ,—

და ჩვენი მიწის დაოფლილი ყველა ნაკვეთი,

უფლების დაცვით,

მოზარდივით გაეაძლიერო.

7905



ჩემო ყაზარმაე!  
 სიტყვა შენთვის არ მენანება,  
 მაგრამ სიახლე,  
 როგორც ბევრგან, აქაც ძნელია.  
 მე ვიცი, შენში ბევრს უნახავს გზა-გაქანება,  
 და მრავალს კიდევ შენი თავი დაუწყველია.  
 ალბად სიცოცხლე მრავალნაირ სურვილს ახარებს,  
 და ყოველ მათგანს შესაფერი სითბო სჭირდება.  
 ეს სხვათა შორის,  
 სიტყვას მოჰყვა, თორემ შენს გარედ,  
 როგორ იქნება გზა ავილოთ ახლა ბიჭებმა.  
 ვდგევიარ და გიცქერ სიახლოვით კედლებ გატრეცილს.  
 ვფიქრობ:

— ნეტავ, თუ დაგვკირდება მეტის აგება?!  
 დამივლის უცებ გრიგალივით ომის ქარცეცხლი  
 და გულიც მიხმობს მაგ კედლების ასამაღლებლად.  
 თვალეში სივრცე ჩამოწევა სისხლის ზოლივით,  
 შუბლზე სიკვდილის და სიცოცხლის ჩნდება ნასკვები.  
 — ვინ იცის, რამდენს გაუმაგრე მკერდი ბრძოლისთვის,  
 მწამს ამ კედლებში მეც არა ვარ უკანასკნელი.

მიღმა ფიქრებში  
 წარმოვიდგენ ბიჭებს ჯარად მდგომთ;  
 სადღაც წინ სელაა...

სადღაც კიდევ სვავთა ქელები.—

ვამბობ:

— რომელნიც მზეს ვუმღერთ და სიკვდილს ვჯვალათობთ,  
 იმ ხალხს გვასაქმებს ყაზარმა და ცეცხლი ქვეშეხის.

ასეა,

ყოფა არ გვჭონია ჩვენ ჯერ ლამაზი.

ჩვენ ლამაზ ყოფას ახლა ვქმნით და ახლა ვაზადებთ...

და შენც ყაზარმაე,

იმოქმედებ სიტყვით, ზარბაზნით,

ბებერ მსოფლიოს საბოლოო ახანძრებამდე.

## შემოღობვა ხახმატში

ვნახეთ ხევსურნი, ბევრი ბილიკიც;  
პირაქეთს უკვე ვასრულებთ თითქმის,  
ხვალ გადავდივართ მგზავნი პირიქით,  
რწელია

მაგრამ

იოლათ ითქმის.

ღამის გათევა დაღლილებს გესურდა  
აწ ბნელდება და

ვერ წავალთ ვერსად;  
დავრჩით ხახმატში ალუდაურთან,  
ერქვა ყუღია მასპინძელს ჩვენსას.  
მიგვიპატრია ბანზე ყუღიამ  
დაავო ქურქი. არაყიც ზიდა.  
ხახმატი გმირთა ძველი ბუდეა  
ყუღიაც ამბებს გვიყვება მშვიდად.  
ზის ერთი ღვთისო

შეორეც ღვთისო.

შესამე ღვთისო—თვალეზ კეკიანი.  
მთის უკან ჩადის საღამო მზისა  
თითქოს რცხვენთან ადამიანის.  
ცის მიწურულში კიოხებია  
ავარდნილი და

შემდგარი შემდეგ.

სოფელს ბილიკი მოუხვევია  
და დაფერდილი მისდევს რიყემდე...  
მასპინძლის სახეს დაკვრია წყლული  
ხახმატის ციხის მოგვითხრობს იგავს.  
ქვები დამსკდარა

და დასიცხული

დღეს სიჩუმეა ციხესა შიგან.  
ყუღია ამბობს:—ხო არა გიჭიროთ,  
ცხორი როგორ გყავს მთავრობის ხალხო—  
თვალით გაგვზომავს ბარიდან ბიჭებს  
და საბაასოთ მოჯდება ახლო.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

— შე შინდის ვიყო ვარგის შოფერი  
შეისწავლებს?

თქვენ როგორ იტყვი?  
გული არ მერჩის... ხევსურთ სოფელი  
გამოზდილია ხმალით და ტყვიით.

უკანასკნელნი ჩრდილნი მიდიან  
სტოვებენ მწვანეს, იცვლება ფერი;  
ჭიუხს მზის სხივი ცალად კიღია  
როგორც ისარის მომტყდარი წვერი.  
მიხედებით ვიცი

ყუდიას რა სურს...

სტოვეებს მთის ფერდებს მწვანეთ მოფენილს  
და მწვერვალებზე გამოზრდილ ხევსურს  
ქვეშ, ბარში უნდა გახდეს შოფერი.  
ავტოთი ნდომობს ქროდეს შარაზე  
მთის კაცი თავის იღბალზე გაწყრა;  
და მეოცნებეს ახალ ქალაქზე  
სოფელში დარდი ეზრდება საწყალს.  
მაგრამ ვინც ხევსურს

სიღრმითაც იცნობს...

მძიმეა კაცში ადამი მთების

— შოფერს რას ამბობ—იკითხავს ღვთისო

— შოფერს ხახმატში რა ესაქმების?

— შოსე ხევსურშიც მოვა და ერბოს  
წავიღებთ თვითონ ბარის სასუქათ.

ხევსურსაც უნდა ცხოვრება ერგოს—

ყუღია ეტყვის ღვთისოს პასუხად.

— ქვეშ გაკეთდების რიყეზე შკოლა  
გაგვტეხავს ჯიუტს, მოიტანს გაზეთს:

არ ვარგის მუდამ ხატებში წოლა;

თვალ გავაყოლოთ სამხედრო გზაზეც.—

მესამე ღვთისო სინჯაედა ნათქვამს

იჯდა მრისხანეთ

გვიცქერდა ბასრი.

ლეღვა დაეტყო თვითეულ მათგანს...

გვესროლა ღვთისომ ხევსურის აზრი:

— რაით მოსულხართ, რაით ირჯებით—

და მოიმარჯვა ფრანგული მტკიცეთ,

მაგრამ გადმოხტა ყუღია მარჯვე

და ღვთისოებმა სალამი მისცეს.

— სტუმარნ არიან, ვაჟასებრნ ვაენი



სურთ გამოხატონ ხეცურთ გარემო—  
წამსვე ხეცურნი ზრდილობით დაჯდენ  
და ყანწებისთვის სიტყვა არ ეყოთ.  
— გვინდის კოლექტივი, კიდეც მსგავსი რამ  
გამოხდა ერბოს, წმინდათ—ახალფერ.  
კაც იყოს თორემ... მთასაც გავწირავთ  
შევექმნით ცხოვრებას...  
დავსწეროთ ქალაღდებს.

სიტყვა ყუღიამ და

კვლავ სამმა ღვთისომ  
ჩვენს დღეგრძელობას დაუკრეს კვერი.  
სიტყვეს შეუღლება ბარის და მთისა  
და აკიაფდენ ხრინწიან მღერით.

ჩიტის ბუდეებს ვაედა სოფელი  
ჩამოსკინტულს და დაკიდულს კლდეზე  
ხმალით და ფარით იჯდა შოფერი  
და ღიღინებდა მთის კაცის ბედზე.  
უკვე არ სჩანდა სიერად მაინც  
ბნელმა კლდეები ჩანთქა ვასრისა;  
კლდიდან მდინარე ღრიალს გზავნიდა,  
თითქოს განზრახვას მიხედა კაცისას.  
ჩვენ კი დაღლილებს დაწოლა გვესურდა.  
ეშურებოდა სიზმრებს სოფელი  
და ჩუმათ გვეთხრა ალუდაურმა  
„ზე მაინც მინდა ვაეხდე შოფერი“.

## ს რ მ ხ ე თ უ ი

1

### ქვათა ღაღადი

თითქო გაცოცხლდა ძველი მითოსი  
და ციკლოები ანგრევენ ლოდებს.  
მოხეტყილ კლდეთა შვაფი, ხრიალი  
შიშსა და ძრწოლას ხეობას მოდებს.

ბოლშევიკური იბრძვის წერაქვი,  
და რაც ოცნებათ კაცი სახავდა,  
ჭირში და ოფლში წყეული შრომა  
განთქმულ გმირობის საქმედ გახადა.

აღარ შენდება ხალიფებისთვის  
დღეს ეს ქალაქი—როგორც ბაღდათი.  
გამოდის ხალხი სოროებიდან,  
ძველი ცხოვრების დაგმო ადათი.

თუ ხარ მოყვარე—ხომ გაიხარე,  
და თუ მტერი ხარ—მომწყდის და წადი.  
აღარ დაინდობს მუხანათობას  
ეს მოპირული ელვარე წაღი.

განა თუ მართლა ტყველად ხატია  
გერბზე ნაშგალი და ან ჩაქუჩი.  
გამოიცვალა ადამიანი,  
და გაიტება ბუნება ურჩი.

თითქო აღელდა კლდეთა უდაბნო,  
და დააგორა ლოდები ზვირთთა:  
ვაშა, მარჯვენას, ვინც ამ სტიქიის  
წინამძღოლობა თავზე იტვირთა.



მე თვალთ ვნახე ეს გალაშქრება  
და მოვიხადე მეც ეს სახადი.  
ნაქებ შირაზის ვარდის მავიერ  
ქვათა მუსიკის—გაეხდი საადი.  
ასე დაეწერე თანამედროვე,  
სოციალისტური ქვათა ღაღადი...

## 2

**ლაქვარდი ლაქვარდს!**

ლაქვარდი ლაქვარდს გადადნობია,  
ცის ლაქვარდითა სევანი სავსე.  
შურდულეებიდან ისერიან კლდეებს,  
მთებს გაუმართავთ შახსე-ვახსეა

პირი შეუკრავს შავად უდაბნოს,  
ღრუბელთა ჯარი თავზე აბურავს.  
მთები დამდგარან მინარეტებად  
და შესდგომიან თავის ალ-ყურანს.

მოსკდეს მეწყერი... და მიწაც იძრას,  
მოვარდეს წარღვნის წვიმების თქეში.  
პოემა ლურსმნით დაწერილია  
და გადარჩება ეს „გილგამეში“...

## 3

**...და ავტოლოგი დიდ უდაბნოთა...**

არ უნდა ამ კლდეს ზედმეტი ზორცი,  
და არც შერჩება მას თხელი კანი,  
ასე დაიქცა დიდი ზვარტნოცი,  
ასე დაიქცა ლენინაკანი,  
ასე მოედვა ცეცხლი ზანგეზურს.

მაგრამ ვერ დაშლის ახალ ცხოვრებას,  
სოციალიზმის ტემპით აღგზნებულს,  
მიწის ძვრისა და მეწყერის რისხვა,  
და გადაყვება საუკუნეებს  
ბოლშევიკური წელთა აღრიცხვა.



და შეცოდება მე ჩემი თავი,  
როგორც საწყალი ჩიტი ნიბლია, ქართული  
ენციკლოპედია  
როცა ამ ველზე წამოქცეულა  
გილგამეში და თვითონ ბიბლია,

თითქოს ახვეტეს დევებმა ქვეები  
და სათითაოდ კლდე ალაგეს.  
მაგრათ დაკეტილ სამოთხის კართან  
მე გადავყურებ მწვანე ალაგებს.

როცა გადგია თავზე ზვინებათ,  
ყოველი მხრიდან მთა არარატის,  
გჯერა აქ ითქვა თავდაპირველად  
უკვდავი სიტყვა—აწ და მარადის.

ძველ ქვეყნის წარღვნის მეც ვარ მოწამე,  
ვუყურებ სკედენ ახალ კილობანს.  
ვინა სთქვა ჩემზე დარჩა წარსულში,  
ახალ სიმღერას ველარ ეტყვის ბანს.

აღბათ ვრია წარღვნის ტრედებში  
უთუოდ ერთი ბერი ქედანი.  
ჩქარა, სიმღერა, ამხანაგებო,  
თორემ დაგვიდგა ლექსის სედანი.

— ეს გილგამეში და ეს ბიბლია,  
სოციალიზმის შენების ტემპი.  
— მესმის უწყალო კრიტიკოსის ხმა  
— შენ, ძმაო, მაინც ძველ გზებსა სტკეპნი.

განა არ ვიცი, რომ დაშნაკებმა  
სულით ხორცამდე ხალხი გაყვლიფეს;  
მაგრამ რა უყო, რომ ვხედავ კიდევ  
ასურულ ლურსმნის ჰიეროგლიფებს.



და არამაისს ერზეციანსაც  
სახე მიუგავს ასურ-ბანაპალს.  
მე ამას ვგრძნობდი, როცა სევანზე  
გადავყურებდი კლდეების ნაპრაღს.

მე უცხო თემში ვიყავი სტუმრად,  
მაგრამ იქ უცხო არავინ არი.  
ვუსმენ ჩარენცის „ეპიურ დილას“,  
მზიბლავს მარტიროსს, მე სარიანი,  
და ქართულ ლექსით ალაპარაკდა  
ისაკიანის „აბულ-მაარი“.

და ავტადორი დიდ უდაბნოთა  
თავს გადმოგვეყურებს მთა არარატის,  
ბღღერიალებს ზანგა—რომ პოეტებსაც  
ექნებათ მშობა—აწ და მარადის...

## 4

## ახდა ოცნება პოეტებისა...

ოვანეს თუმანიანი

რომ არ გინდოდეს დღეს მოგონება,  
წარსული მაინც გულს მოაწყდება,  
როცა დახედავ ამ დიდ ხეობას,  
პატრიარქების გამოვა წყება.

მახსოვს, ოვანეს, შენი სითეთრე  
და დაუქრობი ღიმილი,—ელვა.  
შენი უძირო გულის ფართქალი,  
თურმე სევანის ყოფილა ლელვა.

ახდა ოცნება პოეტებისა,  
მა მას არ ებრძვის—სომეხი ქართველს.  
დახედავ შენ მწყემს გუშინ ბოგანოს,  
დღეს თავის ქვეყნის პატრონს და მმართველს.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

შეერთდენ ერნი კავკასიისა  
და იმღერიან ერთ სალამურში.  
სიმშვიდე ჩადგა ჩვენს ქვეყანაში  
და აღარ ტირის შენი ანუში.

ჩვენ აქ მოვედით ძმობის სიმტკიცით,  
ვსთქვათ რომ პოეტებს ერთი გვაქვს ღერო.  
მხოლოდ პირველათ შენგან მოგვესმა,  
რაზეც ჩვენ აწი უნდა ვიმღეროთ.

და ღორის თაფლზე უფრო ტკბილია,  
ტკბილო, ოვანეს, შენი სახელი.  
დავესოს იმას ორივე თვალი,  
ვინც არ იწამოს თვალის გამხელი.

შენ გერგებოდა, დაგშვენდებოდა,  
რომ ყოფილიყავ ამ დროშის ტარი.  
და ხელშეორედ ჩვენთვის გაცოცხლდი,  
თუმცა არ იყავ არასდროს მკედარი.

ვერ დატკვერს თანგი დრო და ეამისა,  
აღარც გაწყდება ამ ძმობის რგოლი.  
და ჩვენ უხილავს, აქაც მასპინძელს  
სიტყვით მოგმართავს ჩვენგან გრიგოლი...

## 5

## სალამური, რომ სალამურია

გრიგოლ ორბელიანი  
ასე იწუებს თავის „საღლეგრძელოს“  
ანუ  
— ომის შემდგომ ღამე ლხინს  
ერევნის სიახლოვეს...

— შეწყდა ბინდისას ომი საზარი,  
დიღუმდა არე, საღ ჰქუხდა ბრძოლა.  
გამარჯვებული მოილხენს ჯარი,  
ურდო ცეცხლებით განათებულა“...



— დაინგრა მაშინ ერევნის ციხე  
და გაიპარა მისი სარდლარი,  
მაგრამ დიდი ხნით აღარ ჩამქრალა  
აქ დანთებული ომის ლადარი.

ამ ხეობაში აქამდე ჰყრია  
დაუმარხავი ლტოლვილთა ლეში.  
წვიმა აწვიმებს და თავზე ათოვს  
უდაბნო ქართა სილა და ხრეში.

და თუ არაქსი ასე ხმაურობს,  
ობლების ცრემლიც მიმატებია,  
მამა სწყველიდა, იმ გაჩენის დღეს,  
როცა შვილები დაბადებია.

ბარათ ურჯულო მტერი მუსრავდა,  
ხელს უთავებდა ხევში ზამთარი.  
და მშიერ ლანდებს უკან დასდევდა,  
გათამამებულ აფთართა ჯარი.

მიწის ჯურღმულში გათხრილი სორო,  
უფრო გარეულ მხეცის ბუნაგი.  
აქ კაცს მიაჩნდა თავის კერიით,  
მაგრამ დაადგა თავზე მსუნაგი.

გახედავ სოფელს ცეცხლი ედება,  
ააწიოკეს ყველა ერთბაშათ,  
ცეცხლის გმირია ყარა-ბეჭირი,  
ამ ხელობისთვის უწოდეს ფაშა.

განა თუ მარტო ოსმალო სწვავედა  
ყველა მეზობლებს, შიგნით და გარე  
არ დაუკლიათ ზოცვა და ელეტა,  
ასე უთხრიდა—ძმა ძმას საპარეს.

და კაცს ეგონა ეს სისხლის წარღვნა,  
 მაღლიდან იყო გადმოვლენილი,  
 მაგრამ სხვა კაცი მაშინ გამოჩნდა,  
 და ეს სხვა კაცი იყო ლენინი.

დღეს აღარ ერჩის სომეხი ქურთსა,  
 სომეხს ქართველი—ყველას თათარი.  
 ეროვნულ შუღლის ძირი რომ ახსნას,  
 აქ პიონერიც უკვე მზათ არი.

და უკრავს მშვიდათ მწყემსი სალამურს,  
 პიონერების ისმის დაუდაფი,  
 და ისტორიის სიზმრათ გადადის  
 ერევნის ხანი, ერეკლე თათა.

ჩვენ ვართ თაობა იმ თაობისა,  
 არ დაუცია, რომელსაც ყარსი,  
 მაგრამ საგმირო სხვა ბევრი საქმე,  
 რომ დაეთვლებათ ბევრი ათასი.

ვართ მოკავშირე იმ თაობისა,  
 რომელსაც მარტო სწამთ კლასთა ომი.  
 ბევრს ჩაეშალა შავ-ბნელი ძრახვა,  
 და წაუხდინეთ ბევრსაც ნახტომი.

ეს ის ადგილია, სადაც  
 გრიგოლ ორბელიანი  
 სწერდა თავის „სადღეგრძელოს“  
 ანუ

— ომის შემდგომ ღამე ღვინს  
 ერევნის სიახლოვეს\*.

ჩვენც ერევანის ვართ სიახლოვეს  
 ვზივართ აქ ერთად სარდარის ბაღში.  
 ახალი ისმის აქ სადღეგრძელო,  
 უფრო ახალი ვაშა და ტაში.



ჩვენ კავკასიის ხალხთა პოეტებს  
ერთი გზა გვაქვს და ერთი მანძილი,  
რომ სოციალიზმის აშენდეს ფუძე  
და ხალხს ეღირსოს მშვიდობის ძილი.  
ვინც თვალთ ნახა ქვეყნის დაქცევა,  
და ავსებული ხეები ძორით,  
ნახა რომ იქცა ველურ უდაბნოთ,  
ველი მორწყული ოფლით და შრომით.

ნახა. ამ ექვსას ვერსზე გაპრილი  
ეს სასაფლაო და ეს უდაბნო,  
განა არ გემართებს, ამხანაგებო,  
რომ სხვა თაობას ჩვენ ეს ვუამბოთ!?

და არ იქნება ეს სადღეგრძელო,  
ეს ცრემლი არი და ჟრუანტელი.  
სხვა რომელ ქვეყნის მგოსანს ექნება  
მიზანი, აზრი—უფრო ნათელი.

სალამური, რომ, სალამურია—  
ხალხი იმითაც ცრემლებს იხოცავს.  
ამხანაგებო, ვსთქვათ, ის სიმღერა,  
რაც ხალხს იმედის სხივებით მოსაეს.

## 6

## აღზევანს წახვლა

არც ისე შორსაა ეს აღზევანი,  
თუმცა პირველად დღესა ვარ აქა.  
სჯობს გამოტეხა... არ გვაქვს ქართველებს  
უცხო ქვეყნების მოვლის ბარაქა.

მაგრამ მომესმის ქართველ მეურმის  
მე სეფედიანი ტრედის ღულღუნი:  
თითქო ამ ხმების მადანი იყოს—  
ეს თვალუწვდენი კლდეთა ჯურღმული.

— აღზევანს წაველ მარილზე, ქართული  
ბიბლიოთეკა  
 მარილს მოვიტან ბროლსაო.  
 ჯერ დედას გადავებვევი,  
 მერე შეილსა და ცოლსაო.

ასე მგონია ცა გაიპო და  
 გულზე მომედვა ათასი შეილდი,  
 ასე მგონია ერთად ამღერდა  
 ათასი ვანო სარაჯიშვილი.

ლამაზი ცოლი, მარილი ბროლი  
 და სიხარულის ცრემლის კურცხალი,  
 გულზე მიუშვეს ყველა ღარებით  
 აღიდებული ბერდუჯის წყალი.

სდგანან თუჯების მოურაეები,  
 აყუდებული ბაბილონამდე.  
 ათასს სალამურს ხმა შეუწყვია  
 ალიონიდან ალიონამდე.

ასე მგონია კამერის უღლით  
 მეც პოეზიის მივალ აღზევანს,  
 და რა იქნება ისეთი ტვირთი,  
 ვერ გაუბედოს წელმა აწევა...



ს მ ც შ ე ჯ ი ბ რ ი



...„ვაიძულეთ ტვინი, მანქანები და ხელები სრული დატვირთვით იმუშაონ... დაეკიშოთ მთელი ჩვენი ენერჯია, ნებისყოფა, თაყი მოფუაროთ მთელ ჩვენს რეზერვებს და კომუნისტური პარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით მოლიანად და გადაკარბებით შევასრულოთ სახალხო სამეურნეო 1961 წლის გეგმა და დავეთავროთ სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგება საბჭოთა კავშირში“.

(ტულის მუშების მოწოდებიდან)

მალაროელო! როდესაც კირკით  
ანგრევე მიწის გულს, ქვარტლიან ზოდებს—  
არ დაიფიწყო: მკლავის სიმტკიცით  
ქვეყანას რკინას, ფოლადს აწოდებ!

შენ, მემანქანე, როცა ახოვებს  
მიარღვევ მქშინავ ტრაქტორის მკერდით—  
ახალ სამყაროს, ჩანს, გვაახლოებს  
მოხნულ ყამირის ყოველი ბელტი.

ამხანაგებო, ახლა ჩვენ გვმართებს  
ენტუზიაზმი ჯერ უნახავი  
ნახშირი მეტი მიეცით ჭარბნებს  
და უფრო მეტი ლითონის ხეავი.

დამკერულ კვარტალში გავხდეთ დამკერელად...  
არ შეიანელო ნაბიჯი ჩქარი!  
ასწიე მკლავი, დაარტყი მედგრად,  
ასწიე მკლავი, მაგრად დაჰკარი!

1961. 2 II.

7905.

## ისმინა, მოსკოვო!

მოგესალმები ახალ სიმღერით,  
სავსე ანთებულ სიტყვათა გუნებით.  
და დღეს საბჭოთა ბელორუსია  
პატაკს გაბარებს აღფრთოვანებით.  
ის შვერმეტყველობს ამაყად, სადათ,  
ნანგრევებიდან ისევ ამღვარი,  
სდგას პროლეტარულ საგუშაგოზე—  
მტერთან ბრძოლაში ნაამაგდარი.  
დასაუღეთი კი ანთხვეს სიძულელივს,  
და ბრახმორევით გვეძახის გუნებს.  
ჩვენ გაბედულად წინ მივისწრაფით,  
და დაეაწყარებთ ყველგან კომუნებს.  
მტკიცედ დავდექით ლენინის გზაზე  
არ ვეტრფით ომის მეწამულ ყვავილს.  
გულში გვიმღერის სტალინის სიტყვა:  
„საბჭოთა მიწის არ დაეთმოთ მტკაველს“!  
მოსკოვო!

ყველა ქვეყნების მუშებისა  
სამშობლო მხარე,  
ო, გაიხარე!  
ბევრი მგოსანი შენს ქებისთვის  
დღეს დაირაჯმა,  
მაგრამ სიმღერა საუკეთესო  
შენ მაინც გითხრა მუშათა კლასმა!  
ჩაგრულთა ზანგო, რიკშა, ინდუსო,  
თქვენ გაიგონეთ კრემლის ძახილი,  
რომ ჩვენ—მუშებმა—ბელორუსებმა—  
ძველ ბატონობის მოვსპოთ სახელი.  
იქნება ასე! ვერ დაფარავენ  
ღრუბლები ციურ ლაქვარდ კამარას.  
ჩვენ წინ მივყევართ ძლიერ კაპიტანს,—

\*) მიხას ჩაროტ არის ბელორუსიელი პოეტი. კ პ (ბ)-ს წევრია. ლიტერატურული მუშაობა დაიწყო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. 1922 წ. გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული. შემდეგ პოემები „ქალამინი ბელორუსია“, „უბშიშველნი ნაბანძარევეჲ“, 1924 წ. „ლენინი“, 1925 წ. ლექსების კრებული „მზიური ლაშქრობა“ და სხვ.



ცეცხლით წარსული დაასამარა.  
 სდგას პროლეტარულ საგუშაგოზე  
 ბელორუსიის მტკიცე კრებული.  
 როცა დადგება წუთი ბრძოლისა,  
 თაეს დაედებ თქვენთვის—ალტაცებული.  
 ჩვენ წითელ ჯარში შედგრად ვიბრძოლებთ,  
 ჯერ ძლიერი გვაქვს კუნთი და თვალი.  
 და არც ერთ მტკაველს ჩვენი მიწისას  
 მტერს არ დაუთმობთ,  
 ამხანაგო სტალინ!  
 ბელორუსია არ იქნება  
 კვლავ დაპყრობილი.  
 ჩვენ ვართ შეილები საბჭოთა მიწის.  
 და შენ კრემლისა მეზრძოლო შტაბო,  
 მიიღე ჩვენი საღამი, ფიცი!



# არსენა გარაგდალი

რომანი

თავი მეშვიდე \*)

ფიცი ბაუზი

როსტომ სთქვა: ჩემი პასუხი ალგეთის ქვაზე სწერია.  
 ვისთვისაც ხმაულა ვიქნევი, ის გახდა ჩემი მტერია.  
 წუთისოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება.  
 ხ ა ლ ხ უ რ ი.

ორი ქალისა და ორი ახალ მამაკაცის ამოსვლამ ბანაკი ააფორიაქა. ფიქრის დანახვაზე ქაბუკები გაიბადრნენ, მაგდანას გამოჩენამ კი ხნიერებიც წამოშალა, გარდა კოკლი კარპიჩასი და დამარხვებულ ლაშქარასი, რომელნიც ამირიზნენ და აბუზღუნდნენ:

— კაცო, რად გვინდოდა დედაკაცი!— იძახდა ხაბაზი.— კველანი მაგ კალებს აპყვებიან და საქმეს ვივა გააკეტებს?

— ძალიან შიშიმე ხურჯინები მოგვემატა.— ბურტყუნებდა ლაშქარაც.— შონასტერი აგვერევა.

სულ უცნობმა სიმონმა და ოსტაპმა უფრო მეტი მითქმა-მოთქმა გამოიწვიეს. არსენამ ბანაკი ძლივს დაამშვიდა, გორულში და კოდაში მომხდარი ამბები უამბო და დაუმატა:

— სისხლი სიყვარულზე უფრო მტკიცე დღეობია. ამ ორმა კაცმა კოდაზე სამუდამოდ გადაიკიდა მთავრობა. ორიოდე უარეს საქმესაც რომ ჩაიდენენ, ხიდი საბოლოოდ ჩაუტყდებათ და ჩვენს იქით გზა აღარ ექნებათ.

— აგრეა... მართალია... გამოეცადოთ.— დაუდასტურა უმეტესობამ. მხოლოდ ლაცაბიძემ და კარპიჩამ მოითხოვეს უწინდელივით: ორივენი დღესვე ავითავადების დასახოცავად გავგზავნოთო. ყველამ არსენას შეხედა. ბელადი მოიღრუბლა. მის მაგიერ ლაცაბიძეს ისევ სხვები შეედავენენ და დაადგინეს: ახალ-მოსულთა ვინაიბა საფუძვლიანად გამოერკვიათ და ხვალ ან ზევ ახალ „საქმეზე“ ჩაეყვანათ ბარში, ჯერ-ჯერობით კი ორივენი თავთავიანთ ხელობაზე დააყენეს და იმ დღიდან ოსტაპი მეშთას მიეშველა და ცხენებს ისე სუფთად ინახავდა, როგორც ფიქრია თავის სხეულს, სიმონა კი ისეთ ლავაშებს და ხშიადებს აცხობდა, რომ პურის ქამამ ერთიორად იმატა და კარპიჩასაც შვება მიეცა.

ახალმოსულ მამაკაცების უცხოობა მალე შენელდა, სამაგიეროდ ქალების მიერ ამოტანილი ცეცხლი ისე სწრაფად გაღვივდა, რომ რამდენიმე დღის შემ-

\*) გაგრძელება, იხ. „მნათობი“ № 4.

დღე ლამის მთელი ბანაკი გადაჰბუგა. ფიქრია და მაგდანა ისე ვერ გასცდებოდნენ ბანაკს, რომ თითოს ხუთიოდე რაზმელი არ ასდევნებოდა. ხოლო ვირომ სოკოზე მიდიოდა, ზოგი თევზის დასაკერად მირბოდა, ზოგსაც სწორედ იმ დროს უნდებოდა ფიჩხი და ყველა იქით ეძებდა სოკოსაც, თევზსაც და ფიჩხსაც, საცა ფიქრია ან მაგდანა ეგულებოდათ.

— ნუ აშედევენ ჩრდილივითა!

შეტევედა ხან ერთს და ხან მეორეს ფიქრია, მაგდანა კი უსიტყვოდ უბღვეროდა, მაგრამ მშვიერ მგლებს არც მათი შეტევა აშინებდა და არც ქუშიანი შუბლი აჩერებდა. ერთი კვირა ძლივს გავიდა და ძმათა შორის ორი დედლის გამო მწვავე შუღლი ჩამოვარდა: მეშთა კბილებს აკრაქუნებდა, ლაცაბიძემ ეშვები ველარ შეილაგა, კარპინა იღრინებოდა, ლაშქარა ბუზღუნებდა, ქაბუკეები თვალებს აბრიალებდნენ, ზურას მუღამ ხანჯალზე ეჭირა ხელი, ბოლოს ოსტაპაც რისხვით გაიქნო ხარის თვალები და სიმონაც ავად დაბნელდა. მხოლოდ ბელადი არ ამჩნევდა მაგდანას („ამიტომ, რომ არ აკლია“—ამბობდნენ ტყის ძმები) და მუღამ მშვიდი როსტომი ეხლაც უღარდელად იღიმებოდა („ამიტომ, რომ ფიქრია არ ერგებოდა, მაგდანა კი არა სწყალობდა“—ანუგეშებდნენ ერთმანეთს რაზმელები). ბოლოს, როცა ერთ დილას ორმა რაზმელმა ერთმანეთზე გაიწია და დამბახამაც კი იგრიალა, არსენამ სადილზე სიჩუმე ჩამოაგდო და განაცხადა:

— ძმებო, დღეს ჩვენს ოჯახში დიდი დღესასწაულია, როსტომ, შენ რას იტყვი?

ქათმის ბიბილოსავით გაწითლებულმა როსტომმა თავი ჩაღუნა და ენა დაქარგა.

ხანძლივი სიჩუმის შემდეგ მაგდანა წამოდგა და შერცხვენილ ხოხობს დაემგვანა. მერე არსენას მიერ ნაჩუქარი აბრეშუმის ვეება ჰრელი ხელსახოცი ამოიღო, როსტომს მიუბარა და უკნიდან ყელზე შემოახვია. მოახვია, გამოიქცა და ჩაჯდა. მერე როსტომიც წამოდგა, მაგდანა აბრეშუმის თეთრი ბალდადი მოახვია თავზე და დაბრუნდა.

— როსტომმა მაგდანას ბელგა მისცა და დღეის იქით დანიშნულები არიან.—განაცხადა არსენამ.—რადგა ძალო მაგდანა მგლოვიარედ იმყოფება, ამიტომ ჰორწილი მერე იქნება. გაამოს!

და ტყის ძმებმაც იმ მამალივით შესძახეს „გაამოს“, რომელსაც ჰორმა უკანასკნელი დედალი მოსტაცა.

— ჩემი და ფიქრიაც დანიშნულია.—დაუმატა არსენამ.—დათუნამ მარაბდაშივე დანიშნა და ბელგაც იქვე მისცა. ამასაც ვაცხადებ და ყველამ იცოდეს. გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს.—ამოიხრიალა ბანაკმა მოდუნებულ ყბებით.

ამას წინათ მოტანილ განძეულში მარინეს ოქროს სამი ბეჭედი ამოერჩია და ეხლა დანიშნულებს შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო და არც არსენამ მოუწონა.

ლაშქარამ ღვინის ულუფას მოუმატა, მაგრამ იმ დღეს შეფიცულებსაც ისევე სწყურდათ ღვინო, როგორც დამხვეალს წყალი. მაინც დალიეს და და-

აღვივებს, უმღერეს და იქიდავეს, უჯირითეს და ფეხბურთიც ჩაუტეს, და როცა დაქანცეს, დაიქანცნენ და დაიშალნენ, ერთმანეთში ასეთი ჩაქრული გააბეს:

— მოგვატყუეს.

— გავვატყურეს.

— მოგვალორეს.

და იმ დღიდან მაინც ესევ ძმებად გადაიქცნენ. აღარც ვინმე იბღვირებოდა, აღარც აღრენილი ეშვები მოსჩანდა და ზურამაც ხელი ჩამოიღო ხანჯლიდან. ფიქრია და მაგდანა კი ისევ ერთ ქოხში ცხოვრობდნენ და უხაროდათ, რომ არსენას ხერხმა ტყეში ისევ მშვიდობა დაამყარა.

იმავე ხანებში როსტომმა და ლაცაბიტემ არსენას განძი ქალაქში ჩაიტანეს, ოქროდ და საქონლად აქციეს, ზოგი გზა-და-გზა დაარიგეს და თოფის წამალთან, ნარმასთან და წერილმანთან ერთად უამრავი ქვემოთური ამბავიც ამოიტანეს.

ყველაზე მეტად მათი დაბრუნება მარინეს და კარპიჩას გაეხარდათ, რადგან არსენას ცოლს მწვანე ქოშები და ყინვა-შაქარი მოუტანეს, კარპიჩას კი იმდენი მწეღშირა მიართვეს, რომ ერთ თვეშიც ვერ გაათავებდა. რუსი კოკლ ფეხზე დახტოდა, უცნაურ ხილს აწკაპუნებდა და აღარ იცოდა როგორ გადაეხადა მადლობა.

შემდეგ ქალაქიდან დაბრუნებულებმა ამბებიც ამოალაგეს. თურმე ზოგან არსენას არშინი აღარ არშინობდა, აღარც მისი ჩანახი ჩანახობდა და არც გირვანკა გირვანქობდა.

არსენამ თავის კანონი პირველად არმაზის მიდამოში გამოსცა და შემდეგ მცხეთას, საგურამოს, კოდას, საგარეჯოს, კასპსა და ხაშურშიც დაადასტურა: მეწერილმანე ურიას, მედუქნეს და ყოველ ვაჰარს რკინის არშინს გამოართმევდა, აპურსავით დაჰკეცავდა, შორს მოისროლებდა, და იტყოდა:

— ფუჰ, გამჭედი გაგიწყდეს! ვინ ოხერმა მოგვაჩუჩა ეს არშინი! ჩვენ ქართული ალაბი გეკონდა და ისევ ის უნდა შემოიღოთ.

შინდის ჯოხს გამოსჭრიდა, ხუთ მტკაველს მოზომავდა, ბაზაზს ხელში ჩასჩრიდა და უბრძანებდა:

— ამას იქით არსენას არშინით გაჰყიდეთ, თორემ „ძალად გაჰმევეთ ღორის ხორცსა, კეფაზედ დაგასხამთ წვეინსა, თუ ამას არ დამჯერდებით, ქართულად დაგპარსავთ წვერსა“.

მერე ჩანახს მოითხოვდა, სიღრმე-სიგანეს ერთ ციდას მოუმატებდა, რომელიც სხვის ორსაც უღრიდა, და ხორბალ-ლობიოსაც ამ ჩანახით აყიდვინებდა.

გირვანქის ნაცვლად კოდელ ლოპიანას იმოდენა ლოდი დაუგდო სასწორზე, რომ კინალამ ჩაუმტკრია, მაგრამ მერე შეიბრალა და სამ-გირვანქიანი ერთ გირვანქად გამოაცხადა.

სანამ არსენა იქვე საღმე ტრიალებდა, გლეხები დიდ-პატარამდე ქუდმო-გლეჯილი მორბოდნენ სავაჭროდ და მედუქნეს ერთ საათში აკოტრებდნენ, მაგრამ როცა ჩაჩიები მარაბდელს შორს საღმე გაიგულებდნენ, იმის არშინ-ჩანახს სამშავად ჰყიდდნენ და ბრძოლას ამგვარად ინაზღაურებდნენ. ამის შემდეგ სოფელში ისე არაფერი არ გაიყიდებოდა, რომ მას ამგვარი საუბარი და შეუჯახება არ წასძლოლოდა:



— აბა, ხუთი არშინი ჩითი მომიტერი.—იტყოდა მყიდველი.

— ვისი არშინი გინდა, დედაკაცო,—ჰკითხავდა ვაჭარი, მარამდელი  
რუს ხელმწიფესი?

— რა ოხრად მინდა რუსული! ჩვენ არსენას არშინი გვაქვს და იმაზე უნდა ვიაროთ.

— არსენას არშინს სხვა ფასი აქვს.—იტყოდა ჩარჩი და საქონელს სამჯერ უფრო ძვირად დაუფასებდა.

იგივე ამბავი დაემართა ჩანახსაც და გირვანქასაც.

— ვისი ჩანახი გინდა?.. ვისი გირვანქა აგიწონო?

და სადაც კინკლაობა არსენას არშინის გიმარჯვებით თავედებოდა, იქ შაშინვე საქონელიც თავედებოდა: ქალაქელი ჩარჩი სოფელში აღარ მოდიოდა და სოფელელ ვაჭარსაც დუქანი უცალიერდებოდა. თურმე ასე შეტრიალებულიყო არსენას ზომა-წონის რეფორმა.

— მერე, თქვენ რა ჰქენით?—ჰკითხა ბელადმა ქალაქიდან დაბრუნებულ როსტომს და ლაცაბიძეს.

— ქე მივამტვრიეთ ათიოდე შედუქნეს კბილები და რაც საქონელი ჰქონდათ, იქვე დოურიგეთ გლებებს, მარა...—და ლაცაბიძემ მოითხოვა, რომ იმ ალაგებიდან ურჩი შედუქნე სულ გაეძევიანათ.

— გლებები ჩივიან, საქონელი აღარ მოაქვთო,—ჩაუთოო როსტომმა, —და დანარჩენებიც რომ გაერეკოთ, სადლა ვივაჭროთო?

და მოულოდნელად ამ ბანაკში ისეთი თავსატეხი და რთული საქმე წამოიჭრა, რომ ალბათ მისი მსგავსი ჯერ არც ერთ ტყეში არ გადაჭრილიყო.

ზოგნი ლაცაბიძის მეთაურობით ვაჭრების განდევნას, დაჯარიმებას, კბილთა მტვრევას და ქონების ჩამორთმევას მოითხოვდნენ, სხვებმა კი სთქვეს: არსენას არშინიც, გირვანქაც და ჩანახიც ოდნავ მაინც შევამციროთო. თვითონ არსენა კი სდუმდა და, ჩვეულებისამებრ, როცა ძნელი რამ საფიქრებელი ჰქონდა, განიერ ნიკაპს ისრქსავდა. მან ადრევე იცოდა და ეხლა კი ნამეტანი სიცხადით მიხვდა, რომ მარჯვე მკლავი, ფოცხვერის ნახტომი და ლომის ბუხუნი ყველაფერს ვერ გადასჭრიდა. მიხედა და ღრმად ჩაფიქრდა. ქალაქში რომ მუდარიყო და მეფის ძალა ჰქონდა, კიდევ რალაცას მოიგონებდა, იმოდენა ჩაფარ-მსაჯულ-მოხელეს გამოიყენებდა და ბოლოს თავისას გაიტანდა, ტყეში გასულს კი აბა რა უნდა ექნა? ერთი შუქა ხალხით ამოდენა ჯარი, მოხელე და ჯამუში მოგვარებინა, თუ ქვეყნის ბედზედაც ეზრუნა? ასე ჰფიქრობდა ბელადი. მერე ხმაც ამოიღო:

— მეც ვიფიქრებ და თქვენც მოიგონეთ რამე: მერე, როსტომ, კიდევ რა გაიგე?

— მერე არსენას დამჭერს ბარათაშვილმა მაიორის სამოც თუმანს თურმე საკუთარი ოციც დაუმატა.

— ფასი შემატება. მომილოცეთ.—ღიმილით მოსჭრა ბელადმა. — მერე?

— გლებები ჩივიან, ომის გამო ფულს ფასი დაეკარგა, საქონელი გაძვირდა, ვაჭარმა სინდისი დაჰკარგა და ძალიან ეზარალობთო.

— ვაქარს როდის ჰქონდა სინდისი, რომ ეხლა დაჰკარგოდა? — იკითხა ოძელაშვილმა. — როცა საქონელი ძვირდებდა, სინდისი იაფდებდა. გლეხებს კი ვურჩიოთ, რომ ფული აღარ აიღონ და საქონელში საქონელი მოიტანონ. კიდევ რა?

კიდევ ისა, რომ ვიღაც ყაჩაღებს არსენას სახელი მიუთვისებიათ, ქვეყანას აწუხებენ და გლეხებსაც კი სცარცევენ.

ეს ამბავი უკვე მოძველდა. არსენამ კარგა ხანია იცის, რომ ვიღაც წუწუკები მის კაშკაშა სახელს წურბელასავეით მიასხდნენ და ლაფში დაათრევენ. მუდამაც ასე ყოფილა: ვისაც საკუთარი ვაგაკობა არ შესწევს, სხვისას იბარავს. ამ ყაჩაღებისთვისაც მალე მოიცლის ოძელაშვილი და ხელს ააღებინებს.

— მაგრამ, — დაუმატა როსტომმა, — ხალხს არა სჯერა და ყველანი ამბობენ, რომ არსენა ასეთ სიწუწუკს არ ჩაიდენსო.

— ოღონდაც!

— რა თქმა უნდა!

— აგრეთა! — დაუბეჭდეს აქეთ-იქიდან როსტომს. მან კი განაგრძო:

— ხმა დადის, სალდათად ქართველი გლეხებიც გაჰყავთ, რადგან რუს ხელმწიფეს ომი გაუჭირდათ.

— კისერიც მოუტეხია!

— ვერ მივართვით!

— არ იქნების! — წამოიძახეს ტყის ძმებმა და ისე გაიკრეს ხელი ხანჯლებზე, თითქო რუს-ხელმწიფე უკვე თავთ დასდგომოდა მათ და სალდათად მიჰყავდაო.

— გლეხებმა დაგვაბარეს, არსენა რას გვეტყვისო? — გადასცა როსტომმა დანაბარევი.

— რა უნდა ვთქვა? რაც არ იქნების, არ იქნების. — დაბეჭდა ბელადმაც. — რუსის ხელმწიფე სპარსეთის შახს ეომება და ქართველ გლეხთან ვის რა ხელი აქვს? არხეინად იყვნენ. არ იქნების მეთქი.

— მარტალია! — წამოვარდა კარპიჩა. — არც რუსის გლეხის საქმეა ომი. თვითონ მეპეები გავიდნენ, იჩიდავონ და თავები დასჩრან ერტმანეტს.

ძმების ხარხარმა ტყე შეაზანზარა, არსენამ კი ერთხელ კიდევ იკითხა:

— კიდევ რა?

კიდევ ისა, რომ გლეხები ჰგმინავენ, იარაღში სისხლის ფასს აძლევენ, ჩუმ-ჩუმად იკრიბებიან, არსენას ელოდებიან და ეკითხებიან, როდისლა ჩამოხვალ, როდის გაგვიძლეები და როდემდის უნდა ვითმინოთო?

არსენა ჩაფიქრდა, ძალიან ჩაფიქრდა. მთელი ბანაკი მას მიაშტერდა და ყურწამაც კი თვალი თვალში გაუშტერა. ბელადს გული კბილივით აუკენესდა და ვიღაცა თუ რაღაცა უჩინარ ფრთებს ასხამდა მას და მუჯლუგუნს ჰკრავდა. მაგრამ მან თავის თავი დასძლია და ჩაიბუტბუტა:

— აღრეა. მოითმინონ. ომია და გაგვსრესავენ.

— რალა აღრეა, შეე კაცო? — წამოიძახა ლაცაბიტემ.

— აღრეა მეთქი. — მიუგო ბელადმა. — ხალხი მზად არის, მაგრამ ჯერ არ დაგვიჯერებს, და თუ დაგვიჯერა, ჯერ არ გამოგვეყება, და თუ გამოგვეყვა, ბატონს და ხელმწიფეს ჯერ თავს არ შეაკლავს. როცა საწყალი ხალხი ისე გახურდება და გამწარდება, რომ ზარბაზნის ხახაშიც კი შეჰკობს თავს, აი მაშინ





უნდა დაუძახო და გაუძღვე. ჯერჯერობით კი ხალხის ნდობა უნდა ვიმოვიტო, თორემ უამისოდ ქირიანი კატაც კი არ წამოგვეყვება. აგრეთ თუ ვინა მძებო?

— აგრეთ! მართალია!—მიდახვს არსენას ყოველ მხრივ.  
 — კუქატენელმა სიმწარით თურმე უღვაშები დაიგლიჯა.—განაგრძო როსტომმა.

— ოღონდაც!—ჩაიჭურჩულა არსენამ და შეურცხვენელი უღვაშები აიგრიხა.

— ჰაი ჰაი, რომ დაიგლიჯავდა.—დაუმოწმეს სხვებმაც.

— დაიგლიჯა და მას აქეთ მშვიერ მგელივით დაძუნძულებს და დაგვეძებს.— განაგრძო ჯორჯიაშვილმა.

— გვეძებსო, მარა თუ გვიბოვა, მისი სოფელი უბისიცი და ხორაგაუ-  
 ლიც ატირდება.— ეშვებში ჩაიბურტყუნა ლაცაბიძემ.

ეს ხომ აღრევაც იცოდნენ. გიორგი ნიდაგ თრიალეთის ქვემო კალთებს ჰუნავდა და ზევით ამოსვლისთვის ასიოდე ყაზახს მოითხოვდა, მაგრამ ომი იყო და არ აძლევდნენ. ისიც ყველამ იცოდა, რომ კუქატენელს ტყის ძმების დასაზვე-  
 რად გიგოლა და ივანიჩა ამოგზავნა, რომელნიც მეტყვარეებში დაძვრებოდნენ და ხაუნგების დაგებას ლამობდნენ.

„აქლემმა და ჯორჯენამ უნდა დაგვიპირონ?“—გაიცინა მაშინ როსტომმა, მაგრამ ხნიერები მაინც ჩაფიქრდნენ, რადგან კარგად იცოდნენ, რომ რუსის ოქ-  
 რო ტყეში გასულს თუნდ აქლემსაც დააჭერინებდა.

— გუშინწინ შუალამეზე მაიორი შულავრიდან მარაბდაში ამოიჭრა.—გა-  
 დმოალავა როსტომმა.—გიგოლას თურმე ყალბი ცნობა მიუწოდებია, არსენა მარ-  
 აბდაში უნდა ჩამოვიდესო. მაიორს უნდოდა ლეთისავარიც და ერეკლეც დაე-  
 პირა, მაგრამ ზაალიმა ააღებინა ხელი. უთხრა, ეს ხალხი არსენას დასაჭერი ხა-  
 თანგია და ისევ აქ იყოსო. მაიორი იმავე დღეს გაბრუნდა, ზაალი კი თავის მა-  
 მულში ახბატ-ახტალაში აპირებს წასვლას. ესეც გარსიამ მიამბო.

— ბატონს მარაბდაში დაგცხა და იქ ვაგრილდები.—ჩაიცინა მეშთამ.

— წავიდეს.—ნება მისცა არსენამ.—სად წავგვივა?

— ვენაცვალე ბიჭიკოს.—ჩაურთო ფიქრებში გარსიაზე, რომელიც ზაალის  
 სასახლეში არსენას უტყუარ თვალად და ყურად ჰყავდა, როსტომმა კი გა-  
 ნაგრძო:

— მედღუქნე ლოპიანა დაიპირეს, უღვთოდ სცემეს და გაანიავეს. დუქანი  
 დაუტეტეს, ყველაფერი ჩამოართვეს და ესეც არ აქმარეს: რაც ნათესავი ჰყავდა,  
 ისინიც გაახეობრეს და ციხეში ჩაჰყარეს. იმის ბიძაშვილს ბალოსაც ის დღე  
 დააყენეს. გამწარებულ ბალოს ბოლოს მოჭაული შემოაკვდა და გავარდა.

არსენამ მიზეზი არც კი ჰკითხა. ისედაც ცხადი იყო: ლოპიანა არსენას  
 ეხმარებოდა და ამიტომ გაანიავეს.

ბელადი დალონდა, რადგან ვისაც აქამდე მიეკარა ან ხელი გაუწოდა, თი-  
 თქო ქირი გადასდოო: ყველას იჭერდნენ, ჰლუპავდნენ, სწვავდნენ და აციმბი-  
 რებდნენ.

ამას წინათ გზაზე შიშველი ბოგანო შეხვდა. შეეცოდა, ჩოხა გაიხადა და  
 ჩააცვა. სასაცილო რამ იყო ის საწყალი: ისე იჯდა იმ ჩოხაში როგორც თავი  
 ქურქში. ჩოხის კალთებს მიწაზე მიათრევდა და ფრთებ-მოტეხილ ქათამივით

მიცუნტულვდა. მერე თურმე სოფელში დაეკეცა, არსენამ ჩონა მანქანა. „ძალ-  
ლებმა“ კი გაიფიქრეს, ალბათ ამან არსენას ხელი შეუწყო და ზონა ამიტომ აჩუ-  
ქაო. ის საბრალო დაიჭირეს და დაჰკარგეს.

ოძელაშვილი ვაშლოვანში ვინმე ბებერს მკაში მიეშველა. საბაღლოში დე-  
დაბერს საფუკავი ჩამოართვა და წისქვილში წაუღო. დურნულში ვიღაც ობოლ-  
ობერს ერთად-ერთი კამეჩი უკვდებოდა. გზად მომავალი არსენა განგებ დარჩა,  
კამეჩი მოურჩინა და მეორე დღესა დაწამოვიდა. წამოვიდა და ყველგან ჰკირი და-  
სტოვა: ყველა მიშველებული დაიჭირეს და ეხლაც ციხეში ალბობენ.

— შულაერის გზაზე გორულის კოშკთან ერთი ვიღაც აფიცარი და იგა-  
ნინა „აქლემი“ მოუკლავთ.—ეხლად სთქვა როსტომმა.

აქლემის მოკვლამ სიხარულის ჟრიაბული გამოიწვია, არსენამ კი არც გაი-  
ღიმა, არც იწყინა და სთქვა:

— დალი ჰასანას საქმე იქნება. იმ ალაგებს ის დასტრიალებს.—მერე იყუჩა  
და როსტომს ჩასჩურჩულა:—გიგოლასი ხომ არა გაიგერა?

— არაფერი. რომ მოედოდი, განგებ დავენახვე, მაგრამ თვალი ამარიდა.  
ენაველ კაცთანაც მივედი. მითხრა, ორი თვეც იქნება რაც აღარ მინახავს, აღარ  
შეკარებოა.

არსენა ჩაფიქრდა. ცხადია გიგოლა ორგულობს და მარაბდელს ატყუებს,  
მაგრამ იმ „ჯახბას“ ძვირად დაუჯდება ღალატი. ამას წინად არსენამ გიგოლას  
უთვალთვალა და მარაბდის ქალაში მოასწრო. ნაბუშარს მუხლი მოეჭრა და ენა  
მუცელში ჩაუვარდა.

— აქეთ წამო.—უთხრა ოძელაშვილმა და ფოთლიანში შეიყვანა.—თუ ქრი-  
სტიანი ხარ, ილოცე.

ჯაშუში მარაბდელს მუხლებზე მოეხვიდა და დასაკლავ თიკანივით აბლავდა.

— ჩუ, კრინტი, თორემ ძალღსავით მიგახრობ! ჩქარა სთქვი, გინდა თუ  
არა სიცოცხლე გაჩუქო?

— რაც გინდა მომთხოვე, ოღონდ ნუ გამწირავ.—შეეაჯა გიგოლა, რო-  
შელსაც ლაბალუპით სცვიოდა ცრემლი.

— მაშ რაც იცი მიაბე. და თუ არც დამიშალავ რაიმეს და არც იცრუებ,  
ისევ მაიორთან დარჩები და შენს ხელობას გაჰყვები, აბა, დაიწყე.

გიგოლამ დაიწყა და ერთ საათში არსენას ჯაშუშად გადაიქცა. მა-  
გრამ რა ფასი აქვს გიგოლას დაპირებას, რომ მომავალში არსენას მონა მორ-  
ჩილი იქნებოდა? ოძელაშვილმა ხერხი იხმარა: „ზაალის თქსლს“ ხეზე მიამაშს,  
იქვე წყაროსთან პატარა ბიჭს იპოვის, სოფელში აგზავნის, საწერ-კალამს და  
ქალაღდის ხაფლეოს მოატანინებს და გიგოლას არსენას სახელზე ასეთ წერილს  
დააწერინებს:

„შაო არსენ. აქამდისაც ხომ ყველაფერს გატყობინებდი, რაც ზაალის  
კარზე ხდებოდა და რაც მაიორს ჩაუდენია და გულშიც სდებია. ეხლაც იცო-  
დე, რომ...“

შემდეგ არსენამ გიგოლას მისივე ნაუბარი დააწერინა და კარნახი განაგრძო:

— ეხლა კიდევ დასწერე: „ზაალი ქვეყნის სულთამუხთავია, მისი ლეკვი  
დავითი კი გარყენილია, ხარბი, ლოთი და წურბელა. მაიორზე რაღა ვითხრა.



ასეთი ასპიტი დედამიწაზე ჯერ არ გაჩენილა. მექრთამეა, ჯალათია, ხელმწიფე-საც ლალატობს და ბატონსაც. რალა სიტყვა ვაგიგრძელო. თუ შეატყობს უაყკაცი ხარ, სამივენი ამოხოცე და ჩვენც შეება მოგვეცი. როცა ერთად ჰქმნებოდნენ, გატყობნებ და დანარჩენი შენ იცი. ტყის ყუმბს უთხარი, ცოდო მამატიონ. ეხლა თქვენი ერთგული კაცი ვარ და მიმსახურეთ. სხვაფორიე კარგად იყავით. თქვენი უღირსი ძმა და უძღვბი შეილი გიგოლა“.

— ეხლა წადი,—დაასრულა არსენამ და წერილი უბეში ჩაიდო.—წადი, მაგრამ იცოდე: თუნდაც ნატამოლის ოდენა ლალატი რომ ჩაიდო მაგ გულში, ისეთ დღეს დაგაყრი, რომ სიკვდილს ნატრულობდე და შინც ვერა კვდებოდე.

გიგოლა მაჩვიეთ შევარდა ბუჩქნარში, ორჯერ წაიქცა, გაძვრა, გამოძვრა და მიიშალა.

მას აქეთ ზაალის ნაბიჭვარი ორივე ბანაკში სწირავდა და თან შიშით ხმებოდა. არსენას ერთ ენაველ გლეხის პირით წვრილ ცნობებს აწუდიდა, მაგრამ მარაბდელი ჰგრძნობდა, რომ გიგოლა ხელიდან მიუდიოდა და ჯერჯერობით იმ გლეხის პირით მუქარა შეუთვალა. ვერც ამან გასტრა.

შემდეგ როსტომმა არსენას მისი შენათვალის და წერილების შედეგი უამბო: თავადი თარხან-მოურავი მაშინვე მოღბობილიყო და გლეხების ზურგზე მითრახს აღარ ატრიალებდა. ტუსიშვილისაც არსენას ხათრი შეენახა და გასაყიდად შემზადებული ყმა საცოლესთვის დაებრუნებინა, საერთოდ არსენას სიტყვა და წერილი წვრილფეხა აზნაურებზე და მეწვრილმანე ვაქრებზე სმართებელივით სტრიდა, შეძლებულებს ეშინოდათ, თავადები და დიდი მოხელენი კი თურმე იცინოდნენ და კიდევაც იმუქრებოდნენ. თადეობ გურამიშვილი კეთილი ბატონია, მაგრამ უნცროს ძმას დაუკვებია, მაგაზე უკეთესი ხუთი შემიბოჭავს და არსენა მეექვსე იქნებაო.

— მამა უცხონდა!

— დედას უტირებს!—წამოიძახეს ქაბუკებმა. არსენამ კი ოდნავ ჩაიღიმა, ბაჯალლო უღვაშები აიგრიხა და იკითხა:

— ვაგლახ ჩვენ, რამდენი მტერი გვყოლია! მერე, კიდევ ვინ იმუქრება?

— ბერი იმუქრება. აი თუნდაც მაკაროვი და სუმბათოვი.

— ქვიშხელი ალექსანდრე? ზაალის ნათესაი? დედაკაცებს ურემში რომ აბაშს? ჩვენი სიმონა რომ გაპყიდა?

— ჰო, ქვიშხელი, სწორედ ეგ არის.

— დედას უტირებს!—წამოიძახა მის მიერ გაყიდულმა სიმონამ და წამოიწია.—დედას უტირებს, დედას!

— მე წაულ იმის სანახავად.—სტქვა ლაცაბიტემ და ისიც წამოდგა.—ჩემმა ძმამაც შემომითვალა ქვიშხეთიდან, მოდი და გვითხარი, ამ კაცს რაეა მოუაროთო.

— მეც მოვდივარ... მეც წამიყვანე.—და სამი კაციც წამოდგა.

— დასხედით და იყურეთ.—დაამშვიდა არსენამ, რადგან ეხლავე იცოდა თუ „რაეა მოუელიდა“ ლაცაბიტე იმ მძვინვარე თავადიშვილს.—იმის დროც მოვა.

— მოვა! მოვა!—გაისმა რამოდენიმე ხმა.

როსტომმა წვრილმანიც ამოალაგა და დაათვა:

— მაიორს დალი ჰასანისთვინ სულხან ყოჩაშვილი მეფეზეა...

— ვინ სულხანი? ძმა რომ დაუბერტეს, ის ხომ არ...

— ის არის. მიუგზავნია და შეუთვლია, თუ არსენას მოჰკლავ ან დაიჭერ, ყველაფერი გეპატიება და ჯილდოსაც მიიღებო. შალვა ბარათაშვილმა შემოვი-  
თვალა, ნამდვილი ამბავია და გაფრთხილდით.

არსენამ თავის დას გადახედა. როსტომის გახსენებაზე ფიქრია გაფითრდა, რადგან იმის ცოდვა ედო, მაგრამ არა სთქვარა და ნელი ნაბიჯით შეერია ტყეს.

— ქუთაში მივლდებო.—წარმოსთქვა ჩუმი ხმით ოძელაშვილმა.—სულხანი ჩემზე გამწარებულა და იკისრებდა.

— მაგრამ თურმე შენც მოგვგზავნიან ვინმეს და შემოგივლიან, დალი ჰასანი მოჰკალი ან დაგვაჭერინე და ყველაფერი გეპატიებაო.

ბელადმა ეხლა კი ველარ შეიმავრა თავი და ზე წამოიჭრა:

— ვინც მაგ სიტყვას მომიტანს, სამწუადესავით ავკუწავ!

— შალვა ბარათაშვილისათვის დაუფალეებით, მაგრამ შორს დაუჭერია.—  
განავრძო როსტომმა.

— პატიოსანი კაცია.—მიუგო არსენამ.

— მამა-შენსაც დაბარეს, მაგრამ ცხარე უარი უთხლესია.

— ვენაცვალე ცალ თვალშია!—წამოიძახა ზურამ.

— ბაჯიაშვილიც დაიბარეს, მაგრამ იმასაც შორს დაუჭერია.

— ქვეიანი კაცია დოსტაქარი.—დაამოწმა მაგდანამ.

მაგრამ არც მაიორი ყოფილა სულელი. თრიალეთსა და ბორჩალოში ორი კაცი უფრთხობს ძილს და ჰსურს ორივენი ხელის გაუნძრევლად მოიშოროს. „არსენა დამასწრებს“.—ალბათ ვაიფიქრებს დალი ჰასანი და ოძელაშვილს დაუწყებს ძებნას. „დალი ჰასანი დამასწრებს“, გადასჭრის მარაბდელიც და თათარს აედევნება. ბოლოს სადმე შეხვდებიან. ერთ-ერთი მოკვდება, მეორე კი მაიორის სიტყვას მიენდობა და ან ციმბირის გზას გაუდგება ან ყულფში გაჰყოფს თავს და ყველაფერი გათავდება.

არსენამ ზეპირად იცის ეს ამბავი, მაგრამ დალი ჰასანმაც იცის.

და მარაბდელმა ძლივს მოასწრო დაჯდომა, რომ ისევ წამოფარდა და მრისხანედ წამოიძახა:

— ქავთარ, მორიგე ხარ და მიპასუხე, ვინ შემოუშვა ჩვენს ბანაკში დალი ჰასანი, ბალო და სულხანი?!

ყველანი წამოცვივდნენ, იარაღი მოიმარჯვეს და თვალები ბელადის თვალებს გააყოლეს. და როცა ბუჩქნარიდან სამი კაცი გამოძვრა, ზოგმა მათ თოფი დაუმიხნა და ბელადის ბრძანებასლა ელოდებოდა.

— იავაშ, ყარდაშ!—დაიძახა თათარმა და ხელაწეული წამოვიდა.—დაისა, კასო, თოფი დაბლა დასციე, თორემ დუნიაზე ხუთასი დალი ჰასანი კი არ არის, ერთია, მარტო ერთი!

— ბალოც ერთია, ბალოც!—დაიძახა კოდელ მედღენის ბიძაშვილმა.

არსენამ ფიცბელი ბრძანება გასცა დაბალი ხმით:

— ქვეთარ, ხუთიოდე ბიჭი ვაიყოლე და დატრიალდით. გუშაგებო ქვეით ჩაგზავნე და ბუჩქები მოაჩხრეკინე. ნახეთ, ამ ხალხს სხეებიც ხომ აჩრეკოსდევნ. და იმ რაზმელებს მიუბრუნდა, რომელნიც ახალმოსულებს ქვეითე ქვეითის სალტასავით მოეხევივნენ:

— გამოუშვით. მობრძანდით, მეგობრებო, სალამი და გამარჯვება ჩვენს სტუმრებს!

რაზმელებს არ ესიამოვნათ, რომ არსენამ ეს ხალხი სტუმრად გამოაცხადა და ბელადებს და ახალმოსულებს ორმაგ რკალივით შემოერტყნენ. ჰაბუტეკმა სტუმრებს თოფები და დამბაჩები ჩამოართვეს, მარინემ კი წყალი მოარბენინა და სამივეს ფეხი დაჰბანა.

— როგორა გყავთ საქონელი და ნათესაი?—ჰკითხა ბელადმა ახალმოსულებს და ურთერთის მოკითხვის შემდეგ მის ხმაში ყინული და ფოლადი მოისმა:—ეხლა გვითხარით, რისთვის მოსულხართ და გზა ვინ მოგასწავლათ?

ყველას მაგიერ თათარმა უპასუხა:

— პატარა ცხალი დიდ ცხალს ეზებას და ღელე ხევისკენ მირბის. ჩონ პატარა ყაჩაღები ვართ და არსენას დიდი კალთა მოვზებნეთ.

— გზა ვილამ გასწავლათო?—გაახსენა სევასტიმ.

თათრის კბილემა ტყეში თეთრ ელვასავით ჩაირბინა.

— სადაც თავვი ვაზვრება, იქ დალი ჰასანაც ვაზვრება.—ზიუგო და დაუმატა:—ეხლა ჩონი კისერი და თქონი ხმალი.

— ვინ არ იცის, რომ დალი ჰასანი დიდი ყაჩაღია,—სთქვა ბელადმა,—მაგრამ ბალოს და სულხანის ყაჩაღობა ჯერ არავის არ გაუგონია.

— არ გაუგიათ და ეხლა გაიგებენ. ბალომ ბოქაული მოჰკლა.—ამაყად მიუგო ჰასანმა.

— ვიცით, ჩვენც გვაბია ყურები.—მოუჭრა არსენამ და სამივეს რიგ-რიგად დაუბურლა თვალები, მერე უთხრა:

— თქვენ მოსვლაში მაიორის ხელსა ეხედავ.

— იავაშ ყარდაშ!—წამოიძახა თათარმა.—ვალლაჰ, შენს არცივის თოლს ერთი ქათამიც არ გამოეპარება. ზმაო სულხან, ჯერ შენ დაისტე.

სულხანმა დაიწყო: მიამიტი თვალები არსენას შეანათა და სთქვა:

— ჩემზე ჭორი დააგდეს და არ დაიჯეროთ. ჩამჩიჩინებენ, როსტიას სიკვდილი არსენას და ფიჭრიას ბრალია და შენ მათი სისხლი უნდა აიღოო. ეს ჭორი თითონ მაიორმა მოიგონა და დამიბარა. აბა რას ვეტყვოდი! თავი მოვიკატუნე და უთხარი, არსენას ბრალია მეთქი. მერე მითხრა, მაშ გადაუხადეო. აბა რას ვეტყვოდი! კვალი მიჩვენე და გადაუხადი მეთქი. იმანაც დალი ჰასანას კვალი მიჩვენა. თურმე ამის ბინა სცოდნია, მაგრამ ხელიც არ ახლო. ალბათ ფიჭრობდა, ჯერ არსენას მოვაკვლიენებ და მერე მე ვიციო.

— დაისა, ყარდაშ, ეხლა ჩემი რიგია.—შეაწყვეტინა ჰასანამ—მე სულხანი და სასბალი როსტია დოსტები ვიყავით. სულხანი მოვიდა, მაიორის სიტყვა მითხრა. მე ჯერ შორს დავიჩირე. სულხანს საყვედურიც კი ვუთხარი, ეგეთი მურდალი სიტყვა რად მაკადრე მეთქი. მერე შენი ნათქვამი გამახსენდა, ზმაო არსენა, და ისიც გავიგე, რომ სულხანს აღარც სამსახური უნდა და აღარც შინ.

დაბრუნება, და ვთქვი: სულხან, ჩონ არსენასთან უნდა სავიდეთ, თორემ ზალ-  
ლებსავეთ დაგვხოსავენ მეთქი. სულხანმა თქვა: მეს მარტო მანგაზე უფიქრობო.  
მერე მე ასეთი საქმე გავაკეთე: მაიორს შეუთვალე, პირობის განსაკუთრებლად ორი  
კასი გამოგზავნე მეთქი. იმან აქლემი და ერთი აფიციარი გამოგზავნა. მე ხელი  
გავისვარე და აქლემი მოვკალი.

— აკი ვთქვი, დალი ჰასანას საქმეა მეთქი.—ჩაილაპარაკა ოძელაშვილმა,  
თათარმა კი განაგრძო:

— თურმე იმ აფიციარმა გააკეთა სამართალში როსტიას სიკვდილი, ამი-  
ტომ სულხანმა არ დამანება და თვითონ მოკლა. ვალლაჰ, შეერგოს! იშ ალაჰ!

— შეერგოს—წამოიძახეს აქეთ-იქიდანაც და როსტომის წედანდელი ნაამ-  
ბობი გაიხსენეს: აი თურმე ვინ გაგმირა ის არჯალი!

— შეერგოს! შეერგოს!

— ყარდაშ არსენ,—განაგრძო ჰასანამ,—შენ გორულის კოშკში მითხარი,  
როსა ჩემთან სამოხვალ, საბუთი სამოილეო. იმ აფიციარს და აქლემს შევებევს,  
ერთი ბარათი დამისერეთ, რომ მე მოვკალით მეთქი, მაგრამ არ დასცერეს და  
ჩემი ცოდოც თან საიღეს.

სიცილი რომ შეწყდა, თათარმა ჯიბიდან ორი კაცის მარჯვენა ყურები  
ამოიღო და დაასრულა:

— საბუთი მაინს სამოვილე. აი, ინებე.

და ბელადს მუხლზე ორი დამკნარი ყური დაუდო.

არსენამ ზიზლით დახედა, მუხლი შეანძრია და ყურები მიწაზე ჩაყარა. ვი-  
ლაცამ სთქვა:

— ყურშას შევაქამოთ.

— ძალლი არ წამიმურტლო. მიწაში ჩაფალით.—სთქვა არსენამ და ბა-  
ლოს გადახედა.

— მე უყუროდ ამოვედი.—სინანულით ჩაილაპარაკა სომეხმა.—თუ გნებავს,  
ჩემებს დავიჭრი და მოგართმევ.

ამ ოხუნჯობამ ოდნავ გააქარვა ჰაერი. ერთმა რაზმელმა ყურები მაინც  
მიუღდო ყურშას. ძალმა დაჰსუნა, იმ რაზმელს შეჭლინა და კუდი მიუშვირა,  
თათარმა კი განაგრძო:

— ყარდაშ არსენ, რაც მითხარი, შეგისრულე. შენ თქვი: ჰასან, ყაბლო-  
ბაზე ხელი აიღე და სასხალ ხალხს უპატრონეო. მეც ორ კვირაში ხუთი კაცი  
მოვკალი, გზაზე ორმოსი კასი გავატიტვლე და მათი დოვლათი სულ ლარიბებს  
დაურბე.

— რა ცოტა დაუბოცია!—სთქვა ვილაცამ და მისი ნათქვამი სხვათა ხარ-  
ხარში შთაინთქა. არსენამ კი შუბლი შეიკრა და ჰკითხა.

— მე ვითხარი დახოცე და გზებზე ხალხი გაცარცვე მეთქი?

არა, არსენას არ უთქვამს დახოცეო, მაგრამ...

— მაგრამ ვის რა უნდა დაურბეო, თუ კაცი არ მოვკალი?—გაოცლა თა-  
თარი და განაგრძო:—შენ თქვი, შენმა ამხანაგებმა ხალხის დაჩერაზე და გაყიდ-  
ვაზე ხელი უნდა აიღონო. ესეც გავაკეთე: ორი ჩემი ამხანაგიც მოვკალი.

— მერე, მერე?—ჰკითხეს აქეთ-იქიდან.

— მერე არსენამ მითხრა, ელიზბარას სერაქველი გლეხები დაუწერია და და გააშვებინეო. არ გაუშვეს. მე ელიზბარას ზნებს და თივანს ნიჭს სწახლი მივესი. საბზელიც და ბელელიც დაისევა. სერაქველები მეორე დღესვე გამოიშვეს და სართმულელიც დაუბრუნეს. მერე შენ თქვი, ელიზბარას ხალხის გაყიდვაზე ხელი ააღებინეო. ელიზბარი ომშია და როსა დაბრუნდება, ვალაჰ, ამასაც შევასრულებ. ეხლა კი შენს იქით გზა აღარა მაქვს. გინდა—ზმით მივიღე, გინდა— მომკალი, აქედან კი აღარ სავალ.

ჰასანმა გაათავა. მართლა გაათავა: ხანჯალი მოიხსნა, არსენას უხეხებში მიუგდო და იქვე ჩაქრტა.

არსენამ ნაძალადევედ გაიღიმა, იარალი ისევ ჰასანას გაუწოდა და ბალოს მიუბრუნდა:

— ბალო, თურმე შენც შემოგკლომია ბოჭაული. რა მოშულარი შენა ხარ, რომ რუსის ხელმწიფეს ეომები?

— რა ჩემი ბრალია.— შეიშმუნა მარები კოდელმა.— მე დამბაჩა დავცალე. იმან კი თურმე შუბლი შეუშვირა ტყვიას და პაპაჩემის მოსაკითხავად წავიდა. იმდენი მოკითხოს სანამ არ მოსწყინდებოდეს.

— გზისას რაღას იტყვი დალი ჰასან?— ერთხელ კიდევ ჰკითხა მარაბდელმა.— ვინ მოგასწავლათ ჩვენი ბანაკი? ეტიკად ვინა გყავდათ? ან ისე როგორ შემოიპარენით რომ გუშაგმა ვერ გაიგო?

თათარმა სიამით ჩაიღიმა და ქოსა წვერი მოიაღერსა.

— დალი ჰასანი თვითონაც ეტიკია და სხვა რად უნდა? ზემოთ მთებში მეცხორე დოსტი მყავს. უთხარი და მასცავლა.

— მაშ სხვებსაც ეცოდინებათ. ჩვენი აქ დარჩენა აღარ შეიძლების.— სთქვა არსენამ და რაზმელებს გადახედა.

— აღარ შეიძლების.— დაუმოწმეს აქეთ-იქიდანაც.

— მაშ შეეშადენით. ეხლავე მივდივართ,— ვასცა ბელადმა განკარგულება და წამოდგა.

ტყის ძმები უმაღლე გაიფანტნენ. სულხანი კარგა ხანს აცქერდებოდა ფიქრიას. მერე არსენას ჰკითხა:

— რა გქნა, ეს ლამაზი ბიჭი ისე გვაეს შენა, რომა... შენი ძმა ხომ არ არის?

— ეგ ლამაზი ქალი ჩემი და ვახლავს, ძმაო სულხან.

ფიქრიაც თვალს არ აშორებდა როსტიას ძმას და ყოყმანობდა. მერე უცნაურად გაუღიმა, უცებ მოეხვია, მკერდზე აკოცა და ჩუმი ხმით ატირდა, თანაც ლულულულებდა:

— საწყალი როსტია... გული მუდამ მეთანაღრება, რადგან ჩემი ბრალია... მაინც არ შემიძლობს და შენ მაინც შემებრალე... აღარ ვიცი, როგორ მოვიხადო ის ცოდო, ის საბრალო მტანჯავს და აღარ შშორდება.

— როსტიას ცოდო მეც მადევს და უნდა შემიძლო, ძმაო სულხან.— უთხრა არსენამაც და ხელი მოხვია.— მე და ფიქრიას ის საწყალი მუდამ გვაგონდება. სანთელსაც ვუნთებთ, კოლიოც გავაკეთებინეთ, ბოლნისის ხატს კურატიც შევწირეთ და აღაპებშიც ჩავაწერინეთ, მაგრამ ცოდო მაინც ცოდოდ

გვრნება. მოტყევა შენცა გთხოვე, ძმაო სულხან, მაგრამ არ შემიძღვდა აღარ ვიცი რა ექნა.

ორიოდე თვის წინათ არსენამ მარნეულის გზაზე ლურჯის სიტყვი გაშალა. სადახლოდან ნათლიდენისგან ღვინო, დედალი და შოთენი მოჰქონდა, მელქენეს კი მწვადი და მწვანელი მოატანინა, იქვე ბაღში დაჯდა და ქეიფს შეუდგა. რადგან მარაბდელი მარტო თვითონ პურსაც არ გასტეხავდა ხოლმე, ამიტომ რამდენიმე უცნობ გლეხს დაუძახა და ქამაში გაიამხანავა.

უცებ იმ დღესანს მილიციის აფიცური მოადგა, რომელსაც სულხან ყოჩაშვილი ახლდა. აფიცური დღესში შევიდა, სულხანმა კი ცხენები დააბინავა და იქვე კუნძზე ჩამოჯდა.

არსენას გუნება გამოეცვალა. დადუმდა, სმასაც თავი მიანება და სულხანს თვალს აღარ აშორებდა. მერე წამოდგა, ლობეს მიადგა და დაუძახა:

— სულხან, აქ მო, სიტყვა მაქვს სათქმელი.

ყოჩაშვილი შეკრთა, წამოიჭრა, წამოვიდა, თითქმის გამოიქცა, ლობეზე გადმოხტა და, ხანჯალ-ამოწვდენილი, პირის-პირს მიადგა უწინდელ მეგობარს და ეხლანდელ მოსისხლეს, რომელმაც თავის დასთან ერთად ასე უდროოდ დაუღუბა საყვარელი ძმა.

— შენი ბრალია და მიზღე!—მიადხა სულხანმა ოძელაშვილს და მიეტანა.

არსენა არც კი შეინძრა, არც იარაღზე გაიკრა ხელი.

— ჩემი ბრალია და სისხლი აიღე. აჰა ჩემი კისერი და შენი ხანჯალი.— უთხრა ლობიერად და თავი მოუხარა.

— ხანჯალი ამოიღე, შე ლაჩარო!—შეუტია მილიციელმა.

— არსენა რომ ლაჩარი არ არის, ეს ხომ შენც მოგესხენება,—მიუგო კესერავწვდენილმა მარაბდელმა,—ხანჯალი კი არც აქამდის ამომიღია ბრალიან საქმეზე და ვერც ეხლა ამოვიღებ.

კარგა ხანს იდგა თავმოდრეკილი. მერე გასწორდა, სულხანს მომბალ თვალებში შეხედა და უთხრა:

— თუ სისხლი არ გინდა, სხვანაირად გიზღავ. ლურჯა ჩემს თავს მირჩენინა, მაგრამ... წააყვანე.

სულხანი სდუმდა.

— ხანჯალი მაქვს, რომ ლურჯასაც მირჩენიან. მარაბდის მიწაშია ნაპოვნი. აჰა, მიიღე.—მოიხსნა არსენამ და გაუწოდა, მაგრამ მარაბდელი ფოლადი ჰაერში შერჩა. მერე დაუმატა:

— მაშ ლურჯაც წაიყვანე, ეს ხანჯალიც წაიღე და სხვა რაც გინდოდეს, დამეველე.

სულხანმა ერთი სიტყვაც აღარ დასძრა, გაბრუნდა და დღესანს მიეფარა. ოძელაშვილი დიდხანს იდგა მდუმარე, მერე ქამარ-ხანჯალი შემოირტყა და სულხანს გაჰყვა. ყოჩაშვილი პირქვე ეგდო თივაზე და აღმათ ტიროდა. არსენა მოტრიალდა, ლურჯას მოახტა და ისე წამოვიდა, თითქოს ის დღესანი ზედ აეკიდაო, ხოლო ტიკი, ნაბადი და თითქმის ხელუხლებელი სუფრა განცვიფრებულ გლეხებს დაუტოვა.

— ჩემი ბრალია, ჩემი!—ჩემი ხმით იმეორებდა ეხლაც ოძელაშვილი.



— რა თქვენი ბრალია.—ლულულულებდა ეხლა სულხანიც.—ვინც ვამბობა, იმან უნდა მიზლოს. ერთს უკვე ვაზღვევინე და სხვების ჯერაც მოგვჩვენებ.

— მოვა, ღმერთიანი მოვა!—ისე დაუბეჭდეს არსენამ და ატყუარასმკაცრად თუ თვითონ არ მოვიდოდა ის დრო, ესენი მოათრევდნენ თმებით.

სანამ ცხენებს ჰკაზმავდნენ და ხურჯონებს ალაგებდნენ, გუშაგმა მორიგე გაიწვია სტვენიოთ და ლაშქარამ ვიღაც შეიარაღებული გლეხი მოიყვანა. მან არსენა მოკითხა და მიუყვანეს.

— გამარჯვება, ძმობილო!—დაუხედა ბელადი.—ვინა ხარ, სადაველი ხარ და ჩემთან რამ მოგიყვანა? ან როგორ მიპოვე?

— არ მინახვიხარ,— მიუჯო გლეხმა,—მაგრამ იერზე გატყობ, ნამდვილი არსენა უნდა იყო. მენა სამშვილდელი ვარ და ხალხმა გამომგზავნა: არსენასთან წადი, საცა იყოს იპოვე და გააფრთხილე, მოგვერიდოსო. ეს ხეობა ჯარით გაივსო. ასი ყაზახი მორეკეს, სალდათებიც გაურჩეს და ორასი გლეხიც გამოგვაყოლეს. თოფები დაგვირიგეს, წინ წაგვიგდეს და გაგვაფრთხილეს, თუ არ ესერით ან გაიქცევით, უკნიდან დაგხოცათო. ისე ალაღ-გვით მოდიან, რომ შენი ბინა უნდა ნიშანდობლივ იცოდნენ.

ჯერ ლაპარაკიც არ გაეთაყვინა, რომ ბანაკში მეორე გლეხიც შემოძვრა, მესამეც და მეექვსეც,—ბირთვისელიც, თეთრ-წყაროელიც და ვომარელიც. ბოლოს მარაბდელი ფეიქარი ნასყიდაც გამოიჩნდა და ოქელაშვილს გადაეხვია. ყველანი თავთავიანთ გუნდების დავალებით დაწინაურებულიყვენ და ყველას იგივე ამბავი მოჰქონდა: მოვდივართ, მოგვდევენ და მოგვერიდეო, თანაც თვალებით სკამდნენ მარაბდელს, ნაპოვნ ძმასავით ეხუტებოდნენ და ამხნეებდნენ:

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს და გამარჯვება მოგცეს, ძმაო არსენ.

— ღმერთმა შენი თავი გვიცოცხლოს და ჩვენც შეება მოგვეცემა.

— აბა, ძმაო, ქართველი გლეხობა მაგ სუფთა თვალებში შემოგცქერის და ვინძლო არ მოგვატყუო.

— გასწი, გაგვიძელ და გვატარე. დედა შეერთოს ცოლად ვინც შენ ჩამოგჩქეს.

— ჯერ ადრეა და როცა დრო მოვა, ჩვენც დაგიძახებთ და შენც დაგვიძახე, ეხლა კი წადი და თავს უშველე. აი ესეც მიიღე, გამოგვატანეს, დასჭირდებათო,

და რაზმელებს ხელში სჩრიდნენ თოფის წამალსა და ლილებს, დანებსა და ქალამნებს, ქაზრებსა და პერანგებს, ყველსა და პურს, საჭიროს და ზედმეტსაც.

არსენა კი გულაჩუყებული იდგა, ცრემლს ძლივს იმაგრებდა და აღარც რასმეს ხედავდა, აღარც ვინმესი ესმოდა—გარდა უთვალავ გლეხობისა, რომელიც მონასავით შრომობდა და მაინც მშვიერ-მაშველი იყო. ტყვესავით გმინავდა, მშველელი არა ჰყავდა, მომაკვდავივით ბორგავდა და მსხნელად არსენალა ეგულებოდა—აი ეს მარაბდელი ჯიქი, მარჯვე და ღონიერი, მხნე და ლამაზი, მარდი და გონიერი, გამტანი და სინდისიერი. მაგრამ ოქელაშვილი მაინც უძალა იყო ამ მკირე რაზმით, რომელიც ერთ დავიერებაზე უზარმაზარ გველვეშაპად გადაიქცეოდა, მაგრამ ჯერჯერობით არც კლანჭი ექნებოდა საფრეწად, არც

ფრთები საფრენად და არც კბილები საგლეჯად. აქაურ გლეხებს რძელაშვილი მხსნელ ძმასავით უყვარდათ, შორეულთა შორის კი ჯერჯერობით მხოლოდ სახელი ჰქონდა გაეარდნილი. არსენამ ისიც იცოდა, რომ გლეხებში მცხოვრებან მისი დღეგრძელობის და გამარჯვების წირვაც კი შეუკვეთეს და ჩუმად აწირვინებდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ მათი სიყვარული იყო და არა თავდადება. ვინ იცის რა მოხდეს, როცა რძელაშვილი საბედნიერო ზარს ჩამოჰკრავს? ზოგი დაფრთხება, ზოგი შუაგზიდან გაბრუნდება და ზოგიც ბატონისა და ხელმწიფის მხარეზე გადავა.

— აბა, ძეაო არსენ, შენი იმედით მივდივართ.—გამოაფხიზლეს გლეხებმა.

არსენამ თავი გააქნია, ეკვის ეშმაკები გაფანტა და გლეხებს რიგრიგად გადაეხვია, თანაც ყველას თავის მღულარე რწმენა გაატანა:

— მშვიდობით, ძებო. მალე დაგიძახებთ და არ შემარცხვინოთ. ყველას ჩვენი მადლობა და მოკითხვა გადაეცით. მხნედ იყავით, ყოჩაღად, ვაჟაკურად! გლეხები სხვადასხვა მხარეს გაიკრიფნენ და ხშირ ფოთლიანში მიიმაღნენ. ბანაკიც აკრეფილიყო და არსენასღა ელოდებოდა. როსტომს მხარზე მეწინავე დროშა გაედო, წინ ჩამდგარიყო და ქალებიც იქვე ჩაეყენებინა. ლურჯა თავის პატრონს თავს ჰკრავდა, თითქოს ეუბნებოდა, დროა წავიდეთო, და ყურშაც თვალებში შესცქეროდა. ბოლოს არსენა ლურჯას მოახტა, რაზმს თვალი მოავლო და როსტომს ხელი ჩაუჭნია.

ცხენები დასძრეს, ქვეითებიც დაიძრენ და დაბურულ ტყეში ვირთაგვების ხროვასავით გაიკიშნენ, რომელიც ხანძრის გამო სახლიდან ბაღში გადადის ხოლმე.

ხიფათი უკნიდან მოელოდათ, ამიტომ არსენამ ოთხი რაზმელი ამოიყენა გვერდით და დიდ მანძილზე ჩამორჩა, რადგან თვითონვე იტყოდა ხოლმე: ვისაც პირველ მწვანს მიაბრთმევენ, იმან უნდა პირველი ტყვიაც მიიბრთვასო, და ეხლაც მზად იყო პირველიც მიერთვა და უკანასკნელიც მიეღო.

\* \*

ომის გამო სოფელში ერთი ხეირიანი ცხენიც აღარ დარჩენილიყო, ამიტომ კოდის მამასახლისმა ორი ჯაგლაგი ძლიეს იშოვა და ერთზე თავის ძონძებით შემოსილი ყაზახი შესვა და კუჭატენელს დაადევნა, მეორეს კი თვითონ მოაჯდა და მდევრის დასაძახებლად იქვე მარნეულში გაიქცა, საცა სამხედრო ეტაპი იდგა. მდევარი მარნეულიდან უმაღლე მარაბდაში ამოიკრა, მაგრამ დავიანებისა და ბნელი ღამის გამო არსენას დევნაზე ხელი აიღო და იქვე დაბინავდა.

კუჭატენელი ისე მიეჩქარებოდა ქალაქისკენ, რომ კინაღამ ცხენი დაუფარდა. საღამო ეკანს პირდაპირ მაიორის ბინას მიაღწა, მტყერში მოსვრილი შეიჭრა, გაეკიშა და მოახსენა:

— არსენა ქალაქში ვახლავს ან საცაა შემოვა.

მაიორი გაფუფქულ კატასავით წამოიკრა:

— მართლა?—და ყველაფერი, რომ მოისმინა, კუჭატენელს მოუწონა:

— ძალიან კარგად მოქცეულხარ, რომ უკანვე გამობრუნებულხარ. აბა, ჩქარა!

ცხენს მოაჯდა და სამხედრო გუბერნატორს, გენერალს სიპიავინს და პოლიციეისტერს შეუვარდა:

— მართლა?—გაუხარდათ იმათაც და თვითონაც დაფაცურდნენ.

ერთი საათის შემდეგ კოჯრის გზა და თაბორის ბილიკები ყაზახებით და პოლიციელებით იყო შევსული. მაიორმა იანგარიშა, არსენა კოჯრის გზით შუა ქალაქს სოლოლაქში ვერ გაჰბედავს შემოსვლასო, და კრწანის-სეიდაბადისკენ გამოსწია.

კუქატელმაც ისევე ივარაუდა და არლოვს გამოჰყვა, თანაც იმის ზრუნვაში იყო, რომ არსენას დაჭერა სავსებით დაეჩემებინა და მოზიარედ არავინ არ გაეჩინა.

— დავიჭერთ?—ეკითხებოდა გზადაგზა მაიორი კუქატელს.

— უთუოდ დავიჭერთ.—რწმენით ეუბნებოდა გიორგი.

საბაეოსთან რომ ჩაეიდნენ, არლოვმა შეშვიდეჯერ იკითხა:

— მაშ დავიჭერთ?

— სად წაგვივა!—ერთხელ კიდევ მიუგო კუქატელმა და ცხენი კინალამ ტყაპუქიან ცხენოსანს დაატაკა, რომელმაც გზა გადაუჭრა მაიორს და მიახალა:

— Так что позвольте доложить... არსენა დავიჭირეთ, მაგრამ...

— რაო, არსენა დავიჭირეთ?!

— Так точно, დავიჭირეთ, მაგრამ...

— მაგრამ?—შიშით შესძახა მაიორმა.

— მაგრამ... так что утек окаянный,—ისევე წაგვივიდა.

სად? როდის? კოდაზე? რამ გააგვივა ეს ტეტია! ან ვინ არის ეს კაცი, ქართულად რომ გამოწყობილია და ასე სუფთად რომ ლაპარაკობს რუსულს? რაო, ყაზახია? რომელი ყაზახი? დღეს დილას არსენას დასაჭერად გაგზავნილი?

მაიორი მარწუხით მისწვდა ენაში და ძლივს გაიგო გასაგებელი. გაიგო და სტაფილოსფერი სახე გაუჭარბალდა, ცხვირი დამქნარ მაჟალოსავით ჩაუვარდა ჩალიანში და თვითონაც შემწვარ ვაშლს დაემსგავსა, რომელიც უცებ სიმწარით და ბოღმით დასკდა:

— სთქვი, თქვენ დავიჭირეთ თუ თვითონ არსენამ დავიჭირათ?—შეპყვირა და ისეთი შეიდსართულიანები დააყოლა, რომ გინების ოსტატი ყაზახიც კი აფრთოვანდა. შემდეგ კუქატელს მიუბრუნდა და ისე გემრიელად მიაკერა „დუღურაკი“, რომ ისიც ალტაცებას მოვიდა.

შემდეგ ასიოდე ჩაფარ-ყაზახს გაუძღვა და კოდა-მარაბდისკენ გაუტია. თელეთის ბოლოს ცბრა კაცს შეხვდა, რომელნიც იმ დილას ყაზახები იყვნენ, ეხლა კი მათხოვრებს დამსგავსებულებიყვნენ. მათხოვრები შორიდანვე გზის პირაზე ჩაუშწკრიდნენ და არლოვს სამხედრო სალაში მისცეს. მაიორმა შეხედა და ესენიც ძლივს იცნო. იცნო და გლაზებს მათრახით დაერია. ყაზახები მკელდარეულ ცხვარივით დაიფანტნენ, არლოვი კი უტაპუნებდა და თელეთის ხრიოკს დორბლით ავსებდა.

ბინდისას კოდაში შევარდა და, მამასახლისი რომ ვერ იპოვნა, ლოპიანა და გზირი ააქრელა და ერთი საათის შემდეგ ზაალის კარ-მიდნისთან მჩაჰსკდა.

— მოი მოიორუ!—გამოეგება ზაალი.—ბუნტია, ნამდქრლი! მსქტრამ! გამ-ცარცვეს, დამაქციეს. აქი გეუბნებოდით, იმ ათიოდე სალდათს მიინც ნუ წაიყ-ვანთ მეთქი.

— საქართველოში იმისთვის კი არ ჩამოგედით, რომ თითო თავადს და თითო აზნაურს ათ-ათი სალდათი მიუყენოთ.—მოუჭრა მაიორმა და გამოძიე-ბას შეუდგა. და რა გაიგო, რომ ოთხი საათით მიინც დაიგვიანა და არსენამ ფიქრიაც თან წაიყვანა, რისხვა სევდად გადაექცა. აბა რად უნდა მას ცალ-თვალა გლეხი და მისი ხნიერი ცოლი! სულ ერთია, მძველობამ ვერ გასკრა! არსენა დედ-მამის ხელახალ დაქერასაც არ მოერიდა და ეხლა უწინდელზე უარე-სადაც არსენობდა. მაიორს ღვთისაგარისა და მელანოს შინ დარჩენა არ გაჰკვი-რებია, მაგრამ ძალიან გაოცდა, რომ არსენას ერეკლე და დათუნაც არ გაჰ-ყენენ.

„მაშ უნებელი ხალხი ყოფილა“.—გაიფიქრა და მიინც გადასჭრა ოთხივე დაეპატიმრებინა, მაგრამ ზაალმა ხაფანგის დაგება ურჩია და მაიორმაც დაუ-ჯერა: გიგოლა დაატრიალა, სამიოდე სხვა მოენეც იშოვა, დარიგება მისცა, მელანო, ღვთისაგარი და ერეკლე დაიბარა და ერთი ზერხიც სცადა:

— ან ციმბირში წადით, ან არსენა მომეცით. აირჩიეთ.—უთხრა თითოს ცალცალკე.

ცალთვალა ვერ მიუხვდა, და როცა თარჯიმანმა გიგოლამ განუშარტა, რომ დედმამას შევილი და მძას მძა უნდა გაეცა, გაოცდა და ნაბუშარს სამჯერ ჰკითხა:

— იქნება ვერ გაიგე ბიჭო? აბა ერთხელ კიდევ ათქმევიწე და ზერიანად გადმომითარგმნე.—და როცა სამჯერ ერთი და იგივე მოისმინა, იკითხა:—დავი-ჯერო, რომ რუსეთში მამა შევილს დასაკლავად იმეტებდეს?

და ცხარე შეჯახების შემდეგ სამივემ მტკიცედ აირჩია: ისევ ციმბირში გვირჩევიან და თქვენი ნება შესრულდესო.

— ბებრებო, მენანებით და ვადას გაძღვეთ, ერთხელ კიდევ მოიფიქრეთ.— ურჩია მაიორმა.

შემდეგ დათუნა დაიბარა და როცა მხნე ვაგაკაცის ნაცვლად თოხლო-კაცს წააწყდა, გაიფიქრა: „უნებელია. სჯობს მოვიცადო“ და იმასაც მეთვალყურე მიუჩინა. შემდეგ სავახშმოდ გავიდა. ქანდრის ძირში დარო დაინახა და ძალიან გაოცდა.

ზაალის ახალგაზრდა ასული მაშინაც ენახა, როცა მარაბდაში როზგი და-ატრიალა, მაგრამ მაშინ სხვა ქალებში არ გამოარჩია, რადგან დარო ელიზბარის საბედოდ ითვლებოდა და მაიორს არ ერგებოდა. ეხლა კი, ფიქრიაც და მარინეც რომ დაჰქარგა, უცებ გადასჭრა: „კიდევ მერგება და კიდევ შემერგებაო“, და დაროს გვერდით მოუჯდა.

სუფრასზე მხოლოდ სამნი ისხდნენ. ხორეშანმა თავი აიტკივა, დავითი სა-ლაშქროდ იყო წასული, ზოლო მისი ცოლი ტასოც თავის მამის, თიანეთის ნა-მოურავალ აბელ ჩოლოყაშვილის მამულში წასულიყო.



დაღვრემილი ზაალი ფიქრში იყო წასული, აზრით გუშინ-მოტყეებულ განძეულს მისდევდა, დროგამოშვებით ხელებს ასავსავებდა და ფეხებზედ ედგა იძახდა: «ვეეო, ასეთი ამბავი გაგონილა?»

არც მათორს ეცალა ზაალისათვის. ის დაროს უცინოდა, საქმელს სთავაზობდა, სალდათურად ოხუნჯობდა და თავის ლოქო-თვალებს მის შავსა და დიდრონ თვალებს აღარ ამორებდა? მერე უცებ მობრუნდა და ზაალს ჰკითხა:

— როგორა გგონიათ, კნიაზ, ყაზალებს ის დროსა რაღად უნდოდათ?

— აბა რა ვიცი, მოი დოროგოი, თქვენ დაბერდით და ჩვენ უნდა ვატაროთო. განა სსასაცილო არ არის?

— სსასაცილოა.—მიუგო მათორმა და თავის ნათქვამი თვითონაც არ დაიჯერა, რადგან კარგად იცოდა, რომ არსენა ყოჩალი ყაჩალი კი არ იყო, რომელიც რუსების მოსვლის დღიდან სოკოსავით გამრავლდა საქართველოს ტყე-ღრეში, არამედ პატროსანი გავარდნილი ვაეკაცი და ყველაჩაგრულის მოსარჩლე იყო ისიც იცოდა, რომ მისი სახიფათო სახელი დღითი-დღე მატულობდა, რომ ომის ტვირთის გამო გლეხი დრტენიანდა, მოსარჩლეს ეძებდა, იარაღს იძენდა და მგელსავით ტყისკენ ეჭირა თვალყური.

და არლოვმა იმ საღამოსაც დაინახა და გაიგო გლეხობის გმინვა და კბილთა კრაქუნი.

მთვარიანი ღამე იყო და ნავახშმევს მათორმა ზაალის ახალგაზრდა ასული მკლავ-გაყრილი გაიყვანა დიდ გზაზე. ქალი ჯერ არ მისდევდა და ზაალიც აიშრია, რადგან ამის გამო გლეხები აყაყანდებოდნენ და არც შეუჩვეველი აზნაურები მოუწონებდნენ, მაგრამ—«Нанесать!»—წამოიძახა მათორმა და ქალი თითქმის ძალით გაიყვანა ეზოდან. სოფლის ბოლოს ოდნავ ასცდნენ გზას და ხის ჩრდილში ჩამოსხდნენ.

არლოვმა ქალს წელზე ხელი მოხვია და მიიზიდა. დარო დაიბნა, გაინახა და ისე მოათვალა იქაურობა თვალებით, რომ თავგიც კი ვერ გამოეპარებოდა.

უცებ კოდის გზაზე ურმების კრიალი და ხშირი ყაყანი გაისმა. უკან გამობრუნება გვიანდა იყო. მათორს საბეჭურები მოსასხამით ჰქონდა დაფარული და ქედიც კალთის ქვეშ ამოიღო. გლეხები გზაჯვარედინზე შესდგნენ და ლაპარაკს მოუხშირეს. ხუთ ურემს ათ კაცზე მეტი მოსდევდა.

— მაშ აგრე, ხალხო,—უბნებოდნენ მარაბდელები ზემო სოფლელებს,—ებლა მაინც გამოვიჩინოთ კაცობა და პირი შეგკრათ. აბა, ორას უღელ ხარ-კამეჩიდან ცხრა უღელია დაგვრჩა.

— ყველამ ბოლნისის ხატზე დავიფიცეთ და არ გასტეხოთ, ბეგარაზე აღარ გახვიდეთ, თორემ ღვთის რისხვაც თქვენი იქნება და ჩვენი ცოლშვილის ცოდოც.

— თუ არა და თოფები ავიღოთ და არსენასთან წავიდეთ.

— აგრე იყოს, აგრე! არსენასთან წავიდეთ, არსენასთან!—სთქვეს გლეხებმა და კვლავ დააფიცეს ერთმანეთი ბოლნისზე და კაბენზე, თელეთზე და მცხეთის ხატზე, და თანაც იძახდნენ:

— ვინც ფიცი გასტეხოს, დედა შეერთოს ცოლადა!

ზემოურებმა მარჯვნივ აუხვიეს, მარაბდელები და გაღმელები კი მოური-  
დებელი ლაპარაკით შემოვიდნენ სოფელში.

ორმა კაცმა სულ ახლოს ჩაუარა მობუზულ ქალ-ვაჭარს.

— აბა, სეხნიავე, სიფრთხილვე გმართებს და შენ იცი.— ეუბნებოდა ერთი მეორეს.— სახლკარი გადაგიწვეს, მამაც მოგიკვდა და მაგდანაც და დათუნაც ციხეში არიან. უნდა კარგად დაიმალო, თორემ დაგიქერენ და ვირთაგვასავით ჩამოგკიდებენ.

— აგრეა, ჩემო სოლომონ.— მიუგო მეორემ.— ამაღამ ლეთისავართან ვაე-  
თენებ და ხეალ ქალაქში წავალ. იქ უფრო ადვილად დავიმალები.

და როცა ყველანი მიიმაღლნენ, მაიორმა ქალს ხელში ხელი სტაცა და ჰკითხა:

— ვინ იყენენ? რას ლაპარაკობდნენ?

დარომ სიტყვა-სიტყვით გადაუთარგმნა.

— ვინ არის ეს კაცი?— ჩააცვივდა მაიორი სეხნიაზე.— რად იმალება?

— სეხნია არ გაგიგონიათ?— გაოცებით უპასუხა დარომ და განუმარტა:— მაგდანას და დათუნას მამაა. ჩვენი მღვდელია. სპარსეთში იყო გაქცეული და დაბრუნებულა.

ჰო, მართლა! მაიორმაც იცის, როგორ არ იცის! აღექსანდრე ბატონიშვი-  
ლის კაცია და ჯაშუშობისთვის ჩამოსულა. დიდებული შეხვედრაა! საუცხოვე  
სილამოა: მაიორმა ქალის გულიც დაიპყრო და ერთი ემიგრანტიც მოინადირა.

— აბა წავიდეთ, ჩემო ლამაზო, მაგრამ ისე ვამატარე, რომ ეშმაქმაც არ დაგვიანახოს.

გიგოლა მოუთმენლად მოელოდა მაიორს. დარო რომ მოშორდა, მაიორს  
ოთახში შეჰყვა და სეხნიას დაბრუნება მოახსენა.

— მალადეც გიგოლ!— შეაჭო ბატონმა და სამშანეთიანი მიაჩქა.— მე შენზე  
უფრო ადრე ვაგიგე, მაგრამ შენც დროზე ვაგიგია. ჯერჯერობით ხელი არ ახ-  
ლო. დილით ადრე ქალაქში მიდის და ვინმე დაადევნე. ხეალ შეც ჩაველ და იმ  
კაცმა იქ მომახსენოს, სად დაბინავდა და ვინ ინახულა. დანარჩენი მე ვიცი.  
შენ კი აქ დარჩები და არსენას გზაკვალს მოსქებნი. აბა, შენი იმედით ვიქნები.  
ეხლა კი წადი.

ამავე დროს გლეხურად ჩაცმული სეხნია ოძელაანთ დარბაზში იჯდა. ათი  
წლის უნახავ შეიღს დათუნას შემხაროდა, რომელიც მას კარგა ხანია მოელოდა,  
და მსმენელებს რუს-სპარსეთის ომის ამბავს უამბობდა.

მამის სიკვდილი, სახლის დაწვა, ზურას გაგარდნა და შეილებს პატიმრობა  
მას სომხეთშივე ვაეგო, საცა ამას წინათ მარაბდელები იპოვა და შეუერთდა,  
ეხლა კი, სოფელში რომ შემოვიდა, მაინც ვერ მოითმინა და თავდაპირველად  
თავის ნასახლარს მიადგა.

გარუჯული ნანგრევები მთვარის შუქზე აჩებილ-კამეჩბივით ეყარა. მხო-  
ლოდ ორი ბუხარი და საკვამლეა გადარჩენილიყო, რომელიც სახლპარო ურ-  
ჩხულის უზარმაზარ ხელებივით აღმართულიყო ცაში. ამ ნანგრევებში ევდო  
სეხნიას მამის აბრამის დაწვეარი ჩონჩხი. მაიორმა მაშინ ნება არ დართო, რომ  
ამოეღოთ და მამა-პაპების გვერდით დაესაფლავებინათ, რადგან იცოდა, რომ

მიდამოებიდან ოციოდე სოფელს მორგავენდენ და ერთ კაცის სიკვდილზე მთელ საქართველოს ერთ წელიწადს ალაპარაკებდნენ.

ესლა სეხნია ბორძიკით უვლიდა გარშემო საკუთარ აკანას, რომელიც მამის სამარედ გადაეცა, და ქეთინის ჩოხის კალთაში იხრიადა, შემდეგ ყაბალახი ჩამოიფხატა და ოძელაშვილის დერეფანში ქურღივით შეიპარა. მასპინძლები დასაძინებლად ემზადებოდნენ. სტუმარი ძლივს იცნეს, გაოცდნენ და თანაც შეშინდნენ, მაგრამ შიში არ გამოიჩინეს.

სეხნიამ რომ შვილი დაინახა, მასპინძლებზე უფრო მეტად გაოცდა. ოძელაანი და დათუნა საპატიმროში ეგონა, ნამდვილად კი ყველანი აქ ყოფილან. ლტოლვილი ათი წლის უნახავ შვილს მშვიტ ნადირივით მოეგვია, ატირდა და დიდხანს აღარ უშვებდა. შემდეგ მასპინძლებიც გაახსენდა და სიყრმის მეგობარს ღეთისაფარსაც ჩაეხუტა. როცა კოდაში მომხდარი გუშინდელი ამბავიც გაიგო, სიხარულისგან სახლისა და მამის დაწვაც დააეციყდა, ხოლო მაგდანას და შვილის-შვილის ზურას გაეარდნაზე ხმამალა წამოიძახა:

— რუსულ ნარიყალას ტყე კი არა, ჯოჯოხეთიც კი სჯობია:— შემდეგ ამაყად დაუმატა:— მაგდანა ადრევეც მე მგავდა, ვენაცვალე ვაქცაქურ გულში!— და რადგან არსენას ქუხილი სომხეთშიც ჰქონდა გაგონილი, საბოლოოდ გადასკრა ალექსანდრეს ზრახვა და არსენას სახელი ერთმანეთზე გადაება და სიყრმის ოცნება საქმედ ექცია.

ურთერთის მოკითხვისა და აქაურ ამბების მოსმენის შემდეგ სეხნიამ საუბარი ომზე და პოლიტიკაზე გადაიტანა.

— რუსები ერევანზე დაიმტკრევენ კბილებს და მათი აღსასრულის დღეც იქ დადგება.— ამბობდა გარდახვეწილი.— სპარსელებმა არეზის ვალმა უთვალავი ჯარი მოიყვანეს. ქვეყანაზე აბას მირზას ტოლი სარდალი არ მოიპოვება და ჩვენი ალექსანდრეც ხომ თან ახლავს.

ალექსანდრეს ხსენებაზე ყველამ ყურები სცქვიტა. ეს სახელი ქართველებს თითქმის ორმოც წელიწადს აერგოლებდა — ზოგს ბრახით და შიშით, ზოგს კი სიხარულით და იმედით. ალექსანდრემ აკვანშივე გამოუცხადა ომი 1783 წლის ხელშეკრულებას და მას შემდეგ ამ ბატონის შვილის ირგვლივ განუწყვეტლივ გროვდებოდა ყველა სამეზო ღრუბელი— ყველა მოძულე რუსისა, გოგისა და მაგუგის, რომელიც ასევე განუწყვეტლივ საზღაპრო დაეინებით და შეუპოვრად მოლაჯებდა სამხრეთისკენ. ბატონი შვილს ჰბატუკობიდანვე ერთი რამე ჰქონდა აკვიტებული: ის ხელშეკრულება ქალაქის ნაფლეთად მიიჩნდა, მისი არა სჯეროდარა და ყველგან რუსეთისადმი უნდობლობას და სიძულვილს სთესავდა: „ბავშვივით მოგვატყუებენ, დაგვიპყრობენ, გაგეთელავენ“— მართლა ბავშური ფინით იმეორებდნენ მისი მიმდევარნიც და ერეკლე მეფესაც შფოთს უმზადებდნენ. ალექსანდრემ თავის მამას ერეკლეს სიბერის დღენი მოუწამლა. ბოლოს თბილისშიც კი აღარ ჩამოდიოდა და ნიადაგ თათრის ხანებთან, ბეგებთან, ალაღარებთან, ლეკებთან, ოსმალებთან და სპარსელებთან ცხოვრობდა. და როცა სპარსეთის შახმა დასაქურისებულმა ალაშაქმადანმა ერეკლეს დასჯა განიზრახა რუსეთთან კავშირის დადებისაოვის და კიდევაც დასაჯა, განდგომილი შვილი მიინც განზე იდგა და ოთხმოცი წლის მამას არც კი მიეშველა. ერეკლე გაიქცა. ქალაქი ცეცხლში





და სომხები ერთიან ბანაკად იყვნენ შეკრული და მუსულმანებს ებრძოდნენ. და ქრისტიანი ალექსანდრეც, მეორე ბანაკის მიერ ისკანდერ ხანის მფლობელი, მეორე ბანაკში იდგა და კვლავ თავისიანების სისხლს ჰღვრდა. და ერთ-ერთი არწივი გაედევნა, ბაგრატიონთა ტახტი აღედგინა და შაჰნავაზისა და როსტომ მეფის დრო დაებრუნებინა. მაგრამ მას ისტორიის განმეორებისა არა სჯეროდა, ის ამას არც კი უფიქრდებოდა და ისე იბრძოდა თავმალუნული და გვეშებული, როგორც აღმოდებული ალქაჯი. იბრძოდა და ყოველ შემოტევაზე სპარსეთიდან ისეთივე ლტოლვილი და განდევნილი მამიებელი მოჰყავდა, როგორც თვითონ იყო: ხანები, ალაღარები, ბეგები, თავადები და პაწაწინა სულთნები. ქალიშვილები ერთი საათით აღიოდნენ ზალიჩებით მოყვნილ ტახტებზე და, რუსის ხიშტის მიერ მეხუთეჯერ გადმოდგმულნი, ისევ ბაბახანთან და აბას მირზასთან, ან ყარსისა და ან ახალციხისა ფაშებთან მიბრძოდნენ.

ალექსანდრე თანდათან დაიღალა. იმედი გაუტყდა. ბაბა ხანს ქურთები გაუდგნენ. მათი სამი ტომი—შექაქი, მელაქურთი და ჯელალი—მეასეჯერ აჯანყდა. ტახტის მემკვიდრემ აბას მირზამ მათი მორჯულება ისკანდერ ხანს მიანდო. ალექსანდრეს ათასამდე ლტოლვილი ქართველი თავდაზნაური ჰყავდა. აბას მირზასგან კიდევ რამდენიმე ათასი ლტოლვილი აზერბაიჯანელი თათარი მიიღო და ისეთი ცეცხლი და სისხლი დაატრიალა სომხი-რევანდუზ-ბარადოსტ-ში, რომ ისკანდერ ხანის სახელის გაგონებაზე ყოველი ვადარჩენილი ქურთი ბოლმით იკლაკნებოდა და უნებურად ხანჯალზე გაიკრავდა ხოლმე ხელს.

იფად შეაფასა მამინ აბას მირზამ ალექსანდრეს სამსახური: ასურელთა სოფელ ხორსაბადში მცირე რამ მამული აჩუქა და გამგებლობად სალმასტელი ერთი მუქა ქრისტიანები მიუჩინა. და უწინდელი ლომი თავის-თავს ეხლა მობერებულ ძალს ადარებდა, რომელიც პატრონმა მის მიერვე აკლებულ ქურთის-ტანს შიგ კარებში დაუბა.

როცა რუსეთ-სპარსეთის უკანასკნელი ომი ატყდა, ალექსანდრე სამოც წელიწადს უახლოვდებოდა. მან ერთხელ კიდევ დაიბერტყა ხნოვანება და წამოვიდა. შარშან ყაზახ-ბორჩალო დაჰსუნა, მერე ნუხაში გადავიდა, იქაური ხანიც ჩაიყვანა, იქიდან ერთხელ კიდევ აიჭრა დაღისტანში და საპოლოოდ დარწმუნდა, რომ თვითონაც დაბერებულყო და იქაურობაც შეცვლილიყო. ორთავიან არწივს კავკასიონი ათასი კლანქით ეჭირა და თითქმის გულმშვიდად მიიწევდა არეზისკენ. იმედდაკარგულმა ბატონიშვილმა ცოლშვილი ალყაშემორტყმულმა ერევანში დასტოვა და თვითონ კი აბას მირზას შეუერთდა. მას არ ძალუძდა სრული სიმართლე მოესხეებინა მემკვიდრისათვის, რომელსაც, ისევ უხვად ჰყვებოდა იმედით და ისევ ემისრებს ჰგზავნიდა, რათა აქაური ამბავი გაეგო და სპარსეთის დამარცხებულ მთავარსარდლისთვის თავის არსებობა ამით მაინც გაეხსენებინა.

ბატონიშვილმა ძლივს გაიმეტა სეხნია ბარნაველი, რომელიც იმ ღამეს ოძელანთ ოჯახს და თავის დათუნას მზნეობით და იმედით ავსებდა და არწმუნებდა, რომ შემოდგომაზე ბატონიშვილი თავის შულაერის ზვარს საკუთარი ხელით მოჰკრეფავს.

— ეხლა რა გუნებაზე ბრძანდება ბატონიშვილი? — ჰკითხა კარგა ხნის შემდეგ პაპა მახარამ.

სეხნიას წელანდელი ნათქვამი დაავიწყდა და სველით შემსწავლდა.

— ძალიან მოტყუდა საწყალი. ამბობს, ქართველები იმის ღირსნიც არ არიან, რომ მათთვის თუნდ ერთი წვეთი სისხლი კიდევ დავეღვარო, და რაც დავეღვარე, იმასაც ძალიან ვნანობო.

— შეილო, თუ აღეკვანდრე მაგას ამბობს, შენ რაღა იმედი გაქვს? — მოუჭრა მახარამ. — რად შემოიპარე, რისთვის გასწორე ეგ თავი?

სეხნიამ ღიმილით მიუგო:

— დიდი ხანია განწირული ვარ და რაც მოსასვლელია, ბარემ მოვიდეს და გათავდეს.

— შეილო, შენი თავი შენ გეკუთვნის და რაც გინდა უყავი, მაგრამ სხვებს რაღას ერჩი? თითო შენისთანა კაცის ჩამოსვლა ოც კაცად მაინც გვიღირს ხოლმე.

სეხნია შეშფოთდა, რადგან მახარამ მწვავე სიმატლეს დააპირა. სეხნია სამჯერ შემოიპარა საქართველოში და სამჯერვე მშვიდობით გაიპარა, მაგრამ შემდეგლა გაიგებდა ხოლმე, რომ თითო ჩამოსვლაზე ათიოდე კაცისთვის მაინც ჩამოჰქონდა სასიკვდილო განაჩენი. ზოგს ახშობდნენ, ზოგს ციხეში აღშობდნენ და ზოგსაც აციმბირებდნენ. მას ჰსურდა მახარასთვის რაღაც ეთქვა, მაგრამ სწორედ ამ დროს ღვთისაგარმა ყველას გაჩუმება ანიშნა და წამოიწია. ერთხანს ცალი თვალი და ცალი ყურიც კარებისკენ ეპირა, ეხლა კი ფეხაკრფით მიიპარა, უცებ გამოალო და გავიდა. ერეკლეც დაედევნა. ისევ მალე დაბრუნდნენ და დაეკვებულმა ღვთისაგარმა უთხრა შვილს:

— შეილო, უძალო გლეხი უფეხო ცხენსა ჰგავს. ხვალვე ერთი კარგი თათრული ნიავი იშოვე, თორემ... ეხლაც გიგოლას სუნი მეცა.

შემდეგ დათუნა და სტუმარი სათივეზე დააძინა და როცა დარბაზში დაბრუნდა, მახარას ჩაუბურტყუნა:

— სტუმარი ღვთისაა, თორემ ვინ იცის სეხნიამ კიდევ რამდენი არ გააბრიყვოს და რამდენი არ დაღუპოს! ჩვენში ქარაქუცა ხალხი ეხლაც ბევრია.

— ბევრია. და ყველაზე დიდი ქარაქუცა ის არის, ვინც ტყეში დაეხეტება და მთაერობას აქაურობას აობრებინებს. — გადაჰკრა არსენასას პაპა მახარამ და ტახტი აპრაქუნა.

სათივეზე მამაშვილის ჩურჩულმა მამლის ყვილიამდე გასტანა. სეხნიას ათასი რამე ჰქონდა დაეაღებული და ტვირთის შესამსუბუქებლად შვილი მოიშველია. შერე რიკრაქზე წამოდგა და კოჯრის გზით ქალაქისკენ გაემართა, მაგრამ ერთი ვინმე მასზე უფრო ადრე ადგა და ქალაქის ნაპირას დაუხვდა. დაუხვდა და ლანდრვით აედევნა.

ორი კვირის შემდეგ მაიორმა ერთ ღამეში სეხნიაც დააპატიმრა, ათიოდე სხვაც მიაყოლა და იმავე ღამეს ყველანი შულავერში გაგზავნა. მეორე დილას თვითონაც იმავე გზას გაუდგა და რამდენიმე დღეში იმ ათიოდეს ასიოდე ბორჩალოვლიც მიუმატა. ეხლა მაიორს სამი დიდი საქმე ჰქონდა დაწყებული: სპარ-

სიყვარულის მომხრეთა, დალი ჰასანისა და არსენა ოძელაშვილისა, რომელმაც მას სულ მოკლე ხანში დაუფრთხო ძილი და სიცოცხლეც ჩაუშწარა.

არლოვს მრავალი ნაკადი ზერბი ჰქონდა და ერთი მათგანი უზღვევს ცემოს-ცადა: დალი ჰასანს ჯერ სულხანი მიუგზავნა და მერე ივანიჩა და კაპიტანი კოტოვი გააყოლა. იმავე ღამეს ორივეს გვამი უჩრებით დაუბრუნეს არლოვს.

მაიორი კინალამ გაავიდა. ხან ბავშვით სლუკუნებდა, ხან დაპირილ დათვივით ბლუოდა, იმუქრებოდა, იხვეწებოდა, და როცა ამბავი მოუტანეს, რომ ქალაქიდან მომავალს ერთ შულავრელ სომეხს დალი ჰასანი მარნეულში ენახაო, უცებ ისე გაუხარდა, თითქო მას მთელი კავკასიონი დაეპყროს და სპარსეთიც დაემარცხებინოს. სიხარულის საბაბი სულ უბრალო რამ იყო: მაიორი მიხვდა, დალი ჰასანი არსენასთან წავიდაო, და რადგანაც იმავე დღეს გიგოლასგან რაღაც ცნობა მიეღო, უცებ გადასწყვიტა, და თვითონაც დაიჯერა, რომ არსენასაც და თათარსაც ერთად დაიჭერდა. და იმავე წუთიდან ისე ფიცხად შეუდგა საქმეს, რომ ორი ერთგული კაცის დამარხვასაც ძლივს დაესწრო.

კუპატნელს ერთ კვირასი ოცი გირვანქა მაინც დააკოდა, თვითონ მაიორი კი ცვილივით ჩამოდნა უძილობით და მის სახეზე ჩაღურ წვერ-ულვაშის მეტი აღარა მოსჩანდარა: ცხვირი შიგ ჩაეკარგა, გაცრეცილი ტუჩებიც ჩაემალა და ლოქო თვალებიც ჩაეხარშა.

მაგრამ მეფის ერთგული ფარეში არაფერსაც არ იმხნევდა და თითქო შრომის უნარიც კი მოემატა. ერთ საღამოს ნადირივით გაინახა, შუალამეს შულავრიდან დაიძრა, ოციოდე ჩაფარ-ყახახი წამოიყვანა, მარნეულში დაბანაკდა და თვითონ რიყრატზე მარაბდაში გაჩნდა. თითქმის იმავე დროს ქალაქიდანაც ამოვიდნენ ყახახ-საღდათები და კოდაში შეისვენეს. მაიორმა საგმირო დრამაში კომიკური სურათიც ჩაურთო და მთავარი როლი თვითონვე შეასრულა: მარაბდაში საჯაროდ საშინელი კივილი და ფეხთა ბარტყუნი ასტეხა იმის გამო, ვითომ ხალხი მას ყალბ ცნობებს აწვდიდეს და ყაჩაღ მტაცებელ არსენას ეხმარებოდეს.

— მე აქ მომსვლელი აღარა ვარ და თუნდ ერთმანეთიც დაგიკამაით.— განაცხადა მან და მტკიცე რწმენით გაბრუნდა, რომ ამ ამბავს მეორე დღესვე აუგზავნიდნენ არსენას, რომელიც იმ დღიდან არხეინად დაიძინებდა და მაიორს მწიფე ქლიავივით ჩაუვარდებოდა ხელში. გაბრუნდა და იმავე ღამეს წინდაწინვე მოწყობილი მანქანა აუშვა. ერთსა და იმავე დროს მარაბდიდან, სამშვილდეს მხრიდან და მანგლისიდანაც ორასი შეიარაღებული გლეხი, მამასახლისი, გზირი, ნაცვალი, ჩაფარი და თითქმის ამდენივე ყახახ-საღდათი დაიძრა. გლეხები ცხვრებივით გაირეკეს წინ, თითონ კი მგლებივით აედევნენ და მზად იყვნენ ეს ცხვრებიც გაეგლიჯათ, თუ გლეხები შედრკებოდნენ ან ორპირობას დაიწყებდნენ.

გაეარდნითა ცოლშვილიც მოაგროვეს, წინ გაიძლოლეს და ფარივით გამოიყენეს, იმედი ჰქონდათ, რომ “ყაჩაღები” თავიანთ ცოლ-შვილს არ ესროდენ და ქნუტებივით დანებდებოდნენ. წინ მიმავალი დედაკაცები ჩუმი ხმით ჰგოდებდნენ, ბალები ტიროდნენ, მამაკაცები კბილებს აკრავუნებდნენ, ხოლო უკან-მიმყოლი ჩაფრები მტირალ ბავშვებს მათრახით აჩუმებდნენ.

— რას იტყვი, დათუნა?— ეკითხებოდნენ მას გზადაგზა გლეხები.

— სულ ერთია.— უბასუხებდა თოხლო ვაქეცი.— სანამ მტრებს არ დავმარცხებთ, არაფერი არ გვეშველება.

— რა დღეს მოვესწარი, ღვთისაჲ! — შესჩიოდნენ <sup>ერეკლევი</sup> <sup>ცალთვალისკე</sup>  
ის კი თავის-ჩაქნევით ბურტყუნებდა:

— ვიცოდი და არ დამიჯერეს. ეხლა რალა შემიძლია! მაინც თუ ხალხი ხალხობს, თავისას შეასრულებს.

ხალხმა იხალხა და შეასრულა. იმავე ღამეს ყოველ ჯგუფიდან თითო-ორო-ლა ქაბუკი გამოითიშა, სიბნელეში შეტერა, დაწინაურდა და მაიორის ლაშქარს რამდენიმე საათით ამოასწრო. ერეკლეც თავგამეტებით იწვედა, მაგრამ მაშამ არ გაუშვა: „შენს წასვლას მაშინვე შეამჩნევენ და გაგაციმბირებენ, საქმე კი უშენოდაც გაკეთდება“.

სხვადასხვა მხრიდან წამოსულმა რაზმებმა არსენას ბანაკის ირგვლივ შეპკრეს რკალი. მაიორი წყლის ნაპირზე ჩამობტა და იქ იცდიდა, სხვები კი დიდ აღმართს შეუდგნენ. გუშაგები, მზვერავები, მეწინავენი და მეთოფურები ფეხ-აკრეფით მოიწვედნენ და ყოველ წუთს სანიშნო თოფის სროლას და არსენას ყვირლს მოელოდნენ. გლეხები უკვე ცუდლუტად ილიმბოდნენ, რადგან არსენას რაზმი ამოდენა ჯარს თითებში გაუძვრინეს, და ძლივს იმაგრებდნენ ხარხარს იმის გამო, რომ ორასი დაჰიმული ჩაფარ-საღდათი ცარიელ ალაგს უმიზნებდა და შიშით ვერხვის ფოთოლივით თრთოდა.

ნაბანაკეში ყველაზე ადრე გავარდნილთა ცოლ-შვილი შევიდა, ისე შევიდა როგორც საკუთარ სახლში შედიოდა ხოლმე— თამამად და სიხარულითაც. უხაროდათ თავიანთ შეილებისა და ძმების ნათებურზე სიარული, ჯდომა და გორაობაც. ვილაკამ ახალმოსულებს რაღაც წასწორჩულა. ერთმა კოკას მოპკრა თვალი და დარჩენილ ნალვერდალს წაალი გადაასხა. მეორემ ახლად გამოხრილი ძვლები აკრიფა და შორს ბუჩქებში გადაჰყარა. მესამემ და მეოთხემ ცხენების ახალი ფუნე გამოხვეტეს. დანარჩენებიც დაფაცურდნენ და ათ წუთში გავარდნილთა ყოველი კვალი და ნატერფალიც წაშალეს.

— ეძებოს ეხლა მაიორმა ცაში არწივის კვალი.— შესძახა ერთმა და ყოველ მხრიდან ოხუნჯობა და სიცილი მოაყარეს.

შემდეგ სიცილი ხარხარად გადაიქცა და უღრანი ტყე მზიარულ კივინით გაიქლინთა. ჩაფარ-საღდათები მოღერებულ თოფებით შემოკვივდნენ და როცა გავარდნილთა ნაცვლად მზიარულ დედაკაცებს და ბაღებს წააწყდნენ, ჯერ ცხვირები ჩააბჯინეს ნაბანაკეში და შემდეგ ისეთი უშვერი გინებით დაერივნენ იქ მყოფებს, რომ ყველანი წივილ-ტივილით გაიფანტნენ და გაცრუებული მეომრები ხახამშრალი დასტოვეს.

ერთი საათის შემდეგ კუქატნელმა წყლის პირზე მოსეირნე მაიორს ყველაფერი მოახსენა. არლოვს აქამდისაც უკვირდა, რატომ თოფის გრიალი არ მესმისო, და ჰფიქრობდა, ალბათ უბრძოლველად დაიჭირესო. ეხლა კი ჯერ ვაიცი, მერე გამწარდა და ჭადავად დაეცა:

— აკი ვამბობდი, ყველა ქართველი მეფის მოღალატე და ფიცის გამტეხია მეთქი. ყველანი დაიჭირეთ! გააციმბირეთ!.. გაროხვეთ!.. ჩამოასწვეთ!

მერე ბალახზე დაეცა, ბნედა დაემართა და სუფთა მოლი ღუფით და ვესტით მორწყო.

გონს რომ მოვიდა, ბრაუნის მაგიერ შიშმა მოიკვა. ეხლა რაღაა? ეტყვი გუბერნატორს და პასკევისს? მას თითქმის მთელ ლაშქარს სთხოვდა დაიჩინებოთ, მთავარსარდალმა კი ხუთი დღით ასი მეომარიც ძლივს ათხოვა. ეხლა კი დაილუბა არლოვი, უტყველად დაილუბა! სასაცილოდ გახდიან, დააქვერთებენ ან დათვების ბუნაგში გადააქარგავენ.

— მდეგარი ხომ დაადვენენ?—იკითხა ბოლოს მორღვეული ხმით.

— რის მაქნისია მდეგარი!—მიუგო კუჭატნელმა.—ძველი ბანაკია. რამდენიმე დღის წინად წასულან. ორმა გლებმა მითხრა, სამი დღის წინათ მთაში ვნადირობდით, ამ ალაგას ჩამოვიარეთ და აქ არავინაც არ გვინახავსო.

— შენ კი დაუჯერე, არა?—შხამივით შეასხა მაიორმა.

— ბანაკი ძველია მეთქი. მე თვითონვე ვაგვისჩქე.

— არა მჯერა. ქართველები მოლალატენი არიან მეთქი.

— მაშ მეც მოლალატე ვყოფილვარ.—იწყინა გიორგიმ.

— შენ არა, „მოი გიორგი“.—მოლბა მაიორი.—შენ ერთად ერთი ერთგული ქართველი ხარ და ამიტომ ვფასებ შენს სამსახურს, და თუ არსენას დამაპყრინებ,—და მის ხმაში მუდარა გაისმა,—თუ არსენას დამაპყრინებ, გეფიცებ, ორდენსაც მიიღებ, ექვსას მანეთსაც და ხუთასსაც ჩემი მზრივ დაგიმატებ, ეხლა კი მოლალატეთა დასჯაზე ვიზრუნოთ.

და მეორე დღეს მარაბდიდან ერთხელ კიდევ გავიდა პატიმართა ღიდრონი გუნდი: გავარდნილთა დედები, მამები, დები და შვილები—ღვთისაფარიც, მელანოც, ერეკლეც და დათუნაც.

ბანაკში კი დავა ჩამოვარდა, შემდეგ შიშე უნდა მოერიდნენ მაიორის ლაშქარს თუ ვაქაკურად დაუხედნენ? ეს დავა ძმათა შორის უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე რაშიმ ალაგს მოინაცვლებდა. არსენა სდუმდა. არც როსტომი იღებდა ხმას, მხოლოდ ლაცაბიძე ბუზღუნებდა ჩუმჩუმად და კარპიჩა გაპკიოდა ხმამალა:

— კაცო, როდემდის უნდა ვიმალებოდეთ? რაკი მუდამ გავრბივართ, გავარდნაც არა ღირდა. სახელი გაგვიტყდა და ვეგარ გავამტელეებტ. პუგაჩოვი გვინდა მეტკი ბელადატ, პუგაჩოვი!

მაგდანაც გაჩუმებული იყო, მაგრამ ძმისა და შამის დაპატიმრება რომ გაიგო, არსენას მოსთხოვა, ეხლავე ჩაუბტეთ შულავერს და გავანთავისუფლოთო. და რადგან არსენამ შორს დაიჭირა და უთხრა, დრო უნდა ვიხელთოთო, ლაცაბიძემ და მაგდანამ ერთმანეთი მოსტებნეს და აჩურჩულდნენ.

არსენას ეს მითქმა-მოთქმა მოჰბეზრდა და იმ დღეს, სამზარის დროს, ხმამალა ჰკითხა ლაცაბიძეს და კარპიჩას:

— ძმები ვართ და ორპირობა არ გამოგვადგების. სთქვით, იმ დღეს მაიორს რომ არ მოერიდებოდით, რა დაგვემართებოდა?

— ყველას დაგებოცავენდენ—მიუგო ორივემ.

— გიშველათ ლმერთმა! მაშ საცა არა ჩჯომნებია, ისევე გაცლა სჯომნებია, და მეც ასე მოვიტყვი. ამაზე რას იტყვით?

— კი, მარა, მარაბდაში, ეკლესიაზე მამაშენიც მაგას გეუბნებოდა, — მოაგონა ლაცაბიძემ, — შენ კი ამბობდი, სჯობს სიცოცხლესა ნაქრებზედ უკვედილი სახელოვანო.

— მაგას თავი დავანებოთ, — ოდნავ შეცვლილი ხმით უპასუხა არსენამ, თუმცა უკანასკნელ დროს თვითონაც ჰგრძნობდა, რომ ზოგჯერ ლეთისივარის გზაზე დადიოდა ხოლმე.

— თქვენ ეს მითხარით, ხომ სწორედ მოვიქეცი?

— სწორედ მოვიქეცი.

— მაშ მორჩა და გათავდა, — გამოაცხადა ბელადმა და გაათავა.

მაგრამ რადგან დავა არც მორჩა და არც გათავდა, ამიტომ რამდენიმე დღის შემდეგ არსენამ ხალთიდან დროშა გამოიღო და ფეხმოკეცილ ბანაკს არწივივით მოაეღო თვალი.

— ძებო! — დაიწყო დაბალი ხმით, როცა ტყეში სრული სიჩუმე დამყარდა. — საცაა ზაფხული გავა და ზოგმა აქამდისაც არ იცის, ვინა ვართ და ამ ტყეში რა გვინდა. ერთი ალთას გაიძახის და მეორე ბალთას მიიწევს. ეხლა იმისთვის მოვიყარეთ თავი, რომ ყველამ თავის მულამი გვითხრას. მაშ დაეხსნეთ და სამართალი ვქნათ. თუ ყველას ერთი გზა გვაქვს საელელო, ერთად ვიაროთ, თუ არა და — ყველამ თავის გზა მოძებნოს. ამის გამო საქმეს არა დაუშავებდარა. აქნობამდისაც ძმები ვიყავით და ისევ ძმები ვიქნებით, აგრეა თუ არა?

— აგრეა, აგრე! — დაუდასტურეს ყოველ მხრიდან, მან კი ერთხელ კიდევ გადახედა ტყის ძმებს და შწიფე ხმას ოდნავ მეტი სიმტკიცე მისცა:

— ძებო! ჩვენი ბანაკი შარა გზა ხომ არ არის, რომ ყველა ვივინდარამ აქ მოიკეცოს? აქნობამდის რომ კარი გაგველო, საქართველოს ნახევარიც მოგვაწყდებოდა და ხალხი ბაქოდან, ერევნიდან და ძაუგიდანაც კი მოვიდოდა. ჩვენ კი ერთი კაციც არ მიგვიღია გაუჩხრეკავი და უცნობი. მართალია, ყველანი მულდრეგები ვართ, მაგრავ დოსტები და ძმებიცა ვართ და ერთმანეთი მარაბდელ კამეჩებივით გაგვაქვს. მაგრამ ზოგი ამას არა კმარობს და მოითხოვს, რომ ჩვენს ოჯახს ოთხივე მხრივ გაუფლოთ კარი და ციხე დულაბის ნაცვლად ტალახით ავაშენოთ.

— არ აშენდების. — ჩაილაპარაკა როსტომმა.

— ჰაი, ჰაი, რომ არ აშენდების. — ჩაურთეს აქეთ-იქიდანაც.

— ოლონდაც რომ არ აშენდების. — დაუდასტურა არსენამაც. — გარდა ამისა, ნუხლი ბევრი დაგვიკირდება და ვერ ვიშოვით. იმოღენა ხალხს ვერ გამოგვებავთ და ისევ დავიქსაქსებით. ესეც რომ არ იყოს, მოლაღატე შემოგვეპარება და ლეკვებსავით დავეიჭერენ. მაშ რას იტყვით, კარი გავალოთ თუ უარესად ჩავკეტოთ?

— ჩაკეტოთ! ჩახებრგოთ! — მოისმა ყოველ მხრიდან და ყველამ ლაცაბიძეს, ახალმოსულების, დალი ჰასანს, კარპიჩას და მაგდანას გადახედა.

— ეხლა ვიკითხოთ, — განაგრძო მარაბდელმა, — ვინა ვართ, რა გვინდა და ამ ტყეში თავი რისთვის მოგვიყრია. აბა ერთმანეთს გადახედეთ, ზოგი რამ გაიხსენეთ და გაიგებთ. სევასტი იმერეთში მართალ საქმისთვის იბრძოდა, მაგრამ დაამარცხეს და ნადიროვით გამოაგდეს ბუნჯიდან. ბატონებს ავი კაცი ჰკონიათ, ნამდვილად კი, ფრთები რომ შეასხა, მტრრედად გადაიქცევა.



— ბუხრიდან ამოვარდნილი მტრედია.— ჩაურთო ერთმა.

— ეშვიანი მტრედია.— დაუმატა მეორემ.

— მგლის ჯიშის მტრედია.— მიაწოდა მესამემაც და ირგვლივს სიცილი დატრიალდა.

თვითონ „მტრედმა“ კი ათივე თითით ჩაიფოცა შახის წვერი და ზედ ეშვები დაანათა. არსენამაც ჩაიღიმა და სათქმელი თავის გზაზე დააყენა:

— კარპიჩას დედამა გაუციმბირეს, თვითონ კი ცოლშვილიც არ აგემინეს, თავის სოფლის სახელიც კი დააფიწყეს, ბოლოს ზაალს მწვევარში გაუცვალეს და ისე გააყეს, რომ დილით-დილამდე ამასლა გაიძახის: პუგაჩოვი მინდა! მოვკლათ! დაეხუცოთ! დაეწვათ და დაეანგრიოთო! ნამდვილად კი ამ საწყალს ისეთი გული აქვს, რომ ბულბულსაც კი შეჰშურდება.

— გაროზგილი ბულბულია.— ჩაიხითხითა ვილაცამ და ისეც სიცილმა ჩაირბინა.

„ბულბულმა“ მზეუქვრიტეს ლაწუნს თავი შეანება, ბაღლივით გაიღიმა და ქურდულად მოიხოცა ცრემლი, არსენამ კი, რახან ორი დაახასიათა, სხვებსაც გადახედა და თათარს დაადგა თვალი:

— დალი ჰასანმა სამი მოსისხლე მოჰკლა, სამად-სამი, და ამისთვის ციხეში ჩაგდება დაუპირეს. ასეთი უსამართლობა ვეღარ მოითმინა, გავარდა და სამს ორმოკლასამიც მიაცოლა. ვინც არ იცნობს, ტარტაროში ეგონება, ნამდვილად კი ტყბილია ყანდის შეჭარივით და უმანკოა სააღდგომო ბატკანივით.

— მაიორს ასეთი შეჭარი!

— ეს ისეთი ბატკანია, რომელიც მარტო მგლის ხორცსა სჭამს და სხვა არაფერს.— დაუმატეს აქეთ-იქიდან.

„ტყბილია კასმა“ ქოსა წვერი მოიხოცა და მიწას ჩაუღიმა, არსენამ კი ეხლა მაგდანას დაადგა თვალი და ღიმილი ჩამოისხიბა:

— ძალო მაგდანას ქმარი გაუყიდეს, პაპას გული გაუხეთქეს, სახლი და ქონება გადაუბუგეს, მამა ჯერ გაუღვენეს, ეხლა დაიპირეს, დათუნაც ციხეში ჩაუგდეს და შეილს ზურასაც მოსაკლავად დასდევენ. თურამეტი წელიწადია რაც ძალო მაგდანამ სამგლოვიარო ვეღარ გაიხადა და შავ ანგელოზს დაემგვანა

ყველანი ქვრივს მიაჩერდნენ, რომელიც მართლა შავ ანგელოზივით იღვანად ირდილში. მას არც წელან გაუღიმა და არც ეხლა შეიტოვა წარბი.

— სიმონა და ოსტაბი ქათმებივით გაჰყიდეს,— გაჰყვა ოძელაშვილი,— სულ ხანს ძმა სულ უბრალოზე დაუხვრიტეს, ბაღოც უბრალოდ გაახეიბრეს, მეშთა და ზურა სისხლის შურს ეძებენ, ფიქრია მურდულ საქმეს დაახწია თავი და მეც რად წამოვედი, ესეც ხომ ყველას გეცოდინებათ. ეს დანარჩენი ხალხიც მეფის როზგსა და ბატონის მადას გამოეჭეა. ყველანი უბრალო ვართ და ბევრი არაფერი არ გვინდა: ხელმწიფემ სალდათად არ გავგიყვანოს, ხარკი მოგვიფონოს, ბატონ-ყმობა მოსპოს, ყველანი გავვათანასწოროს და მიწა მიწის მუშას დაურვიგოს, თუ არა და...

— თუ არა და?— მოაწოდა სევასტიმ.

— თუ არა და— ჩამოართვა არსენამ— თუ არა და, ამ საქმეს ჩვენვე შევუდგებით.

— როდისლა?—იკითხა კარპიჩამ.

— როცა დრო მოვა.—მიუგო მარაბდელმა,—ზოგს აუხბრებია, ეხლავე დავიწყეთო, და ვინც მოხელე და თავადი შეგვხვდება, ხელაღმართ კარსკრთო, ბრალიანიც და უბრალოცო.

— ბრალიანი მაინს დავხოსოთ.—წამოიძახა ჰასანამ.

— დალი ჰასან,—დაუბღერა ოძელაშვილმა,—თუ შენ მაგ ხელით დაღვრილი სისხლი არა გყოფნის და გინდა ეს ბანაკიც ყაჩაღების ბუდედ გადააქციო, უმჯობესია ისეც გორულის კოშკში დაბრუნდე.

— ვალლამ, გორულის კოშკი აღარ მინდა!—გულწრფელად წამოიძახა თათარმა.

— კეთილი და პატიოსანი. მაშ ისეც ჩვენს გზას დავადგეთ. იმასაც ამბობენ, მუშა-ფუტკარი მუქთახორა ფუტკარს ხოცავს და ჩვენც ყველა მუქთახორა ვაჭარი, ბატონი და მოხელე უნდა ამოვხოცოთო. ფუტკარი ღვთისგან არის ნაკურთხი, მაგრამ ადამიანი იმაზე უფრო გონიერია და მისგან ჭკუა არ ესწავლების. ესეც რომ არ იყოს, რალა ფუტკარს მივბაძოთ და არა ლომს ან ჩიტებს? ყველას თავის ხასიათი აქვს და ყველანი თავიანთ გზით დადიან. ადამიანი კი ფუტკარიც არის და ლომიც. მერე: ამ ქვეყნად უთვალავი მუქთი ხალხი დადის. ყველანი რომ დავხოცოთ, არც ძალა გვეყოფა, ხალხიც განახევრდება და არც შეგვევრგების. ისიც იცოდეთ, რომ სისხლს თავის კანონი აქვს და დაგვეჯაბნის. ერთი წვეთი უბრალო სისხლი წარღვნად გადაიქცევა და ქვეყანას წალგავს. ნათქოშია, არა კაცი ჰკლაო, მაგრამ ჩვენ უნდა ყველგან ამოვხოცოთ და ამოვწვათ უკაცური საქმე, აზნაურული ზანტობა, ქედმაღლობა, მულანგველობა, გარყვნილება, გაუტანლობა და ყოველგვარი სიავე. მარტო სისხლით კი ვერას გავხდებით. საცა სიტყვა გასკრის, სისხლი რა მოსატანია! და თუ ზოგჯერ ჩვენი სიტყვა არა სკრის, ისეც ჩვენი ბრალაა. ჩვენს სიტყვას თავდაპირველად ჩვენვე დავდოთ ფასი და სხვებიც დააფასებენ. ათისთვინ რომ მითქვამს, ცხრაზე გაუჭრია, მეათე კი უსისხლოდაც მომიდრეკია და კიდევაც მოვდრეკავ. იცოდეთ, ძმებო, რომ გამძლეობა და შეუპოვრობა ვაგაკობაზე უფრო ძნელი საქმეა.

არსენამ იყუჩა და მერე თავჩაღუნულ ლაცაბიძეს მიუბრუნდა:

— შენ რას იტყვი, სევასტი?

— აფერს.—მოკლედ მოუჭრა ლაცაბიძემ.

— მაშ ჯერ სისხლს მოვერიდოთ, ხალხი მოვამზადოთ და მერე ჩავუქროლოთ. გადაჭრილია?—იკითხა ოძელაშვილმა.

— გადაჭრილია, გადაჭრილი!—დაიძახა უმეტესობამ.

მხოლოდ შეიდი რაზმელი სდუმდა: სევასტი, კარპიჩა, მაგდანა, დალი ჰასანი და სამი ახალმოსული.

— ძმებო, ეხლა დროშის საქმეც გადავქრათ.—და არსენამ უძველესი მეწინავე დროშა გაშალა.—ამ დროშის ამბავი ყველას ეცოდინება. ჩვენს წინაპრებს ეს დროშა იმდენი უთრევიათ და მის გჳლისთვინ იმდენი სისხლი დაუღვრიათ, რომ იმ სისხლში მთელი ქალაქიც დაიხზობოდა. მაგრამ თვითონ დროშაც დაძველდა და მისი მეთაური თავადობაც დაბერდა. ეხლა ამ დროშას ჩვენ უნდა მოუაროთ, ძველზე ახალი წავაწეროთ და პირნათლივ ვატაროთ. შეთავსდების თუ არა ძველი და ახალი?





— ჰაი, ჰაი, რომ შეთავსდების.—იგრიალეს ტყის ძმებმა.

— ოლონდაც რომ შეთავსდების.—დაუბეჭდა ოძელაშვილი მაცნეძეძეძისგან ვარგისის ვისესხებით, უფარგისს მოვიშორებთ, ახალს დაუშმატებთ და ვატარებთ. ამ დროშაზე ასე სწერია:—და ფორბილით წაიკითხა:—„დაიცავი კარი ჩემი უფალო და ციხე ჩემი შარად ჰყავ“. მოდით ძმებო, ეხლა ასე დავაწეროთ: ძმობა, შრომა, მიწა, თავისუფლება, თანასწორობა და პატიოსნება. დეე გვენდოს ძველის დამწერი, რომ ჩვენი შრომა, ძმობა და პატიოსნება ჩვენს კარებს იმათ ხმალზე უფრო უკეთ დაიცავს. რას იტყვით ძმებო, ივარგებს თუ არა?

— ივარგებს კარგია.—შიაძახეს ყოველ მხრიდან.

— შენ რას იტყვი, სევასტი?—ხელახლა ჰკითხა ბელადმა, რადგან დილას თათბირის დროს მან თავის ჯგუფის სახელით ასეთი წარწერა მოითხოვა: „სიკვდილი ყველა წურბელას და გაუმარჯოს თავისუფლებას“. მაგრამ მხარი არ დაუჭირეს და ვერ გაიტანა.

— სევასტი, იტყვი რამეს თუ...—ხელმოკრედ ჰკითხა არსენამ.

— აფერს.—ისევ მოსჭრა ლაცაბიძემ და წვერი ჩაიფარცხა.

— მაშ დასწერე, ზურა.—უთხრა ქაბუკს ბელადმა და სანამ ზურა მიწაზე გაშლილ დროშას ბატის ფრთით აწვალებდა, არსენამ დაიძახა:

— ერთიცა და ვათავდა. ძმებო, მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ჩვენ ღვიძლ ძმებზე უფრო ერთგული ძმები ვართ, მაგრამ ჯერ ძმობის ფიცი არ დაგვიდგია. დავიანებამ არაეის არ ავნო, რადგან ერთმანეთი უფრო კარგათ გამოვცადეთ და გაეიცანით. ძმებო, დროა თუ არა ფიცი დავედოთ? ხართ თუ არა ზიარი?

— დროა, დრო! ზიარი ვართ, ზიარი!—და ყველანი წამოიშალნენ.

— მაშ შეუდგეთ!—სთქვა არსენამ და თავის ცოლს მიუბრუნდა:

— მარინე, გენაცვალე, მგონი რძე გაქვს და ცოტა-ოდენი მოიწველე. ფირივე, შენ აიაზმის წყალი და სეფისკვერი მოიტანე.

მარინემ ჯამი აიღო და ქოხში მიიმალა. სანამ ზურა ანწლის მეღნით ძველ აბრუშუმს სთხუპნიდა და არსენას ცოლი კი ბუჩქებში იწველიდა, ბელადმა ხელი დაიბანა, მერე სეფისკვერი აიღო და აიაზმის წყალში ჩასჭრა. მარინემ თავის რძე ფეჭრიას მოაწოდა თასით, თვითონ კი პირი მიიბრუნა და გაწითლდა. არსენამ ეს რძეც საერთო ჯამში ჩაასხა, ზედ ვერცხლი დაათალა, ცოტა მიწაც დააყოლა, ცვილის სანთელი აანთო, დროშა აღმართა, პირჯვარი გადაიწერა, თითი ასწია და ქუდმოხდილ ბანაკს საზეიმო ხმით მიჰმართა:

— ძმებო, მე ვიტყვი და თქვენცა სთქვით.—და შერწმენილ ხმით დაიწყო:—ღმერთო დიდებულო, რომელიცა ხარ ცათა შინა...

— რომელიცა ხარ ცათა შინა.—ჩაიგუგუნა ბანაკმაც.

— ბოლნისის, აბტალის, კაბენის, თელეთის, მცხეთისა და ალავერდის ანგლოზებო და ხატებო...

—...ანგლოზებო და ხატებო.—მისდევდა მას რაზმის ხმაც.

— თქვენ აკურთხეთ ჩვენი წმინდა საქმე, დაგვემარინეთ და მოწმედ დაგვიდგით, რომ ძმებად ვიფიცებით და გულში ავი ზრახვა არა გვაქვსრა...

—...არა გვაქვს.—დაუდასტურა კლდემ რაზმის გამოძახილი.

— ვფიცავ მალა ღმერთს და ძირს ჩემს პატიოსნებას, ცოლ-შვილს, დედ-მამას, სინდისს... ყველა ხატსა და ნათელ მირონს, რომ ვისცე უხალა ფიციები, იმას ნამდვილ ძმად გავიხდი... რომ იმის ჭირს ჩემ ჭირად მივიჩნევ და იმის მტერს ჩემ მტრად ჩავთვლი... მეფესა და ბატონს ომს ვუცხადებ და სანამ სული მიდგა, შეუპოვრად ვიომებ... სიმართლეს შევიყვარებ და უსამართლობას შევიძულებ... მდიდარს წავართმევ და ღარიბს დავურიგებ... გლახაკს შევიწყალებ, ჭვრივს ვუშველი, საწყალს გამოვესარჩლები და ობოლს არ დავაჩაგრინებ... ვფიცავ და ვინც ფიცს უღალატოს, შხამად შეერგოს დედის რძე, დედა შერთოს ცოლად... იმის ოჯახს და საქონელს ჭირი შეეჩვიოს და აღარ გავიდეს... დაკუტდეს და ველარ გასწორდეს... აღარც მიწამ მიიღოს და არცა ზეცამა... დამუნჯდეს, დაკრუდეს. დაბრმავდეს, პირშავად იაროს და შავი სული არასოდეს აღარ გასძვრეს... ყველა ხიდი ჩაუტყდეს, კლდე დაეცეს, მიწა გაუსკდეს... სწყუროდეს და ვერ დალიოს, ჰშიოდეს და ვერა სჭამოს... ნადირს შეხვდეს და მოდუნდეს, მტერი დაუხვდეს და ხმალი ვადაში გადაუტყდეს.

—...გადაუტყდეს!—დაუბრუნა კლდემ გამოძახილი.

— ამინ!

— ამინ!—იხულვა ბანაკამაც, რომელმაც თავის ბელადისგან იმ დღესაც ძლიერი სულიერი საფუვარი მიიღო და მზად იყო თუნდ ეხლავე მიეტანა იერიში ქალაქზე, ყველა ბატონებზე და პეტერბურგზედაც!

ყველა რაზმელი რიგრიგად ემთხვია დროშას, მერე ბელადი დაჰკოცნა, შემდეგ მოწიწებით შეჭამა აიაზმით და რძით გაელენთილი სეფისკერი, ცერა თითი შეითხუნა ანწლის მელანში და დროშას „ხელი მოაწერა“—იგი თითით დაბეჭდა—და ბოლოს ყოველ რაზმელს ტყვია გაუცვალა და ერთხელ კიდევ მოეხვია. მარინეს, მადანას და ფიქრიას ლოყები დაუწითლეს და კინალამ გაუცვიოთეს, თანაც იცინოდნენ, თითონაც წითლდებოდნენ და ოხუნჯობდნენ:

— შენი კოცნა მირონია, ფიქრიავე.

—ნეტა დღეში სამჯერ მაინც დამაფიცებდნენ...

არსენა ყველას ისე იკრავდა მკერდზე, როგორც ვეფხვი კატის კნუტს, და რამოდენიმე სიტყვას მაინც ეტყოდა:

— ხომ არაფერი არ გაწყეინე, სევასტი?

— აფერი.—ჩუმად მიუგო „ეშვიანმა მტრედმა“.

არსენა არ დასჯერდა და ჩააცივდა:

— გულით სთქვი და თვალებში შემომხედე, რას ამრეზილხარ?—და იქამდე ანჯღრია და არ მოეხვია, სანამ ლაცაბიძემ შავი წვერი თეთრი ეშვით არ გაიშუქა და გულწრფელად არ წამოიძახა:

— აფერი, შე კაცო, აფერი მეთქი.

— აგრე.—და მერე „გაროზგილ ბულბულს“ მიუბრუნდა:—კარპიჩავ, აქნობამდისაც ძმები ვიყავით და ეხლა ხომ სულთამუთავიც ვერ გავყვარის. აგრეა თუ არა?

კოკლმა ნასალდათარმა ისე მისდო წითური თავი ოძელაშვილის მკერდზე, თითქოს ბალიშზე მიეძინაო. ხმა ველარ ამოიღო, ის ბალიში დასველა და ბელადს ძლივსლა მოშორდა.

— ძალო მაგდან, მგონი მღალატობ, მაგრამ... გამაგებინეთ, ამ დედაკაცს რა ატირებს? დამარხვებზე ხომ არა ვართ? დათუნა მოგაგონდნენ და... ვლახათ მამაკ გაგახსენდა... კარგი, ძალო, გეყო, თორემ მეც ამატირებ... არ შეგონა რომ შავი ანგელოზი იტირებდა. მაიორს დათუნას და სენიას თავს არ შეეარჩენთ... ძაო სულხან, შენც როსტია მოგაგონდებოდა. არც ის შერჩებათ მტარვალებსა.. ფიჭიავე, როსტომ, მარინე, ჩვენ რაღა კონცა გვინდა.. სიმონ, შენ ჯავრსაც ამოვიყრი. მზად იყავი, მალე სუბმათოვს უნდა ვეწვიოთ... დალი ჰასან, ვინც სისხლით გაძღა, ძილით ველარ გაძღება. კაცის მოკვლა ჩიტის მოკვლაზე უფრო ადვილია, მაგრამ მერე შენს პირზე სიცილიც მოკვდება და ბავშიც აღარ დაგიდება ხელში. გუმანით გაგიგებს და გაგექცევა... ძაო ოსტაპ, შავ ლომს მიგიგავს ეგ თავი. შენი გულიც გავხსენი. სევდას შეუქამიხარ, ღამღამობით გულსაკლავად მღერი და ვარსკულაგებს ესაუბრები. სთქვი, ვინ მოგელის შენს ქვეყანაში? არავენ? ვაი შე უბედურო. მაგრამ მხნედ იყავი, აი რამდენი დაჰ-ძმა გყოლია. შენ მათი გული დაიპყარი, ეგ უღვაშები კი ვერ დაგიმორჩილებია, ფეხზე ვერ წამოგიყენებია... ბალო, ძალიან გამიდარდიანდი. გირჩევ ორიოდ დღით ცოლი ამოიყვანო, გამოცოცხლდები. რაც შენ ამოხვედი, თითქოს ლაღა და ვადია გაგვიჩნდაო. დროა ვარამი მოინელო, თორემ თვითონ ის მოგინელებს. აჰა, ძმებო, ესეც გავათავეთ, მოდი ეხლა დაესხდეთ და სანამ სუფრას გაგეშლიდნენ, იმ გაბერილ სუბმათოვს ერთი მოკითხვის წერილი მივსწეროთ. ზურავ, ჩვენი შწერალი ხარ და მოემზადე.

შუაში ზურა ჩაისევს, ვარშემო მოუსხდნენ და დაიწყეს, და თან იმ ტყვეს ხარხარით აზანზარებდნენ და ერთმანეთს პირიდან სტაკებდნენ სიტყვას.

„ჩვენო საყვარელო ძაო, გულითადო მეგობარო, კეთილზე უკეთილესო ბატონო და მამავ ალექსანდრე. ტყის ძმები თრიალეთიდან შეიღებოებით მოგიკითხავეთ შენცა, შენს ბალიშ-კენინასაც და შენს მუთაქა შეიღებაც, არც აქამდე ვაკლდათ ქონი და ეხლა ხომ ტიფებით გაიბერებოდით გლეხის სისხლით.

მერე: ამბავი მოგვივიდა, მგელი მგლობას არ იშლისო. ყმებს თურმე ისევე ჰყიდი ახალციხეში, შენი გაყიდული სიმონა ცხოვრებაძე ეხლა აქ არის. კარგად მოსუქდა და ხანჯალს ლესავს. ამბობს, მალე ვნახავ და ისეთი სიყვარულით მოვიკითხავ ცოლშვილით, რომ თმას იგლეჯავდნენ და მათი წივილი ზევით მთაწმინდას სწვდებოდეს და ქვევით ხაშურს ესმოდესო. ასეთ ლეთისნიერ საქმეში ჩვენც მივებმარებით ღ შეწვევითა ლეთისათა, თქვენი მყრალი ბლავილი იქნება როგორმე გორშიც ვავაგონოთ. შენი ლაცაბიძეც აქ არის და შამფურებს ამზადებს. ამბობს, ჩემი ნაბატონარი რუმბივით გაიბერა და უნდა დავცალოო.

მერე: თურმე გლეხებს კვლავ აწიოკებთ და დედაკაცებიც შეგებამთ გუთანში. ავო ბატონო, ჯოჯოხეთის მაშხალავ და ურჯულოვ, ხელი აიღე, თორემ ისეთ დღეს დაგაყრით, რომ ისევე იქვე მისძვრებოდე, საიდანაც შენისთანა გველის წიწილა გამოიმძვრალა.

ეხლა: თურმე გლეხობას სხვა მხრივაც აწუხებ და არავის აღარ ინდობ, არც ქვრივს და არცა ობოლსა. მღვდელი მანდა გყავს და გირჩევ ეზიარო, თორემ დაგვიანდება და ჯოჯოხეთშიც კი აღარ შეგიშვებენ. ორ კვირას გაძღვეთ ვა-

დას და თუ მორჯულდი, ხომ კარგი, თუ არა და—შენი ცოდოც შენი იყოს და ჩვენიცა.

ესლა: თურმე ჩვენი პირველი წერილი არ შეგიწინარებია—<sup>ქართული</sup> დასაქმებულთა გვე-  
მუქრები. სუბსათაშვილო, შენმა მუქარამ აქაური ქათმები სულ სიცილით გაყლი-  
ტა, არსენას პირიდვან კი მუქარა ჯერ ძნელად ამოვა, და თუ ამოვიდა, თავის  
დროზე კიდევაც ისარივით მისწვდება. ესლა ჩვენ ჩვენი გითხარით და დანარჩე-  
ნი შენ იცი და შენმა ცოლშვილმა. თუ შენი თავი არ გებრალემა, ეგ საწყლები  
მაინც შეიბრალე.

სხვაფრივ—თუ ჩვენს ამბავს იკითხავ, ძალიან კარგათ ვართ და ნიადაგ შენ  
გიხსენიებთ ხოლმე.

ესლა: ისე მშვიდობით იყავი, როგორც შენი პაპის-პაპის-პაპა არის და  
იმის თავიც მალე გაჩვენოს ღმერთმა, და თუ ღმერთმა არ გაჩვენა, ისევ ჩვენ  
დაგეხმარებით და უეჭველად შეგახვედრებთ.

ესლა: აბა გამარჯვება როგორ გისურვოთ! ღმერთმა ნუ გაგიმარჯოს ვლე-  
ხზედა, სხვაფრივ კი ნეტამც ბატონებს ერთმანეთიც დაგიჭამიათ. აბა ვინძლო  
მორჯულდე და შენი ცოლშვილის ცოდო აგვაშორო. სიყვარულით მოგვიკითხე  
შენი ყმები, ნამეტან კი შენგან დატანჯული გიგიტაშვილები, რაზმაძეები, ღონ-  
ლაძეები, ლაცაბიძეები და გადაეცი, რომ კარგი თოფები და ხანჯლები შეიძინონ  
და ჩვენს გადმოსვლას უცადონ.

ამ წერილს გწერს შენი მოყვარე

არსენა მარაბდელი .

ოქლაშვილმა წერილს ხელი მოაწერა, თავის ბეჭედი დაარტყა, სიმონას  
გადასცა და დააბარა:

— ხეალ დილით გახეალ და ვინძლო მაზეგ ჩააბარო. თქვენიანები და გი-  
გიტაშვილები მომიკითხე და ყველაფერი უამზე, მაგრამ დიდხანს არ დარჩე და  
მალე დაბრუნდი. აბა, ძმებო, ესლა კი სუფრას მოუსხდეთ. ლაშქარამ კახური  
ღვინო გვიშოვა, როსტომმა ირემი მოაქლა, სევესტიმ შესწვა, ქალებმა ნახუქები  
გამოგვიცხეს და ვინძლო არ ვაწყენინოთ.

— არ ვაწყენინებთ... ვსახელებთ!—შესძახეს ყველა მხრივ და არც მათ  
აწყენინეს და არც თვითონ გაიტხეს სახელი. სამ-სამი თასი რომ დასცალეს,  
შავტრუხა სულხანმა ჩაახველა, წამოადგა და სიტყვა:

— ძმებო, სმენა იყოს და გაგონება. ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი ბე-  
ლადი არსენა.

— ადღეგრძელოს! გაუმარჯოს!—იგრიალეს პასუხად და წამოიშალნენ.

— ძმებო, ორი სიტყვა მაქვს და მათქმევინეთ.—განაგრძო სულხანმა.—მე  
ლაპარაკი არ მეტერბება, მაგრამ გული მერჩის და მინდა მოვიფიქრო. ძმებო, ჩვენ,  
გლებებს, აქამდე ერთი დიდებული კაციც არა გვეყოლია, ესლა კი ბედმა გავვი-  
ლიმა და გვარგუნა. ვისაც ყურს მიუგდებ, ყველა არსენაზე ლაპარაკობს; საითაც  
გაიხედავ, ამ კაცზე ლოცულობენ. თქვენ რომ ამ მთებში ცხოვრობდით, მე ბარში  
ვტრიალებდი და თქვენზე მეტი გავიგე. გლეხობას დიდი მიწისძვრა და მეორედ  
მოსვლაც კი ვერ გააღვიძებდა, არსენამ კი ყველანი პანტასავით დააარხია და თვალი  
აუხილა. ესლა ამასლა შემოსცქერიან და ამ ტყიდან მოელიან თავისუფლებას.



თავადეზიკ კი ამბობენ, არსენა რომ თავადი ყოფილიყო, ჩვენს ბედს ძველიც არ დაჰყვებოდაო. ნასწავლებლისგან გამიგონია, ასეთი კაცი ათას წელიწადში ერთი თუ დაიბადებაო. ეხლა ჩვენ ერთად ვცხოვრობთ და არსენას შევეჩვიეთ. ჩვენი ტოლი გვეგონია და ზოგჯერ ურჩობასაც უწევთ ხოლმე. არ გამოგვადგების, ძმეო! კირი-მე ერთი თავისა და ასი ხელისაო. რაკი ეს კაცი ბელადად ავირჩიეთ, უნდა კიდევაც ბელადობდეს, ჩვენ კი ამის ხელქვეითი ვართ და მორჩილად უნდა ვიყოთ, თორემ ვინანებთ და გვიანლა იქნების. ეხლა ესეც სათქმელია: არსენამ თავი გაგვიყარა და ძმად შეგვეფიცა. თქვენი არ ვიცი და მე კი არსენას ძმობას ყველგან დავიკვებებ. ისიც ვიცი, რომ ჩემი შვილის-შვილიც და მეშვიდე თაობაც დავიკვებებენ, არსენას ძმადნაფიცის ჩამონავალი ვარო. მე ამ კაცის მეგობარი ვიყავი. მერე გადავემტერე, რადგან არსენა ჩემი ძმის სიკვდილის საბაბი გახდა, ეხლა კი ვიტყვი, რომ ამაზე უკეთესი ძმა არც მყოლია და არც მინდა მყავდეს. თქვენცა გყავდათ ძმები, მაგრამ ამაზე ერთგული და თავდადებული არ გვეყოლებათ და ნურც ინდომებთ. მეომარი ვარ, ბევრი მინახეს და დამიჯერეთ. მაშ ჩვენს ბელადს თვალის ჩინივით გაუფრთხილდეთ და დაეხსნომოთ, რომ სანამ ეს კაცი გვეყოლება, ჩვენც ვიქნებით, მტერსაც შევაშინებთ, და მოკეთესაც გაემახინებთ, ჩვენს საქმესაც წინ წაწევით და გავიმარჯვებთ, და თუ არ გვეყოლება, დაემარცხდებით და უმწყემსო ცხვარივით დაეიფანტებით. მაშ გაუმარჯოს ჩვენს წინამძღოლს, ჩვენს უფროს ძმას, მეგობარს და ბელადს! გაუმარჯოს არსენას!

— გაუმარჯოს!—სამჯერ იგრიალა ტყემ და მერე კანტი-კუნტადაც გაიძმა რამდენიმე ენაზე:

— ხაი ქივე არსენა!—ისე გუგუნებდა ოსტაპი, რომ მისი ხმა ქვეით ხვეშტ კი გაიასმა.

— კეცე არსენა!—იძახდა ბალო.

— იაშასუნ არსენ!—გაჰკიოდა დალი ჰასანა.

— და ზდრასტევეტ არსენ!—ჩახოდა კარპიჩა.

შემდეგ არსენამაც დალია ძმების სადღეგრძელო და შუა-ლხინის დროს უცებ სიონის ზარივით დაჰკივლა:

— ზამთარია-ა-ა, როსტომ, არ ჩამორჩე, ქაეთარ ორპირად ვთქვათ... პეე...

და მწყობრმა სუფრულმა იმ ტვერ ტყეში მწყობრად ჩაიღულუნა. ტყე გაღებდა, ნადირი ჩასაფრდა, ფრინველი გაინაბა. მერე კი, როცა შეჰყვენენ, შეიკეთეს და შეხურდნენ, „ცანგალა“ დააქუხეს, ზურნა ააჰყვიტინეს, ტაში დაჰკრეს, დამბაჩები დააგრიალეს და თითის წვერებზე შესდგნენ.

— ტაშ-ტუშ! ჰეი-ჰაი! ჰაი-ჰეი! ტუშ-ტაშ! ჰაი-ჰეი!—გრიალებდა ბანაკი

ღამე უცებ ჩამოწვა. ტყე აზღარბდა. ნადირი შეშინდა. ფრინველი აფხორდა. მოღზე ვეება კოცონი ააპრიალეს, რკალივით შემოეხვიენენ, ძმური ფერხული ჩააბეს და შავლეგო შეუტრეს:

დაჰკრა თურქმა, დასკრა შალვა თეძოსა და აეს ალაგსა.  
 დედას კაცი მოუვიდა, „შენი შალვა მოგიკლესა“.  
 შალვას დედა მოსტიროდა, მოიშლიდა გიშრის თმასა.  
 შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო შავლეგო!

ტყის ნაპირი ოქროს ფერად იწვის. ალბათ ქვევით უკვე მამლები იყიცილებდნენ, ხელ-ჩახვეული და-მეები კი ისევ ფერხულს უვლიბნ, ვლინს შუქში ლიე-ლიეებენ და გახელებულნი გაჰკივიან: „შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შაქლეგო!“. კოცონი ჰქრება. ფერხული თავდება. არსენა გუშაგების შესაცვლელი მიდის. ზოგი დალილ-ნასვამი შეფიცული ხეების ძირში დაეარდნილა.

ლაკაბიტე „შავ ანგელოზს“ ჩრდილივით დასდევს.

ფიქრია და სულხანი მთვარის შუქში დაბორიალებენ.

მთვრალი „ბულბული“ კარბინა სადლაც „დუბინუშკას“ ჰგმინავს.

როსტომი ვილაცას ამშვიდებს.

დალი ჰასანი მთვარეს ბაიათს შეჰკენესის.

ოსტაპიც გამარტოვებულა და „ოი ნე ხოდი“ს ოხრავს.

სადლაც ბალოს სიმღერაც ტირის.

ლაშქარა „თეთრო ბატოს“ ღიღინებს და ისე დალასლასებს, თითქო მართლა დაკარგულ ბატს ეძებსო.

არსენა დაბრუნდა და ბანაკში ჩაიარა. წინ ჩურჩული მოუძლოდა:

— არსენა მოდის. დროა ვიყუჩოთ, დავიძინოთ.

მალეც მიუჩნდნენ, აქა-იქ მიეყარნენ და მიიძინეს. სამაგიეროდ მათმა ბოდვამ, ტურებმა, მთვარემ და ვირთაგვებმა გაიღვიძეს, რომელიც ბანაკს შემოხიზნებთან და ისე დასდევენ მას კვალდაკვალ, როგორც ყურში—ოდელაშვილს.

მთვარე ცის უზარმაზარ თვალივით ჩამოკიდულა და ქვეყანას უთვალთვალავს. ხევ ხევში ტურები ჩხავიან. ვირთაგვები ნასუფრალზე ნადიმობენ. მუხის ფესვები უცნაურ რასმეს ჰბოდავენ: მარცხდებიან და იმარჯვებენ, სტირიან და იცინიან, ალერსობენ და ბუზღუნებენ, ღიღინებენ და ჰკენესიან.

და მათთან ერთად არსენაც ჰკენესის, რადგან ბედს ყველაზე მეტი საკენესარი მისთვის მიუთვლია, მაგრამ ბელადი თავის ვარაშს არასოდეს სხვას არ უზიარებს. მხოლოდ ძილში ამოიკვნესებს, თორემ ხმამალა ჭირის თქმა აბა რა ბედენა! შეგებრალეებენ და გათავდება.

შებრალებული კაცი კი ვაჟაკად აღარ გამოდგება.

\* \* \*

არსენამ ლურჯა ტაშის-კართან შეაგლო მტკვარში. სიმონას ცხენიც სადავით ექირა. ჰფიქრობდა: თუ ვინიცობაა სიმონას გაუქირდა და მისი ცხენიც დიდ წყალს შტყეული არ არის, მე და ლურჯა ვუშველითო, მაგრამ სიმონა მტკვრის ნაპირზე გაიზარდა და იხვივით ცურაობდა. ნაწვიმევი იყო. მდინარე მრისხანედ მოჰშუოდა. სიმონას ცხენმა ჯერ სამჯერ წაიფორხილა, მერე წყალს მისცა თავი და ლურჯაც დაითრია.

— იარალი მომეცი, თორე დაგამძიმებს,—ვიძახა არსენამ სიმონას და თოფი აართვა.

ცხოვრებადემ დამბაჩები და ხანჯალი არსენას მიაწოდა, თვითონ კი წყალში ჩაეშვა, ცხენს ქვეითა მხრიდან მოექცა და ცალი ხელით მოუსვა. შემსუბუქებულმა ცხენმა თავი ამოსწია და ლურჯას დახმარებით ნაპირზე გამოსტოპა.

იქვე გზაზე ახალდაბიდან ქვიშებითი ბატონი სუმბათაშვილი მოდიოდა. მტკვრის ვალმა რომ ორი ხელაღებული ცხენოსანი დაინახა, თავის ცხენზე შეყენა და მოურავს ნემსაძეს უთხრა:

— ასეთ წყალს სხვა ვერაფერ ვერ შემოპბედავდა. ან გივი ამილახორი იქნება, ან კიდე...

და ბატონის გაჩუმების გამო მისი ნააზრევი მოურავმა დაასრულა:

— ან კიდე არსენა იქნება.

ორივენი ძველებივით გაქვავდნენ და ორი კაცის გაშმაგებულ ბრძოლას შესცქეროდნენ, თანაც ჰტიჟობდნენ: „თუ არსენაა, ღმერთო ნუ უშველი“.

უცნობთა დაბრძობა რამდენჯერმე აუცილებლობად მოეჩვენათ, მაგრამ როცა ისინი ნაპირზე გამოვიდნენ, ბატონმა იცნო და წაიბურტყუნა:

— არსენა ყოფილა.

და ცხენს მათრახი გადაჰკრა.

არსენამაც იცნო სუმბათოვი და ლურჯა გზაზე ამოავდო, თანაც სიმონას შიამახა:

— დრო ვიხელთეთ და მომყე!—ბატონს კი ხმამაღლა დაადევნა:—სად წამიხვალ, სადა!—და უმაღლე გზა უყელა და შეუტია:—აირჩიე, ქვეითად გინდა თუ ცხენდაცხენა?

და მარაბდის მიწაში ნაპოვნი სატევარი ტაშის-კარის გზებზე აპპრიალა.

ბატონმაც უნებურად იწიშვლა ხანჯალი და მოურავს გადახედა, რომელმაც არც სატევარი ამოიღო და ხმაც დაჰკარგა.

— ქვეითად გინდა მეთქი თუ ცხენდაცხენ?—ერთხელ კიდე შიამახა ოძელაშვილმა.

ბატონს არც ქვეითათ უნდოდა და არც ცხენდაცხენ. არსენამ შეატყო და უბრძანა:

— მაშ ცხენიდან ჩამოდი და იარაღი დაჰყარე. აბა, ჩქარა!

დაჭარება საკირო არ იყო. გაბერილი სუმბათოვი რუმბივით ჩამოგორდა მაღალ ცხენიდან. აყლაყულა მოურავიც გადმოვიდა დაბალ ფაშატიდან და პირლია დარჩა. ბატონი და მოურავი სხვა ვანშეს თვითონვე შეუტეოდნენ, არსენას კი ვერ შეუბედეს, რადგან მისი სიმამაცე და ხელმარჯვება უკვე ზღაპარივით დადიოდა. სიმონა ორივეს ეძგერა და იარაღი თვალის დახამხამებზე აჰყარა.

— ეხლა კი აგერ იმ გუთნისკენ გასწით.—უბრძანა არსენამ.

მინდორი გლეხებით იყო სავსე. ზოგი მკიდა, ზოგი ლეწავდა, ზოგი ძნას ეზიდებოდა და ზოგსაც გუთანი ება. ამ ამბავს ყოველ მხრივ თვალი მოჰკრეს და წამოვიდნენ.

— გამარჯვება ნათლიმამაც!—შორიდანვე მიესალმა არსენა გიგიტაშვილს რომელიც იქვე გზის ნაპირას ხნავდა.

— ნათლიას ვახლავარ.—მიუგო შეშინებულმა გუთნის-დედამ.

— შენზე მითხრეს, ბატონმა გიგიტაშვილი ურემში შეაბაო. მართალია თუ არა?

— ჰო... ერთხელ მოხდა.—ყოყმანით მიუგო გლეხმა.

— მაშ მეც ერთხელ გადაუხდი. აბა, წინა ხარები გამოუშვით და ბატონ-მოურავი შეაბით. დატრიალდით, რისა შეგეშინდათ!

ეხლა კი მიხვდნენ ბატონიც და მოურავიც თუ რა მოუხდენოდათ.  
გზიდან.

— არსენ, არ გეკადრება.— გაუბედავად უთხრა ქვიშეთის ბატონმა.— ნუ შემარცხვენ.

— შენ კი გეკადრებოდა, ნასწავლო ნადირო?— და განრისხებული მარაბდელი აღმართულ მათრახით მიეარდა ქვიშელ ბატონს.— ამ პატიოსან ხალხს კი ეკადრება, რომ ხარსავით უღელში აბამ და სახრეს უტყაპუნებ?! ნათლიმამ, შეაბი მეთქი!— გიგიტაშვილი ისევ ყოყმანებდა. მერე დაბალი ხმით უთხრა:

— შეილო, შენ წახვალ და მე კი აქ დავრჩები.

— ეგეც მართალია.— უმაღლვე დაეთანხმა არსენა.— აბა სიმონ, მაშ შენ დატრიალდი.

სუმბათოვის მიერ გაყიდული ყმა თითქოს ამასლა ელოდა და ჯარასავით დატრიალდა: წინა ხარები გამოუშვა, სახრე აიღო და ბატონ-მოურავს შეუტია:

— აბა, მალე, თორემ მოვიდა!

და მათს თავზე იფნის სახრე ააწუხუნა. მალალი მოურავი ხნულში ჩააყენა. დაბალი ბატონი მოუხნავეზე მიადგო, ორივეს კისერი მოადრეკინა, ზედ უღელი დაადგა, ტაბიკებზე აპეურები მოუჭირა, მერე უღელზე აბტა, თითოს თითო სახრე გადაუჭირა და როცა გუთნეული დაიძრა, თავის ორფეხა ყვეარს შეუტია:

— ჰაამო, თქვე ტიალებო! გასწით!— და ისე დასძახა ურმული, რომ ზემოდ სოფელშიც კი გაიგეს:

ბატონო ქვიშეთელი ხარ,  
უღელი გვეოდიება  
თუ გლუნს ტანჯვას არ აქმარებ,  
უარესიც მოგელოდება.

— ჰაამო, შე ვერანავ, შენა!

და თითო კიდევ გადაუჭირა. პირმოღუშული არსენა ბატონ-მოურავს გვერდით მისდევდა და ხმას არ იღებდა. გლეხებიც კი სდუმდნენ და მწუხრის გუთანს შორიახლოს მისდევდნენ. მხოლოდ კაბუკები იღიშებოდნენ. მერე კი იმათაც მოიშორეს ღიმილი. კისერ-გაწვდენილი ბატონი და მოურავი ფორხილით და ხენწვით ეწეოდნენ უღელს. ოული წურწურით ჩამოსდიოდათ. ძარღვები თითებივით დაებერათ და თვალებში შუბლზე აუეარდათ. ბატონი წაიქცა და ძლივსა წამოადგა. სიმონაც გაჩუმდა და ირგვლივ შემზარავი დუმილი ჩამოეარდა. მხოლოდ ღირღიტას კენება და კალიების კრიკინილა ისმოდა. სუმბათაშვილი მეოთხეჯერ წაიქცა და ველარ წამოადგა. გუთნის დედამ გიგატაშვილმა ველარ გაუძლო, გუთანი კვალადან ამოავდო და არსენას გადახედა:

— არ ეყოფათ?

— ეყოფათ.— მიუვო დაბალი ხმით არსენამ და დაუმატა:— გამოუშვით... ააყენეთ. წყალი მოიტათ და კისერი მოჰბანეთ.



სიმონამ ორივენი გამოუშვა და წაქცეულიც ააყენა. ბატონიც და მოურავიც ფეხზედ ძლივსლა იდგნენ და ჩოხის კალთებით იხოცავდნენ. რაქვანი უკნადა შენიშნა ყველამ, რომ ორივეს კისრიდან სისხლი ჩამოსდიოდათ.

ერთმა გლეხმა ოძელაშვილს თავის ცოლი მოუყვანა, რომელიც იქვე კალოზე მუშაობდა, კისერი გაუღეღა მას და სთქვა:

— იი, ძმაო, შენივე თვალთ ნახე. ხარი ავად გამიხდა. მეც შინ არ ვიყავი. ბატონმა არ მაპატიე და ცოლი შემიბა. მაწოვარი იყო. რძეც გაუშრა და აეადაც ვახდა... სამ თვეს იწვა... შვილი მოგვიკვდა.

არსენამ დედაკაცის კისერს დახედა და მაშინვე თვალი მოარიადა. კისერიც და მხრებიც იარად იყო გადაქცეული და აქა-იქ შარავი ჩამოსდიოდა.

— ვინ იცის რამდენი ხალხი დაავანჯა ამრიგად.— უთხრა გლეხმა.— აბა შენს ნათლიმამასაც დახედე.

არსენამ გუთნისდგდას საყულო გადაუხსნა და დახედა. მერე ორივენი ბატონთან მიიყვანა, კამერის კისერივით დაგლეჯილ-დაიარავეებული მათი კისრები აჩვენა და მდულარე ხმით უთხრა:

— საცა სამართალია, უნდა შენთვის ათიოდე კვალი მაინც მომეხეხეინებინა და მერე ევ ლორის თავი მომიჭრა, მაგრამ ისევე ამ გლეხებმა გაპატიეს და მეც მიპატიებია. ამ ტიელ მკერდში მეც ადამიანის გული მქონია, თორემ... ეხლა კი წადი და ამ ხალხის მადლობელი იყავი. მაგრამ იცოდე, ჩვენი ბიჭები ლომებივით მოიწყვენ შენზედა და მე რომ არ დამეჭირა, აქამდე შენი სინსილაც აღარ იქნებოდა. თუ დღეის იქით ერთი საჩივარი მაინც ვაევიგე, იმ ბიჭებს ავუშვებ და მერე პასკევიჩის ჯარიც ვეღარ დაიჭერს. მე ჩემი გითხარი და სხვა შენ იცი. ეხლა კი ავტო ის ბიჭები დაიჭი, თორემ სისხლს დავღერი და შენ გაზღვევინებ.

შემოთ გორაკზე, ათასი ადლის მანძილზე, სუმმათაშვილის, ციხე-დარბაზი იდგა. კნენას აიენიდან ქმრის გასაჭირი დაენახა და მოსაშველებლად სამი შეიარაღებული ყმა გამოეტქია. შინაურები მოღერებულ თოფებით და დამბახებით შორბოდნენ. მაგრამ მათი შეჩერება არც მოურავმა ისურვა და არც ბატონმა ამოიღო ხმა. შეიარაღებულ შინაყმებს ისევე გლეხები გადაელობნენ და ჩუმი ხმით მიაყარეს:

— რას შვრებით კაცო! არსენას უნდა ესროლოთ? უნდა არსენა გაიმეტოთ? შინაყმები შესდგნენ, თოფები დაუშვეს და დარცხვენით ბურტყუნებდნენ:

— მართლა არსენა არის? ვაი ჩვენი ბრალი! ვისზე ავგალებინეს იარაღი! რა ცოდოს დავიდებდით!

— ეხლა რალას იტყვიო?— მიუბრუნდა ბატონ-მოურავს მანამდე მდუმარე არსენა.— ხომ ხედავთ, რომე რთგული ყმებიც კი გვალატობენ. მაშ ვისი იმედილა დაგრაჩათ? ლეთისა და ხელმწიფისა? ვერც ისინი გიშველიან. მაშ ავტო, ჩემო ბატონო; პირი ეშმაკისკენ ნულარა გაქვს და ისევე ამ ხალხისკენ მოიბრუნე. ეხლა კი წადით და არსად აღარ შემხედეთ, თორემ...

ბატონი და მოურავი ლასლასით წავიდნენ შინისკენ. არსენამ გლეხები მოიკითხა და შემდეგ მომკალებს უთხრა:

— ძმებო, მკა მომწყურდა და მამუშავეთ. ვის აქვს ყველაზე დიდი ნამგალი? რომელია აქ ქერივის ან ვინმე საწყლის ყანა? ერყენული

მას შემდეგ რაც არსენა ტყეში გააგდეს, შრომა პურჩხვში მამგადა. ოძელაშვილიც ყველა გლეხივით მხოლოდ იმისთვის ცხოვრობდა, რომ ეშრომა, და იმისთვის შრომობდა, რომ ეცხოვრა. მაგრამ რადგან მას შრომის უფლებაა წაართვეს, ამიტომ სადაც კი მოიხელთებდა, ისე ეწაფებოდა მკას, თესვას და ყოველგვარ მუშაობას, როგორც სიცხეში დაღლილი კამეზი ცივ წყაროს ეწაფება ხოლმე.

ეხლა ყველას ჰსურდა არსენა მუშაობაში გამოეცადა. მათ საკუთარ ყანებს თავი მიანებეს, ნამგლები მოიმარჯვეს და მარაბდელს ამოუდგინენ. არსენამ ჩოხა-ახალუხი გაიხადა, მარცხენა ხელზე სათითური გაიკეთა, მარჯვენაში ცულის-ოღენა ნამგალი დაიჭირა, თავისთვის ორი კაცის ალაგი, ორი ღვარეული მოიზომა და დაიძახა:

— აბა, დავიწყოთ!—და ბასრი ნამგალი აასისინა.

ოციოდე თავახვეული და წაუჭული კაცი ისე დაბტის გაშმაგებით მარჯვნივ და მარცხნივ, თითქო რალაცას ეძებდენ და ყველა მათგანს ეშინოდა, სხვამ არ დამასწროსო. დაღესილი ნამგლები სხივილ-თივლით პრიილბეს. თითო მომკალს თითო მიმყოლი მისდევს, რომელნიც ხელეურებს აგროვებენ, ულთი ჰკრავენ და ძნებს ისე მწყრივად აყენებენ, თითქო რუსის სალდათები გამოსულიყვნენ სავარჯიშოდ.

— ჰოპუნა ჰოპ! ჰოპუნა ჰოპ!—რითმიულად იძახის ოძელაშვილი და ყანაში გაგივებულ ფოცხვერივით დაბტის.

— ჰოპუნა ჰოპ!—ერთხმად იმეორებენ სხვებიც და მარაბდელს გვერდით მისდევენ.

— ჰერი ბიჰო, ჰერი!—გაჰკივის არსენა და სხვებიც ერთხმად ეუბნებიან:

— ჰერი არსენ, ჰერი!

მუშაობა შეჯიბრებად გადაიქცა. ქვიშხელებმა ოძელაშვილს ორი დარჩეული მოკალი ამოუყენეს და ორივეს არსენასავით ორ-ოლი ღვარეული მიუზომეს, მაგრამ ორივენი მალე ჩამორჩნენ და ისევე თითო ღვარეულზე გადავიდნენ, მარაბდელი კი კვლავ ორმავე სიგანეზე დაალაგებდა, მაინც წინაურდობა და ისე ხალვათად მღეროდა, თითქო სუფრაზე მუდარიყო:

შენ ღვინო დამალევიე, ყანაც მომყოლი გვეონოს.

და თუ წყალს დამალევიებ, ნულარც მომყოლი გვეონოს.

მეორე გუნდი უმაღვე უბრუნებდა პასუხს:

ახე ჰგონია დუშმანსა, არცა ხუნენ არცა სთესენო,

არცა უბიათ ხარები, არცა კალთსა ლეწვენო.

არსენაც კრიკაში ედგა და ლექსს პირიდან ჰგლეჯავდა:

ქვიშხელნი მკიან ყანასა, ნაღისა და ჩალასა,

სიცხეს შეუწუებთია, ველარ ატანენ ძალასა.

— სირცხელია ბიჭებო! ერთმა კაცმა ორ ქვიშხელს აჯობა! — დაიძახა რაზმადემ და გახელდა, და სხვებიც გაახელა, მაგრამ ამაოდ: არსენა ზეავივით მიიწევდა და ორი მიმყოლიც აღარ ჰყოფნიდა. მწყრივში ჯერ მისი თავი დაწინაურდა,

მერე წელამდე გავიდა, შემდეგ სულ გავარდა და ყანის ბოლოში რომ გავიდა, დაჯანბნებულებს მოუბრუნდა, გულიანად გადინარბარა და დაიძახა:

— ქვიშელებო, გაჯობეთ და საცა თქვენი სთქვათ, იქნა რა ციციმეტი დაივიწყოთ!

— გვაჯობე, ძაო არსენ, გვაჯობე და როგორა! — გაუცინეს ქვიშელებმა. — ერთ კაცს ორიც ვერ მოგყვა.

— მუშა ყოფილხარ, ძაო, და ქუდიც შენა გხურებია.

— ნეტა იმ მიწას, შენ რომ მოხნავ, დასთესავ და მოშვი.

— ნეტა იმ ოჯახს, საცა შენისთანა ვეკაცი ტრიალებს.

— თქვენც სანაქებო მუშები ყოფილხართ და შეგვრგოსთ. — ანუ გეშა ოძელაშვილმა. — ჯიბრი გათავდა და ეხლა დინჯად ვიმუშაოთ. — და ისე დინჯად იმუშავა და ამუშავა, რომ ორი დღის საქმე ნახევარ დღეში გაათავებინა. და მამითადის სუფრაც თავის ხარჯით გააშლევინა.

სანამ წელან მუშაობას შეუდგებოდნენ, არსენამ ყანის პატრონს მარტოხელა ქვრივს ერთი ოქრო ჩაუღო ხელში ჩემათ და ჩასწორჩულა:

— დედი, ორი ჭედილა დააკვლევი და სამიოდე კოკა ღვინოც მოატანიე და რაც გადაგრჩეს, ღმერთმა შენვე მოგახმაროს.

გლეხები ვეება კაკლის ქვეშ მოუსხდნენ სუფრას და შესარგებელს შეუდგნენ. არსენას სანახავად მთელი სოფელი მოსულიყო. მარაბდელი უწინაც ენახათ, მაგრამ მისი შარავანდელი მაშინ ასე ძლიერ არ კაშკაშებდა და მისი სახელი დღევანდელივით არ იყო დამაყრუებელი. ეხლა კი ეს გაძვლებული ყმები ფუტკარივით ეხვეოდნენ თავიანთ არსენას და ელოდებოდნენ, რომ ეს ზეკაცა მაშინვე და იქვე რალაც სასწაულს მოახდენდა: საუკუნოებით შეჭედლილ ხუნდებს დაუმსხვრევდა, მათი ოფლით გაქლენთილ მიწას მათვე დაურიგებდა და ბატონ-ყმობის სახსენებელსაც კი მოსპობდა. მერე გლეხები ამ გამოფიტულ მიწას საალღოზო ბატკანსავით გაასუქებენ და წალკოტებად აქცევენ; თვითონაც დასუქდებიან და ადამიანურად ჩაიკვამენ; დედაკაცებსაც ნადრევად დამშრალი ძუძუები გაეცსებათ და ბალღებსაც სურავანდი და ათასნაირი ჭირი გაუქრებათ.

მაგრამ არსენა არ ახდენს სასწაულს, ის ჯერ გლეხურ სუფრაზე ზის, დევით სვამს და ასმევს, იცინის და აცინებს, მერე წამოდგება, ხის ტოტებამდე აისვეტება, გლეხებს სიტყვას ეტყვის, დაარიგებს, გაამხნევეს და წასასვლელად მოემზადება.

ამ დროს ორღობეში სუმბათაშვილის ცხენოსანი შინაყმა გამოჩნდა, რომელიც წელან ოძელაშვილს თოფით მიუვარდა. ეხლა ის გლეხი ქურდივით გამოპარულიყო ბატონის სასახლიდან რათა ოძელაშვილისთვის დამალვა ერჩინა, რადგან ბატონს სურამში კაცი ეფრინა და ისპრავნიკი და ყაზახები დაებარებინა. მაგრამ იმ ყმამ წასასვლელად შემზადებული ოძელაშვილი რომ დაინახა, აღარა უთხრა-რა, რადგან მიხვდა, რომ თქმა საქმეს გააფუქებდა: არსენა თავმომწონე კაცი იყო და, უკვე გზად მიშავალი, წასვლას იუკადრისებდა, დარჩებოდა და ფათერაკს შეეფეთებოდა. მარაბდელმა ბატონის ცხენს თვალი დაადგა და მხედარს ჰკითხა:

— ძმობილო, ეგ ცხენი ვისია?  
 — ბატონისა. — მიუგეს აქეთ-იქიდან.

— აქ მოიყვია. მინდა ვნახო რა ცხენები ჰყავს ქვიშეღ ბატონს.

უბელო ცხენს მოახტა, ჯერ კალყზე შეაყენა, მერე მოსხლიტა და ბატონის ციხე-კოშკისკენ გააქანა. სუმბათაშვილი აივანზე იჯდა და სირცხვილს იქარვებდა. მარაბდელმა გვერდით ჩაუქროლა და მიადახა:

— ბატონო, ჩემი ნათქვამი არ დაივიწყო, თორემ ინანებ. — და იქვე გაიმინდვრა.

ცხენი სწრაფად მირბოდა, მაგრამ მხედარი ჰგრძნობდა, რომ ფეხები უნდილად მიჰქონდა. ერთგან გზაზე ნარუფალი დაინახა და გაიფიქრა: „ეს ტიელი აქ წაიქცევა“ და უმაღვე გაუმართლდა ალღო: ცხენი წინა ფეხებით დაეცა და პირით გრძლად გაფხიკა მიწა.

არსენა შემზადებული იყო და არ ჩამოვარდა, ცხენს თავზე გადაეელო, გასწორდა და შესძახა:

— ფუჰ, ბატონი წაგიწყდესა!

და უკვე ამდგარ ცხენს კისერზე მსულით დაუშვა ამართული ხმალი. თავი ლოდვიით დაეცა მიწაზე, უთავო ცხენი კი კიდევ კარგა ხან სიღვა და ცახცახებდა. ნერე წატორტმანდა, მოკვეთილ საკუთარ თავს დაეცა და გაქექყა.

ზემოდ გადმომდგარი ბალზი, ბატონი და მისი ცოლშვილი ამ სურათს სულგანაბული გადმოჰყურებდნენ. უთავო ცხენი რომ დაინახეს, შეძრწუნდნენ, მერე ბალზმა იხუელა და სოფელი ყაყანით აავსეს. არსენამ კი იარაღი რუის წყალში გააელო, ჩოხის კალთით გაწმინდა, ქარქაშში ჩაავო, დინჯად მოაჯდა ლურჯას, რომელიც სიმონამ მოჰგვარა, და ისევე გაჰქრა ლანდივით, როგორც დილას გამოჩნდა.

ნასიამოვნები ყმები და სირცხვილით გაავებული ბატონი კი ისევე პირისპირ შერჩნენ და ერთმანეთს გუშინდელზე უფრო გაშმაგებით დაეტაკნენ.

მეშვიდე თავის დასასრულს.

## გათა ქმტია

(რომანი\*)

ხეალ კვირაა, გლეხები აღრიანად უნდა მივიდნენ სახლში. ეს დალოცვილი მზეც ძუძუსავეთ დაეკიდა იმ მაღალ მუხას. მიდიან ისინი, მიდიან და, სახლში რომ მივლენ, დახედვებით დაწიოკებულ კოლ-შვილი, გაძარცვული ოჯახი და შეღახული ღირსება.

ისევე მარტო ვარ ამ რიონის პირას და შევცქერი ამ მზეს. მის ჩასვლას სამი ოთხი ორგის მეტი არ აკლია.

ვდგევარ და ყურს უგდებ მოქეიფებებს: ეს მამასახლისის ოჯახშია, დროს ატარებენ. რატომაც არ გაატარებენ, ნადავლი კარგი აქეთ და ალაფი!

ყურს უგდებ და გული მიკედება,—ეს ჩვენი გოჭებია, ჩვენი ინდაურები, ჩვენი ოფლი, შავი ცრემლი და ღვინო რომ მღერის. მე ვცნობ მას, ეს ჩემი კაჭალი თუმნიანია, ცაში ისე ტკბილად რომ წყრიალებს, ჩემი ოფლით მონაგარი გროშობით ერთი მეორეზე ნაწებები და შვილივით ნალოლიაევები. რა გუნაღვლებათ, შვილოსან, რა გუნაღვლებათ, იმღერეთ, სანამ გემღერებათ, სანამ ეს დრო თქვენი! მოიცათ, მოიცათ, ჯერ სადა ხართ, ჯერ სად არის ნამდვილი სიმღერა? თქვენ არ იცით რომ მღერის ის, ვინც ბოლომდე მღერის. მე ვიცი, ხუთი თითივით ვიცი, რომ ეს თვალწირბლიანი სოფლები, ეს საწყალი ფაცხეები, ეს ხე და მიწა ადგება ერთ დღეს და მერე,—აჰაი, დედასა!—მაშინ ვნახოთ ვინ უკეთ იმღერებს. მაშინ, ჰაიტ, თქვე წუნკალო ჩაფრებო, პრისტავო, მამასახლისო და ხუცესო, დაიწით უკან, გზა მოგვეციო, წამოვალთ ჩვენ წალდებით, თახებით, ცელებით, ტუკებით და მაშინ ვაი თქვენ, ახლა რომ უდარდელად ქეიფობთ, მაშინ, ჩემო ძამიებო, ადგიოთ, დააყარეთ ეგ თქვენი მყრალი სული ფალიაზე და აფეთქდით.

მე ვიცი, მესმის, ჩემო ძამიებო, ჩემო ძვორფასო მწყემსებო, რომ ეს ასე იქნება. ახლა იტეიფეთ, ბიძია, იტეიფეთ სანამ დრო გაქეთ და, თუ ცოტას მეც წამაქეიფებთ, არც ამაზე გეტყვით უარს. ყვავს რომ შენი ნიგეზის ზიდან წანალები კაკალი გააგდებინო, ისიც ხეირია! ურიას სახლი ეწოდა და ხელები ზედ მიუფიცხაო. მეც ასე ვანგარიშობ ახლა. მეც დამიღეთ წილი ჩემ კაჭალ თუმნიანში, რაშია საქმე?—ნუ დამჩაგრავთ, ამ ბერიკაცს, ის ისე ტკბილია, თქვენ არ იცით რა ტკბილია ის, თორემ ასე უყარათოოდ, ასე უხეიროდ არ მოეპყრობოდით მას,—ის ჩემი ოფლით არის განზანილი, ჩემი დაბებერავებული ხელით ნალოლიაევები! ჩააგდეთ იგი, ბიძიებო, ჩააგდეთ აბრეშუმის ქისაში, გაახაქუნეთ და ისიც გეყოფათ! ნუ დახარჯავთ მას ასე უთაებლოოდ, ის ჩემი ნაკვდავია,

\*) გაგრძელება, იხ. „მნათობი“ № 4.

ჩემი ნაამგარი, იმიტომ ბრწყინავს ის ასე თვალის მომპრეზად, იმიტომ წკრიალობს ის ასე მომზიბლავად „მრავალემიერს“.

ეცხ, შენ ჩემო საწყალო თუმნიანო!

მე ვდგავარ, ყურს უგდებ ამ სიმღერას და ამ სიმღერაში, ამ გალალბულ ტრიამულში და ღრეობაში, ეხედავ როგორ მწუხარედ მოღუნულა ოთხად ეს ჩვენი სოფელი, ფაცებში აღის ბოლი და სოფელი იღრინება მგლის სუნნაკრავ კუბაკივით. სადღაც ურემი მიჭრიალებს და მესმის სოფლის დედაკაცების დაბეჩავებული ნაღვლიანი ხმა:

— დოი!.. დოი! დოი!... ეს ბატებს ეძახიან.

— მეეჩი! მეეჩი!... მეეჩი!...— ეს ქათმებს აპურებენ დამუდრების წინ.

— დიილო, დიილო, კამენა!... მეემშვი, მეემშვი...— ეს მარჩენალ ძროხას ეძახიან და ძროხა ბლავის აღერსიან ძახილზე და მე გული მიკვდება ამ ხმაზე. ეცხ, რა საწყალი ხალხი ვართ ჩვენ, რა საცოდავი! კაცები რომ არ გვეყავს, ძროხის საპატრონოდ მოვქეულებართ! ვის ესმის სოფლის დარდი, ვინ გაიგებს ჩვენ კენესას, ვინ გრძნობს ჩვენს ტკივილებს? ჩვენ გვტკივა და მაინც იმედით შევცქერით ამ ცას, ვიცინით, გვიხარია, ვმღერით, იმიტომ რომ ჩვენ ჩვენი თავის იმედი გვაქვს და, დასწყევლა ჰინკამ, ისინიც ჩვენი იმედით რომ არიან (ჩვენი მწყემსები)! ჩვენ მათ ძროხებივით ვყავართ და გვწველიან, როგორც შეუძლიათ.

— დიილო... დიილო... კამენა!—ისმის ისევ ძახილი სოფელში.

ბატები ყიყინებენ, ძაღლები ყეფენ, გაკაპასებული დედაკაცები დაბნეულ ინდაურებს ეძებენ, ქათმები ხეებზე კაკანით აღიან დასამუდრებლად და სადღაც ვიღაც დარბეული მოსთქვამს და მე გული მღვლარებით მეცხება.

ეს დარბეული სოფელია, რომ მოსთქვამს, ეს დაბეჩავებული სოფელია, რომ ყიყინებს და მე გარინდებული ყურს უგდებ ამ ტრიამულს და ვფიქრობ, რად არის ეს ქვეყანა ასე უკუღმართად მოწყობილი.

და როცა მე ასე ვიყავ ფიქრად წასული, უეცრად მომესმა:

— მაცა, მაცა შე ბებერო. მომიცადე მაქანა, მომიცადე და მე ვიცი შენი შავი ღლის ვათენება!... ჰაიტი, შე წუბაკო, შე ხრონიცო ყაძახო, შენი!...

— აჰა, ღმერთო ჩემო, დიდებულ არს განგება შენი, რომ ეს წვერებ გაბურძენილი ანგელოზი მახარობლად მომივილინე!—შევეედრე მე ზენაარსს.

ეს წუბაკი ხუცესია, ხელებს ჰაერში რომ იჩნევს, მემუქრება, მლანძღავს და ისე გულამოვარდნილი მოაჩაქჩაქებს ამ ოხრად დასარჩენ ჯორს, რომ თუ ხელში ჩაუვარდი, ვიცი, ჭორივით გამბღღენის. ანაფორა დროშასავით გაუფრიალებია, თმა-წვერი გასწეწვია და მე პირველად ვიხილე მისი ნამდვილი სახე. რაღა დავგიმლოთ და ძალიან შემეშინდა, კინალამ წაებდი კაცი, მაგრამ უღური მაინც არ ვაეიტებე, გადაეწვიტე გაჭირვებას პირდაპირ დაეხვედროდი ჯიქურ. ის ფრთავაშლილ ყორანივით მოფრინავდა ჩემკენ და მე მივხვდი (ამას რა დიდი მიხვედრა უნდოდა?), ამ აშლილ გუნებაზე ხელში რომ ჩავეარდნოდი, ცოცხლად გამფლეთდა, გამთხრეშდა შუაში და წადი და სდიე მერე შენ ცად წასულ სულს! თუმცა მე ის კი არ მაწუხებდა, რომ ჩემი სული ასე უიმედოდ განშორდებოდა ამ ხორცს და მერე მის შეწებებას ვერ მოვახერხებდი, არა, მე ეს არ მედარდებოდა, რა უყოთ მერე, ერთხელ დაებადებულვართ, ერთხელ მოყ-

კედებით, ეს არაფერია, ჩემი სადარღო და სავალალო ის იყო, რომ ეს წყეული კაცი წაწყმელებოდა და კაცის მკვლეელი შეიქნებოდა. რა ეშველებოდა მის სულს? ხომ დაეიტანებოდა მერე მე საიქიოს და ის სამოთხეზე წაიყვანებოდა? აბა თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, რა გულით უნდა მეცქერა მე სამოთხის ქიშკრიდან, თუ როგორ ავლებდნენ ჩემ მეგობარ ხუცესს ვასაპუტავ ღორივით ეშმაკები ადუღებულ კუბრში? ამიტომ, დამიჯერეთ, მხოლოდ ამიტომ, ის რომ სულის დამღუპავ ცოდვაში არ ჩამდგარიყო, ამიტომ ჩაეირბინე საჩქაროდ ხაზოზე, ავარდი ბორანზე, აუშვი იგი და წაველ ტივტივით. შუა რიონზე რომ გაველ და გული სამშვიდობოს დაეიგულე, ბორანი გაეაჩერე და იქიდან დაუწყე ცქერა თუ რას იზამდა ეს ანათორა გადაცმული ეშმაკი.

— პაიტი, შე ყიამყარალო, შე სოხანეზე ნაკეთებო ყაძახო! გამოდი, ერთი აქეთ გამოდი და მე შენ ვასწავლი როგორ უნდა მოეპყრო წმინდა წიგნებს!.. — მემუქრება ხუცესი, მაგრამ მე არც ისე სულელი ვიყავი, რომ ისეთი კეთილი საქმის შესასწავლად, როგორც წმინდა წიგნებისადმი მოპყრობაა, შევირდად მოეპყრებოდი. ამ სიბრძნის შესწავლას ძალიან დიდი სისულელე სჭირდებოდა, ეს მე ძვირად მიჯდებოდა და ამ ხარჯს, თუ ჩემი ჯიბე არა, ჩემი ტყავი მაინც ვერ გაუძლებდა, ამიტომ ისევე უსწავლელად დარჩენა ვარჩიე. ბორანზე არხეინად წამოვწყე და ყურს უგდებდი ხუცესს თუ რა გამწარებით მათრევდა და მახიავებდა იგი. ბოლოს ველარ მოვითმინე, სულმა წააძლია და გავძახე:

— გაანებე, კაცო, მაგ უკმაკურ ლაპარაკს თავი! არ გაანებებ ახლა?

მაგრამ ის ისე იყო გადარეული, რომ ამ სიტყვებმა კიდევ უფრო გადარია და ისევე თავიდან დაიწყა:

— მე შენ გაჩვენებ, შე წუბაკო, მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა უკმაკური ლაპარაკი, ერთი შენი თავი მომცა ახლა ხელში და რა უნდა ღმერთს! — ყირის იგი ხელების ქნევით ხაზოზე გადმომდგარა.

— რას იზამ? მე შენ ვითხრა, თილიყამყამი არ იშიშვლო უცებ! ჩემი თავა რათ გინდა, შე ჩერჩეტო, მე რა ხეირი ვნახე მისგან, შენ რომ ნახო?

— არ გაჩუმდები ახლა, შე ღორო, არ გაჩუმდები? ხმა გაიწყვიტე, ხმა თვარა მოგკალი და აგია: მიტევეს იგი. — გაჩუმდი, თუარა გადავირიე კაციშვილი, ჰქუაზე შევიშალე და აგია!

— არაფერია, ჩემო საბა, რა უყოლ მერე, გადირიე, სულერთია მაინც არაფერი დაგეტყობა! — ვანუგეშებ მე და მას გამწარებულს პირში დორბლი სცივია და თვალბში რისხვის ნაპერწყლები, ანათორა წვერებივით გაუშლია, წვერები ანათორასავით გაუფოფრია და ბრაზით ჯორს აქეთ-იქეთ დააჩაქჩაქებს ნაპირზე დამღულრულივით, მჯიღებს მიქნევს და ისეა გახურებული, რომ მტერი ჩაუვარდა ახლა მას ამ გუნებაზე ხელში.

მე ვწევარ ჩემთვის შუა წყალში ბორანზე, ვნებივრობ და ეს კიდევ უფრო აცოფებს ხუცესს. მთლად გადაირია ის ჩემი ცოდვით საესე. სიმწრისაგან თავში ხელებს იცემს და მისი ჯორის ყურები დანები რომ ჩყოს, ზედ ჩამოეხეოდა. თუხთუხობს ადუღებულ ქვაბივით და ისეა გაგარვარებული, — ხელი რომ მოკიდო, — დაგწყვავს.

აი, ჯორი წყალთან მიადგო და, შეხედეთ ამ სულ წაწყმედილს, შეხედეთ, ჯორი წყალში უნდა შემოვადგოს, ცურვით უნდა ჩემთან მოვიდეს! — ჰეგრამ მე ამას აინუნშიაც არ ვაგდებ, რადგან ვიცი რომ არც ისე ვცდვლეთ, მხოლოდ წყალში ბორანზე ამოსვლა და კიდევ მეტი გასალიზიანებლად ვეძახი:

— საბალია, საბალია, არ გაბრიყვდე, ბიკო საბალია, არ ჩამოხვიდე, თვარა ისე ხარ ახლა გახურებული, რომ წყალი ადუღდება და შენი ჯორიანად მღუღარეში ჩაეარდნილ ბაყაყივით ჩაიხარშები.

— ჰაეაი, ღმერთო მომკალი, ღმერთო, ნუ დამარჩენ! — იკიელა სიმწრით ხუცესმა. — და ჯორი ისევ ხაბოზე ააჩაჭაქა, გადმოდგა და მაგინებს იქიდან რჯულს, ჯილაგს, დამსმელს, აესა და კარგს, ამომილო კვინკვირში ამ სულ-ძაღლმა.

მე ვწევარ, ყურს უგდებ მის ლანძღვა-თრევას, შეეცქერი ამ ცას და მიკვირს რომ ეს ყოვლად სათნო წმინდა ანგელოსი აქ იყო, რიონის პირად ჩამოვარდნილი და ცად არ დაფრინავდა ანგელოზებთან ერთად.

— ბათაია, ჰაუუ! — შეძახიან საყანეებიდან მოსული ყანის მუშები მეორე ნაპირიდან, მაგრამ რას გავალო? რომ გავიდე კიდევ, რა უყო იმათ, სად გავიყვანო, როცა მეორე ნაპირზე გაცეცხლებული ხუცესი მიცდის და, ერთი მითხარით, რომელი ნადირი იყო ისე სულელი, რომ მონადირეს ხელში თავისით უფარდებოდა?

— ბათაია, ჰაუუ!... — მაინც არ მეშვებიან გლეხები და მე მოთმინებიდან გამოვიღივარ.

— ჰაა-ჰაა! — გავეძახი უხიაგად.

— მოდი ერთი, თუ კაცი ხარ, და მაგ პარონი აქეთ მოაყენე!

მე ებრაზობ მათ ბრიყობაზე და გულმოსული პასუხსაც არ ვაძლევ.

— ჰაიბ, შე ყიამყრალო, შე ბრიყვო, შენი გამოდი ერთი აქეთ, გამოდი და მაშინ ნახავ შენი თვალისიერს! შენი რჯული და მასაფი არ იქნა, შე ევერში ვაკეთებულო ყაზახო, შენა. სადაა ჩემი წიგნი, მითხარი, რა უყავი ჩემ წიგნს, შე რქიანო ხეადაგო შენი?... — ბლავის ხუცესი ჩახლეწილი ხმით, თვალბეში ცრემლები მოადგა, ბოღმა ახრჩობს და მე ისე დავილაღე ამდენი ლანძღვა-თრევით, რომ ამანი აღარა მაქვს და მთლად გადაბარსალეებული გავდივარ ბორანზე და ვენანობ რომ ასეთ დავიდარაბაში ჩავიგდე თავი.

თან ვშიშობ, ვაი თუ მართლა გული გაუსქდეს ჯავრით ამ ჩემი ცოდვით საესეს და ხომ დამედო მერე კისერზე მისი ცოდვა?

მეტი აღარ შემეძლო, ვხედავდი რომ ჩემი სიწუმე მას კიდევ უფრო ამწარებდა, და გადავწყვიტე პასუხი ვამეცა.

ორივე ნაპირი გაიესო ხალხით და სეირს უყურებდა, ერთი მხარე მღვდელს აქეზებდა, მეორე მე და იყო ქრიაშული ნაპირებზე, მე კი შუა რიონში გასატავებელი უმანკო კრავივით ვეკიდე და ვისმენდი, როგორ მათრეცდა და მახიაგებდა ეს გასაპარსავი ამ თემშარაზე.

— რა უნდა, ბაბა, მაგ ხუცესს? — შეძახის თალარადან ყველაზე გვიან მოსული მურხა და თან ცალ ხარს სარჭით აკრულ პირს უხსნის.



— რა უნდა და სიკვდილი და არ გადარჩენა მეგას, ბაბა! რა ვეცი/რა უნდა!...—გავძახე მე შვილს იმედ მოცემულმა, მერე მოვბრუნდი და ხუცესს დაუყვირე:

— რას მახიახებ, შე ვასაპუტავო, ამ სოფელში, ჰა?...

— რას გახიახებ და რა უყავი ჩემი წიგნი? რომ მაცუტურავებ, რას მა-  
ცუტურავებ, თუ იცი? თუ შენი ბაღანა ვარ ამხელა კაცი? ერთი შენი თავი მომ-  
ცა ახლა ხელში, ნეტავი ეგ შენი ვირისთავი მომცა ხელში და რა უნდა ღმერთს!  
ისე დაგაფილიკებდი რომ შენი ყური ყველაზე დიდი ნაჭერი დარჩებოდა—მი-  
ტეცს ხუცესს, მაგინებს და მეზობლები ეხვევიან ირგვლივ, ამშვიდებენ, მაგრამ  
ხუცესი კიდევ უფრო ირევა, პირში დორბლი სცვივა, მაგინებს, მაგინებს, და-  
სწყველა ღმერთმა, არაა მისი განჩრების საშველი!

— რას მაცუტრაგებ, რას მერჩი!...—დაიჩხმა მან და კი არ ყვირის,—მო-  
სოქვამს.

მე პენდელივით გავქანდი წინ და მივაძახე:

— რას გაცუტრაგებ და თავფქვილა ხარ და იმიტომ!

ხუცესი ერთი ისეთი ავარდა, რომ ხეზე კინალამ შერჩა, მერე ისევ ძირს  
დაეცა, წვერებში ხელები იტაცა და ისე დაიბღავლა:

— ერთი შენი თავი მომცა ხელში, შე თავტყვევებრა და, რა უნდა ღმერთს!  
ერთი ეგ შენი ჩურჩუტი თავი მომცა ხელში და მერე მომკლა, არ ვჩივი.

— ვინ დაგანებებს, შე სულელო, ჩემ თავს, ასე რომ ნატრობ? მაგ შენ  
ოხერ თავს მოუარე ასე უზრდელად რომ ამოგიყვია მაგ ანაფორაში საჯაყად.  
შარვალი მაინც ჩამოიცივი ზედ, სხვა რამე არ ეგონოს კაცს!—გადავაძახი მას და  
მერე უტევე: მოთმინება არ დამაკარგვინო, ხუცესო, მოთმინება, თვარა, ერთი  
თუ გამოველი, მაშინ ნახავ, შე თავგვატიტა, რა დღეც დაგადგეს!—ვეშუქრები  
მე შუა რიონიდან, მაგრამ რას გავალ? ვანა ისე სულელი ვარ, რომ ამ ცხელ  
გუნებაზე ხელში ჩაუვარდე?

— ჰაიტ, შე ხელმაკვარანცხო შე უსაქმურო ზანტაკო, შენა!—მიყვირის  
ხუცესი და, როცა გაჩუმდა, გავძახე:

— მაგ ხაბოზე რომ გარდაქეშანივით გადმომდგარხარ და ხელებს ცაში  
იჭნე, მარჯვედ იყავი, საბალია, მარჯვედ, რომ ეგ შენი სათნოება ღმერთს არ  
შეებარბოს, ხელი არ ჩამოგიწიოს და მაგ ჯორიანად ცაში არ წავილოს...

— ჰაიტ, შე თავქარიანო, შე ენაგატლეგილო კაცო, შენ! შენი ვაკეთებას,  
დედაშენს გოჭი დაესვა, ის ერჩია, უფრო გამოდგებოდი!—მეძახის ის, მეც არ  
მინდა ვალში დავრჩე და უპასუხებ:

— შენ ვაკეთებას მამაშენს შამფური გეეკეთებია ის ერჩია, მაშინ შენ  
თავს, ჩემო საბალია, უკან გამიყრიდენ!

ხუცესი მთლად გადაირია ამ სიტყვებზე. ხენვის, ოხრავს, დარბის აქეთ-  
იქით პენდელივით და ხალხი იცინის, არის ერთი ამბავი.

— არ შეგეშინდეს, ბათა, ნუ გეშინია...—ეს თალარიდან მოსული ხალხია  
რომ მაქეზებს. მეორე ნაპირის ხალხი ხუცესს ამშვიდებს, მაგრამ მის გულს რა  
გაეკარება ამ გუნებაზე. მოთმინებიდან გამოსული ჯორიდან ქორივით გადმოი-  
ჭრა, ბორანის სინას ეცა და ახსნა დაუპირა, მაგრამ რას შოერეოდა. ეს სინა

ათმა კაცმა ძლივს გასჭიმა და ეს ერთი რას დააკლებდა? მაგრამ მე, ვითომ შე-  
მეშინდა თავი მოვიგიტიანე, ავეარდი, დავარდი, ხან იქით ვეჯიკე ხან, კქით და  
ბოლოს, როცა საშველი არ იქნა, რაც ძალი და ღონე შეტრდამა: ჩველრიადი.

— ხომ არ მაყენებ, ხუცესო, ამ ქვეყანაზე, ხომ არ გინდა სული მომათქმე-  
ვინო? აბა კაი, განანებ, თუ კაცი ვარ, განანებ! აბა ჰა, მიყურე და გაძეხი, შე  
სისხლის მსმელო, გაძეხი!.. შენ მოგკეითხოს ჩემი ცოდვა, შენ აგე ღმერთთან პა-  
სუხი, შე წყეულო და სულძალო ხუცესო, და ვნახოთ რა პასუხს გასცემ!.. გა-  
ნანებ, თუ კაცი ვარ, განანებ, შე ყიამყრალო! არც ძმობა, არც დედის ძუძუ,  
არც ამხანაგობა შენთან არ გადის, შხამად შეგერგოს შენ დედაჩემის ძუძუ, ძიმ-  
წარეთ შეგერგოს დედაჩემის რძე!...—ყვირი გაყოფებული და თან ტანისამოს  
ვიგლეჯ ტანზე, მაგრამ ისე, რომ არ დაიხეს. ჯერ ჩოხას ვიხდი და ბორნის  
იატაკზე ვანარცხებ, მერე ახალოსს, შემდეგ შარვალს და ვდგევარ ასე საცულე-  
ბის ამარა ბორანზე, ვიკრულები ხმამალა, ვიგინები, დაბადების დღეს ვიწვე-  
ლი. მერე გავერდი, გაღვილი მკერდში ხელები ვიტაცე, თვალები ცად  
ავაპყარ და ვდგევარ ისევ ერთხანს გარინდებული, პიჯვარს ვიწერ და უმანკო  
სულს ღმერთს ვავედრებ. მერე თავი მწუხარედ ჩავკიდე, ხელი მოწყვეტით ჩა-  
ვიქნიე და ორივე ნაპირს თვალები უნუგეშოდ მოვაველე და ვხედავ გაყოფებულ  
ხუცესს პირი ღიად დარჩენია, ერთ ადგილას გაშტერებული დგას და ისე  
მიცქერის.

— ხომ ასე, საბალია, ხომ? მაშ კარგი, კარგი!—გიმუქრები მე. მღვდელი  
ერთ პირობა დაფაცურდა, აქეთ ეცა, იქით მიასკდა, მერე გაჩერდა და ისევ  
მიცქერის პირდღებული. ეტყობა, ფიქრობს და ვერ მიმხვდარა, თუ რას ვაპი-  
რობ. არ იცის რა არის ეს, ხუმრობა, თუ მართლა სასოწარკვეთილებამდე ვარ  
მისული.

მე ისევ დავტრიალდი ამ ბორანზე. ისევ აეარდი, დავარდი, ბურღლუნით,  
წყვეა-კრულვით, ეს ამდროული კაცი ერთი ვაი-ვაგლახით ხარკალაზე ავფო-  
რთხდი, ბორნის გაკიმულ ბაგირზე შევდექი და ასე ცად აშვერილმა, ნიფხავ-პე-  
რანგის ამარამ ხელები მარჯვნივ ავაპყარ და შევდღალადე:

— გურულებო, აჭარლებო, ჯაეახელებო!..

მერე მარცხნივ მოვბრუნდი და ახლა აქეთ შევძახე განწირული ხმით:

— მეგრელებო, აფხაზებო!

მერე პირდაპირ გავხედე აღმა რიონის სადინელს და ისე დავიღრიალდე:

— ქართველებო, ღვიძლო ძემო, თქვენ ხართ მოწამე, რომ ეს სულძალო  
ხუცესი არ მაყენებს ამ ქვეყანაზე!.. შეიღობით, ჩემო სოფელო, შეიღობით, ჩემო  
ფაცხავ, შეიღობით ჩემო ბორანო, ცოლო და შეილო!..—ბოლოს პირი ცად  
ავაპყარ და ღმერთს შევევედრე:

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, შენც ხედავ, რომ ამ ხუცესის ვადამ-  
კიდე არ მეცხოვრება ამ შენ გაჩენილ ქვეყანაზე და მაპატიე ეს სულმოკლეობა.  
შენ მოკითხე ჩემი ცოლშვილის ცოდვა ამ ხუცესს!..—ამ სიტყვებით მოვწყ-  
დი სინას, რიონში მოსხლეტით გადავეშვი და დაცემისთანავე ტყვიასავით  
წაველ წყალში, ჩავეურყუმელავდი თუ არა, მაშინვე ხელი გაუსვი და ბსკერს  
მოვეკიდე.

აბა ერთი მითხარით, როდის იყო რომ თევზი წყალში იხრჩობოდა? მეც ხომ თევზი ვიყავ ამ წყალში? მეც გავიტრუნე და ყურს უგდებდნენ, რთავოდ დუღუნებდა ყრუდ ეს ჩემი ტანი და ეს წყალი. თვალი გავახილე და ამტვრევედი წყალის სივრცე მომხვდა ჰაერის მაგიერ. ჩემს დგაფუნზე ღლაემა ჩამიქროლა, ალბათ, საკმეელი თუ ვეგონე და რომ შემატყო. მისი შემკმეელი ვიყავ, გულგახეთქილმა ბოლო მოიქნია და თვალს მიეფარა.

კარგა ხანს ვიყავ ასე წყალში და, როცა შევატყე, რომ მეტი წყალში გაჩერება აღარ შემიძლია, მდინარის ბსკერს ფეხი დავკარ, წყლისგან შეგდებულ მოგუღული კაცით ერთი ჰაერში შევეარდი, ჰაერის ახალი მარაგი ჩაეისუნთქე და ისევ წყალში წავედი, მაგრამ დიდხანს არ დამცალდა შიგ ყოფნა, მალე ვიგრძენ რომ ვილაკამ ხელი მომიფათურა და მე მაშინვე მივხვდი რომ ეს ჩემი გადამრჩენი იყო და განგებ ტანი მოვიქციე და მხარი გადამრჩენს მარჯვედ მიუშვირე. მან ხელი პერანგში ჩამავლო და წამილო, მეც ნელა, რომ მცურავს არ შეემჩნია, ისე ვეხმარები ფეხის მოსმით ჩემს გატანაში, როცა წყლის ზედაპირზე თავი ამოვყავ ყაყანი მომესმა:

— არიქა, უშველეთ, არიქა!...—ეს ხალხი იყო.

— ბათაია, ძმაო, რაეა დამლუპე, ძმაო!.. რა მიქენი აგი? ვაი შენ, ჩემო თავო! ვაა!.. ვაა!..—ეს მღვდელი იყო, რომ მოსთქვამდა.

— ჰა, შე წუპაკო, ჰამე თუ არა საშენო შიში!—გავიფიქრე მე და, ამ ფიქრში რომ ვიყავ, მცურავმა ნაპირზე გამათრია.

ირგვლივ აყაყანტული ხალხი შემომხეხია. საბამ ხალხი ზმუილით შუა გაარღვია და გულზე აბდავებული პირუტყვივით დამემხო.

— არიქა, თბილია! ხეზე ჩამოკიდეთ, ხეზე და წყალი გამოადინეთ!...—აყაყანდა ხალხი.

მე მივხვდი რომ ჩემი საჭმე ცუდად იყო. მოგებხენებათ, არც თუ ისე სასიამოვნოა ხეზე თავუტულმა დაკიდული ყოფნა. ამიტომ მე, მისუსტებულმა, თვალები ოდნავ გავახილე და საბასა და ჩემ შვილს მიკნაევებულმა უსასოოდ შევხედე. შვილი ტიტველი იყო და მივხვდი, —ეს ის მცურავი იყო, მე რომ წყლიდან ამომათრია და დახრჩობას გადამარჩინა.

ხუცესმა თვალგახელილი რომ დამინახა, ერთი საზარლად აღრიალდა:

— ბათაია, ძმაო, ჩემო საყვარელო ძიძიშვილო!.. მაპატიე, ჯიმა აჯამი, შემინდე შე, ცოდვილს, მომიტყეე!..

— მიშველეთ!—ამოვიობრე მე მისუსტებული ხმით და ამ სველ საცვლებში მიწაზე დაგდებული კაცი მთლად ძაგძაგმა ამიტანა.

— არაყი! არაყი!—აბლავდა სიხარულით გადარეული ხუცესი, ჯირკვივით ზედ დამეცა და მლოშნის, სულწაწყმედილი, მკოცნის თვალემაში. ცრემლებით მრწყავს, მეხუტება და ზედ მაკედება, მერე ანაფორის კალთით სახეს მიშშრალეებს, პირს შწმენდს და მე მართლა ამიყურდა გული. კინალამ არ წაეხდი ეს დროული კაცი და მეც არ ვიტირე. ცოტა ხანს შემდეგ ჩემმა მეორე ბიჭმა კარავიდან არაყი მოარბენინა და პირში ჩამასხა. შეციებულზე ნამეტანი მიამა არაყი, სანთლის იყო დალოცვილი! მინდოდა ცოტა ბლომად მომესვა, მაგრამ დამბრჩეალი კაცისთვის ეს უხერხული იყო და თავი გავანებე. მერე უშნოდ და-

ვიმანქე, კისერი გვერდზე მოვიქციე და თავმოკალათებულმა ძლიერ წაიღულ-  
ლულე.

— შეცვია!.. დამახურეთ!..

— არიქა, ბიჭებო, არიქა მიშველეთ!.. სამაგიერო პატივისცემა ჩემზე იყოს!.. არიქა, ჩემო ბათა! არ დამლუპო, ბათაია ბიჭო, ოჯახი არ დამიქციოს! გახადეთ მაგ სველი საცვლები, გახადეთ მალე!..— ბლავის იგი და თვალის დახამამებებაში ტანთ გამხადეს, ხუცესმა იქვე, ხალხში, საცვლები მოურიდებლად გაიძრო და სახელდახელოდ ჩამაცვა. მართალია, ჩანაცვაში იყო, მაგრამ ისე ვიყავი აძვირ-გებული, რომ მაინც მიამა. ამ დავიდარაბაში ბორონიც ნაპირზე მოვეყენებინათ, ჩემი ტანისამოსი ამოარბენინეს და ჩამაცვეს. ხუცესმა ესეც არ მაქმარა, თავისი დარაიის ზედა ანაფორა გაიხადა და ისიც ზემოდან წამომახურა.

— არიქა, მიშველეთ!.. არიქა, ბიჭებო!.. ხომ არ გაგაცოცხლა, ბათაია, აწ ხომ კარგათ ხარ, ბიჭო? ვაი შენ, ჩემო უბედურო თავო. ვაი შენ ჩემო თავო...— იძახდა იგი და ხან ერთს ეცემოდა, ხან მეორეს და გულგახეთქილი, გადაქციული სახით ყველას თვალებში ჩასციტქინებდა, მაგრამ ვის ეცალა ახლა მისთვის, ყურადღებას აღარაღიან აქცევდა, რის ვაივავლახით ფეხზე წამომაყენა და ერთი მხრივ შვილი შემიდგა ილიაში, მეორე მხრივ ხუცესი. მივიხედ-მოვიხედე, ირგვლივ აუარებელ ხალხს მოუყრია თავი. გავხედე ცას, შზე უკვე ჩასულიყო.

— რაღა ხარ, ბაბა?— შეკითხება მურზა.

— რა მიჭირს, შვილო, მარა შენი მადლიერი მაინც არ ვარ. შენ რომ საჭმე მიქენი, იმას, მშობელ მამას კი არა, მტერს არ უზამს კაცი. ამას იქით მე რომ სიცოცხლე მექნება, იმას წყალში დახრჩობა მერჩია. რას მერჩოდი რომ გადამარჩინე? სულერთია, ეს წყეული ხუცესი მაინც საშველს არ მომცემს! არ მეცხოვრება ამ ქვეყანაზე და აგია!— შეეჩივლე შვილს მიქნავებული ხმით და ჩუმად თვალი ჩაუკარ. ის მაშინვე მიმიხვდა (იცის რა მამის შვილიცაა) და გაჩუმდა. სახეზე მკრთალმა ღიმილმა გადურბინა მხოლოდ.

— ვაი შენს საბას, ბათაია! ვაი შენ საბალიას, რაღა გამიმწარებინარ!— დაიბლაღლა ხუცესმა. უეცრად მოწყდა ადგილს და ფეხებში ჯირკვლით ჩამივარდა. მე იქით მივიწიე, შემეშინდა ფეხები არ მოეწეწეა, მაგრამ ის მაინც მოფოროთხავდა ჩემკენ, ზღუქუნებდა, მუხლებზე მეხვეოდა, ხელები მთლად დამილოშნა და ისე მევედრებოდა:

— მამატიე, ბიჭო, ბათაია, მამატიე და ღმერთი გაპატიებს! შემინდე, მე სულწაწყემდილს, შემინდე!..— შემედარება იგი, ბლავის განწირული ხმით და ქონიან სახეზე ცრემლები ღაბა-ლუბით ჩამოსდის.

მე თავი სათნოდ დაეხარე და ამ მართამადიდებელ ეკლესიის უმანკო ცხვარს ეპისკოპოსი რომ გვიქადაგებდა, ისეთი სიყვარულით დაეხედე.

— ხომ მთურად ვიქნებით აწი, საბა?— შევეკითხე მისუსტებული ხმით და ამ ხმაში იმდენი კდემამოსილება იყო, იმდენი უანგარო გრძობები, რომ მის გაგონებაზე ქვაც გალღვებოდა.

— ა ჩემი კისერი, ბათა, და რაც გინდა ის მიქენი! შენ ხელში ვარ, შე უღმერთოვ, და რასაც მომისჯი ყაბულს ვარ!— ბლაოდა იგი ხედავით.

— მაშ რახან ასეა, იმ წიგნზე სიტყვა არ იყოს! ვითომც არ გქონია, ისე იგულე!—უპასუხე მე.

— მოშკალი, ბათია, თუ გინდა, მოშკალი! ა, ჩემი თავი და ქვით ჩამჭრ-  
ლე!—მოსთქვამს იგი.

— კაი ახლა, რა იქნა, შეკაცო, ასეთი უსაშველო? ხომ ხედავ, კაცი ჯავ-  
რით არაა, შეურიგდი!—მირჩევენ მეზობლები. მეც მოვტყდი. დავთანხმდი და  
ვამზობ სათნოებით:

— კარგი, ჩემო საბაღია, კარგი, შევრიგდეთ...

ამ სიტყვებზე საბამ სიხარულით ერთი ისე საზარლად დაიბღავლა, რომ  
შიშით გული ცოტა დამაკლდა, მართლა არ შემიღონდა. ფეხზე შლეგიანივით  
წამოვარდა, კისერზედ მომეხვია, მკოცნა, მლოწნა და მეც ხანდახან, როგორც  
წესია თავდაქერილად ვკოცნიდი, გამოზოგილად უპასუხებდი მის ლოწნა-ხევე-  
ნას. მერე უტერად მომწყდა, ხალხს სიხარულით ანთებული თვალებით გადახედა,  
ბელი მალლა ასწია და დაიძახა:

— ძმებო, შეიღებო, ჩემო მრევლო, ჩემთან წავიდეთ! ჩემო სამწყსოვ, წა-  
ვიდეთ ყველა ასე, როგორც ვართ! წამოდით, დრო ვატაროთ! მაშ რა შავი  
დღისთვის მინდა ის დასაძმარებელი ღვინო იმ ქვევრებში თუ თქვენისთანა საყ-  
ვარელ ძმებთან არ დავლევ, რა ჯანდაბად მინდა ის ბალაგარი მოხვეერი? წავი-  
დეთ და ძმობისა და სიყვარულის სადღეგრძელო მიინც დავლიოთ!

ეს მე ძალიან მიამა, მაგრამ არ ვიმჩნევ, ვდგავარ ჩემთვის მირინდებული.  
დასწყევლა ჭინკამ მართლა საქმეში შეველ და არ ვიცი მართლა სისუსტისაგან,  
თუ სიხარულისაგან, მუხლები ამიკანკალდა.

— წამოვალთ, რატომაც არ წამოვალთ!

— მოვდივართ, ხუცესო, მოვდივართ!—ასხრილდა ხალხი მხიარულად.

— აბა, ჯორი! ჩემი ჯორი მომგვარეთ შალე!—დაიძახა მან და თვალის  
დახამხამებაში ჯორიც გააჩინეს!

— აბა, ბათა, გენაცვალე, შეჯექი, ძამია, შეჯექი, მე რას მერიდები? სუს-  
ტად ხარ! საწყალი ბათურია, ჩემი ბათა! ღმერთო, შენ მაპატიე ჩემი სისულელე.  
შენც მაპატიე, ბათურა, მაპატიე, შე კაცო, აქამდე რომ არ გაფასებდი!—დაიწყო  
ხუცესმა ერთი მეორეზე მოთქმასავით და ერთის ვაი-ვაგლახით, გაკირვებით  
ჯორზე შემსვეს, მაგრამ ეს უპატრონო ანაფორა ფეხებში წამომედო და, ცოტა  
დამაკლდა, არ გადმოვარდი.

— აბა, მეზობლებო, მოყვრებო, წავიდეთ! აბა, ბიჭებო თქვენ იცით!...—  
ყვირის ხუცესი და ჩვენ, ყველა, ერთად დავიძარით ადგილიდან. ორიოდ ნა-  
ბიჯი რომ გადავდგით, ჯორი შემოვებრუნე და მურზას გავძახე:

— აბა, შენ იცი, ბაბა, რავე მიხედავ მაქაურობას.

— კი, ბაბა კი, ნუ გეწინია! შენ წადი, შენ თავს ეწიე!—მეუბნება იგი  
და თვალებში ვატყობ, კედება სიცილით, მეც გამელიმა და, რომ არ შეემჩნიათ  
ჯორი შევებრუნე, მაგრამ, ორიოდ ნაბიჯი გადავდგი თუ არა ჩემი სველი  
საცელები გამახსენდა, ხუცის მერანი ისევ მოვებრუნე და შვილს გავძახე:

— მურზა. შეილო!

— რა იყო, ბაბა?

— საცვლები არ დაგაფიწყდეს, ბაბა, საცვლები! დედაშენს უთხარი, გარეცხოს და ისე გაკიდოს ვასაშრობად. — მერე ერთხანს შევეტყუებოდი, ხალხს გადავხედე, ერთი ღრმად ამოვიოხრე და დაუმატე: — დღეს ქორწილია, წიწილს დაეიჭერო და აბა შენ იცი რავე უპატრონებ და ჭკუით იქნები.

მურზას ფერმა გადაჰკრა, მიხედა რომ ეს ქორი ჩვენი მამასახლისი იყო და წიწილი თვითონ, პასუხი არ მომცა, დაკვირვებით მომაჩერდა მხოლოდ და მეც კმაყოფილმა, რომ გადაკრულ სიტყვას მიმიხედა, ჯორი ისევე შევაბრუნე და გზას გაუდგეჭი.

ხუცესს წვერები წყალის ქაჯივით გაბურძვენია, შუბლში ხელის ცემით მომდევს ფეხდაფეხ და მოსთქვამს:

— ვაი შენ, ჩემო თავო, ვაი შენ, ჩემო უბედურო თავო, რავე ბედზე გადარჩი სისხლიან-ხორციანად დალუპავს! ვაი შენ, ჩემო უბედურო თავო! მე ვარ ნამდვილად მე ვარ ის ქორი. ვაიმე ვაიმე, რა დღეს მოვესწარი!.. არა, შე ჩურჩუტო ყაძახო, შენ თავს რომ იხრჩობდი, მე რას მიპირებდი მერე, რა პასუხს მაძლევდი? — მეკითხება იგი, მაგრამ მე თავი მომაძულა მის მოთქმა-ჩივილმა, ხმას არ ვცემ, გულში ვიციანი და ჯორს მივაპუნებ.

სოფელს რომ მიუხალოვდით, ვხედავ ჩემი ცოლი თმაგაწეწილი ჩფოფრება, მოსთქვამს და რომ დაგვინახა კვილით მოწყდა ადგილს და მორბის გულამოვარდნილი, უკან შევილები, მეზობლები და მოყვრები მოსდევენ. საბამ, თვალი მოჰკრა თუ არა, მიხედა, რასაც ნიშნავდა ეს, წინ ხელების ქნევით გაიქცა და მიაძახა:

— ნუ გეშინიან სალომე, ნუ გეშინია!.. ცოცხალია, აგბ ჩემი ცოლით საესე, ცოცხალი!

ცოლი შეკრთა, გაჩერდა და აკანკალებული ხელები რატომღაც თავში იტაცა, ხუცესს ერთი უნდობლად შეხედა, მერე მე შემომხედა და, ეტყობა, უცებ ვერ მიცნო, ანაფორაში რომ ვიყავი შემოსილი. როცა მიცნო (ვაი იმ ტნობას!) წივილ-კვილით ჩემკენ გამოექანა და აკაპასდა ყულყურთხეული.

— ჰაიტ, შე მაკვარანცხო, შენი შენი რჯული და მასაფი არ იქნა, შე არაწმინდავ, შენი შენი სიკვდილი ვნახე, შენი სიკვდილი და არგადარჩენა ვნახე, შე ენაგატლექილო ყაძახო, შენი რავე შენ მე მომიხელე და უდროოდ დამაბერე! დოდომიწიდან ამოძერა მაისის წითელი გველი და მოგვკიდა მავ ენახე, შე ჩემი სიცოცხლის მომნელებლო, რავე შენ მე ეს ორი დღის სიცოცხლე გამიმწარე! შენ იციანი, შენ მხიარულობ და მე ჯაერით არ ვარ, თმა მითეთრდება ამდენ ჯაფაში და უბედურობაში! ვარდიან კუბოში ჩასვენებული გადაგიტანე თავუკულმა ქიშკარზე, შე ძახთაპირო, შენი! — მომდგა ეს დალოცვილი და მწმენდს და მწმენდს რაც შეუძლია!

— ვარდი რათ შინდა, დედაკაცო, ხომ ხედავ, ხუცესად ვეკურთხე და ანაფორა მაცვია. თუ მაინც არ დაიშლი, ერთი ორი გირვანქა საპონი მაინც მამატანე კუბოში, წმინდა სულით თუ არა, წმინდა ხორციით მაინც შევალ სამოთხეში.

— ჰაიტ, შე უნამუსო და ზანტაკალო ყაძახო, შენი რატომ ის დღე და ის საათი არ დაიქცა, შენ რომ ცოლად წამოგყვი! — არ ჩერდება ეს ენამადლიანი

და არაა ჩემი საშველი. მე ჩემად ვარ, ხმას არ ვიღებ, ზემოდან დავეკერი ამ ჩემ მშვენიერ თანამეცხედრეს, ჩემი ქება-დიდებათ რომ ვერ ძღვესა და ვეძღვოდე, სხვა რა საშველი მაქვს?

— შენ გაციინე ქვესკნელში, დედამიწაში გნახე გაცინებული!—მომადახა მან კიდევ უფრო გაკაპასებულმა და ახლა ამ ერთ მაინცდამაინც უბედურებას მეორეც ზედ დაერთო: დედას ქალიშვილიც წამოეხმარა.

— ჰაიტ, შე ენაგატლეკილო ბერიკაცო შენ, რა ამბავში ხარ, თუ იცი, ყველა რომ ჯავრით დაგვზაფურე? ახლავე მაგ ჯორიდან ჩამოდი და სახლში წამოდი, თვარა, იცოდე, ისე შენი ქიონიას ხანი მიეცა, როგორც მე შენ მაგ ჯორიდან ძალით ჩამოგათრიოს!

მოდი და გაუძელ შენ ახლა ამ აყაყანებულ დედაკაცებს! ჯერ ერთი რა იყო და ახლა მეორეც წამოეხმარა.

— ჰაიტ, შე ენაგატლეკილო ბერიკაცო რა ამბავში ხარ, თუ იცი, ყველა რომ ჯავრით დაგვზაფურე? ახლავე მაგ ჯორიდან ჩამოდი და სახლში წამოდი, თვარა, იცოდე, ისე შენი ქიონიას ხანი მიეცა, როგორც მე მაგ ჯორიდან ძალით ჩამოგათრიოს!

მოდი და გაუძელ შენ ახლა ამ აყაყანებულ დედაკაცებს! ჯერ ერთი რა იყო და ახლა მეორეც წამოეხმარა.

ხალხი შეჩურჩულდა და უცქერის სიერს. ყველას დაავიწყდა მამა-სახლისისაგან დაწოკებული ოჯახები და ყაყანებენ. სოფელი ორად გაიყო: მამაკაცები ჩემ მხარეზე არიან და დედაკაცები ჩემი ცოლშვილის.

— სულ მუდამ ეშმაკისკენ რომ გიჭირავს ეგ თვალი, ერთი შენი ოჯახისაკენაც მოიხედე, შე არა წმინდავ შენ!—არ მეშვება ცოლი.

— რა ვქნა, ოჯო!—მიემართავ მთლად მოსაწყულებული ჩემს სჯულიერ მეუღლეს.—ასე ვინაგარიშე და რა ვქნა, რომ შენს ცქერას ისევ ეშმაკის ცქერა ვამჯობინე. იქნებ მეშლება ეს ანგარიში? რა უყოთ, თუ წავეაგებ, ისევ მე წავეაგებ, შენ რას დაკარგავ!

— თოიტ, თოიტ! ხმა არ ამოიღო, ახლავე კნაპი ჩაიგდე, თორემ მოგკალი და აგია!—შემომენტო პირში ცეცხლივით ჩემი ქალიშვილი.—ახლავე ეგ ანაფორა გაიძვრე, შე მასხარავ, და სახლში წამოჩერე, თორემ ისე მე ვიცოცხლე, როგორც მე შენ ეგ ზურგი ჯოხით აგოჭრელო! ერთი ამ გადაყრუებულს შემოხედეთ რა ამბავშია, აი შვილი ვარ შენი, მარა, მაინც ჩემი კქუის სასწავლებელი ხარ, რაც ბერდები, თანდათან ტვინდები!

შე ვიცი, ეს დიდი სიყვარულითაა, ასე რომ მლანძღვენ ისინი, მათახვენ, მათრევენ, მაგრამ მათრევენ ისე, რომ არაფერი მეტყინოს.

— ახა, შენ, ღმერთო დიდებულო!—აღმოჩნდა მე და ჯერ ხელები ცად აღვაყარ, მერე, ცაში აშვერილი ხელები რომ დამეღალა, ძირს დაუშვი და აყაყანებულ ხალხს მივმართე:—ხომ ხედავთ, მეზობლები, როგორ არ ხედავთ ჩემო კეთილებო, კაცი სულის გზას დაედგომივარ, ანაფორით შევმოსილვარ, იერუსალიმს კაცობრიობის ცოდვების მოსანანიებლად მივემზავარები და ესენი,—ფუი, მაცდურსა და კაცთა ავთავანს!—ჩამომეხსენით, თქვე უწმინდურებო, ნუ მაცდენთ ქეშმარიტების გზაზე დამდგარ ცოდვილ კრავს, ეშმაკის შემოჩინი-

ლებო, ჩამომეხსენით! არული თქვენ, კუდიანებო, არული!—დავიძახე მე და ხელები ჰაერში ისე ავისავსავე, თითქოს მართლაც მაკდურს ეგვიპტეში, მაგრამ მათ გაჩუმებას საშველი მაინც არ დაადგა. მრეცხენ და მხეცხენ ჩაფხურს მოხერხებათ და გაუვათ. კარგი რეცხვა კი სკოდნიათ, დალოცვილებს! ბოლოს მეც კაცი ვარ, ვერ მოვითმინე, ხელები ცალ აღვაყარ და ისე შევვალადე:

— მადლობელი ვარ იმ ღმერთის, შენი თავი რომ ცოლად მაჩუქა, მადლობა უფალს, რომ არ შევეცი (შევმცდარიყავი კი მერჩია, სულა ცოდვილი!) და გითხოვე: ვიცოდი დიდებული შეოჯახე იყავი, მაგრამ, თუ ასეთი რეცხვა იცოდი, არ მეგონა. ყოჩაღ, სალომე, ყოჩაღ! რახან ასეა, ჩვენი მურხა ჩემ საცვლებს გამომიტანს და აბა, შენ იცი, რა დიდებულად გამირეცხავ!

— შენ გაგრეცხა სიკვდილმა, შე ნამუს გარეცხილო, შენ!—მწყველის იგი და იფოფრება, არაა ჩემი საშველი.

— რა გინდა, დედაკაცო, არ მომეშვები ახლა?—მივმართე საყვედურით ამდენი წყვეა-კრულვით თავმოზერებულმა.—თუ მართლა ავი და ბოროტი არა ხარ, შენ რა დაგიშავდება, მე რომ ჩემი ჭია ვავახარო?

— რატომ ის ოხერი ჭია არ შეგქამს და არ მოგინელებს!—განაჯიძობს იგი და არაა ჩემი საშველი. მე მეტი ვეღარ მოვითმინე და თუთიას შემოუბრუნდი:

რა უნდა ამ დედაშენს, ბაბა, ჩემგან? მე არ მეუბნება და შენ მაინც ჰკითხე, იქნება გითხრას რა ენაღვლება მაგას, მე რომ დრო ვავატარო. რა ვიცი, ავი ნა-ვარი, დღეს ვართ და ხვალ ვიქნებით თუ არა.

— წადი, ბაბა, წადი, დრო ატარე! დედას რას უყურებ?—მირჩევს იგი, მაგრამ ცოლი მაინც არ ისვენებს! მომდგა და მომდგა რჯულზე. ერთი რახან ამომიღო ნიშანში, საშველს არ მაძლევს.

— გაჩუმდი ახლა, დედაკაცო! მე თუ არა, ამ კუთხე მეზობელს მაინც მოერიდე.—შემოუტეე მოთმინებიდან გამოსულმა.—გეყო, რაც აქამდე პირში ჩადებულ ლუკმასავით გყავდი, ახლა, კუქში რომ გადამიშვი და ამაყარაღე, რას მემართლები, დასწყევლა ეშმაკმა და ჭინკამ შენი გამომცემელი! შენ რას მირჩევ, ძღაბო, წავიდე თუ არა!—შევეკითხე მე ახლა ჩემ საყვარელ ქალიშვილს. ის ერთი გაკაბასებული შემოტრიალდა, მაგრამ თავი დიდხანს ვერ დაიჭირა, პირზე ღიმილი მოერიდა და ისე შემომიტია.

— დაიკარგე აქედან, შე ბებერო ზანტაკო, შენ! ჩემმა თვალებმა ამ ბა-რობაზე არ დაგინახოს!

— ეჰ, ეჰ!—ამოვიოხბრე მე საწყლად, ერთხანს თავი ჩავკიდე, მერე ავიღე და ჯალაბობას გადავძახე:—შვიდობით, შვილებო, შვიდობით, სალომე! ეს ცხრა შვილი გეყოს, მეტი შენ არ შეგიძლია და ახლა მივიღივარ, სხვა უნდა მოვნახო!—და ამ სიტყვებით ჯორი შემოვატრიალე.

— აბა, მეზობლებო, მოუბრუნდი შემოჯარულ ხალხს. რას უყურებთ? ვი-საც მადა გაქვთ, წავიდეთ!

— წავიდეთ, წავიდეთ!—აყაყანდენ გლებები.

— წამოდით, წამოდით!—აღმოხდა შიშით გადაფითრებულ ხუცესს. (მას მდულარესავით ეშინია ჩემი ცოლის) და ასე, მთელი სოფელი დაიძრა ადგილი-



დან. წინ მივაჩქაჩებ ჯორს და უკანიდან მესმის როგორ მოლოცავს და მოლოცავს ჩემი ცოლი. მწყველის და ქოქოლას მაყრის ამ უკუნიანებზე დამდგარ მაყვარანცხ ბერიკაცს და როგორ ამშვიდებენ მას სოფლის დედა-კაცები.

ხალხი უკან მომყვება ფეხ-დაფეხ, მე ჯორზე ვზივარ და ვფიქრობ მოყვასის სიყვარულზე და იმ უკანასკნელ პერანგზე, რომელიც უნდა გაიხადო და მოყვასს ჩააცვა. უცრად ხუცესი ჩამომრჩა, ხალხს გაუსწორდა, ავი ძალღივით რატომღაც შეუტია, ალბათ, არ მოეწონა რომ მათ ჩვენი შერიგება კი არ უხაროდათ ისე, როგოც მისი პურ-ლეინო, მერე შემობრუნდა, ძუნძულით ისევ წამომეწია და აჭოშინებულმა გულამოვარდნით ცალი ხელი უნაგირის კოტაზე ჩამოსდო და ისე რუტუნობს თავდახრილი და მიწასთან გასწორებული:

— რავე არ გრცხვენია, ბათია რავე არ გრცხვენია? ავია, ჯიმა აჯამი, ყველა შენ რავე უნდა გადიყოლო შენი უზნეო ხასიათის გადამკიდე, პა? ყველას შენ უყვარხარ, თვალში რომ ჩაგვივარდე, ხელს ერთი არ მოვიცემთ და შენ... ფუი შენ კაცობას, გულის ხეთქის მეტს არაფერს გეიშობი!.. პაჟუ, უმადურია ყოფილხარ შენ, ჯიმა, უმადურია!.. სირცხვილი მაინც არ იცი? შე კაცო, თავს რომ ირწობდი, შენ ნამუსგარეცხილო, სირცხვილზე ხელაღებულო, მე რას მიპირობდი მერე? რა უნდა მექნა მერე მე უშენოდ, პა? მე, კაი, არ გეცოდებოდი, მარა იმ დემერის რა პასუხს აძლევდი, პა? ჰაიტ, შე ალაჯუნე, შენი რა მაცოცხლებდა ბიჭო მერე, მე უშენოდ? მიყვარხარ, შე უდემეროვ, მიყვარხარ, შე რჯულ-ძალლო, და ამიტომაც სულ რომ გეჩხუბები! მიყვარხარ შე სულძალლო, და იმიტომაც რომ გედავები, შენ კი შენი ლენჩი თავის გადამკიდე, სისულელე იფიქრე, ამდენი სიყვარული წყალში კინაღამ გადაგვიყარე და მერე ადექი შენც წყალში გადავარდი... ფუი, შენ კაცობას! მეტი არაა ჩემი მტერი, შენ კაციშვილად არ ვარგოდე! ვაიშე, ვაიშე, შე უბედურო ჩემო თავო, რავე ვიღუპებოდი!—მოსთქვამს ხუცესი, მიტეეს და მლანძღავს, რაც გაუფა, თან მეფიციება ერთგულებას, ძმობას, სიყვარულს და ეს სიყვარული მე ვარ,—მისი მოყვასი. მე ჯორით მივაჩქაჩებ და ის მომდევს ფეხდაფეხ ძუნძულით ძალღივით ენა გადმოგდებული. ქრისტესავით პერანგი გაიხადა და მე ჩამაცვა, ესეც არ მაკმარა და ზედ პერანგის ამხანაგი, ანაფორა და ჯორიც ზედ დაურთო, ყველაფერი მე დამითმო და ახლა თავისი სარჩო ლუქმაც მე უნდა მაჭამოს. იმიტომ რომ მე მოყვასი ვარ და მოყვასი მუდამ სასტიკია და დაუნდობელი. მერე მე რავენა? რა ჩემი ბრალია, თუ მას ეს სულის საცხინებლად სჭირია? თუ მართლა ასე მოხდა და ჩემი წყალობით ის მართლა ცხონდა, ეს იმდენად დიდი სარგებელია, რომ მეტიც ღირს, მაგრამ მე მეტს აღარ ვევაჭრები, მე ესეც შეყოფა საფასურად. მე თავდაბალი ვარ და მეტი არ მინდა, ამითაც კარგათ ვმაყოფილდები. რა მენაღვლება, გაიხადოს მან უკანასკნელი პერანგი, უკანასკნელი საცვალის მაგრამ, ვაი რომ ეს ასე არ არის! სამაგიეროდ ზვალ თუ ზვალამდე გვადროვა, პერანგს კი არა საკუთარ ტყავს გავვხდის და ასე გატყავებულიებს გავგიშვებს ამ სოფლად. და თქვენ, ჩემო შვილებო, მეზობლებო, მტერ-მოყვარეებო, უკან რომ ყაყანით მოდიხართ და უხვი მასპინძლობის იმედით სარტყლებს რომ უშვებთ, მოვილხინოთ, სანამ დრო გვაქვს და ეს ჩვენი მწყემ-

სიც კეთილ გუნებაზეა, სულერთია ხელ კერა დღეა, საქმე არაფერი გვაქვს და მოდი ერთი ვაჩვენოთ ამ სულძაღლ ხეცისს თუ რა მულტენა ვიციოთ ჩვენ, ამ ყრუალა ყაბახებმა და ყუბაქებმა.

და რომ მე ასე მივდიოდი ფიქრად წასული, უცერად ხუცესი გველნაკებნივით შეხტა, სახზე ფერმა გადაჰკრა, სადავეს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოსწია და ჯორი გააჩერა. მე გაოცებული თვალებით შევხედე და ვფიქრობ:

— რა წელკავი დაეტაკა ამ სულძაღლს?

ხუცესი კიდევ უფრო ახლოს მოიწია, ჯორს მკერდით მოეყრდნო, მკლავები უნაგირს შემოჰხვია, და ასე, მის მკლავებში მომწყვედულს, თვალებში შემომამსტერდა და ექვით გამწვანებული თვალეებით შემომისინინა:

— კი მარა, ამ თავს რომ ირჩობდი, ტანისამოსს რაღას იხდიდი?

მე ერთი შეგვრთი, მაგრამ ბათა არც ისეთი კაცია, რომ ასეთ ფათერაკის წინაშე ასე უცებ წახდეს, მიშინვე თავი საწყლად მოვისაგვე და ისე შევეკითხე უნიათო საყვედურით:

— კაი ახლა, საბალია, მომეშვი! თუ გინდა, ისევ თავიდან დავიწყოთ?

ხუცესი შეერთა ამ სიტყვებზე, შეშინებული უნაგირს მომწყდა, შეშფოთებულიმა ჰაერში ცალი ხელი საცოდავად აასაესავა და დაიძახა:

— არა, არა, არა!..—მერე ხელები მხრებზე მოწყვეტით ჩამოეკიდა, თავი ჩაღუნა, კისერზე მოწყვეტით აკანჩურებს და მომდევს ძუნძულით.

— არა, ბათაია, არა!.. მაპატიე, ბათა, რომ ასე ურწმუნო ვარ!.. რა ექნა, ბეჩა, რა ჩემი ბრალია, რომ არავითარი შენი ნდობა არა მაქვს? ისევ შენი ბრალია! რა იქნა, შეკაცო, რამ გაგაკვინწარა ასე, კაცი სიტყვას რომ ვერ გკადრებს და ღეთის წყალობა ღეთის რისხვად მიგაჩნია?—სჩივის იგი, ეებს, ბათაია, ბათაია!.. არაფერი ამ ქვეყანაზე მე არ მომკლავს შენს მეტი! შენ მომინელებ მე, შენ გამომასალმებ ამ წუთისოფელს და მაინც რომ მიყვარხარ, რჯულძაღლო! მიყვარხარ. და მაინც ძაღლივით არ მინდობ! ლეკი ყოფილხარ, ბიჭო, ლეკი! ეებს, კინალამ დამკალი ეს კაცი, კინალამ დანა გამომისვი ყელში და ახლა გინდ ვყოფილვარ და გინდ არა! ერთი სიკვდილი გავიარე და ახლა რაღაი! გემდური მე შენ, ბათაია, გემდური და თუ ძმა ხარ, ხმა არ გამცე! არა, შე ურჯულოვ, შენ, ეს ძირში მოსაკერო ფეხები რომ იშვირე და წყალში გადავარდი, რას ფიქრობდი, ა? თუ ჰკუა არა გაქვს, გვითხარი, შეკაცო, და გიპატრონებთ... რა უნდა მექნა მერე მე უშენოდ? რა მაცოცხლებდა? მეც ხომ თან უნდა გადმოვყოლოდი? ცოტაც მოგეთმინა, შე სულწაწმენდილო, და მოვრიგდებოდი, როგორც იქნებოდა. გულს მოვიოხებდი და მერე, სხვა რა გზა მექნებოდა,—შეგირიგდებოდი. შენ კი აღდექი და წყალში გადავარდი! ფუი, შენი კაციშვილობას!.. მიყვარხარ, უშენოდ ვერ ვძლებ და შენ თავს იხრჩობ! ფუი, შენ კაცობას! ვინ მყავს, ბიჭო, შენს მეტი? ნათესავი მე არ გამაჩნია, და ძირი. ერთი შვილი მყავს და იმის ყოლას, რომ არ მაქედეს ის შირჩენია, ფუი, დასწყველა ეშმაკმა და კინკამ შენი ასე უკულმართად გამკვდი!..—მოკაქანობს ხუცესი, თავს სიმწრით იქნევს და კაცი ვერ გაიგებს ვის ეღავება: თავის თავს, მე, თუ მთელ ქვეყანას. მე ვზივარ ჩემთვის ჯორზე არხინად, ყურს უგდებ მის

ჭაქანს და გულში ვიცინი და მომავალი ქეიფი რომ გამახსენდება მიხარია, მაგრამ ამ სიხარულს არ ვამზნევ, —მეშინია, რამე ეჭვი არ აილოს კიდევ. ამ ჭაქანში ხუცესის ეზოსაც მივალწიეთ.

წინ ახალი გოჭები შემოგვეფეთა, ამდენი ხალხის დანახვაზე, დაფრთხენ, გულგახეთქილი ღრუტუნით ხან აქეთ ეცნ ხან იქით და გასაქცევი გზა რომ ვერსად ნახეს გადირიენენ და ყველგან რომ ხალხი დახვდათ, თხრილის კიდეში ღობის ძირს მიიკუჭენენ, იცქირებიან შეშინებული ღრუტუნით და ვარდისფერ ჯღუნა ღრუნჩებს შესაქცევად აცმაცუნებენ.

— ენისა, საბაღია ეს გოჭები? — შევეკითხე ხუცესს ცნობისმოყვარეობით და თან თვალები მიბრწყინავს.

— ჩემია, ბათა, ჩემი, მაგ ოხრად დასარჩენი.. — მიპასუხებს იგი და ეტყობა განცდილი შიშისგან ჯერ კიდევ კარგა ვერ გამოორკვეულა.

— ოხრად დარჩენას რას ერჩი, შეკაცო, — ვეუბნები მე. — ბლომად კი გეყოლია, იცი! რა გიჭირს, ბიძია, უყარე უკან შამფური და ჭამე!..

ამ ლაპარაკში ხუცესმა ჭიშკარიც გააღო და მე რომ მის გაშლილ ნაბდის ოდენა ეზოში ჩაველ, ჯორიდან ძირს ჩამოვხტი და შევეკითხე:

— ჯორი სად დაეაბა, საბაღია?

ხუცესმა მიპატიყებულ ხალხს გადახედა და ეს, ამდენი ხალხი ერთად რომ დაინახა, გულგახეთქილი შემობრუნდა, ენა ერთ მტკაველზე გადმომიგდო და ასე მომადახა:

— აგერ მომაბი ენის ძირში, ბათაია; ამ ძირში მოსაქრელ ენაზე დამაბი, პირში რომ არ დაეტია, ამ უბედურობაში ჩამაგდო! რა გააძლებს ახლა ამდენ ხალხს!.. — ამოიკენესა მან და მერე სტუმრებს შესძახა:

— მობრძანდით, მობრძანდით, თქვენი ჭირიშე. და ასე სტუმრების პატიყში რომ იყო, ამ დროს წინ ხუცის ერთად ერთი თავგაპყლური შვილი, მტერი ბობია, ზმულითა და უცნაური ბურღუნით შემოგვეფეთა. სადავე მას გადავეცი, მერე ანაფორა მოვიხადე და ჯორს უნაგირზე გადავეკიდე.

კიბეზე რომ აედოდი, წინ შიშით ფერდაკარგული ფოფოღია შემოგვეგება:

— რა ამბავია, ბათა, ეს ამდენი ხალხი?

— რალა ამბავია, ჩემო ესმა, ხომ ხედავ; რომ ქმარი გადაგერია და ესაა! არ ხედავ რამდენი სტუმრები მოგიყვანა?.. — უპასუხე ფოფოღიას და კიბეზე შემობრუნებულმა სტუმრებით საესე ეზოს აღტაცებით გადავხედე.

— აბა, ბიჭებო, თქვენი ჭირიშე!.. არიქა, მიშველეთ! ვახშამი მალე, ღვინო! გამოიყვანეთ ი ბალაგარი უშობელი იმ ბაგიდან და კისერში დანა გაუყარეთ! აგერ ბიჭებო, კოკები და ე ჭურები, მოხადეთ! იმ ერთს ხელი არ ახლოთ, საზედაშოა! — ყვირის ხუცესი და გლეხები დარბიან, ტრიალებენ ამ ხელისგულის ოდენა ეზოში, ფაცურობენ, ერთი მეორეს ეტაკებიან, ვერ ეტევიან და არის ყაყანი, ვახარამაცი. ზოგი უშობლის დასაკლავ დანას ლესს კის თავზე, ზოგი ცეცხლს ანთებს საშხად სახლში, ზოგი ღოშს რეცხს, ზოგი კოკას ეძებს ღვინის ჩამოსასხმელად, ზოგი თოხს და ზოგი ორშიმას.

ფოფოღია ეს-ეს არის ახლა დაბრუნებული მამასახლისის ნათლობიდან, ქმარს გაოცებული უცქერის და უყვირს, რამ გააშლევინა ამ უკონიანგს ასე ფართოდ ხელები.

— ბათა არ მომიწყინო, ესმა, ბათა არ მომიწყინო, სტუმარი არაა მაჩვენ ოჯახში, მარა მაინც არ მომიწყინო ეხ, სადაა ჩემი წიგნი ახლა, თვარა მე ვიცოდი თქვენი შექცევა.— ყვირის ხუცესი ჭის თავიდან, სადაც სახელდახელოდ დაკლულ უშობელს ატყავებენ და მე და ფოფოღია ვმუსაიფობთ ტკბილად აივანზე.

ხალხი, რომელთაც საქმე არა აქვთ, სხედან ნიგვზის ხის ჩეროში და ყაყანობენ რალაცას მამასახლისის წუპაკობაზე და ძუძვობაზე.

ფოფოღია ზის ჩემ წინ და შაქრად დამდნარი შიამშობს თუ როგორ გადირია ეს წყეული ხუცესი მამასახლისის სუფრაზე, როცა მან მხოლოდ სალამო ეამს შეამჩნია, რომ ეს ქალაღდის ხელცახოცები არც ისე უბრალო ქალაღდისაა და, რომ იცნო, ავარდა, თურმე, დავარდა, ხეს ეცა, მიწას დაასკდა, ჯორს გაცოფებული მოახტა და ვერც მასპინძლის ხვეწნა-მუდარამ, ვერც პრისტავის სიტყვამ ვერ გასჭრა. თმებს იგლეჯდა, ბლაგილით ქვეყანა დააქცია და ასე მუქარით, წყევლა-კრულვით ჩემკენ გამოექანა, როცა მე ეს უმანკო ცხვარი ასე წყნარად ვიყავი რიონის პირად და სიცოცხლე მიხაროდა.

მე მხიარულად ვჭირქილებ, ფოფოღია კისკისებს და თვალებს ტკბილად მიბაქუნებს, მაგრამ არაფერს ვამჩნევ, იმიტომ რომ უმანკო ვარ, კრავი ვარ, კოლი მყავს და ოჯახის ადათს ფებს ვერ დაეადგამ, ასეთი ამბების შე არაფერი ვიცი და, თუ ვიცი რამე, ისიც კოლმა მასწავლა, დასწყევლა ეშმაკმა ის დღე და საათი, როცა ის ასეთ მოუცილებელ უნაგირივით დამადგეს ზურგზე! ცაში რომ ვფრინამდე და ანგელოზებთან ერთად მრავალყამიერს ვმღეროდე, კოლი რომ გამახსენდება, მაშინვე მიწაზე გაეადენ ბეყვას. ქვეიანები ყოფილან ის დალოცვილი ჩენი წინაპრები, დიდი ქვეიანები, რომ მიცვალეულ მამაკაცს ხეზე ჰკიდებდენ ხარის ტყავში გამოკრულებს და დედაკაცებს მიწას აბარებდენ, იმიტომ რომ მათი მოსვენება მიწაში თუ იქნება, თორემ ცაში რომ იფრინონ, ხომ სულ მთლად დავიღუპებოდით, მათი შიშით თავს გარეთ ვერ გამოვყოფდით და მალლა ვერ ავიხედავდით.

— ეხ, ეხ!—ვეოხრავ მწუხარედ.

— რა გაწუხებს, ბათა, რა დაგემართა?—მეკითხება ფოფოღია.

— არაფერი, ქალბატონო ესმა, იმდენი არაფერი! ამ სიბერის ხანში ნამეტანი შემეყვარდა ეს ოხერი სიცოცხლე!

— ალბათ, შეყვარებული ხარ და იმიტომ...—მეჭილიკება კოდვილი სიცილით ფოფოღია.

— ვუყვარვარ, ვუყვარვარ, მე სულწაწმენდილი, ქვეყანას ურჩენივარ იმ ჩემი კოდვით საესეს!

— ეოხრავ მე.—რატომაც არ ვეყვირები? ქვეყნის გლახაა და ვუყვარვარ, ერთ წუთს ვერ მეღევა, საცოდავი!

ჩენ ისევ ვჭირქილებთ და ვატყობ, დასწყევლა ღმერთმა ამის სახსენებელი, ვატყობ რომ ეს ფოფოღია სულში ჩამიძვრება და კოდვას თავი რომ ავარიდო, მუაჯირს გადავეყუდე და აყაყანებულ გლეხებს ვეკითხები:



— რაგაა, მეზობლებო, საქმეები?

— რა უჭირს, ბათა! ჯერ კარგათაა და დანარჩენი მერე ვნახეთ. უმეცრეები ხუბენ ისინი და მე მიხარია, რომ ჩვენ, ყველა ისე მშვიდრები ვართ, როგორც ჩვენი მამები. ფერს დაეტოვებთ ხუცის ოჯახში შეუჭმელს და დაეპტევეთ მის სახლ-კარს.

6

შუალამეს გადასული იყო, ჩვენ რომ ლხინი ცაში შევაგდეთ.

გკამდით მდევებით, ესვამდით ხარებებით, ვმღეროდით, ვხარხარობდით, ვროყინობდით ცხენებით. მე ვოხუნჯობდი, ნოსწრებულ სიტყვებსა და ხმებს აქეთ-იქით ვისროდი და ხალხი იხოცებოდა სიცილით.

ფოფოვოდა ადრე წავეიდა დასაძინებლად და ასე, ნადიმი შეგვრჩა ხელში. მარტო კაცებს. მეც ვისარგებლე შემთხვევით და კიდე უფრო აღუშვი ენას, დავიწყე საცაქო ოხუნჯობა. მერე, როცა ლხინი მთლათ ავიტანეთ ცაში და ღრეობამ ჭერი აანგრია, მე ერთ დავსკუივლე, სუფრას თავზე ქორივით გადმოვევლე, შუა დარბაზში გადმოვბტი (ამ წყეულ ხუცესს დარბაზი ეზოზე უფრო ვრცელი და დიდი ჰქონდა), იქვე კუთხეში მიყუდებულ ხუცის ყავარჯანს ხელი დავტაცე, ზედ მოვაჯექი და დავაქენებდი აქეთ-იქით, გადავირიე კაციშვილი. ხან ერთ მეზობელს მივადგებოდი საეკლესიო დრამის ფულისთვის, ხან მეორეს ვემუდარებოდი, რომ მართლმადიდებელი ეკლესია იქცევა და მიდის ტრამად, ხუცესს ჰშია, მართლმორწმუნეთა სული ილუბება და ეკლესიებს ეშმაკები ეპატრონებიან, მაგრამ მაინც არავენ იხდიდა იმ გასაპარსავე ეპისკოპოზების მიერ დაწესებულ საეკლესიო გადასახადს, ყველა ცივს უარს მიუბნებოდა. მაშინ მე მწუხარე შუა ოთახში იატაკზე გულზე ხელდაკრეფილი დავჯექი, ხუცის ყავარჯენი წინ დავიხეენე და ძველი სასულიერო ქართულათ, როგორც მეხერხებოდა ისე, გამოვიტირე განსვენებული დრამის გადასახადი, მერე, როცა ტირილი გავათავე, ფეხზე წამოვიჭერ და დავსკუივლე:

— არაფერია, მეზობელო, რა უჭირს მერე! დაეპატრონონ იმ ჩვენ ეკლესიას ის ეშმაკები. ანგელოსები ხომ ენახეთ რაც შვილი არიან, ათას წელიწადზე მეტია, რაც ისინი გვკამენ, გვკამენ კიდევა და თან ცხოვებას გვპირდებიან, მაგრამ დაპირება სულ მუდამ ავიწყდებათ და ჩვენ ცხოვრებას საშველი არ დაადგა. რა ჰქნან, საწყლებმა, იმათ ბრალია, რომ ისინი ასე გულმავიწყნი არიან და საკუთარი სულის ცხონების მეტი არაფერი ახსოვთ. მოდით ახლა, მეზობლებო, და ეს ეშმაკებიც რა ხალხია, მაგრამ ერთს მაინც სულით და გულით გირჩევთ, იმიტომ რომ თქვენთვის გული შემტკივა და კარგი მინდა. ეშმაკებს ეპისკოპოსი სპირდებათ და არჩვენის დროს გთხოვთ მხედველობაში მე მიყოლიოთ, ამ საჭმისათვის ჩემზე შესაფერ კაცს, მთელი ქვეყანა რომ მოიაროთ, ვერსად იშვოვით. ხალხი იციან, მე ისევე ჩემ ადგილას ვჯდები და ეშმაკების სადღეგრძელოს სავსებით ვსვამ.

ეს იმ დროს მოხდა, როცა სუფრაზე ზორავი შემოაკლდა. ხუცესი თხის დაკვლას დაგვიპირდა და აგრე, საცაა, თენდება და არც თხა და არც მასპინძელი არ სჩანდა: ჩვენც მაინც არ მოვიწყინეთ. გახრულ ძელებს ხელახლად მოუბრუნდით და ისევ გაეხარით. ლეინო წვიმასავით მოდიოდა და სხვა რა გვინდოდა? საცა ლეინოა, იქ ლხინიც ხეავდება.

— აბა მეზობლებო, ნუ მოიწყენთ, თუ ლხინია ლხინი იყოს—არ ვისვენებ მე—ერთი კაი ჩაგუნა, ბიჭებო! აბა ჩაგუნა:—და ახალგაზრდებზე დასძახეს ჩაგუნა და მეც დაუარე ჩემებურად, დაეტრიალდი ამ დარბაზში, ესევეა, ადრინთა და სისულელით შეზარხოშებული.

— ჰე, ბათა ჰე!—მაქვებუნ მთვრალი გლეხები და მე უეცრად ხუცესთა მინდოდა ცეკვა, ერთი მისი ჩამოვლა მომენატრა.

— ხუცესი სადაა, მამა საბა-სტრატოლატე რა მექნა? მამაო!.. მამაო!..— ვბღაოვდი მე, მაგრამ ხუცესი არსად იყო, მაშინ ჩვენ ბიჭები გავგზავნეთ მის მოსაყვანად, მაგრამ ვერაფრით იპოვეს, ნიორწყალი გადაესხა მის ნაკვალევს.

— დასწყველა ეშმაკმა და ჭინკამ მისი ცამეტი კაკალი წვერი და ბალანი, რათ გეინდა!.. თუ მისი ანაფორის ფართხუნს არ უფურეთ, დროს ვერ გავატარებთ თუ? აბა, ბიჭებო!—ვიყვირე და ისევ სუფრის თავს მოვექციე.

მართლაც და რა ეშმაკად გვინდოდა ხუცესი, როცა ლვინო ჯერ კიდევ ბლომად იყო. ჩვენც მოვდექით და ახლა მესამედ გავხარით იმ საცოდავი უშობლის ძვლები. ჩვენ ვლრეობდით და, კი არ ვიცინოდით, ვროყინობდით ვაყა ცხენებვით, ავიკელით, ავიღეთ და თავზე წამოვიცვით ხუცის სახლ-კარი.

გათენების ხანს ხუცესიც გამოჩნდა, ველირსეთ როგორც იქნა, მის ნახვას. სტუმრები მზიარული სხრიალით შეეგება მის ასე ქრისტესავით უეცარი გამოცხადებას.

— საჭმელი მოგვიტანე, ხუცესო, საჭმელი, თვარა ისე ვართ დამშეული, რომ შენ შეგკამთ! სად ხარ ამდენ ხანს, შე გასაპარსავო, შენ ნახვას რომ ვერ ველირსეთ?—შეუტიე მე ხუცესს. მან ერთი ეშმაკურად შემომხედა, აცრიატებულ თვალეებით პირში შემომცინა და ისე გადმომძახა:

— ახლავე, ბათა, შენი ჭირიმე, ახლავე! თხას ვაწვევინებდი და იმაზე შემეგვიანდა!..—მერე კათბაში ლვინო დაისხა და აბრაგულად დასტეკა:

— ჩემო ძვირფასო და საყვარელო სტუმრებო, სმენა იყოს და გავგონება! და როცა ხალხი გაუჭდა, დაიძახა:—გაუმარჯოს ჩვენ ბათას!

— გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს!..—ყვირიან გლეხები და მე ისე, როგორც ეს საპატო სტუმარს შეშვენის, ფეხზე მოწიწებით ვღგები და ყველას თავს მდაბლად უკრავ, მაგრამ, დასწყველა ეშმაკმა და ჭინკამ ამ ხუცის სახსენებელი, რა უნდა თვალეებში ასე რომ მომჩერებია და მაცდურად მიცინის? რა მომიხერხა ასეთი, რომ უზარია თავს ვერ იჭერს?—ვფიქრობ მე და ლვინით გაეთიენებული ტვინი არ შემორჩილებს, ვერავითარი განაჩენი ვერ გამომატქს და ამაო ფიქრს თავს ვანებებ.

— იცოცხლე, ბათა! გაგიმარჯოს!—შეძახიან მეზობლები და მეც თავმომწონედ მადლობას უხდი ყველას, მიხარია და ლვინით გაღეშილი ვქირქ-ლებ ტკბილად, და რომ მკითხოთ რა მაქირქილებს, ვერ გეტყვით. აბა რა ვიცი, რათ უზარია ჭინკას, როცა ლმერთს სძინავს? მეც ახლა ამ ჭინკასავით ვარ და ვიცინი, ვქირქილებ ჩემთვის გულიანად.

— საბალია, საბალია! აქამდი ვმალავდი და ახლა, რომ მომწივდა, ზრდილობა დავკარგე და უნდა გითხრა, რომ ამ შენმა სიყმის შევიღმა ბოზიამ ერთი იმისთანა კურტუმი ამაცალა საინზე, ცეკვის დროს, რომ ახლაც კურცხალი მდის

თვალეში მის გახსენებაზე! — ვეძახი მე ხუცესს გადაკრულად, მაგრამ ის წყნელი, ვითომ ვერ ხელებს, ისე მიპასუხებს საყვედურით:

— რატომ მაშინ არ თქვი, შეკაცო? ვაგლახავდი.

— მაშინ საქმელი არ მაკლდა და არ ვაეცხადე, ახლა გამახსენდა, როცა მომშვიდა.

— ახლავე, ბათა, შენი ჭირიშე, ახლავე! სიმშლით არ მომიკვდეთ, სტუმრებო, ერთი ისეთი თხა დაგიკალით, რომ თხაჭურობის დღესასწაულზე ვერ გაიმეტებდა ოჯახის კაცი, მაგრამ თქვენზე უკეთესი ვინ მომივა, ავლეკი და შეც ვაეიმეტე.

ეს ხუცის ერთადერთი სიყმის შვილი ბობია ერთი ელეშუტე რამ იყო დალოცული. ოცდაორი წელიწადი შეურსულდა და ენას მაინც ვერ იღვამდა. ერთადერთი სიტყვა, რის თქმაც მას შეეძლო, ეს „ბობე“ იყო. თუ კედელთან იდგა, მაშინვე კუდაბჯაჭონივით აქანქალდებოდა, უკანალს კედელზე შეურჩებლად სცემდა, და თახ თავგაბრტყელებული და უტენო, ყოვლად გამოთაყვანებული თვალებით იტყირებოდა. მეც დროს არ ვკარგავდი და ყოველ მოხერხებულ და მოუხერხებელ დროს ვეხუმრებოდი მამამისს:

— ჩემო საბა, შენ რომ ჭკუა გქონდეს, ასეთი შვილის გადამკიდე, ის კი არ უნდა სცემდეს უკანალს იმ კედელზე, შენ უნდა ურახუნებდე თავს დილიდან საღამომდე და მოსთქვამდე: „რა შვილი მყავს, რა ოქროს კაკალი შვილიო!“ შენ რომ ასე არ იტყევი, ისევ ის ურტყამს კედელს, თავს კი არა, უკანალს, რადგან სულელია, საწყალი და არ იცის, უკანალი თავი ჰგონია.

თუ უკან კედელი არ ეგულებოდა, მაშინ იდგა გაშტერებული ვაჭირზე გამდგარ ჯორივით უძრავად და, თუ სუნთქავდა, იმასაც ვერ შეატყობდა კაცი ახლაც ასე იდგა ეს ჭკუა-ჭურთხეული აქ, უკანალს კედელზე სცემდა და გლებები ცხვირში ხახვის ფურცელს უყრიდნენ, ბობია ცხვირს აცემინებდა, ფრუტუნებდა და საყწალი ბიჭი აღშფოთებული იძახდა:

— ბობე!.. ბობე!..

ხალხი ხარხარებდა და კიდევ უფრო გრძელ ფურცელს უყრიდნენ ცხვირში და მართლაც საოცარი იყო სად მიდიოდა ეს ამსიგრძე ფურცელი.

ბოლოს ეს თავის შესაქცევიც მოგვებურდა და, ხუცესმა შეატყო თუარა, რომ სტუმრებმა მოიწყინეს, აყაყანდა:

— ახლავე, ჩემო ძვირფასო სტუმრებო, ახლავე! ჰაიტ, ბათაია, შეგირცხვა კაცობა, რას ჰგავს ეს, რას მოგიწყინიათ? იმხიარულეთ, დრო ატარეთ და მე ახლავე აქ გავჩნდები! — და ამ სიტყვებით ის გარეთ გაეარდა. მართლაც, არ გასულა დიდი ხანი და ხუცესმა ხონჩაზე დადებული მთლიანი შემწვარი თხა შემოგვიტანა და სუფრაზე მოგვართვა.

— აბა, ჭებო, შეილებო, სტუმრებო! მიირთვით, გენაცვალე, მიირთვით და დაგვიანებისათვის ნუ დამძრახამთ!

— ააა!.. — აყაყანდნენ სტუმრები ხალისიანად და ყველამ დანები მოიპარჯვა.

— ჩვენ, ჩემო საბალია, ვც ხორცი მოგვართვი და სული ეშმაქსაც წაულია! რის მაწინსია, არ ვიცი! იმათ უყვართ მაგნაირი საქონელი და მათვე ჰქონდით! გული ჩვენ რად გვინდა? ძვალი არა აქვს და რბილი! ჩვენ სულს შემწვარი თხა

გვიჩვენია!—ვეზმრები მე ხუცესს, ანთებული თვალებით უკვე ხონით მო-  
რთმულ შემწვარ თხასა და საწებელს და ვტკბები მისი სუნით.  
— რაც მართალია, მართალია, ხუცესო, და კაი დღეღამეა ჩვენი კი-  
გაქვს! აღმომადა მე ალტაცებისაგან.

საბამ, როგორც წესია, ამ ქებაზე ცოტა დაირცხვინა, წვერებზე ხელი  
ჩამოისვა და ისე მიპასუხა:

— თუ რამე საიასალო გამაჩნია ჩემო, ბათა, ისევ შენთვის მინდა, სხვა  
ვინ მყავს შენზე უკეთესი?

მე ყურადღებას არ ვაქცევ მის თაღლით სიტყვებს. ხონა შუა სუფრაში ჩა-  
ვდგი, ხელები განიერად გავშალე და სტუმრებს შევძახე:

— ა, თქვენ ეს თხაც! გვშია, გვშიაო, რომ დამიჩემეთ, ქემეთ და რა-  
ცბა ბალიკარტი გამოგებმებათ არ ვნახავ!—და თან ყაბა დანით თხას ხორცს  
ვათლი.

იმით დიდათ არ დააყოვნეს და წამოესივნენ სვავებივით.

— მიირთვი, ჩემო ბათა, მიირთვი ჩვენი ქონება ვინ გაპყო? ისე მიიღე, ჩე-  
მო ბათა, ეს თხა, ვითომ შენია და, აბა შენ იცი, როგორ გაუმასპინძლები  
სტუმრებს!—მეუბნება ხუცესი და ეს წვერცამეტა ისე შემომცინის თვალბში,  
რომ გულმა რეჩხი მიყო.

— რა იმამაძაღლე, შე სულკატანო, ასეთი, რომ თვალბში ძახილივით  
შემომციკინებ?—ვეკითხები ხუცესს. მან ხელები ჰაერში ისეთის სათნობით  
აასავსავა და ისე ერთგულად მარწმუნებს თავის უბრალოებაში, რომ მე ეკვებმა  
კიდევ უფრო დამიწყო ჩხელტა გულში.

— არაფერი, ჩემო ბათა, არაფერი!.. რა დაგემართა, შეკაცო, მთელი დღე  
მიზეზზე რომ ხარ? რა უკულმართ გვერღზე ადგი ამ დილით. წყალი აქ არა  
მაქვს დაა ღვინო და გადავარდი, თუ გინდა შიგ თავის დასახარობად!—მისაყვე-  
დურებს ხუცესი თავმოსაწყლებული და, რომ ვერაფერში გამოვტებე, ჩამოვე-  
ხსენი.

სად მაქვს მე ახლა ამ გადამთვრალ ყაძახს იმის თავი, რომ ხუცესის კვი-  
მატი და მარცხიანი საქმეები ვიძიო.

— მაშ, ძებო, შეიღებო, მეზობლებო!—ავყვირდი კიდევ უფრო.—გაუ-  
მარჯოს ამ თხას და მის მალღს!

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!—ახრილდენ ისინი და თან ყბებს ერთგულად  
ამუშავენ.

— გაუმარჯოს ამ თხის პატრონს!—უმატებ მე.

— გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს!..—გუგუნებენ გლეხები.

— გაუმარჯოს ბათას!—ყვირის ხუცესი და მხარში ხელს სიყვარულით  
მცემს.

— გაუმარჯოს!—არის რიანცი გლეხების.

— შე რა შუაში ვარ, შე ძახთაპირო?—შეუტრე მე ხუცესს.

— ისე, ჩემო ბათა, მიყვარხარ და იმიტომ!—ჩამიცინა მან.—რავა, ამ ჩემ  
ოჯახში სადღეგრძელოსაც მიშლი, თუ რავაა შენი საქმე?—შემომიტია მან. მეც  
წაუყრუე და ვფიქრობ ჩემთვის:



— რა მიჭნა ასეთი ამ სულძაღლმა, რომ ვერ მიმხედარავარ? — მაგრამ ვერაფერ დასკენას ვერ დაგადეჭი. ეს თავიც ღვინით თანდათან შემძვრდა და ამაო ფიქრს თავს ვანებებ. საერთოდ არ მიყვარს მიუწვდომელ სწვენებზე ფიქრი და ახლა, ამ მთვრალ კუთხეზე, ეს ჩემთვის მიუწვდომელი საგანი იყო... ეპიკები რომ გადავირეკე, უზარმაზარ სუფრას თვალი გადავაგლე და ერთხანს უტკერი ამ ხალხს სიყვარულით. აბა, ერთი თქვენ თითონ მითხარით, როგორ არ უნდა მიყვარდეს ეს მონადირენი, როცა ისინი ჩემი სისხლი და ხორცი არიან. მეც ძალიან მიხარია რომ მაღიანად სჭამენ, ხარბად სეამენ და, სიყვარულად დაზნარი, მივმართავ:

— ილხინეთ, ჯიმაღლეფი, დრო ატარეთ, იშხიარულეთ, არ მოიწყინოთ! ეს ხორავი, რომ ხედავთ, ჩვენი მარჯვენაა, ეს ღვინო, ჩვენი ოფლია! ილხინეთ, გენაცვალეთ, ილხინეთ და ხვალეს, სულერთია, ვერაფერ წაგვართმევს! ის ჩვენი დღე იქნება და ვერაფერ შეგვედავება და, თუ ვინმე შეგვედავა, ვაი იმისი შავი დღის გათენებას!.. პაპაიტ, მარჯაპ, გაუმარჯოს ჩვენ ფესვსა და ჯილაგს!..

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!.. — ახრიალდენ ისინი.

— როცა მე ჩვენი ფესვისა და ჯილაგის სადღეგრძელო დავლიე, ხუცესს მხარში ხელს ვარტყამ და პირმოთნეთ ისევ უმეორებ, რომ მასპინძლობაში კიდევ უფრო წავაქვხო:

— რაც მართალია, მართალია, ჩემო საბა, და კაი დიღღვამიანი ოჯახი გაქვს, ხვავი და ბარაქა ნუ მოხაკლოს მამაზეციერმა.

— ჩემი ხვავი და ბარაქა შენი სიყვარულია, ჩემო ბათა! ჩემ ოჯახში მოსულა რომ არ გერიდება იმიტომ მიყვარხარ. ჩემი ოჯახის დოვლათი შენი სიხაბულია! არ უნდა ჩამომრჩეს პირმოთნობაში და ფეხქვეშ ფიანდახად მეფინება.

მერე, თვალეფი რომ ერთი-მეორეს გაუსწორეთ, მივხედით თუ რა შეიღებოდა ვართ. ბოლოს ვერ მოითმინა, მუცელში ხელი წამიჭირჩიმალა და ორივემ ქირქილი დაეიწყეთ. ვიცინოდით ჩვენ, ეს ორი კვიმატი კაცი, და მე მჯერა, რომ ჩვენი ამ გზებზე კისერმოუტეხავად სიარულის გამო ეშმაკებს შურით თავზე რქები ატყდებოდათ.

— წყეული კაცი ხარ შენ, ბათა, დიდი წყეული რამე ხარ, იცოდე!.. — მეუბნება იგი და მხარში ხელს დაყვავებით მარტყამს.

— რა ვიცი, ჩემო საბალია, თუ რამე ვისწავლე, შენ იყავ ჩემი მოძღვარი და სულის ჭირისუფალი.

— არა, ჩემო ბათა, მართალია, წყეული კაცი ვარ, მარა შენ ნამეტანი ხარ! ეს ოხერი! ასეც არ იქნება, შეკაცო! — მედავება იგი ოღნავი საყვედურით.

— არც შენ ხარ ჩემზე ნაკლები, ჩემო საბალია! ეს ოხერი, ერთი ფიორი კუა არ გაქვს მაგ თავში და ამ ეშმაკობას რით ახერხებ რომ ვერ გამიგია!

ასე ვატარეთ ჩვენ დრო გათენებამდე. როცა ინათა, მე ყოვლად წმინდა ხეთიშობლის სადღეგრძელო დავლიე და, ჭიჭა რომ ძირამდე დავიყვანე, სიამონებებით აღმომხდა:

— ამა-პაია! და წვევრზე ხელი კმაყოფილებით ჩამოვისვი.

მერე მასპინძელს მაღლობა გადაუხადეთ და ყაყანი, სიმღერით ხუცის ეზოდან გადმოვიდით და ღვინით გადაბრანბულეფი ერთი მეორეს სიყვარულსა და კუბოს კარამდე მიტანილ ერთგულებას ვეფიცებოდით.



— არა, ჩემო ბათია, შენ რაეც გინდა ისე თქვი და დიდებული პატივი კი გეცა იმ ხუცესმა!—ამეკვიტა შავი ქირივით ეს ცალთვალე ყველაწი საბინჯაია და საშველს არ მიძლევს. კისერზე ხელი შემომხევა და ქარსმეშვება. ამ უბედურს, როგორც თვალი აქვს ცალი, მოსახრებითაც ისევე ცალადაა დარჩენილი და ვერაფრით ვერ მიუახვედრე რომ ახლა მასთან ლაპარაკის თავი არა მაქვს. შე ჩემ თავს ძლივს მივათრევე ცოდვის დღესავით, ისე ვარ ღვინით გაბანდალებული და ახლაც ესეც ზედ ამეკიდა ცოდვის დღესავით.

— დიდებული, ჩემო ყაფლანა, რაც შეიძლება დიდებული პატივი გეცა!—უმოწმებ მეც და იმ გასაპარსავი ხუცესის ორპოფული ქირქილი და თვალებში ციციკინი რომ გამახსენდება, მოსვენება მეკარგება. ჭკუას, რაც შემიძლია, ძალას ვატან, მინდა მოვისაზრო რა საეშმაკო საქმე მომიწყო ამაღამ იმ სულწაწყმედოილმა, მაგრამ ვერაფერ დასკვნას დაეადექი. ჭკუა, რაც მქონდა, ყველა ღვინომ გამომილია და ასე მივდივარ ცოლ-შვილში ლაღად, თავისუფლად და ჭკუამსუბუქად.

— ის თხა მაინც რა დიდებული იყო, ბათა, ა? ან სად გააასუქა ასე? დიდებული ყაძახია, ნამდვილ დიდებული, ეს ჩვენი ხუცესი!—არა აქვს საშველი მის ალტაცების გათავებას და მე ერთი სული მაქვს, სანამ მოვიცილებდე, მინდა მარტო დავრჩე ერთხანს და იმ ხუცის კვიმატი საქმე ბოლომდე მოვიფიქრო, მაგრამ რომ არ იქნა, ამეკიდა ქირივით ეს კაცი და ვერაფრით მოვიცილე!

— დიდებული, დიდებული ყაძახია, ჩემო ყაფლანა!—ვემოწმები მეც შეგვიანებით.

— ძანიალი ყაძახია, ძანიალი ყაძახი, ა? ხუცესი კი არა აბრაგია, ნამდვილი აბრაგი და ღვთის პირიდან გადავარდნილი! ხუცობა მაგას ვინ მისცა? ეგ ტყეში უნდა იყოს და ფოსტას ცარცეავდეს.—რუტუნობს ეს სახლკარ ამოსაწყვეტი და მოჩახუნობს მთვრალი ბანდალით.

ამ ლაპარაკში, როგორც იქნა, ჩემ ეზოსაც მიუახლოვდით. გზაში სიომ დამკრა და ღვინო ისე მომეკიდა, რომ ფეხზე ველარ ვჩერდები. ქიშკარი შევალე თუ არა, ალტაცებით ერთ ადგილას გავჩერდი. ჩემ ეზოს, ფაცხას, მოგდულას, ნალიას და სათხებოს თვალი რომ გადავავლე, ცალი ხელი მაღლა ავსწიე, მეორე ძირს მქონდა დაშვებული და დაესკუოლე:

— ეფეფუ, ჩემო სახლკარო!—მაგრამ ყვირილზე რატომღაც არაფერ მეხმაურება. ფაცხის ღია კარებში მოსჩანს როგორ მხიარულად ტყაცუნობს კერიაში ცეცხლი და თვალები მებლიტება. გამიკვირდა.

— რაშია საქმე, სად დაიკარგა ეს ამოდენა ხალხი კვირა დილას?—გკვირობ მე.

ძახილზე საიდანღაც ჩემი ძალი გამოვარდა მხოლოდ და გახარებული კუდის ქიციანით ზედ რომ შემომახტა, ვერ გაუძელ, ფეხი წყალში დამიკურდა, წაფტორტმანდი და მხოლოდ ახლა მივხვდი, თუ რათ მქონდა მეორე ხელი ძირს დაშვებული.

— სად ჯანდაბაში დაიკარგა ეს ხალხი? თუ ჩემ ეზოში არ ვარ?—ვიფიქრე მე და თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებ.

ამ ოხერ თავეზე ცეცხლი მედება და ვატყობ, თუ წყალი არ გადავიხვევდი ვიწვი, ტვინი, რაც მაქვს, ისიც ვამიშრება.

— წყალი!.. წყალი დამასხით თავეზე, თვარა გადავირიე კაციშვილი და ესაა!—ვეყვირი მე, მაგრამ კაცის მურუჭი არსად სჩანს ამ მიდამოზე. მაშინ მე პირდაპირ ქისკენ ვავემართე ბარბაცით, როგორც იქნა, ოწინარით წყალი ამოვწიე და თავეზე გადავიხსი. წამოსულა რომ ვაგაპირე, თავეზე გადანასხამ წყალში ფეხი დამიკურდა და მიწაზე ქლვერთა მოვადინე.

— არაფერია! მიწა ვარ და მიწას ვეცემი!—ვანუგეშებ ჩემ თავს და გადავწვიტე რომ არ ღირს აღგომა. განა, სულ ერთი არ არის იქაც ხომ უნდა დევწვე, საცა მივალ? ასე ვწევარ მე მიწაზე და შევსკტერი ამ ცას და ვხედავ რომ ცის სილურჯეში ჩემი ცის ოწონარი ქინძისთავივით გაყრილა და ეს ქინძისთავი გრძელდება, გრძელდება და, დასწყევლოს ეშმაკმა მისი გამკეთებელი, ზგონია ცაში მიღის. ღმერთს თუ დასკირდა საკუთარ ჭისთვის, რატომ არ მი-თხრა, ასე დაუკითხავად როგორ შიამქვს, კაცმა რომ სთქვას? ესეც რომ არ იყოს, განა სხვა ოწონარი არ არის, რაღა ჩემთვის მოიცალა, იმ დალოცვილმა?

— წყალი!.. წყალი დამასხით, თვარა დავიწვი კაციშვილი, მომეხმარეთ!—ვეყვირი მე, მაგრამ მერე ვიანგარიშე:—ეს ერთი ოწონარი მქონდა და ისიც ღმერთმა წაიღო. რა ვქნა მე ახლა? რით ამოვიღო ეს წყალი?—და ამ ინგარიშში რომ ვარ, ეს მამალი მგლის შესაკუმელი ეეგერია მლოკავს ღვინით გაუწმინდურებულ პირს და მე იმის თავიც არა მაქვს, ძალლი მოვიგერიო.

— მომცილდი, შე წუპაკო!—უტევე ძალს უნიათოდ,—მომცილდი, შე ოხერო, შენ მოუკვდი შენ პატრონს! პირს რომ მლოკავ დათვრები შე უპატრონოვ, დაილუპები, გალოთდები!—ვარიგებ პირძალსს, მაგრამ ის ყურსაც არ მავდებს, მაინც მლოკავს ამ პირს და ოდნავ ამოძუებულ კუდს ალერსიანად აქიციენებს.

— წყალი, წყალი!—ვბღავი, ცას შეჩერებული და უეცრად საიდანღაც, ალბათ, ციდან, მომესმა ჩემი ანგელოზი მეუღლის ძვირფასი ხმა. ეს თქვენ ტყუილა გგონიათ, რომ ის კაპასობს. არა, არა, თქვენ არ მომიკვდეთ! ეს ოხანას ვალოხას იგი ცად აფრენილი ამ უთენია დილაზე და ასე ქება-დიდებას გალობით მოფრინავს ჩემსკენ და შიამქვს ჩემთან ზეთის ხის ტოტი ნიშნად მშვილობიანობისა.

— წყალი კი არა, თავსლაფი დაგესხა მაგ თავეზე, არაფრის მაქნისი შენ არ იყო! არ ვნახე მაგ მიწაზე ცოცხლად ამდგარი, მაგ მიწაზე გხახე სასიკვდილად გადასარსალებული! სად ხარ, სად, შე წყეულო ამდენ ხანს? მთელი ღამე სად დაწანწალობ? წუხელის ოჯახი დაგეკცა და შენ ხუცესთან ილეშებოდი!

— სალომე, ჩემო სჯულიერო მეუღლე!—ვბუტბუტებ მე.—ჩემო საყვარელო ზრედო. რას ღუღუნებ ასე ტკბილად? რა მოხდა, შექალო, არ მეტყვი?—ენას ღვივს ვაბრუნებ და ვხედავ, პაუ!—ეს ცად აშვერილი ქის ოწინარი მთლად წვიდა ცაში და თვალს მიეფარა.

— ახლავე ზევით აღეჭი და სახლში წამოეთრიე, შე ელეშუტე, შენ! შენ არ გაყენა მაქედან ცოცხალი დედა ხეთიშობელმა!—მლოკავს და მლოკავს რაც გაეწუბა, ჩემი მეუღლე.

— მომეში, დედაკაცო! მომეში, შე ცოდვილო ევა! ჰაი, შე ჩემო/ ცოდ-  
ვით საესე, შენ რომ არ ყოფილიყავი, მე ახლა ისევ ეღმში ვიქნებოდი  
ბოსტანში გასასუქებლად ჩაშვებულ მუტრუკით. ჰაი, შენ მისურბელო,  
შენ, მიმიხედი რომ ბრიყვი მუტრუკი ვიყავი და შემაკდინე ვრა! ვა! მომეში  
და ძალაზე შემაქამე ეგ შენი ვაშლი! არ დაგიმალავ, ჩემო სალომე, დასამალავი  
რა მაქვს, ოჯო, და ძალიან ტკბილი კი იყო ის ვაშლი, გემრიელი. რა უყოთ  
მერე ცოტა ვადამწიფებელი რომ იყო, მაინც გემრიელი იყო, მაგრამ ერთს  
მაინც არ ვიმაღლი, სალომე, ახლა, რომ ძირი გაიმწარე, იმას არ ვიმაღლი,  
დედაკაცო!

— ადექი, შე ენაგატლეკილო, ახლავე ზემოთ ადექი, და ენა მუცელში  
ჩაიგდე, თვარა, ძირში ამოგთხარე და ესაა!.. წუხელის ოჯახი გვექცოდა და  
შენ ხუცესთან დროს ატარებდი, ფუი შენ კაცობას!

— დამაცადე, დედაკაცო, დამაცადე! რა იქნა, შექალო, ასეთი უსაშველო?  
ერთი სული მეც მომათქმევიე. რაა, ოჯო, სულ რომ ქოთანით თუხთუხებ, ადრე  
დაბერდები და არ ვარგა. მერე ბერი ცოლი მე რათ მინდა? თავს მოუარე დე-  
დაკაცო, თავს მოუარე, თვარა ხომ იცი, ის რუსის დედაკაცი კიდევ ცოცხალია,  
ავდგები და წავალ, ოღონდ ახლა ნუ ამაყენებ, ცოტა მომასვენე და მერე წა-  
ვალ, რა გეჩქარება, შექალო, ვინც იჩქარა, ხომ იცი, საით წავიდა? არ გაგი-  
გონია? აჩქარებით სოფელი არავის მოუჭამია. ჩვენც ნელა ვჭამოთ, შე დალო-  
ცვილო, ნელა შევექცეთ, რა გვეჩქარება! კიდევ კი არ მოგვიტანენ ამ დალო-  
ცვილ მიწას საჭმელად. პირიქით, მერე ჩვენ თავს მიირთმევენ შესაჭმელად და  
გვეტყვიან მიწა ხარ და მიწად იქტეციო! სულელი ხარ შენ, დედაკაცო, სულელი!  
მე რომ არ გაავდე, რა გეშველება? ეებ, დაილოცა განგება! ნეტავი, მართლა  
არ გაავდე, რას შეგკუნტრუშდებოდი!—ვლაპარაკობ მე და ამ ლაპარაკში ყოველ  
მოხერხებულ და შესაფერ ალაგას ჩემი ცოლი თავის სიტყვებსაც უმატებს. მწა-  
რეა ეს სიტყვები, მაგრამ რას იზამ, მაშ რა ჭნას საწყალმა, როგორც შეუძლია,  
ისე მეხმარება, და ასე ჩვენ, ორივე ცოლქმარი, ვვალობთ ამ უთენიაზე დილის  
დიდებას, მართალია სხვადასხვა ხმით, მაგრამ მაინც ვვალობთ. უკეთ ჩვენ არ  
გვეხერხება და რა ვქნათ?

— ადექი შეთქი, შენ არ ავაყენა ჩემმა გამჩინმა! ადექი, არ გაცივდე ამ  
სოველ მიწაზე!..—მწყველის ცოლი და ჩემ დაბნედილ ტყინამდე მხოლოდ ახლა  
მოაწია შეგნებამ, რომ წუხელ ოჯახში რალაც მარცხი მომხდარა.

— არა, სალომე, ვერ ავდგები, თუ ღმერთი გწამს. ნუ მამარყვებ. კაცი  
მთვრალი ვარ, ვწევარ და გინდა ამაყენო? აა-პა-პა-პა, ვერ ავდგები, სალომე,  
აა-ტაი-ტაი-ტაი! დედაკაცო, შენ ჯერ ერთი ეს მითხარი, რა მოხდა წუხელ ჩემ  
სახემწიფოში? ვინმე წუწკი ხომ არ მოგეპარა, ჩემო მზეთუნახავო და არ და-  
ზაფრე?

— მომიკვდი!.. მომიკვდი!.. მომიკვდი!..—წააწყო ზედიზედ.

— გავიგე, — მოგიკვდი, მერე? რაა, შექალო, სულ ერთსა და იმავეს რომ  
ჩამჩინებ! მოგიკვდი, მერე რა მოხდა კიდევ წუხელ მაგის გარდა?

— რაი და თხა მოგეპარა ვინცხამ, თხაი!—მომახალა მეხივით და ეს სი-  
ტყვები ფინთხივით მომხვდა გულში, ელდნაქრავივით ფეხზე წამოვიტერ და  
უკებ, თვალის დახამამებაში, გამოვფხიზლდი.

— რაი, დედაკაცო?

— რაი და თხა მოგვპარა ვინცხამ წუხელ!

— რომელი, დედაკაცო?

— რომელი და თხაჭურობისთვის რომ გგქონდა აღთქმული, ის!

— რაი, რაი, დედაკაცო?— ვეითხები მე კიდევ ერთხელ, ყურებს არ უჯე-  
რი და კარგად რომ შევისმინო გვიმს მივეყუდე.

— რაი და თხაი, შე ხეთის პირიდან გადავარდნილო, შე მართლა თხაო  
და კვიმატო!— მიტევს იგი და ვხედავ რომ ეს ქვეყანა ისევ თავის რიგზეა და-  
ლაგებული. არც ეს ოწინარია ცაში მახათივით გაყრილი და მეც ისე ვარ, თი-  
თქოს წვეთიც არ დამეღიოს.

— ავაი, ჯიმა ღურგილი! ხედავ, ის თათარი ჩემ ტომარს თავის ჩულს  
ეძახდა და მე სულელმა მართლა დავიჯერე, მართლა მისი ტომარი მეგონა!—  
აღმომხდა მე და მხოლოდ ახლა მივხვდი თუ რათ მიღიმოდა მთელი ღამე ასე  
ტკბილად ის მღულარეში გასაპუტავი ხუცესი. ჩემი რომ იყო, თურმე, იმიტომ იყო  
ასე გემრიელი ის თხის ხორცი... ეეხ, თხაო, თხაო!.. რა უყოთ მერე, რაც დაე-  
კარგე, დავკარგე, მაგრამ სირცხვილით თვალი სად გაეამხილო, რო იმ სულწაწ-  
ყმედელმა ჩემი თხით მაქეიფა და დრო მატარებინა? ამიტომ სჯობს ისევ ჩუმიად  
ვიყო. და მე ისე გამოვფხიზლდი, თითქოს წვეთი ღვინოც არ დამეღიოს, თავს  
მწარეთ ვაკანწურებ და ვამბობ:— თხა თხად დამეკარგა და ამოდენა ნასევამი ღვი-  
ნოც ამ ოხერ თავში ასე უცებ გამოიმინელდა!.. ეეხ, ეეხ!.. ვითომ ერთი ზარა-  
ლი არ მეყოფოდა!

— არაფერია, დედაკაცო, რა უყოთ მერე? ვანუგეშებ ჩემ ცოლს.— ჩვენ  
კარგათ ვიყოთ და კიდევ ბევრს გავზრდით! ყულში დანა არ გამომისვა, არსად  
გაამხილო, თეარა ქვეყნის სირცხვილში ვერ ამოვალ.— ვარიგებ ცოლს, მაგრამ  
ზინც არ ისვენებს, იწყევლება, იკრულება და თუ ასე იყიანა, ვიცი ქვეყანას  
შემიყრის.— გაჩუმიდი მეთქი, დედაკაცო, ხმა არ გაიღო!— შეუტეე, მაგრამ რომ  
არაფერი გამივიდა, ხელი ჩავიჭნიე და ფაცხისაკენ ღალინით გავეშურე:

მოდე ენაზოთ თხაო,

რამ შევამა თხაო?

მიველ ენახე იხაო...

— სალომე, სალომე! შეიღებო რა მექნა? ჩემი საყვარელი შვილები ამ  
გამთენიის ხანს სად გადამიკარგე?— გავძახე ცოლს ფაცხის კარებზე მოყუდებულმა.

— სად აოიან და თხას ეძებენ.

— სალომე, ქალო, შენ ჰქვიანი დედაკაცი ხარ, ჰქვიანი რომ არ ყოფი-  
ლიყავი, ცოლად არ ამეკიდებოდი!..

— დაილუპე შენ, რატომ ის დღე და საათი არ დეიქტა შენ რომ ცოლად  
წამოგყვი!— წააწყა ამ დალოცვილმა, მაგრამ მე ყურს არ უგდებ და ისე გან-  
ვაგრძობ:

— კაი ახლა, დედაკაცო, ენა ღმერთს იმიტომ კი არ მოუცია, რასაც ფი-  
ქრობ ყველაფერი ატანტალო. ენა კარებია ფიქრების და ამ კარების დროზე  
გაღება და დახურვა უნდა იცოდე ადამიანმა... შენ კი სულ გაღებული ვაქქს!..  
ასეც არ ვარგა, ჩემო სალომე, არ შეიძლება, დამიჯერე! წადი, მონახე ის ჩემი

შვილები და აქ მომიყვანე. დღეს კვირა დღეა და მინდა ერთად ვნახო ჩვენი ნამუშევარი. მინდა ერთი კიდეც შევხედო, როგორი შეიქმნა ჩვენი ნამუშევარი. მინდა ყველას ერთად შევხედო, კარგია, გამიხარდება. გადავხედო... მინახე ის ჩემი შვილები და უთხარი ნუ ეძებენ, უთხარი რომ წავიდა ჩვენი ბეკეა, წავიდა და აღარ მოვა... უთხარი, უჩიე ნუ ეძებენ. ასე უთვლის მათ საყვარელი ბაბა. აბა, ჰე, დედაკაცო! — ამ სიტყვებით შეველ ფაცხაში, ლოგინში გაუხდელად წავეგდე და მკვდარივით დამეძინა.

## 7

ორშაბათ დილიდან ისევ შევუდგით მუშაობას.

გათენებიდან ისევ ბორანზე ვიყავ და გამოვლმა სოფლებიდან ვაღმა თალარაში ვეზიდებოდი ყანის მუშებს.

საალიონო ბინდებში რიონზე ნისლი და კვიმი ამდგარიყო და ასე, მუცლით აფორთხებულსა და რძისფრად ჩამოძინძილს, მთლად ბურში გაეხვია ყანები და საძოვრები. რომ ვახედავდი, ეს ნალიები, თხმელები, ტირიფები და ფალაგეები, მიწაზე კი არ იდგნენ, ზევით იყვნენ მხრებით აწეული და ისე ნანაობდნენ ნელი რხევით ამ სისხამ დილაში.

დილის ფხიზელი სიგრილე გულს საამოდ ახალისებდა და მე სულგანაბული ყურს უგდებდი სოფლის ქრიაშულს.

სადღაც დედაკაცი სიმინდის კაკალს გობზე ახაჭუნებდა და ეძახდა ქათმებს.

— ჯიი-ჯიი-ჯიი!.. რრრუ!.. ჯიი-ჯიი-ჯიი!.. რრრუ!

და ზეზე დამუდრებული ქათმები, სიმინდის ხაჭუნის გავონებაზე, მოფრიანედნენ ძირს ფრთების ფათქუნითა და გულგახეთქილი კრიახით.

ჯერ სოფელი კარგად არ ახმაურებულყო და დილის მყუდროებაში მიქრიალებდა ტყეში შეშაზე მიმავალი ურემი ზანტად, ზედ მურზე იჯდა და უტყვდა ხარებს:

— აში, ხარო, ჰო!

ზეზე გასულ ვენახის ბარდებში გორაობით წამოსული გამლხვალი ცვარი მსხვილ წვეთებად თქაფუნობდა და ამ წყეულ მამლებს, ასე გვიან იყო, და ყვილი ჯერ კიდევ არ მოეთავებინათ.

ჩიტებმა კარგა ხანია, რაც დაასრულეს საალიონო ქრიაშული და ახლა ყველა საშოვარზე იყო გასული მინდვრებში, ეწერში, ყანებში. ისინი მუშაობენ, ნადირობენ, ეძებენ ბუზანკალებს, კია-ლუებს, მატლებს.

შეგვიანებულ გლეხებს თოხისა და წალდის ტარები სამწყურვალო შუალევინით სავსე დოქის ყურებში გაეყარათ და ყანებში მიიჩქაროდნენ. ახალგამოლეიქებულებს ძილის სიბლუვისაგან თავი ჯერ კიდევ ვერ დაედუნათ, ლაპარაკი ეზარებოდათ და, სალამს გარდა, ენაზე მარწყუბით რომ დაჰკიდებოდი, ზედმეტ სიტყვას ვერ ამოაღებინებდი.

— უუჰ, რა დილაა, შენი გულისა! — აღმოჩნდა მე განგებ ხმამალა, იმ იმედით რომ, იქნებ, რომელიმე მათგანი გამოიხმაურებოდა, მაგრამ კაცი პასუხს არ მაძლევდა. მიცქეროდნენ ძილისაგან შესიებულ უანგარიშო თვალებით პირში წყალჩაგუბებულნი.

რონი ჯოგით მიერეკებოდა ამ წინ გავდებულ მღერია წყალსაწარმოებში, ფლატიებში, ქალებში, ჩქონებში და მეჯრეებში, მიედენებში, ეჭრებში, ლელში, ლაქაშში, შლამში, სილაში და მისი ლურლუციანი დუდუნი გულს ახალისებდა.

მთელი დილა ვეზიდებოდი მე ამ გლეხებს როინ გაღმა და მივდიოდით, მივეშურებოდით თოხებით ყანებში... ჩვენ კი არ მივდიოდით,—ისინი მოდიოდნენ ჩვენთან,—ჩვენი ყანები, წყლები, ტყეები, ეჭრები, მერეები და საძოვრები. მოეშურებოდნენ ეს ლორთქო სიმინდები და ნებიერ ბავშვებით გვიქნევდნენ ფუნჩულა ხელებს. გვეძახდნენ, გვეხვეწებოდნენ და ამ ხვეწნა-მუღარაში შრიალემდნენ ლურჯად აბიბინებულნი, რომ მივეშელებოდით, თოხებით ძირი მოგვეფხვიერებინა, მიწა მიგვეყარა და ბალახ-ბულახი გამოგვეხილა. როგორც ცხენსა და ცოლშვილს უნდა მოვლა და პატრონობა, ისე სიმინდსაც, და ჩვენ გვეჩქარებოდა, მე კი არა... (ეებ...) იმათ:—ჩემ შვილებს, მეზობლებსა და კეთილებს. თუ არ ავჭარდებოდით, ჩვილსა და დოხოკონ სიმინდს ბალახი მოერეოდა, კატაბარდა სულს შეუხუთავდა და მთელი წლის სარჩო-საბადებელს უღვთოდ ჩაახმოზდა. ეს სიმინდია ჩვენი იმედი და ნუგეში, ჩვენი დედამშობელი და ხელს აბა როგორ მოვაკლებდით? ახლა ის ჩვენი შვილია, ჩვენი საპატრონო და ხვალ ჩვენი დედა და მარჩენალი იქნება. და რახან ასეა უნდა უპატრონოთ, მივეხმაროთ, რომ ამ გვალიან დღეებში არ დაკოინდნენ და მით შემოდგომაზე ეს ჩვენი ნაღიები, ხულები, ბელლები, საქონელი და ცოლშვილი არ დაშვიდნენ. და აი მეც ვმუშაობდი, ვმუშაობდი თავაუღებლად, წელში გაუმართავად და, როცა ეს მზე ცის წვერში მზითვის ზანდუკივით გადმოვიკიდა, მე უკვე მოვასწარ მთელი ამ გამოღმა სოფლების თალარაში გადაყრა და ახლა, აქედან რომ გადაეკქერი მიხარია,—ისინი გულდაგულ მუშაობენ, მიწას ექაჯაბებიან და თოხს მოაქქეს ეს მიწა, ეყრება სიმინდის ფესვებს და მუშაობაში გაფიცებული ნადის მეთაური უტყვის მეთოხებს:

— ჰაი, ჰაი—ა-პა-პა!.. ერთი კილო, ბიკებო, ერთი ც და ეს სვრელიც გაგა ტარში... ო-ხო-ხო-ხო!.. რა სიმინდია, რა სიმინდი, მის მადლსა და ბარაქას დავენაცვლე!.. აბა ჰე, ბიკებო, ერთი ნალური კიდეც შემოუკიკინოთ! და თოხის ხმურში მოისმის აგუგუნებული „ოდოია“, ოდოია ეშვება ძირს ალხივით მიწაზე იშხლართება, ქვესკნელში წვენივით იპარება და სიმინდები სწოვენ ამ ბარაქიან წვენს და ივსებიან ზვავით, დოვლათით. მე ვლგავარ გარინდებული და ყურს უგდებ ამ სიმღერას და მესმის, კარგად მესმის,—მე რა გამოიმპარება? თუ როგორ იზრდება ჩემად ეს სიმინდი ამ სიმღერით დამთვრალი და გაბრუებული. მე უცქერ, თვალდათვალ ვხედავ და მიხარია როგორ დაახვავა თავზე ბარაქად ამ ყანებს ეს მზე. ეს ოდოია, ეს მიწა, ეს ალხი და იზრდება, იზრდება, კურთხეული. მე ეშმაქს რა აქვს გულში ის ვიცი და ეს სულელური სიმინდები ზრდას რას გამოიმპარებენ? ისიც მართალია რომ მე არც ნადის მეთაურის შეძახება მესმის, შორსა ვართ, მაგრამ განა ყველაფერი შენი ყურით უნდა გაიგონო და თვალით ნახო რომ გაიგო? ოცდახუთი წელიწადი ვებრძოდი თოხით ამ მიწას, ამ ქცივებს და ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში ყოველ ზაფხულს მესმოდა

მე ეს შეძახება და ახლა ისე ვარ, თითქოს მე თვითონ ვიდგე იქ, ყანაში, თოხით და ვმუშაობდე.

და ასე, ამ გაბურებულ მუშაობას რომ გავცქერო, ეს კონკრეტული ვხედავ არ მითმენს, სული იქ მიმდის, გულით იქა ვარ და, სიმინდის ზრდის გარდა, მესმის როგორ გუფუნობს ეს მაკე მიწა ამ დაალხულ გავანია შუადღეში და როგორ ბიბინებენ ნიავეის წამობერვაზე, ზღვისასვით ეს ლურჯად აშრიალებული სიმინდები, სატევარივით აქნეულ ფოთლებს შვილებივით მიქნევენ და შეძახიან, ვეხვეწებიან რომ შვიდიღე და მათთან ერთად გავიგრილო ეს მოღვდილი ბებერი შყერი. მე მეტი არ შემიძლია, სული მიწებს, გული არ მითმენს ამ ბორანზე, ვტრიალებ აქეთ-იქით ვულ აწრიალებული და არ ვიცი რა გავაკეთო ან რას ვეცე. მეც იქ მინდა რომ ვიყო, ჩემ სიმინდებში, ჩემ შვილებში და კეთილ-შეზობლებში, რომ იმათთან ერთად ყოველ სიმინდსა და შიგ ჩათესილ ლობიოსა და კვასს ძირი სათითაოდ გამოუთოხნო, ბალახი გამოვაცალო, ფხვიერი მიწა შემოვავაყო და ყოველ მათგანს უთხრა, ხმამალა კი არა, ჩემთვის, გულში, — მაინც მიმიხედებიან:

— აიტ, თქვე სულელებო, ასე სულმოკლე როგორ ხართ, აქ მაშ როგორ გეგონათ? გეგონათ ღვთის ანაბარად დაგტოვებდით? არა ბიძიებო, არა, ჩვენ არც ისე სულელები ვართ, რომ ჩვენ დათესილ თესლს არ უპატრონოთ! რა უყოთ რომ შიგადაშიგ ღვარძლიც შეგვეპარა, მაშ ეს თოხები რისთვის გვინდა თუ ამ ღვარძლსა და ჯიჯილაყას არ გავოვითხოვთ და ალერდს არ გამოვიტანთ? იზარდეთ, ბაბა, იხარეთ, დამწიფდით და ჩვენ გავეახარეთ! რა ეწნათ, ჯერ ჩვენ უნდა მოვიაროთ, ოფლი გაწვიმოთ, ღონე შეგალიოთ, ჯერ პატარა ხართ, სუსტი ჯეჯილი და ზრუნვას როგორ მოგაკლმბთ? როგორც ახალგაზდა ცოლს უნდა ალერსი, ისე ახალ ყანას მოვლა-პატრონობა და მალე სულ მალე მაგ ღორთქო ტანზე წყრთის ოდენ ლეტუ ტაროებს ახლად აყრილ ძუჭუბუბივით რომ დაიკიდებთ და ფიფივით დაიმშვენებთ, მაშინ ჩვენ შევიქნებით შენი საპატრონო, მერე შენ მოგვიარე, გვაქამე, გვასვი, მოგვეც ჩვენ ეგ შენი ხვაევი, დაგვაყარე ეგ შენი მადლი! მაშინ ჩვენ, ყველა, სიმღერით, ყიყინით, სიცილით მოვალთ ფარდიან ურმებით, გოდრებით, კალათებით, ტაროებს შეგატებთ, ფუჩქის შემოგაცლით და, შიგ გახვეულ ოფლდასხმულ ოქროსფერ სიმინდს რომ გამოვქურჩინით, ჩაგყრით ურეშში, წაგიღებთ ჭრიალით და ნალიებში დაგაბინავენთ. ახლა რა? ახლა მე აქ ვარ, თქვენ იქ, და რა ვიცი როგორ გთოხნიან, როგორ გივლიან ჩემი შვილები. იქნებ გიჭირთ რამე, ან გშიათ? ერთ კვირა დღეს, როცა ყანებში კაცის ჭკანება არ იქნება და მეველესაც სადმე შორს დავინადარებ, გამოვიპარები სახლიდან, მოვალ თქვენთან და მითხარით, დაასმინეთ ჩემი შვილები, მიაშბეთ რა მოგაკლეს, ან რა გატყინეს და მაშინ მე ვიცი მათი ამბავი, მაშინ ნახეთ რა შავი დღე დაეათენო მე იმათ! ახლა რა? ახლა მე თვითონ გადამწიფებულ ტაროსავით ვარ, მარცვალი შემზომობია, შევბურებულვარ და საცაა პეპელი გამიჩნდება.

ახლა, ვისაც არ ეხარება ყველა მე მქურჩინის და ყველას ჩემი შექმა უხარია. როცა მე ვჭამ, ეს კარგია, ეს მე მომწონს, მაგრამ, როცა მე მჭამენ, — ეს არ ვარგა. ბაბა, ეს არაურის მაქნისია. ამიტომ არის რომ ყვეირი და ქვეყანას



ვაქცევ ბლავლით, როცა ეს ჩენი გასაპუტავი ხუცესი და არ დასარჩენი მამა-სახლისი შექმას გამიპირებენ. ფუჩჩის რომ შემომაძლიან, ხელს მაგრად ჩამკიდებენ და პირისაკენ გამაქანებენ, მე ვყვირი მაშინ, ხელებს ვიჭნევ და ვეძიებ, რომ ქვეყანაზე მართლაც არაა სამართალი და ჩემი ეს გაჭირვებული კვილი ძირს მიწას ზარავს და მალლა ცას. მე ასე ვანგარიშობ: სანამ მათ პირში არ ჩავარდნილვარ, იჭნებ, ყვირილით უშველო თავს და, როცა ესეც არ მიშველის, მაშინ უყურეთ თქვენ ბათა ქეჯიას რა საქმეები ჩაიდინოს, როგორ გამოვიდეს იგი თავისი შვილებით, კეთილ-მეზობლებითა და მილეითის ხალხით წალდებით, თოხებით, ფილთა ფოფებით. ჯერჯერობით ვერაფერი მომიხერხეს, ყვირილითაც იოლად გამოვიდვარ და მეც ვყვირო:

— არიქა, მომაგნეს, გამომქურჩნეს ამ ღდინძალლებმა!.. მიპოვნეს, მომნახეს და მიშველეთ, თორემ შემვამენ სულიან-ბორციანად და შვიდობით მაშინ თქვენ, ჩემო ყანებო, ჩემო ცისმარე ქვეყანავ და ჩემო ტკბილო და თბილო სულო!.. — როცა არც ყვირილი გამდის, მაშინ მე დაყრილ ფუჩჩეში ვეცემი, შემინებულ ლეკვივით ვიბუნებები და მივძვრები შიგ, ჩალა-ბულას თავზე ვიყრი და, თავს რომ სამშვიდობოს დავიგულებ, გავისნატები, პაერს ხარბად ვსუნთქავ და მიხარია რომ ცოცხალი ვარ და შეუქმელი დავჩი, მაგრამ ეს ოხერი გული მაინც რომ არ მითმენს! ცოტას რომ შევსუქდები მაშინვე სისხლი ამითამაშდება, ცეკვა მომინდება, სიმღერაც, ქეიფიც და ეშმაკობაც. წერა მიტანს და მინდა რამენაირად ჩემ შემქმელებს შევატყობინო, რომ მოვატყუე ისინი, მშრალზე დაეტოვე. ასე სულწასწრებული ვარ და მოუსვენარი, ეს ოხერი სულიც მავნესავით მიზის გვაშში, არ მასვენებს და ფუჩჩეებს აქეთ-იქით ვწევ, ცალი თვალთ მზეს ამოვხედავ, მერე ისევ ვიმალები, მიხარია რომ ცოცხალი ვარ, ვიცი ჩემთვის და ასე სიცილით თავზე წაყრილი ჩალა-ბულიდან ხელს გარეთ ვყოფ და ჩემ ტვინდაბნეულ შემქმელებს სამი თითისაგან მკიდროდ შეკრულ ბრანწს ვაჩვენებ, მაგრამ ისინი არც ისე სულელები არიან, მე რომ მგონია, ხელში პირს მავლებენ და ასე პირში ჩაფრენილი რომ ვყავარ, ხელებით წაყრილ ფუჩჩეს მაცლიან ირგვლივ და, ვაიზე, ვაიზე, ვიღუბები!.. ჩემმა სულის წასწრებამ დამღუპა მე!.. მომაგნეს, მიპოვნეს ამ სულძალელებმა! მე კი, სულელს, საიმედოდ მეგონა თავი შენახული. და მეც ვიბრძევი ისევ გამწარებული, ვყვირი, ვჯახირობ, ყვირილით ქვეყანას ვაქცევ და ერთი უბედურებით, ვაი-ვაგლახით ისევ უხსლტები ხელიდან და ფერდგამოქმული, გვერდებდაზელილი ისევ ვიმალები ამ ფუჩჩეში და აკვნესებული, აკუთებული ნაცემ ძალღივით ვილოკავ კრილობებს, ნაყბილარებს და, როცა ვრჩები, ისევ მიხარია, ისევ ვლიღინებ რომ გადავჩი, ცოცხალი ვარ და ისევ ძველებურად რომ მატკბობს ეს შერჩენილი სული, მათობს ჩემი დახეული, მაგრამ მაინც თბილი ტყავი და ვიცი, ვჭირკილებ ჩემთვის, რომ ამდენი ვიჯახიროვ და მაინც მოვახერხე ყველაზე გემრიელი კაკალი ჩემთვის შემენახა და ეს გემრიელი კაკალი მე ვარ, ეს ოქროს კაკალი ჩემი სიცოცხლეა და, — პაიტ, თქვე ბრიყვებო, წუწკებო, რატომ გგონიათ რომ მას ასე იოლად შეველევი!

აჩაფრის ქვეყანაზე მე არ შეშინია, მე იმედი მაქვს ჩემი მოხერხების. კულის გარჯილობისა და ტყავის. როცა ვერც ესენი მიშველიან, მაშინ უყურეთ თქვენ

ბათა ქექიას როგორ გამოიღოს მან ხელი და ამდენ შემკმელებს თვირით გაუპიროს შექმა. მართალია, ბინძური არიან. ეს სულმყარლები, უგემურნი, მაგრამ, როცა არ მოგვისვენებენ, სხვაგზა რა გვაქვს? — შენც უნდა შესაქმელოდ მთქმადო. ეს ცხოვრება ასე ყოფილა მოწყობილი, ან უნდა შექმავო, ან წმსაქმესდაქმნდა დაანებო თავი, ამიტომ ნურას უკაცრავად, თუ ჩემ შექმას, ისევ სხვისი შექმა ვარჩიო, მაგრამ ამას ვარდა, არის ერთი დიდი უბედურება, რომლის წინაშეც მე თითქმის ვაკეცავ და შიშით კბილები ამირაკუნდება. ეს ოხერი სიკვდილი რომ გამახსენდება, ერთ პირ სიცოცხლეს მაშინ ვათავებ. თუ სიკვდილი არა, კაცი მერას დამაკლებს? განა ადამიანი ჩემსავით არ არის გაქედლი? რა უყოთ რომ ზოგი უკუღმართად არის ნაქედი, სამაგიეროდ არც მე ვარ წაღმართად გაქედლი.

შვილებო, შვილიშვილებო, თუ მოგვედი გემუდარებით, ცოდვით გიბარებთ, ეკლესიის ეზოში არ დამშარხოთ. არ მინდა მიწაში იმსალეთო წიგნების პუტუნნი შესმოდეს. დავიტანჯები, სიკვდილიც გამიძალდდება. ყანაში წამახსენეთ, ბაბა, ყანაში. და იქ, შუა თალარაში, გამითხარეთ მიწა, დამთესეთ და, რომ ამოვალ, მოდიო და ძირი მომითხნეთ. თუ კარგა მომივლით, გავიზრდები, ფესვები ხომ მიწაში მექნება? — ტოტებს ცაში გაუყრი, ისევ გადმოვხედავ ამ ქვეყანას და, თქვენ რომ მუშაობაში იქნებით, მეც ცაში, მაღალ მუხად წასული, მოვიქნევ ტოტებს, სიოს დავარხევ, შუბლს გაგიგრილებთ და, თუ ყურს კარგად დამიგდებთ, ჩემი შტოების შრიალში გაიგონებთ:

— ჰაიტ, თქვე ძაღლის შვილებო (ეს ძაღლი მე ვარ), მაშ რა გეგონათ? მიწაში რომ ჩამდეთ, გეგონათ დავილუბებოდით? ვერ მოგართვის! მაშინ მე კაცი ვიყავ მამა და მშობელი თქვენი, ახლა მე ხე ვარ, მუხა და არც ისე ადვილია ჩემი ძირის ამოგდება... თქვენ არ იტიროთ მაშინ, შვილებო, არ იღარდოთ. დასაბამიდან ასე ყოფილა და ასე იქნება: მამა მიდის, შვილი რჩება. იცოცხლეთ, იმუშავეთ, იმზიარულეთ, იცინეთ და მე თქვენ ჯანსაღ სიცოცხლას და ღრეობას რომ გავიგონებ, მიწიდან თავს ამოვყოფ, ცალი თვალით ამოვხედავთ და, მოლხენილებს რომ დავინახავთ, გამიხარდება. ოღონდ მეც გამიხსენეთ ხანდახან, ჩემი სახელიც ახსენეთ და ცოტა ღვინო მიწაზე დაასხით, ღვინო ძვლებს რომ მოხვდება, ვავთბები და დავგლოცავთ. მაშინ სხვა არაფერი შემეძლება და, — რას იზამთ? ამას უნდა დამჯერდეთ.

თქვენ არ შეცდეთ და არ იფიქროთ ახლა რომ სიკვდილზე ასე ადვილად ჩიშოვავდეთ სიტყვა, მართლა ასე იოლად დავანებო მას ჩემი სული! თუ სიკვდილიმა მიწია, მაშინ თქვენ უყურეთ ბათას რა დღე დაათიოს! ვიომებ, ვიბრძოლებ და, თუ მაინც არაფერი გამოვიდა, მაშინ რა ვქნა, თუ სხვა რა გზა მექნება? — მოგვედები, ძაღლი მიმაკვდება სამარეში. თქვენ ხომ იცოცხლებთ! განა თქვენ ჩემი შვილები არა ხართ, ჩემი სისხლი და ხორცი? მაშინ მე თქვენში გავიხარებ და რას დამაკლებს ერთი მითხარით ეს ოხერი სიკვდილი? თუ სხვას არაფერს, ერთს მაინც მოვახებრებ: ის პირმყარალი სიკვდილი რომ წამიღებს, იმდენს ვიზამ, რომ სულად ვავეპარები, ხელში მძორს შევატოვებ და მე, ბათა ქექია, ისევ მოვბრუნდები მიწაზე, შვილებს გვამში ჩაუძვრები და ისევ ვიცოცხლებ და იმ სულძაღლმა სიკვდილიმა მოდგეს და ათრიოს მერე ის ჩემი გახდელი

მხორო, სანამ არ მოსწყინდება! ამიტომ, ბაბა, რომ მოგვეღწე, კერია არ ჩააქროთ, ფაცხაში სინათლე იქონიეთ, სიკვდილს რომ სულად გამოგვბატონებოდალი მე არ მექნება ხედავად და ცხვირი ყნოსვად, ამიტომ ფრთხილად მივყავართ კმეცდომაში არ შემეწყანოთ, ბაბა, და არ წამწყმდილოთ. მეშინია შეილებო, ნამეტანი მეშინია, — გვამში რომ გავაპირებ ჩაძრომას, არ შემეშალოს, უადგილო ადგილას არ შეგიძვრეთ და მთლად არ წაევიპილწო ეს ბერიაკი. ამიტომ გთხოვთ გულით რომ ფაცხაში მუდამ სინათლე იქონიოთ. თუ ისე მოხდა, როგორც მე მინდა და პირში ჩაგიძვერით მაშინ მე ისევ ცოცხალი ვიქნები და აბა ერთი თქვენ თვითონ მითხარით, სიკვდილი რას დამაკლებს, სიკვდილი რას მიჭეია?

ოცდახუთი წელიწადი ვიმუშავე მე ამ თაღარაში, ოცდახუთი წელიწადი ვხანავდი, ვთოხნიდი, ვთიბავდი, ვმუშაობდი ბორანზე, ვიჭერდი თევზს, ვჭრიდი ტყეს, ვაკეთებდი შეილებს და ვეჭაჯაბებოდი ამ მიწას. ოცდახუთჯერ ამოვზიდე და გავძებე ნალები და ხულები სიმინდით, კვხით, ლობიოთი, დავზვინე ჩალა და თივა და ახლა, როცა ამ ყანებს ვადავცქერი, გულმა ნაჩვევ ხარავით იქით გამიწია.

ვირს რომ საპალნე მოენატრება, ზურგს საბაეოსთან მოიფხანსო, მეც ასე ვარ ახლა, მაგრამ შეილებს შიშით ადგილიდან ფეხს ვერ ვიცვლიდი.

ყველგან შემიძლია მე წასვლა, რაც მინდა იმას ვიხამ, ყველაფრის ნება მაქვს, შემიძლია მთელი დღე მხარ-თეძოზე ვიწვე, ვიმუშაო და ვაკეთო ის, რაც მომესურვება, მე ჩემს ნებაზე ვარ მიშვებული. თუ მინდა, მთელი დღე ვიძინებ და არაფერს გავაკეთებ, კაცი არაფერს მკითხავს, არც მომთხოვს, მაგრამ ერთი რამ სასტიკად მაქვს აკრძალული და ეს აკრძალული ხილი ყველაზე ტკბილია ჩემთვის: არაფრის გულისათვის ყანაში თოხით მე არ ჩამესვლება.

შვილები რომ დავაკაცდენ და თავს მოესწონ, უფროსი ქალიშვილი გორდში გავათხოვე, ჭორწილში, მთვრალს, ეხოში მიწაზე დამძინებოდა, გაცივდი და მძიმე ავად შევიქენი. ერთი თვე ვებრძოდი სიკვდილს, ერთი თვე ვედავე, ვეხეწე, ვებლავლე, ხან თავი შევაცოდე, ხან შეუტრე, ხან ვიტრიე და, იმდენი ვქენი, რომ ეს ტკბილი სული მაინც არ დავანებე და შევირჩინე.

და აი ერთ საღამოს, როცა მე მოჯობინებული კერიასთან ვიჯექი და უსაქმურობისაგან კრაქის სინათლეზე „ვისრამიანს“ ვკითხულობდი, სათოხნარიდან დაბრუნებული შვილები ჩემს ირგვლივ დათვის ბოგვერებივით შემოიკრენ. ქონიამ ძმებს ფეხები დაბანა და ისხდენ მერე ასე კერიასთან ჩუმად ვახშმის მოლოდინში.

მე კარგად არ მენიშნა ეს მათი დუმილი, და ვადავწყვიტე სიჩუმე და მერღვია. წივნი გვერდზე გადავდე, მეც კერიასთან მივიწიე და უფროს ვაჟს უთუთიას შევეკითხე:

— რაჟა, ბაბა, საქმეები? — მაგრამ, როცა მან ხმა არ გამცა, ქონიამ (ქალია, გულმა არ მოუთმინა!) მიმართა:

— აბა, უთითია, დაიწყე და თუ არ დაგიჯერა, მერე მე ვიცი მაგის ამბავი. მე გულმა ფარსავი არ მიაზრა.

— რა იყო, ბაბა, რა მოხდა ისეთი, ასე მწარედ მემუქრები? — შევეკითხე მე მათ განგებ მიკრინებული ხმით. შენც რას შემომიჩნდი, ბაბა? — მივმართე მე

ახლა ქალიშვილს.—რა გინდა ჩემგან, სულ მუდამ პირში რომ უნდა შემომავ-  
რინდე და საშველს არ მაძლევ? ეს გაჯახიბრებული სული იმ კაცს უსიტყვიდის,  
როგორც იქნა ხელში გამოკვეთა, ახლა შენ გინდა ამომხედო და დაეცე, ხმა  
მანც არ გამცეს, მე მოთმინებიდან გამოველ და ყველას ერთად შემოუტე:  
—ჰაიტ, თქვე მამასულძაღლებო, მე ჯერ კიდევ ორმოცდათორმეტი წლისა ვარ  
და არ იფიქროთ, სიბერით ისე გამოეჩინებოდით რომ ეს სული ასე იოლად და-  
განებოთ! ის მათობს მე, ის მატობს მე, ვენაცვალე, და მომეშვიო, ბაღნებო,  
ჩამომთხოვეთ!

—ვის რათ უნდა შენი უწმინდური სული, შე გადაურებულაო?—აკაპას-  
და ჭიონია. ეს არის, ეს ყველაფრის თავი და რა უყო, დედაკაცის ენას რა  
დააოკებს?—შენი სული რა მოსახმარია?—მანც არ მეშვება იგი.—არ იქმევა,  
არ ისმევა და საიქიოს კიდევ ზედმეტ ცოდვად აგვეკიდება. როცა სხვა ლაპა-  
რაკობს, ყური უნდა უგდო, სულ შენ სადღარდვალოდ სად გეცალია? დიწყე,  
უთუთია, რას უყურებ, შეკაცო?

როცა შევატყე რომ შეტევით არაფერი გამოვა, თავი ისევ საცოდავ ბე-  
რიკაცად მოვიკატუნე და გაფრთხიდი, გადავწყვიტე ხმა არ გავიღო.

—აბა ასე, ბაბა!—დაიწყო, როგორც იქნა უთუთიამ.—სანამ საქმეს შეუ-  
დგებოდეთ, ერთი რამე გულახდილად უნდა გვითხრა, ბაბა!—სთქვა მან ოდნა-  
ვი ღიმილით. მე გადაწყვეტილი მქონდა ხმა არ ამოველო, მაგრამ სულმა მანც  
არ მომიტყინა და აღმომხდა:

—რა შია, ბაღნებო, საქმე? სულში ხომ არა ვარ? თუ სულში ვარ, მითხა-  
რით და ვეჭილს ვიქირავებ?—მაგრამ უთუთია ყურადღებას მანც არ მატყვეს,  
გინდა მე მილაპარაკია და გინდა ძალს უყუფია, მანც განაგრძობს მისას:

—ყველაზე უწინ ერთი რამე უნდა გვითხრა, ბაბა! საქმის დაწყებამდე,  
ერთში ახლავე უნდა შევთანხმდეთ: ვართ თუ არა ჩვენ ნამდვილად შენი შვი-  
ლები?

მე შევხტი ამ სიტყვებზე, ჯორკო კიდევ უფრო ახლოს მივიწიე კერიასთან  
და გაოცებული თვალებით ყველას სათითაოდ ჩაეხედე თვალებში.

—ყვია, პეჩი!—აღმომხდა მე.—ღმერთო შიშკალი აბა ვისი შვილები ხართ, ბაბა?  
ვინ მედავება თქვენ თავში, ვინ მივსებს, თვალებს, მითხარით, ვის უნდა თქვენი  
წართმევა? ერთი ხომ იმ ოჯახდაქვეულმა სიძემ წაიყვანა გორდში, მეორე რუს-  
ხეშიწიფემ წამართვა და სალდათში უკრა თავი,—ჰაი-ჰაი-ჰაი,—მეტი ველარავის  
დაუთმობ თქვენ თავს! ჩემი ხართ, ბაბა, ჩემი, აბა ვისი ხართ, ოჯაო? ყველა ჩე-  
მი ნაკეთები ხართ, ჩემი ნაცოდვილარი და, თუ რომელიმე თქვენგანს ხელი და-  
გაკელით, მპატიეთ, ბაბა, საყვედურს მარტო მე ნუ მეტყვიოთ, ძალიან ვედი-  
ლობდი და მე ბრალი არა მატყეს. თუ ვისმეს ბრალია, ისევ დედათქვენის. ის  
მეხმარებოდა და, ალბათ, იმან თუ დაგაკლოთ ხელი და გულისყური. მე კი, მე  
სულელს, მეგონა მთელი სულით და გულით მეხმარებოდა! თურმე ეშმაკი ყო-  
ლია შეჩენილი და რა ვიცოდი, რა ვიცოდი, მე სულელმა, მე ვენდე და ის  
თურმე მატყუებდა! ჰაიტ, შე სულკატიანო დედაბერო, შენ!—შეუტეე ცოლს.—  
ეს სულ შენი ოინებია, შე ჩემი ძელის მტკვერელო, შენ!

— ჯანდაბას იქით გადავარდა, ჯანდაბას იქით, მაგ შენი ოხერი თავი! — დაიწყო მან ლოცვა-დიდება მონაზონივით, მერე ცხელი ლომიდან ჩოგანი ამოქვალა და ჩემკენ გამოექანა. — ამის რომ ჩავითხრი მაგ პირში, <sup>მე შენს ვერ</sup> დაამოკლებ მაგ ძაღლის შესაქმელ ენას? რას დვარდვალობ რომ არ იცი, შე მიწა გასახეთქო შენი! — აკაპასდა ეს დალოცვილი. მე თავი კიდევ უფრო მოვისაწყულე და ასე, ჯორკოზე მუშტის ოდენად მოქცეული, შევიჩვი შეილებს:

— აა, ბაბა, შეხედეთ, ერთი ამ ციდან ჩამოფრენილ ანგელოზს შემხედეთ! რა უყოთ, რომ ბებერია, რა ვქნათ მერე ჩემი ცოლი რომაა, მაინც ანგელოზია და რომ უცქერი, მიკვირს, ბაბა, ძალიან მიკვირს რამ გამაძლებია მაგასთან ოცდახუთი წელიწადია, ოცდახუთი წელია ასე მხდის ამ გადაღლებულ სულს, ვერ ამოშხადა. მაგრამ მეტი მაინც არ შემიძლია. სანამ ახალგაზდა ვიყავი, უძლებდი, ცოტას სიყვარულით, ცოტას მოაზინებით, ცოტას ხათრით და, როგორც იქნა, აქამდე მოვატანე. ახლა მოვხუციდი, ბაბა დაავადმყოფდი და მიშველეთ, ცოდვა-მადლი მაინც არ იცი, თქვე ურჯულებო? ხომ ხედავთ, სულს მაძრობს? რამდენი დაბერდა, იმდენი გაკაპასდა და მეტი არ შემიძლია. რა ვქნა, ეს ოხერი, იმ თავითვე ასე გლახა ხასიათი მოყვა. მუდამ ჩემ საქმეში ერეოდა და ახლაც, ხომ ხედავთ, რა ამბავშია?

— რატომ ცხელი ქარი არ ჩავივარდებო მაგ პირში და ენას არ ჩავიგდებ, შე ენავატლეკილო ყაძახო, შენი! რას ტარტალობ, თვითონ რომ არ იცი! — განაგრძობს იგი, მაგრამ მე აინუნშიაც არ ვაგდებ მის ყიქინას.

— იახა დო, ბაბა!.. თუ რამე ხელი დაგაკლდათ, მთლად მე ნუ დამაბრალებთ, ოჯო! ნახევარი დედათქვენსაც მიაგეთ, თვარა მარტო მე ცოდვა ვარ! სუსტი ვარ, ოჯო, ნაავადმყოფარი, უმანკო და ჩემი მოხუცი ბებები ვერ გაუძლებენ ამდენ ბრახსა და ცოდვას!

— გაჩუმდი, გაჩუმდი, შე ხრონცო, თვარა შენ ტლიკინს თუ უყურეთ, ბარე ორი დღე შემოგვათენდებო ხელში! ვიცით რომ უმანკო ხარ, საწყალი ხარ და სუსტი. ამიტომ ყური დაგვიგდე და კარგად მოგვისმინე რასაც გეტყვით! — შემომიტია ისევ ქიონიამ მოსიყვარულე ღიმილით, კაბის კალთაში ჩაკერებული ჯიბიდან ტკბილი კვერი ამოიღო და პირში ჩამიღო. მეც გაეჩუმდი, ვღემ ტკბილიკვერს და ყურს უგდებ უთუთიას.

— აა, ბაბა, რახან ამ მხრივ სადავო არაფერია და ჩვენ ნამდვილად შენი შეილები ვართ, მათ შორის ოთხი სრულწლოვანი, რა უყოთ რომ ერთი სალდათშია და ერთიც გათხოვილი? ისინი ჩვენ დებულებას ვერ გადაუხვევენ!

შენც ბარე ორმოცდაათი წლისა ხარ, დაბერდი და ქჟუა დიდათ არ გეკითხება... ჩაუმატა ქიონიამაც და ავეარდი, დავეარდი, ავეყირდი და თან ტკბილი კვერს მადიანად ვღეკდი, გემრიელი იყო და ხომ არ გადავავადებდი?

— არ დაუჯეროთ, ბაბა, მაგას, არ დაუჯეროთ! ვიცი, ტურასავით ვიცი, რომ დედათქვენის შემოწინილია. ეგ რომ ლაპარაკობს დედათქვენი მგონია. ან როგორ ასწავლა ასე კარგა იმ სულკატინმა ჩემი ასე საქვეყნო გამოკენება? ვინ გითხრათ რომ მე ბებერი ვარ, ვინ თქვა რომ მე ქჟუა არ მეკითხება? ეშმაკს მე კოჭებზე ვცნობ და ჩემ ქალიშვილსაც ენის საბრუნავში ვატყობ, თუ ვინ შემომიჩინა მე იგი. მართალია, ჩემი შეილია, მაგრამ მაინც ქალია და დე-

დამისის მხარე უჭირავს. ძალი ძალის ძვალს რას გატყვერს? ჰა, ვიცი მე, მიგიხვდით, რაც შეილი ბრძანდებით! არ აყვით, ბაბა, დედათქვენი, თქვენ არ იცით, მაგას პირველობა უნდა ჩამომართვას ოჯახში, გაუღენყოდანეკრეთს, გადარეულად გამომაცხადოს და მერე თავისუფლად ითარეშოს და თავუკულმა მოაქციოს ჩემი წალმა დაყენებული საქმეები! ვინ იცის, იქნება, გათხოვდეს კიდევ? მითხარი მაინც, დედაკაცო, ვის მიყვები? არ მოგკლავ, ნუ გეშინია! პირიქით, მივალ და შეეჩვილებ, სად იყო ამდენხანს ის მამასულძალი, რატომ აქამდე არ მოგიკითხა და წაგიყვანა, თაყვანს ვცემ, ქედს მოგიხრი მის წინაშე, რომ ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში აღმოჩნდა კიდევ ერთი სულელი შენ რომ უნდინხარ. ჩემზე სულელი ყოფილა, დალოცვილი! მადლობა განგებას, მე ახალგაზდა მაინც მყავდი და ამით ვინუგეშებდი თავს, ახლა, მოგატყვდა დამკავებელი! მიბძანდი, შექალო, საითაც გინდა იქით მიბძანდი! ჰაიტ, გზა, გზა, თქვე ბალაგარებო, გზა მიეციოთ სასძლოს, დედოფალს გზა უტოეთ! თუ ლალატი გაქვს გუნებაში, დედაკაცო, ესეც მითხარი, მაგის ყაბულსაც ვარ! მაინც სულელია ის მამასულძალი ვილაკაი!.. თუმცა, რას ვამბობ? სულელი როგორაა? სხვისი ცოლი, რაც უნდა გლაბა იყოს, შენს კარგს მაინც სჯობია და,—ჰააჰაიტ, შე სულწაწყმედილო დედაბერო, მილაღატე, ხომ? ამ სიბერის დღეებში მომინახე ყელი და დანა გინდა გამომისვა, არა?—გყაყანობ მე და შეილები იცინიან, ცოლი იწყველება, იფოფრება და ბრაზით თავსაბან მიწისფრად მოიქცა. შეილების მზიარულმა სიცილმა მე კიდევ უფრო წამაქება და კიდევ უფრო წაგაგდე ენა და ასე ვგალობთ ჩვენ ეს ბედნიერი ცოლ-ქმარი: მე ვოხუნჯობ, ის კაპასობს და ისეა გაანჩხლებული, რომ ამ კერიის ცეცხლზე რომ დააჯდეს, არ დაიწვის. როცა არაფერი არ გაუეიდა, არც კაპასი, არც წყველა-კრულვა და ვერაფრით მოთმინებიდან ვერ გამომიყვანა, მაშინ თვითონ გამოვიდა იქიდან, კერიაში მუგუზაღს ხელი დასტაცა და ჩემკენ გამოექანა.

— არ გაჩუმდები, ახლაც არ გაჩუმდები, შე ეროყია, შენ? გაჩუმდი, თვარა ამ ნიგუზარს ჩაგთხრი მაგ პირში!

— ნიგუზარი რათ გინდა, დედაკაცო, როცა პირში ტკბილი კვერი მაქვს? თუ მაინცდამაინც არ დაიშლი, აგერ ყალიონზე დამიდევ გვ ცეცხლი, ერთს გავაბოლებ და ამ შენი გულის ჯავრს გადავიყრი!

— ჰაიტ, ჰაიტ, თქვე გადაყრუებულეზო, თქვენ!—აყვირდა უთითია,—გაჩუმდით, თქვე ბებრებო, ხმა ჩაიგდეთ! რამ ატეხათ ამ სიბერის დღეებში ასე, თქვენი გაჩუმება რომ არ მოხერხდა?

ჩვენც გაჩუმდით და მთელი ყურადღება მას მივაპყარით.

— მაშ ასე, ამდენ ყაყანის შემდეგ, როგორც ირკვევა, ჩვენ ნამდვილად შენი შეილები ვართ!—და ისევ უთუთიამ უსაშველოდ გადაპრეხილი კილოთი.

— მართალია! მე ასე ვფიქრობ და!—დავემოწმე მე.

— რახან ჩვენ, ყველა, შენი შეილები ვართ, ჩვენ,—მოწიფულნი და შენ ბალნობაში დაბრუნებული, და, რახან ბალნას მოვლა და პატრონობა ესაქიროება, ჩვენც გადაწვევით, გიპატრონოთ. დღეის ამას იქით, ბაბა, შენ რომ თოხით ყანაში ჩამოსული გნახოთ, ფეხს მიგათლით წალდით ძირში და ლობის იქით მოკლული ძალღივით გადაგაგდებთ. იცოდე, ჩვენ არ ვხუმრობთ. გვეყო,

რაც ამ ავადმყოფობის დროს შიში გვაკამე. ხომ ხედავ რომ დაბერდი, თავს დაუჯერე. სამი რამ გვეალება შენ დღეის იქით: შენ თავს, შენ, ცოცხალად შენ ბორანს უპატრონე, და, თუ ვერც მაგას შესძლებ, მაშინ, იცხადებ: მისი სისხლისაჲ ჩამოგართმევთ!

მე გულმა არ მომიტოვინა, მუხლებზე ფორთხვით ყველა სათითაოდ ჩამოვიარე ეს შეილები, თაყვანი ვეც და ისე დავედრიჯე:

— შეილებო, ჩემო მოსწრება შეილებო, ჩემო სისხლო და ხორცო, თქვენ ხომ მოგისმინეთ? ახლა ერთი ჩემიც მოისმინეთ.

— სოჭვი, რა გინდა?— შემეკითხა უთუთია.

— ხომ ყველაფერი ჩამომართვით, ერთ რამესაც ვთხოვთ და ესეც ამისრულეთ! თუ ამისრულებთ, მერე უყურეთ მამათქვენს, რაფა ჩიტვით გაფრინდეს.

— მაინც რა გინდა ბებერო?— ჩამოერია ჩვენს დაეაში უტუნაც.

— რა, ბაბა, და ის ცოლიც წაიყვანეთ! ჩემი ცოლი თუა, თქვენი დედაა, და უპატრონეთ. ოცდახუთი წელიწადია ვპატრონობ, მე უბედური, და მცყოფა, ახლა თქვენ უპატრონეთ და ჩემ თავს, როგორც იქნება მოუვლი!

როცა შეილები არ დამყაბულდენ, შევატყე რომ ისინი არ ხუმრობდენ, მართლა არ მიპირებდენ ყანაში ჩაშვებას, გული მომივიდა და აყვავანიდი, აყვირიდი და, როცა არც ყვირილით გამოვიდა არაფერი, თავი მოვისაწყლე, დავიწვე ჩივილი, ოხვრა-კენისა, რომ დაებერდი და ოჯახში არაფრად მაგდებენ, რომ ჩემი გაქედილი ბაღნები მევე წამომაჯდენ თავზე და როცა არც ამან გასჭრა, მაშინ ისევ თავიდან დავიწყე, მუხლებზე ფორთხვით ჩამოვიარე ყველა სათითაოდ, ვემუდარებოდი, ვეხეწებოდი, რომ ოდღა ვარ, უყანოდ მე არ მეცხოვრება, რომ ასე უქმად გღებას, სიკვდილი მირჩენია და მოკლან ბარემ ისევ ქიონიას შევებრალე, კისერში ხელი შემომხვია და გულში მიმიკრა. მე ახლა სულმთლად ამიჩვილდა გული და თვალებში ცრემლი მომადგა.

— არა, ბაბა, არა!— მანუგაშებს იგი.— გეყოფა, ბაბა, რაც იმუშავე! ახლა ჩვენი ჯერია! არ გრცხენია, შეკაცო!.. გვეცოდები და იმიტომ ვშობით ასე, გვიყვარხარ, შე ლენო, გვიყვარხარ და იმიტომ! არ გვინდა რომ აღრე მოტყდე! სო, აწი სო! ხმა არ გაიღო.

ასე გამომაცალეს მე იმათ ეს ყანა ხელში და მას მერე ვადვივარ ამ ბორანზე ასე მოუტოლებლად, გავეკერ ამ თალარას, ამ მერეებს და გული მიკვდებდა, რომ მეც იქ არა ვარ,— ჩემ სიმინდში, ჩემ შეილებში და ჩემ კეთილმეზობლებში.

გზივარ და ყურს უვდებ იქიდან წამოსულ „ოდოიას“ და აქ ნელი ლილინით ხმას ვაყოლებ.

კარგა ხნის გადაშუადლებული იყო, როცა მე ცოტა შევისვენე. ხალხის დენა რომ შეწყდა. ერთხანს კიდევ ვიცდიდი და, რომ არავინ გამოჩნდა, თოხს პირი აუწყე, და იქვე, კარვის გვერდით, რაღაც ორიოდ კვალი თუთუნის მჭონდა დარგული, იმის გამო: ათოხნად მოვემზადე და ის იყო გადასვლას ვაპირებდი რომ ამ დროს სოფლის გზაზე რაღაც ყაყანი შემომესმა. მოვიხედე,— ჩვენი

ხუცესი საბა სტრატოლატე ჯორს მოაჩაქჩაქებს და უკან ფეხდაფეხ მხარზე გადებული თოხით მისი ჭკუის კოლოფი შვილი ბობია მოსდევს. მე უცქერ ამ მოსიყვარულე მამაშვილს და ცქერით თვალი ვერ ძღებდა. ეს უჩინარო მწყემსი მართმადიდებელი ეკლესიისა ისეთ დიდებულ ქართულსა სჭრიდა და ისეთი სასოებით უხსნიდა თავის სიყმის შვილს ოფლის გემოსა და მის სიწმინდეს, რომ მე, თვალთან ერთად, ყურიც ზედ შემჩნა, სიწმინდის რა მოგახსენოთ და ოფლის გემო მან მართლაც იცოდა, სულ სხვისი ოფლით ირჩენდა თავს და ამ საქმეში მას ასე ვენდობოდი, თითქოს ღმერთს ვყოლოდი ზებში.

ის საქმეში იყო შესული, პაერში ხელებს შლიდა და უამბობდა თუ რაოდენ დამალბინებელია სულისათვის ჯაფა, და როგორ ამაღლებს იგი კაცს ზნეობრივად და ღმერთს უახლოვებს. და თუ ადამიანი პირუტყვისაგან რითიმე განირჩევა, უწინარეს ყოვლისა, შრომის საჭიროების შეგნებით, თორემ ენა რა ბედენაა, ენა კაქკაქსაც აქვს. მაგრამ კაცი მაინც არ ჰქვია! ადამიანს შრომა აკაცებს, ის კი აძლევს მას კაცურ ღირსებას და მით ცხოველთაგან ანსხვავებს.

ბობია ფეხდაფეხ მოსდევდა მამას და ისეთი გამოლენჩებული თვალებით იცქირებოდა, რომ, ეტყობოდა, მამის ლაპარაკი, მას ურმის ჭრიალივით ატკბობდა, ძილს ჰგვრიდა და ასე ძილმოკიდებულმა ერთი ისეთი წაიფორზილა ნაორდალში, რომ კინალამ კისერი მოიტეხა. ხუცესი ყურადღებას არ აქცევდა შვილს, ლაპარაკობდა გატაცებით, ქაჭანობდა და ასე, ერთი ლაპარაკში და მეორე სილენჩეში წასული, ასე წამომადგენ თავს, რომ არაფერი გაუციათ.

— დილა მშვიდობისა საბაღია!..— მივესალმე მე ხუცესს და თავი მდაბლა დაუკარი. მან ყურადღებაც არ მომაქცია, ჯორის სიმალიდან ერთი უსიტყვოდ ჩამოხედა, ამათვალისწინებდა, მერე შუბლზე ხელაფარებულმა მზეს გახედა, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო რა დრო იყო, და, როცა დარწმუნდა, რომ მართალია დილის ხანია, მობრუნდა და მომესალმა:

— გაგიმარჯოს! შენ ისეთი ცრუ ხარ და გაუტანელი, რომ, თუ არ შევა-მოწმე, ლეთის საღამოც არ დაგეჯერება!

ასე წამახდინა კაცი, ამ სულბაღლმა, მაგრამ ულური მაინც არ გავიტეხე და განზრახ აგდებულად შევეკითხე:

— საით გამგზავრებულხართ ამ შუადღისით, ეს ორი ჭკუის კოლოფი?

— კოლოფად შენც გვეყოფი და ჩვენ ყანაში მიგვეჭარება. რალაც ორი კვალი სიმიწი მატებს დათესილი და იმას მაინც გამოვათობნიებ ამ ჩემ ბიჭს. მუშაობას ისწავლის და კაია!

მე ბობიას აეხედე და ეს გამოლენჩებული ბიჭი ისე იღვა გარისინებული, რომ უნებლიედ გამეღიმა. ეს სულწაწყმენდილი ხუცესიც მიცქერის თვალეში და ამ უცქუო თვალეშ ისე მიფათურებს სულში, რომ ვატყობ, უნდა გაიგოს მიეხვდი თუ არა მე გუშინდელი თხის ამბავს. მე აინუნშიაც არ ვაგდებ მის თვალეში ციციკინს და მოყვასისადმი კეთილი გრძობებით გამსკვალული ურჩევი:

— თოხნას, ჩემო საბაღია, გირჩენია მაგ ბიჭს შენი ხელობა ასწავლო. ჭკუა მაგ საქმეს არ უნდა და გარჯილობა. მიეცი ხელში წიგნი და აპუტუნე ეგ მამასულბაღლი იმ საკურთხეველში, შენზე ჭკვიანურს მაინც მოახერხებს რამეს.



— კაი ახლა, კაი!.. შამომიტია ხუცესმა.—ნუ წამოაგდე ამ ხაჭველს ვგენა, დამოლე, ძალღმა არ წაგკამოს.

— რა უქირს შერე, საბალია, შენ რომ გეყოფა იმდენი მჭირს ცემ-რჩება.

— აჟუ! შენ ტლიკინს თუ უყურე, მომხედავს ღმერთი! მაგ ლაქლაქს გირჩენია ვალმა დროზე გაგვიყვანო, თორემ, ხომ ხედავ, გლეხები ყანებს რაეა ფუტკარივით შესეგია? ხედავ, რა გულდაგულ მუშაობენ!

— ახლავე, ჩემო საბალია, ახლავე! ერთი ორი კვალი თუთუნის მეც მაქვს აგერ გამოსათოხნი და, საქმეს რომ მორჩე ამოიარე. მანამ წყალში ღვინოსაც ჩაეცეცებ და ე მაგ შენ გამოტყინებულ შვილს ამ დიდებულ აზრებს ცერაცვივით რომ აყრი, ჯობია ჩემთვის შეინახო, მაღალი აზრებით გონება გამინათლო და კეთილ გზაზე დამაყენო.

ასეთი მუსაიფით ვავეყვანე მე ისინი ვალმა და, უკან რომ მოვბრუნდი, ბორანი ბოგირზე გაქვით მივებაი, ღვინით სავსე ღოჭი წყალში ჩავეიდე და თოხით თუთუნში გადაველე.

— ხედავ, როგორ შემომიბრუნა მაგ სულძალღმა სალამი!—ებრაზობ მე, თან თუთუნს ძირს უთხარი და მიწას ვაყრი.—არც ისე თავფეკვილა ყოფილა რომ მეგონა!

დიდი უღიბლო რამე კი იყო ეს უბედური შვილი. ეს ერთად-ერთი შვილი ყავდა და მის ყოლას არ ჰყოლოდა ის ერჩია.

ექვსი წელიწადი იარა უშვილოდ ამ ჩემი ცოდვით სავსემ. ექვსი წელიწადი ატარა თავისი ცოლი სოფლის ექიმებთან, მარჩიელებთან, კულდიანებთან, მაგრამ მაინც არაფერი ეშველა და აი, ასეთ გასაჭირში რომ იყო, ამ დროს სოფელზე ერთმა ახალციხელმა თათარმა ჩამოიარა,—სახელად აჯი-ბაბა, უშვილობის უებარი ექიმი. თათარი ხუცესმა შეიფარა და მართლაც მისი გამგზავრების შემდეგ, ორი თვეც არ გასულა, რომ ფოფოდის მუცლის დამრგვალება დაეტყო. ვინ იცის რა ხმები არ დადიოდა მაშინ ამის გამო სოფელში! ხალხმა სალაპარაკო იშოვა და რას გააჩუმებდი?

აჯი-ბაბა მოსულა,  
ესმა დააორსულა!

მღეროდა, ახალგაზღობა, მაგრამ ხუცესი ისე იყო გამოტყინებული სიხარულით, რომ სად ეცალა ახლა მას სოფლის ჭორების ყურის სავლებად.

სოფელი ორ ჯგუფად გაიყო და განჩნდა ერთი აყალ-მყალი, ჩხუბი და დავა. ერთი მხარე ამტკიცებდა, რომ აჯი-ბაბა არაფერ შუაშია, რომ აქ საქმე სულ უბრალოდაა: ფოფოდია დიდის პატივით გასუქდა და მუცელი ქონით გაეტენა. მეორე იმ აზრის იყო, რომ აჯი-ბაბა არც თუ ისე უბრალოა ამ საქმეში და დიდი ცოდვაა, რომ მართმადიდებელი ეკლესიის მოძღვრის ქრისტიანი თანამეცხედრე მუცელში თათრის ნაყოფს ატარებდეს.

და აი ერთ დღეს, როცა ხუცის სახლში მშობიარის წივილი და სამახარობლო თოფის სროლა გაისმა, ჩვენ დაერწმუნდით, რომ ღმერთს მართლა შეებრაღა ხუცესი, შეისმინა მისი ლოცვა-ვედრება და ვაჟი აჩუქა.

რა უყოთ, რომ სოფელს ეკვები არ ასვენებდა? განა სულ ერთი არაა ვინა ეს შეილი, — ხუცისა, თუ აჯი-ზაბასი? მაგრამ იმ სულდაფულ ქეთათან სინჯარეში ერთი პატარა მარცხი მოსვლოდა: ბავშვისთვის თავშიც უტყფივს ჩადება დაეწყებოდა და ისეთი ლენჩი გამოვიდა, ეს მამაობრის შეილი, რომ საწყალ ხუცესს ასეთ შეილიანობას ისევ უშვილოდ დარჩენა ერჩია.

ეს წყეული ბიჭი ბალნობიდანვე ისე თავგაბარტყელბული იყო რომ, — ამას რა დიდი გამოცნობა უნდოდა? — ლენჩი გამოვიდოდა. მაგრამ ხუცესი უღრს მაინც არ იტებდა და გულდაიხედებული იყო, რომ მისი შეილის ფასი ქვეყანაზე არაფერი დადიოდა.

მე გული მომდიოდა მის ამ სულელურ იმედებზე, ვბრაზობდი, და ვეჩხუბებოდი:

— საბალია, კაცო, გაანებე მაგ ბალნას თავი! ისედაც არაა დიდი ქუის პატრონი და მთლად ნუ გამოატყინე. რაა, შეკაცო, ქვეყანა რომ შეაწრიალე და არცერთი მარჩიელი და ექიმიდაში არ დატოვე? ხომ ხედავ, რომ იმ დალოცვილ ლმერთს ქეუა იმთავითვე არ მიუცია და შენ საიდან გინდა ახლა თავში ჩაუღო?

— ლენჩი და სულელი შენ თვითონ ხარ! — მიტყედა იგი მოთმინებიდან გამოსული. შენ, ძამია, რა გიჭირს? ცხრა გყავს და მე ამის მეტი არაფერი გამაჩნია. თუ არაფერი ეშველება, გულს მაინც ვიჯერებ.

მართლაც, სანამ რვა წლისა არ შეიქნა ის ცოდვის შეილი, მანამ ჩვენმა ხუცესმა გული ვერ იჯერა, ან და რას შეატყობდა საწყალი? ჩვილი ბავშები არ დადიან, არ ლაპარაკობენ და საქმეს არაფერს აკეთებენ. სკამენ მხოლოდ, სვამენ, სტირიან და საცვალს აფუქებენ. ამ საქმეს ყველა ბავშები ერთნაირად აკეთებენ, — ქვიანებიც და სულელებიც, — რა უნდა შეეტყო?

— რა უჭირს მერე, საბალია! — განუგეშებლი მე. — ბაღანაა, შეკაცო, გაიზრდება და ქეუაში ჩაეარდება.

— მეტი ჩემი მტერი არ იქნა, ჩემო ბათა! როგორც შენი ქეუაში ჩავარდნა არ იქნება, ისე არც მაგისი! — მიპასუხებდა იგი იმედ დაკარგული.

— ლანძღვას რას მემართლები, პეჩი? მე განუგეშე და, თუ მართალი გინდა, ასეთია: დედა ნახე, მამა ნახე, — შეილი ისე გამოიხატო. დედას რას ვერჩი და, ისე ი ბიჭი შენი ასლი რომაა, ამას, თუ გინდა, ცა და ქვეყანა დაგიმომწმებს.

ბევრი იწვალა საწყალმა ხუცესმა, ბევრი იდავიდარაბა, მაგრამ მისი საშველი მაინც არ იქნა. სად არ დაყავდა საექიმოდ და გამოსალოცავად! ერთხელ კოჯრის იქით, უძოშიც კი წაიყვანა ვილაც ჯანაოზთან და ერთი თვის შემდეგ, ისევ ისე ქეუა ცარიელი ჩამოიყვანა და ზედ თავის ჯიბის სიცარიელეც დაამატა.

ამის შემდეგ მან მთლად დაიკრიფა იმედები და ბედს შეურთგდა. ან სხვა რა გზა ჰქონდა?

ყოვლად უმაქნისი რამე კი იყო ეს მამასულწაწყმენდილი! ზარმაცი, უქკუო, და საძაგელი შესახედავი. არ იყო ქვეყანაზე კაცი, რომ ის დამჯდარი ენახა. ან ეძინა, ან ფეხზე იღვა. ცხენის გაკეთებული თუ იყო ეს სულმყრალი? ერთი

მოიმაზი რამ და, თუ არ ქანქარობდა და უკანაღს კუდელს არ სცემდა, იღვა გარისინებული და, ქვეყანა რომ დაქცეულიყო, ერთს არ გაინძრებოდა წარბს არ შეხრიდა. ალბად ფეხად თუ ეძინა, ან ღმერთს თუ ელაპარაკებოდა.

ამდენ სისაძაგლესთან ერთად, ერთი დიდი ღირსება ჰქონდა. ეს ღირსება მისი ბანი და სმენა იყო. ის რომ აგუგუნდებოდა, ცა და მიწა ზანზარობდა. ამიტომ მამამისს ყოველ წირვაზე ეკლესიაში დაჰყავდა. ისიც იღვა საკურთხეველთან, უკანაღს კიდეღს ერთგულად სცემდა და თავსა და ბოლოს აქანქარებდა. ნაყავილევი, თვალდავსებული მონაზონი კესარია პირველს ამბობდა, ღრანჯოქცეული დიაკვანი კოზია მეორეს და ბანს ბობია აგუგუნდა, და ეკლესიის ამ სამ წმინდა ცხოვარს რომ შეხედავდი, გული გაგინათლდებოდა და სასოების ცეცხლი საამოდ შემოგველეებოდა. ხანდახან ბობია სასანთლეებს ჩამოიარდა და ნახევრად დამწვარ წმინდა სანთლებს აქრობდა, აგროვებდა და თან საარყე ქვაბივით გუგუნებდა.

ერთადერთი სიტყვის მსგავსი, რომელიც მან იცოდა, ეს „ბობე“ იყო. როცა ის ამ „ბობეს“ ბანით დაიძახებდა, უნდა გცოდნოდა, რომ ის რალაც ღრმისა და ბრძნულს გამოხატავდა, მაგრამ ვინ მიხედებოდა მის სიბრძნეს? და თუ შენ ღრმა აზრების ოდნავი პატივისცემა ზინც გქონდა და ქუდი ყალყზე ამდგარ თმებისგან თავისით არ გადაგვარდებოდა, შენით უნდა მოგეხადა და ისე მოგესმინა ეს ღვთის განგების მიერ ამტყველებული წმინდა აზრი. თუ ხუმრობის გუნებაზე იყო, მაშინ ამ „ბობეს“ ისე საძაგლად დასწყვილებდა, რომ თუ ღამე იყო, ხეზე დაბუდებული ქათმები ძირს დაზაფრული სცვიოდენ და, ამბობდენ, მე არ მინახავს, ერთმა ჩვენმა მეზობელმა, არ დავასახელებ, რა საჭიროა, ერთხელ ასეთ დაჰყვილებათ, შიშით შარვალი წაახდინა.

ასეთი იყო ეს ჩვენი მართლმორწმუნე ხუცესისა და ყოვლად უპატიოსნესი ქრისტეს მხევლის ფოფოდის თავდავიწყებული სიყვარულის ნაყოფი და აი, არც ახლა იშლის ეს ხუცესი თავისას. იმედი ჯერ კიდევ მთლად არ დაუკარგავს და უნდა ამ ყოვლად უნუგეშო სულელს მუშაობა მაინც ასწავლოს. მე სულმა წამძლია, გულმა არ მომიტმინა და თალარაში ხუცის ყანას გაეხედე, მინდოდა ჩემი თვალთ მენახა თუ რას აკეთებდენ იქ ეს ორი ძვირფასი მამა-შვილი.

ხუცესი თოხს რაც ძალი და ღონე ჰქონდა მიწას ურტყამდა და თან შვილს რალაცას ეყაყანებოდა. ალბათ თოხის ხმარებას თუ ასწავლიდა? მე ჩამეცინა და ისევ ჩემს სამუშაოს მოუბრუნდი.

შუადღეს კარგა გადასული იყო, ყანებში წასული მესადილე ქალები უკანვე გადმოვიყვანე ცარიელ კალათებით, ქოთნებითა და ღოჭებით.

შუადღის თაკარა სიტყვ სკასავით ზუზუნობდა და ყველგან ადამიანის დამთენთავი ძილის სიბუვე იყო გამეფებული, ყველა შუადღის ძილს მისცემოდა და ირგვლივ სიჩუმე იყო. ის იყო, მეც გავაპირე თაბიანე ასვლა დასაძინებლად, რომ ამ დროს გაღმიდან მომესმა:

— ბათაია, ჰაჟუ!.. ბათაია!

ეს საბა იყო. მე გამიხარდა, ძილს ისევ მუსაიფი მერჩია.

— ახლავე, საბალია, ახლავე!—გავძახე მე მას, ხაბოზე ჩავიბრინე და ბორანი წყალში შევაგდე.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ კარვის წინ ვისხედით და ლეინოს შევექცოდით. და ასე, სმაში რომ ვიყავ გართული, შემთხვევით ხუცის ყანას დახვდეთ და ვხედავ რომ ხუცისის ის შტერი ბიჭი შუა ყანაში ჯირკვით გაჩერებულია, სულელი თავი მზისთვის შეუსვერია და, ალბათ, ანგელოზებს თუ ელაპარაკება? იმიტომ რომ ანგელოზები რატომღაც მუდამ სულელებსა და ქადაგად დაცემულ ლენებს ეცხადებიან.

— ძალიან კი მუშაობს, იცი, ი შენი ბიჭი!—ვეუბნები მე მას აღტაცებით ხუცისი ვერ მაჩნევს რომ დავეცინი (ყანისკენ ზურგით ზის და ვერაფერს ხედავს). სვამს თავისთვის და რომ დაღევს, ცარიელ კათხას სუფრაზე დაარტყამს, წვერზე ხელს ჩამოისვამს და კმაყოფილებით აღმოხდება:

— აბა-პაია!..—და მერე თავმომწონედ ამბობს:—აბა რაღა გეგონა, ჩემო ბათა? შენ ერთი გაისად მიყურე რა სიმინდი მოვიწიო!

— კი მარა, ჯერ ნალიები უნდა მოიმარაგო, შე კაცო!—განეაგრძობ მე ისევ ისე ყაშმირულად, მაგრამ ეს ჩემი ცოდვით სავსე ისე სულელია, რომ ვერ მაჩნევს და გულუბრყვილოდ მეუბნება:

— რათ მინდა მეტი, შე კაცო? სამი ნალია მაქვს და არ მეყოფა თუ?

— რას ამბობ, კაცო!—გაფიქვირე მე!—სამი რას გეყოფა? ის შენი ბიჭი რომ მუშაობს, ასე თუ იმუშავა, სამი კი არა, ოთხი ბელელიც რომ მიუმატო, მაინც არ იკმარებს.

— შენ დამცინე, დამცინე და აგერ სთველზე გაყურებივბ სეირს!—აკან-ჩურებს თავს ხუცისი და მე, თითქოს რაღაც შემომახდა გულს, ისე დავიწყე ოხვრა. ვკენესი და ვწუწუნებ ჩემთვის:

— ვაიმე!.. ვაიმე, შენ ჩემო თავო!..

ხუცისი შედრკა, მზრუნველობით სახეში ჩამოხედა და შეწუხებული მკეითხება:

— რა იყო? რა დაგემართა? რას ოხრავე, ოჯგო?

— რალა რა იყო, ნამაო!—ვობრავე მე ისევ ისე.—მე რომ ჭკუა მქონდეს, კი არ უნდა ვობრავედე, კედელს უნდა ურახუნებდე ამ თავს. მაგ შენი წვერის ცანცარს რომ უყურებ, ოხერი, გულზე სისხლი მველებს,—ჩემი დაკარგული თბა მახსენდება! ეხ, თხაო, თხაო! მოდი ვნახოთ თხაო, რამ შექამა თხაო? რამ შექამა და ისევ თხამ იმ ჩემი ცოდვით სავსემ! აი, პაი, პაი!

— აბა! აბა!—შეწუხებისაგან ტაში ტაშს შემოჰკრა ხუცისმა.—ამ დილაზე მითხრეს,—თხა დაგიკარგავს!—განავრძობს იგი ისე, თითქოს თვითონ არაფერ შუაში იყოს.—რა უყოთ მერე, შეკაცო, თხა ვის არ დაკარგავა? მგელმა თუ შექამა?

— ეეხ, ჩემო საბალოა, მგლის შექმას, ისევ ასე დაკარგვა მერჩია, ცოტა ხორცი მაინც ჩამოვფრჩხილე და ისიც ხეირია! გულშინ ღამ, შენ რომ მრგვალად შემწვარი თხა გვაქამე, ჩემი რომ იყო, ისე ვიცი, თითქოს მე მეშობოს!—უპასუხე მე მწუხარედ და თან თვალს მის თვალებს არ ვაშორებ, უცქერ ერთი თუ შეკრთება, მაგრამ სირცხვილ-ნამუსის ძარღვი გაწყვეტილი აქვს და რა შეაკრთობს სულძალის?

— ხომ არ გადირიე, ყაძახო!—მიტევეს იგი პირაქეთ და თან სიცილის ძლივს იკავებს.

— არა, ჩემო საბალია, არა, ჩემო სულიერო მამაო! სული ხომ შენ იყო, არ დამჯერდი და ახლა ხორცსაც ეპატრონები, არა? ჯერ თხით დაიწყე, მარა არ შეგარჩება, იცოდე! გადასარტევი რა მჭირს, შეკაცო! გადარეული მაშინ ვიყავი, ჩემი თხით მევე რომ მიმასპინძლებოდი და მეც სიხარულით მადლობას გიხდდი.

— ყა, ბათაია, არსად წამოგცდეს და ამ უბრალო კაცს თავი არ მომპრა! მეუბნება იგი და თან პირზე ღიმილს ვერ იკავებს, მეც ვიღიმი. მაშ რა ვქნა? თხა თხად დავკარგე, ერთი ზარალი არ მეყოფა, ახლა ზედ მეორეც დაურთო და ტირილით გული შევიღონო?

— თავი შენ კარგა ხანია მოჭრილი გაქვს!—ეობრავე მე ისევ ისე.—და მაგ ცარიელი კოლოფის მოჭრას რა ჭკუა აქვს? მე ის მაწუხებს, რომ ეს ოხერი თავი მეც მომპრა! ეეხ, ეეხ, ჩემო საბალია! თურმე ის დალოცვილი იმიტომ იყო ისე გემრიელი, რომ ჩემი იყო! მე კი, მე სულელს, მიკვირდა, ასე გემრიელად ეს თხა ამ ხუცესმა როგორ გაასუქა მეთქი!..—ამ სიტყვებზე, ჩვენ თავი ვერ შევიკავეთ და ორივემ ქირქილი დავიწყეთ.

ასე ვიცინოდით ჩვენ ერთხანს, მაგრამ უეცრად გავჩუმდი და ხაბოზე გადამდგარ ორ შეზობელს დავაკვირდი. ერთი ყარამანა იყო, ბარამია, მეორე ტონი ძველაია, ორივე მეთევზეები. იქვე თევზით სავსე გოდორი დაედგათ და რალაცას გაეჭარბებთ ყაყანებდნენ. მე რა სული მომითმინდა, რომ მათი ყაყანის მიზეზი არ გამეგო? ავდექი და მათკენ გავემართე.

— კაი გამარჯობა თქვენი, შეზობლებო!—მივესალმე მიახლოვებისთანავე.

— გამარჯობა ნუ მოგეშალოს!—მიბასუხეს მათ ისე, რომ ჩემთვის არც შემოუხედავთ, ასე გამტკრებულნი იქტირებიან გაღმა და რალაცას უთვალთვალებენ.

— რაა მეზობლებო, რას ყაყანობთ, ან რას მიჩერებხართ იმ თალარაში?—ეკითხები მე მათ გაკვირვებული.

— რალა რას მიჩერებხართ, ჩემო ბათა!—დაიწყო ყარამანამ.—ეგერ, იმ ხუცის ყანას ხომ ცნობ?

— რაე არ ვცნობ, შეკაცო?

— ყანაში ჯირკი რომ დგას, იმასაც ხომ ხედავ?

— ვხედავ! —უბასუხე მე და გამეღიმა.

— ხო და, ამ კაცს დაუჩემებია, გინდა თუ არა, ის კაციაო. ვერაფრით დავაჯერე. აგერ ერთი საათი იქნება, რაც ამ ნაპირს მოვყობით, ანკესები ჩამოვიარეთ, უყურებთ და ერთი არ განძრეულა. კაცი რომ იყოს, ერთი რაეა არ გაინძრეოდა, ანდა ადამიანისშვილს ამ გაგანია სიცხეში მზის ქვეშ ამდენ ხანს რა გააჩერებდა?

მე ხუცესს ღიმილით მოვხედე, მაგრამ მას უკვე ღვინო მოჰკიდებოდა, კისერი მოსწყვეტოდა და ეძინა. მერე ისევ ყანას გავხედე, კარგა დაეკვირდი და, დასწყევლა ეშმაკმა, მე თვითონ შეეკვდი, მართლა ჯირკი იყო, თუ ადამიანის-შვილი? ხელით მზე მოვიჩრდილე, ისევ გავხედე და ვხედავ, მართლა ჯირკია

ნავარი! ყანაც ნამდვილად ხუცის იყო, რას შემეშლებოდა? თვითონ ბევრჯერ მიხნავს, მითოხნია. მართალია, რამდენიმე წელიწადია, რაც თონიქს გაღმა არ გავსულვარ, მაგრამ ამხელა ჯირკი მის ყანაში მაინც არ მახსოვდა. ის გამოტვინებული ბობია მაინც სად ჯანდაბაში დაიკარგა? ისევ დავაკვირდი, დავაკვირდი და ვიცან, როგორც იქნა, სიხარულით გულს მომეშვა,—ეს ჯირკი ბობია იყო, პირი ცად აეპყრო და ღმერთს ემუსაიფებოდა.

— საბალია, საბალია! გაეძახე მე ხუცესს.

ხუცესი გამოერყვა, ნამძინარევი თვალებით უნაგარიშოდ გამოგვხედა და ბუზღუნობს:

— რა ეშმაკი გინდა, შე უკულმართო? მომასვენე, ხომ ხედავ რომ მეძინება!

— ერთი, თუ კაცი ხარ, აქ მოდი, დიდი საქმე გვაქვს და მოგვეხმარე! მაღლია!

ხუცესი რის ვაივაგლახით, ზღაზვნით, ოხერითა და ლანძღვა-გინებით წამოდგა, თან გვერდზე აღშფოთებისაგან აფურთხებს, რომ მოსვენების საშუალება არ მივეცი, და, რომ მოგვიახლოვდა, მე ხელი უსიტყვოდ მის ყანისკენ გავიშვირე. ხუცესმა, ყანას რომ გახედა, გაშტერდა და ქშენა დაიწყო.

— დასწყველა ილორის წმინდა გიორგიმ, რა უნდა იყოს, ა?—გვეკითხება ის პირაქეთ, ანათორის გულჯიბიდან სათვალე ამოიღო, თვალებზე აიფარა, ისევ გახედა და მის გაოცებას არა აქვს საზღეარი.

— ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს!—იძახის იგი პირჯვრის წერით.—რა უნდა იყოს, მეზობლებო, ა?—გვეკითხება იგი ისევ ისე და თან გაოცებისაგან მუხლებზე ხელებს იცემს.—სასწაული! სასწაული! ამ ჩემ ყანაში ჯირკი არასოდეს არ ყოფილა და ახლა საიდან ჩამოვარდა? ი ბიკი მაინც სად დაიკარგა? ბობია! ბობია, ჰაუუუ!...—გაჭკივის იგი, მაგრამ პასუხს არავენ იძლევა. მერე შიშით მუხლებმა უსუსტეს და ასე ოხერით, ქშენით იქვე, მიწაზე, ჩიკეცა და გასცქერის თავის ყანას, პირჯვარს გამაღებული იწერს და აფურთხებს ეშმაკსა და მის მოციქულებს. ის რომ ასეა, შიშით დაზაფრული, მე უცქერ მს და სიცილისაგან თავს ძლივს ვიკავებ.

— კაცია, ყარამანა, კაცი!—ვეუბნები მე ბოლოს ბარამიას დაბეჯითებით.

— რამ ვააკაცა, შეკაცო? კაცი ამდენხანს ერთი რაფა არ გაინძროდა?—მიტევეს იგი და ჯირკს კიდეე უფრო აკვირდება.

— ვეუბნები კაცია და, თუ არ გჯერა, დამენიზლავე!

— კაი, დაენიზლავეთ!—მეთანხმება იგი ყოყმანით.—მარა, ეს ოხერი, სირცხვილით რაფა დაგენიზლავეო, როცა თვალდათვალ ვხედავ რომ ჯირკია.

— რა უჭირს მერე? შენი რა სირცხვილია? სირცხვილი ისევ ჩემი იქნება. მოიტა ხელი!—ვაქებებ მე.—ვინც წაავოს, კაი ვახშამი გვაქამოს!

— კარგი, ბათა, მარა, იცოდე, აქიდანვე გირჩევ, ნუ შენიზლავები. თვალდათვალ ვხედავ რომ წაგებული ხარ!—მირჩევს ყარამანა ბარამია, მაგრამ მე ჩემსას მაინც არ ვიშლი. მაშინ ის სანაძლეოზე დამყაბულდა, შეთანხმების ნიშნად ხელი ხელს მივეცი და ტოჩი ძველაიამ ჩაჭრა.



ხუცესი კი ისევ ისე ზის მიწაზე, ოხრავს ჩენს დაეაზე, კენესის, ხან ივარდება, ხან ისევ დაჯდება, ცხვირზე სათვალეებს ისწორებს და მუტუტუტუტუტის ოფლს იწმენდს.

— რა უნდა იყოს, კაცებო? მაინც რა უნდა იყოს, ა? — ბუტბუტებს იგი ერთსა და იმავეს ქადაგად დაცემულივით.

ჩვენ ისევ ისე გავცქერით ხუცის ყანას, მაგრამ ამ ოხრად დასარჩენი ჯირკის განძრევას საშველი მაინც რომ არ დაადგა!

ამ დღეში რომ ვიყავით, კიდევ შემოგვემატა ერთი მეზობელი და, რომ დაგვინახა, გაიცინა:

— თქვენ რომ ასე გაშტერებული მაგ ჯირკს მიჩერებხართ, მე თქვენ თვითონ მეგონეთ ჯირკები! — იხუმრა მან, მაგრამ მალე იმასაც ჩაუვარდა ენა მუტელში, გაიწერა და ისიც ჩვენთან ერთად [გაცქერის ხუცის ყანას გაოცებული.

— რა უნდა იყოს მეზობლებო, ა? — აღმოხდება მასაც ხუცესივით ხანდახან გაოცებისაგან.

და ასე, იმდენი უქტირეთ ჩვენ ამ ჯირკს, რომ ფეხზე ჩამოვწყდით, თვალები ამოგვიღამდა, გული გადაგველია და, ის მართლაც არ გასანძრევი, დგას და დგას გაშტერებული! ან რამ ვააშტერა ასე უსაშველოდ ეს ტვინამყრალეებული? მშემ მაინც როგორ არ გაუხვრიტა ის ცარიელი თავი?

ხუცესი ისევ წრიალებს, ისევ ოხრავს, კენესის და შიშით არ იცის რა ქნას. ის მართლა შეშინდა ამ ლეთისა თუ ეშმაკის მოვლენილ სასწაულზე. პირველად გამალებული ისახავს და გაიძახის:

— ი ბიჭი მაინც სადაა ამდენ ხანს? ღმერთო, შენ შემეწიე, წმინდაო გიორგი, შენ დამიკე! ე, ბათა, ბიჭო, მიშველე რაცხა! ერთად გავიდეთ, მეზობლებსაც დაუძახოთ, თორემ, ვინ იცის იქნება, მართლა მავნეა? მოკლავ, იმ ბიჭს, მოკლავ, თუ სადმე წაიფიქე! სადაა ამდენ ხანსა?

— ღმერთმა თუ წაიყვანა ცაში მოციქულად? დიდი ნიჭიერი იყო, ალბათ, ვერ შეიღია, მის სახელს დავენაცვლე, და თავის ნაჩუქარი უკანვე წაიღო, რომ გაწაფავს და ერთი რჯულზე გაწოთენის, მერე მოციქულად მოგვივლენს და შენ მაშინ უყურე რაღა გაკეთდები შავი დედალივით!

— გაჩუმდი, ენა ჩაივდე, შე ლეთის მაწყევარო, შე ლეთის პირიდან გადავარდნილო და უკულმართო, შენ! — მიტევეს იგი.

მე ყურადღებას არ ვაქცევ მის ლანძღვას, ისევ ყანას გავცქერო და, რამდენი დრო გადის, იმდენი მოთმინება მეკარგება, ხალისი მიფუტდება, მაგრამ ულურს მაინც არ ვიტებს, ვხუმრობ და, მართალი მოგახსენოთ, არც თუ მთლად ხუმრობის გუნებაზე ვარ. იქნება მართლა ჯირკია და წაევა, ნამდვილად წაევა ეახშამი!

და ჩვენ, ეს ხუთი კაცი, ასე პირდაპინილი რომ გავცქეროდით, უცრად შევნიშნეთ, რომ საიდანაც ერთი გზადანებული ყვავი გამოჩნდა ცაში, პაერში ერთი ფარფატით შეითამაშა, ნავარდი გააკეთა და პირდაპირ იმ ჯირკისაკენ წამოვიდა, ჩვენ რომ მივშტერებოდით.

— დასწყევლა ეშმაკმა და ქინკამ მაგისი რჯული და მატყანდასაქმობდა მე.— მართლა ჯირკი უნდა იყოს. აგი ნაგარი!

ყვავი წამოვიდა, წამოვიდა და პირდაპირ ჯირკისაქენ გამოემართა დასაჯდომად. შე უტკერ ჩემი თვალის დაესებას. ეოხრავე იმედ დაკარგული, რომ ასე უტკუოდ წავაგე ვახშამი. უტკერ თვალზე გაციებული და ვხედავ ეს ყიამყარლი ყვავი ეს-ეს არის უნდა დაჯდეს, რომ ამ დროს ჯირკმა ხელი აიქნია, ყვავი დაფრთხა, ერთი გულგახეთქილი შეფრთქილდა და გაფრინდა.

— მოგიგე, მოგიგე, ყარამანა!—ვიძახი მე, მაგრამ სიხარული არ დამცალდა, ხუცესი უეცრად გახელბულივით მოსწყდა ადგილს, ხელეზი ჰაერში აასაესაეა, ანაფორა ბაირალივით ააფრიალა და ვხედავ, აშკარად ვხედავ, რომ თუ ის ყვავი ვერ დააჯდა იმ ჯირკს, სამაგიეროდ ეს ყვავი მოჯდება ზურგზე, როგორც საჭიროა.

— მაცა, შენ ზანტაკო, მაცა, შე დედმამის სისხლის გამშრობო!.. მომიცადე, მანდ მომიცადე და მე ვიცი, მე ვიცი როგორ აგიტრელო ეგ ზურგი;—მიყვირის ხუცესი მუშტების ქნევით და ის სულწაწყმედილი დგას მაინც ისევ ისე ჯირკივით გაშტერებული და ისეა გამოტენებული, რომ ქვეყანაზე არაფერი არ ესმის.

— საბალია, საბა!

— რა გინდა შე ქრისტეს ძვალის მტკვერელო?—შემომიღრინა ხუცესმა ავი ძალღივით.

მე გულმა არ მომითმინა და მივაძახე:

— ერთი ბელელი რას გეყოფა, შეკაცო? ხუთი ნალია კიდევ დადგი, თვარა მაგ შენი შვილის ხელხეხას სად ჩაატევე?

— ფუი, შენ კაციშვილობას, რაეა ენად შენ ხარ წასული!—შემომიკურთხა მან და გაქანდა პენდელივით. მე მაინც არ მოვეშვი და ისევ გაეძახე:

— გაანებე თავი, შეკაცო, კაცია, მარა მაინც ჯირკია! მაგას რომელი ჯირკი არ ჯობია? ცეცხლს მაინც შეუზრავ!—ის ყურადღებას არ მაქცევს, არც მომიცადა, ისე ჩაირბინა ეს ხაბო, შეიჭრა ბორანზე, აუშვა და წავიდა გაღმა, გაეშურა ეს მოსიყვარულე მშობელი თავის ხვითოს კაკალ შვილთან.

ჩვენ, მეზობლები, ვიდგქით, ტყბილად ვქირქილებდით და, მოგებულ ვახშმის მოლოდინში, გაეცქეროდით ხუცესს, როგორ მიფრიალებდა ის გაფოფრილკრუხივით გაღმა ლანძღვა-გინებით.

მეორე ნაწილის დასასრული.





# განთიადის წიგნ\*)

რომანი

ს ი ს ს ლ ი

კორნელიმ შეიტანა მაჩაბელთა მყუდრო ბინაში ბრძოლის ველის განწყობილება. როიამ ყეფა ასტეხა და ლედას აღრენით დაუხვდა. სკამი წაიქცა. ჯაჭვი ელარუნებდა. ნინო, ვარდო და გერმანელი ქალი—მარგარიტა შეეგებნენ კორნელის. ჯიბოს საჩუქარი—ლედა მეტად მოეწონა ნინოს. თავზე ხელი გადაუსვა, მოეფერა.

— რა კარგი ძაღლია! დედა, შეხედე!

როიამაც გასინჯა: ტუჩი მიაღო, თითქოს რაღაც წასჩურჩულაო. ირგვლივ შემოუტრიალა და რა რომ დარწმუნდა ღირსეული ძე იყო, წკმუტუნით მორთო, გულში ავი განზრახვა ჩაიდო და ოთახშივე მოუნდომა აღერსი, რისთვისაც კორნელიმ პანდური შესთავაზა.

— Смотрите, с какими он к ней гнусными поползновениями лезет?— წამოროშა კორნელიმ. ნინო ყუროს ბიბილომდე გაწითლდა: არ მოელოდა კორნელისგან ასეთ ტლანქ შენიშვნას. ვარდომ იფიქრა: „აბა, რა განათლებას მიიღებდა ყაზარმაში?“ ხოლო გერმანელ ქალმა მარგარიტა ლეტკმა ხანგრძლივ მიანათა კორნელის ცისფერი თვალები; წითელი და სველი ტუჩები კოკოტკასავით მოსწრუბა და უსაყვედურა:

— Ах, вы пакостник!—ამ საყვედურში ისმოდა კორნელთან შეთამაშება. ეს იგრძნო ვარდომ. არ მოეწონა გერმანელი ქალის ვულგარული სიცილი და წყენით სთქვა:

— დაიწყება ეხლა ამ ტიალი ძაღლების ვაი-უბედურება! თითქოს ჩვენი როია არ კმაროდა?! რა შეინახავს ამ ქამიანობის დროს ორ ძაღლს?!

კორნელი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა.

ლედა იატაკზე იწვა. თავი მაღლა ასწია და ვარდოს მიაჩერდა.

— შეხედეთ, როგორი მორჩილი, ერთგული და ქვეყანი თვალები აქვს!— სთქვა ნინომ და უნებლიეთ წამოცდა.—შენ თვალებს ჭგავს!

— კარგი შედარებაა!—უპასუხა წყენით კორნელიმ.

— პირიქით, კორნელის ურჩი და უცნაური თვალები აქვს!—შენიშნა ნინოს მარგარიტამ.

— გიჟი!—დაიძახა ვარდომ ღიმილით. მაგიდიდან აიღო კორნელის ქუდი და შევილს თავში ჩაარტყა. ნინომ ხელითგან გამოსტაცა.

— დაიხურეთ ჩემი ქუდი!—უთხრა მას კორნელიმ.

\*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 4.



— ფუი, დასვრილია!

— აბა, სად არის დასვრილი? ახალი ქუდია. დაიწერა კორნელი ნინოს თქვენობით მიჰმართავდა.

— რისთვის უნდა დაეიხურო?— შეეკითხა ნინო.

— იმ წამსვე მოგზადით ლედა!

ნინომ დაიხურა კორნელის ქუდი და ლედას წინ გაჩერდა. კორნელიმ მოხსნა ჯაჭვი ძაღლს და დაუძახა:

— ლედა, მოჰხადე ქუდი! ეცი!

ლედა გაიქცა. ისკუბა. ნინოს შეეხტა. ქუდს პირი წააგლო, მოჰხადა და კორნელის მიურბენინა. ეს „ტრიუკი“ მოეწონათ ქალებს. ნინოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და ვინც კი შემოვიდოდა ოთახში მათაც დაჰსურავდა ქუდს თავზე და ლედას მიუსიანებდა. ებლა მარგარიტა აიჩემა.

— ნუ გეშინიათ. აბა, დეაბი!— დააიმედა გერმანელი ქალი კორნელიმ და იმ წამსვე გაწყვეტილი ჯაჭვი ელარუნით დაცვინდა იატაკზე, ხოლო ჯანგიანი მავთულით გაჭრილი თითი მხედარმა მალა ასწია და სინათლეზე დაუწყო სინჯვა.

— გაიჭერიო?— შეეკითხა მარგარიტა და ახლოს მივიდა.

— არა უშავს!— უბასუხა კორნელიმ.

— მაჩვენე!— უთხრა ვარდომ. ყველანი გარს შემოეხვივნენ. კრილობაზე მომდგარი სისხლის წვეთი იზრდებოდა.

— ჯანგიანია!— დაიძახა ნინომ და გაწყვეტილი ჯაჭვი ხელიდან გაავდო.

— გაირეცხე. დაიცა, იოდს მოეიტანს!— შეწუბდა ვარდო და ჩქარის ნაბიჯით წავიდა საწოლ ოთახში.

— სისხლი არ მოგეწამლოს!— შეშინდა ნინო.

— გამოიწოვე შეილო!— ასწავლა გამდელმა.

— გამოიწოვეთ!— გაიმეორა მარგარიტამ და კრილობას დააცქერდა. თითის ტყავი და ხორცი ახეული იყო გაწყვეტილი რგოლის წვერით. სისხლის წვეთი იზრდებოდა. კორნელიმ დაჰბერტყა ლუმელთან კრილობიდან გამოდენილი სისხლი და მარგარიტას გაუღიმა, თვალი ველარ მოაშორა; გერმანელ ქალს გადასძვრა მოსასხამი. ტანი ზანგისფერი ჰქონია. ზღვაზე დამწვარი მზისაგან, თითქოს ალმური ასდისო, ოქროსფერი თმის კულული შეკრეკილია და ლოყაზე ზანჯლის წვერივით გამოწვდილი.

— გამოიწოვეთ, თორემ სისხლი მოგეწალებათ!— გაიმეორა მარგარიტამ და გაბრწყინებული თვალები ისევ მიაპყრო სისხლის წვეთს. პატარა ცხვირის გაფართოებული ნესტოები გამალებით თრთოდნენ.

— მეზიზღება. ვარდო იოდს მოეიტანს!— უბასუხა კორნელიმ აღრენით.

— რას ამბობო?— დაიძახა სახეზე ოდნავ გაფითრებულმა მარგარიტამ. კორნელის ხელი შეიპყრო, თითზე ტუჩებით დაეკვდო და კრილობას წოვა დაუწყო. ქვეშდაფენილი, ხაოიანი ენის წვერით ხეხდა და სწმენდდა. ცხელი ტუჩების და ენის შეხება გახურებულ შანთივით იგრძნო კორნელიმ, თითქოს გველის ნაკბენი ამოსწევსო. ტკბილი და ნეტარებით სავსე დენი ჩაიღვარა მის ძარ-

ღვებში. გაიღიმა, იარის ამოწუწუნის შემდეგ სისხლი აღარ მოეწამლებოდა, მაგრამ უხერხულობას ჰგრძნობდა.

— გმადლობთ, გმადლობთ. საეპარისია!—სთქვა კორნელიმ; ლოყაზე და ნიკაპზე ხელი შეახო და მარგარიტას თავი ააღებინა. მარგარიტას უზარმაზარ საყურეში ჩაუჯნელი მარგალიტები ქანაობდნენ და კიაფობდნენ. ვარდო შემოვიდა ხელში იოდის შუშით. მარგარიტა მოშორდა კორნელის დაქრილ ხელს და თავი ასწია. მისი თვალები უცნაურად იყვნენ მიბნედილნი, იქიდან გამოსროლილი ნემსის ყუნწის ოდენა შუქი ჩაესო გულში და ჩაეჭსოვა უხილავის ძალით კორნელის. ქალის მსუქანი ტუჩები სისხლით იყო შეღებილი. ნინო გაკვირებით შესტკეპროდა გერმანელ ქალს, უკვირდა მისი ნამოქმედარი.

ველური და პირველყოფილი ნეტარებით აღსავსე თვალთა გამოხედვაში მაღალი წრიდან გამოსულმა და გამოცდილმა ვარდომ დაიჭირა აღვირაბსნილი ვნება... (რა გამოეპარება არისტოკრატ დედალის ინსტინქტს?!).

— რატომ არ დამიცადეთ? სისხლი გაცხიათ ტუჩებზე, გამოირეცხეთ პირი!—უთხრა დაცინვით ვარდომ. მარგარიტა ჩამოსხმულის ფეხებით და ტანის რხევით წავიდა ხელსაბანისკენ. მხრებს უშვენებდა ესპანური შალის მსგავსი მოსასხამი. იყო რაღაც გამომწვევი და თეატრალური ამ ქალში. კორნელიმ დახარბებული თვალი გააყოლა. ნინოს გულს იქვის ეკალი შეეხო. ვარდომ დაუწყაო წამლობა კორნელის თითს და მარგარიტას გასაგონად სთქვა:

— რად ჩამოიყვანეთ, კორნელი, ეს ლედაა თუ რაღაც? სულ მაგის ბრალია! ძუ მაინც არ იყოს!

— მერე რა?—შეეკითხა ნინო.

— დაედევნებთან მთელი ქუჩის ძაღლები და აგვიკლებენ.—სთქვა ვარდომ. ნინომ დარცხენით ჩაჰკიდა თავი და ოთახიდან გავიდა.

— მერე, რა ლედას ბრალია, რომ ძუა და ლამაზი?—შემოვიდა ღიმილით მარგარიტა და ვარდოს ვესლიანი შენიშვნა ახლოსაც არ გაიკარა. ვარდოს არ მოსწონდა თავის მაზლის ჯიბოს და მარგარიტას შორის გაბმული რომანი.

მასწავლებლის სტეფანე შიმანსკის ცოლი—გერმანელი ქალი მარგარიტა-ლეტტ ტფილისის მცხოვრებია. იგი სწავლობდა ქალთა N გიმნაზიაში და ერთ დროს მართლაც ჰგავდა გოეთეს გრეტხენს. დაკვარჩილი ოქროს კულულები და ბავშური უბიწობით გახელილი ცისფერი თვალები დღითა და ღამითაც ჩაუჯდა სულსა და გულში ახალგაზრდა მასწავლებელს სტეფანე შიმანსკის. სტეფანემ შეირთო მარგარიტა. ხელით ატარებდა. ბავშვივით ჩაისვამდა კალთაში და უანგარო სიყვარულით გატაცებული ათრთოლებულ ტუჩებით ჰკოცნიდა ქალის კულულებს. ასე აყვავებდა და რაოდენი ლამაზი თქმები არ მოუსმენია ქმრისაგან ცოლს ვინ იცის? ვადიოდა დრო და ეპაი. როდესაც სტეფანე დაუწყებდა ცოლს მოსაბეზრებელ ზნეობრივ წურთნას, მარგარიტა სდუმდა, ხოლო გულუბრყვილო მასწავლებელი ჰფიქრობდა: „მარგარიტას თუმცა არ ესმის სავსებით ჩემი სიტყვების მნიშვნელობა, მაგრამ ის წვდება მათ მაინც, შეურყვენელი, ქალური თვისი ბუნებით“. სახიფათოა როდესაც თავის საკუთარს სამყაროში ჩაძირული და მაღალი იდეებით გატაცებული ადამიანი შეირთავს ლამაზსა და ახალგაზრდა ქალს, რომელიც იდეებზე უფრო ახირებულია და თვალსაფიქრი-

ლო! მეოცნებე და სუსტი ნებისყოფის სტეფანე შიმანსკი ვატაცემული იყო პო-  
ეზიით, ხელოვნებით, ლიტერატურით და ფილოსოფიით. ვაჭყობდნენ მდიდარი  
ბიბლიოთეკით რუსულს და ფრანგულს ენაზე. მარგარიტას მძღვე მარსელიანდა ეს  
წიგნები და დაუსრულებელი ლაპარაკი მაღალ მატერიებზე, არც ქმრის აშხა-  
ნაგები მოსწონდა—ჩანჩურა და არაქათგამოცლილი მასწავლებლები. სამაგიეროდ  
მას აჯადოებდა ბრწყინვალე ოფიცრობა, მათი ცხოვრება და დროსტარება.  
ოთხი თუ ხუთი წლის ცოლქმრობის შემდეგ სტეფანე უკვე არსად არ გაჰყვებოდა  
მარგარიტას: არც ოპერაში, არც კინოში და ნათესავეებში. სტეფანეს არ მოს-  
წონდა ცოლის ნაცნობები და არც რაიმე საერთო ჰქონდა მათთან. ხან დალი-  
ლობას მოიმიზეზებდა, ხან გაკვეთილები სათვის მზადებას და ათას კიდევ სხვა  
რამეს და მარტო გაისტუმრებდა ქალაქში ცოლს. ეხლა სტეფანე შიმანსკი „ამიერკა-  
ვკასიის უმაღლეს კურსების“ ლექტორია და ნინო გულმოდგინეთ ესწრება  
მის ლექციებს. ნინოს ამხანაგები სტეფანეს „ცოდნის საწყობს“ და „მოდრავ  
მუხუფუს“ ეძახიან. მაგრამ მარგარიტას არ ჰზიზღავდნენ ქმრის ასეთი ღირსება-  
ნი და ერთ მშვენიერ დღეს კალაპოტიდან ამოვარდა. მარგარიტამ დაიწყო  
პირველი თვისი რომანი ცხენოსანი ჯარის ოფიცერთან რამაზ ვაჩანაძესთან, ახალ-  
გაზრდა და ლამაზ ვაჟაკთან. შემდეგ კაპიტანთან ჯიბო მაჩაბელთანაც. კაპიტანი  
ჩქარის ტემპით გადავიდა შეტყეაზე და მალე განულო გზა მიმავალი საოპერო  
თეატრიდან კაფე-რესტორანის კაბინეტამდე. ხშირად მიაცილებდა სახლამდე  
ეტლით.

ერთხელ მარგარიტა დაბრუნდა დილის 6 საათზე. დილამდე არ უძინია  
ქმარს. ათასი ეჭვი ტრიალებდა მის თავში. გაისმა ზარის ხმა. ხელში აცხატახე-  
ბული შანდალით გავიდა და კარი გაუღო. გონიერის და ბევრის მცოდნე თვა-  
ლებით ჩაჰხედა ცოლს თვალში. ცოლს ტუჩები დახეთქილი ჰქონდა, გადამთვრა-  
ლი თვალები ენისლებოდა, ხახიდან ღვინისა, გადამწვარი თუთუნის სუნის სდი-  
ოდა და ფეხი ეშლებოდა, ბორძიკობდა. სტეფანე შიმანსკის არაფერი უთქვამს,  
ლოგინზე დაეარდა და ეჭვითინდა: „ყველაფერი დავკარგე, უკანასკნელი ნუგეში  
და თავშესაფარი!“ ქალი თავს არ იმართლებდა და იქეთ შეედავა: „შენ თითონ  
ამიძულე ამ გზით მყარა.. შენ არსად არ დამყვებოდი.. ჩემთვის არასოდეს არ  
გცალკოდა...“ თავდაპირველად ქმარი გაებუტა ცოლს. შემდეგ მკაცრ ზომებს მიჰ-  
მართა და წინადადება მისცა ცოლს განქორწინებულობენ, რაზედაც მარგარი-  
ტა სიამოვნებით დასთანხმდა. თავზარდაცემული სტეფანე შიმანსკი მუხლებზე  
შემოეხვია და შეევედრა მარგარიტას კვლავ მასთან დარჩენილიყო და არ დაე-  
ლუნა მათი პატარა ვაჟი ბორკა.

ამ გამარჯვებიდან მარგარიტამ სათანადო დასკვნები გააკეთა და ბორო-  
ტად გამოიყენა იგი. საშინელ დამცირებას იტანდა ამ დღიდან სტეფანე, ფეხ-  
ქვეშ ათულებდა ქალს თავის თავმოყვარეობას, სინილის და პატიოსნებას.  
ქალმა ჩაიგდო ხელში უნებისყოფო ადამიანი და ჩვარივით დააგუნდავა, და-  
ქმუნა.

მსოფლიო ომსა და რევოლუციის პირველ ხანებში არსებული ნივთიერი  
სიღიწროვე ხელს უწყობდა მარგარიტას ხრწნას. ეხლა მას მოსწონდა არა მარ-  
ტო ახოვანი და ლამაზი ოფიცრები, არამედ ფულიანი, სულ ერთია ვინც არ

უნდა ყოფილიყო ის: თუნდაც ნაკვავილები, ჩოფურა, კუზიანი და მიძმუნის მსგავსი სპეკულიანტი.

მარგარიტამ შეისწავლა ქართული ენა, ქართული სიმღერები, სტუტიის შნო და ადათი. რომელ საზოგადოებაშიაც შევიდოდა ის უკვე მოხიბლული იყო მისი სილამაზით და მზიარულებით. მამაკაცთა მოხიბლის ნიჭით უზვად იყო დაჯილდოვებული მარგარიტა და ეხლაც ფრონტიდან ჩამოსულ ჯარისკაცს, ახალგაზრდა და ლამაზ კორნელის ჰიბზლავდა; გკითხებოდა ჯიბოს შესახებ და სულსა და გულში უძვრებოდა. მაგრამ კონელი გარკვეულის მიზნითა და განზრახვით იყო ჩამოსული ტფილისში და მარგარიტას ჯადოსნურ ბაღში არ ებმებოდა.

ჩაის შემდეგ კორნელმ დაიბანა, დაირეცხა, ჯარისკაცის ტანსაცმელი გაიხიბა და ვინაიდან მეტად თბილი ღამე იყო, სტუდენტური ლურჯი სატინის ხალათი და დიავანალის შალვარი ჩაიცვა. სარკესთან თავისი ახლად გაპარსული სახე შეათვალთვალა, გაიღიმა და გიშრისფერი თმა სავარცხლით შუაზე გაჰყო. ჩაის შემდეგ მან მოასწრო და ნინოს ჩუმად უთხრა: „მე თქვენთან საქმე მაქვს. მეტად დიდი საიდუმლო უნდა გაგიზიოთ!“ ნინო გაფითრდა და აი, ეხლა თავის ოთახში მსხდომი ელის პაემანს და კორნელის მიერ საიდუმლოს გამხელას.

### მ ი ჯ ნ უ რ ი

კორნელი შევიდა ნინოს ოთახში. წინად აქ სცხოვრობდა ესტატეს და — ირინე. ირინე ამჟამად საზღვარგარედ არის და ექნევის უნივერსიტეტს ამთავრებს.

ოთახის კუთხეში დგას ტულეტის მაგიდა და მრგვალი სარკე. მარჯვნივ, კედელთან: ტანსაცმელის შკაფი, სარკიანი. მარცხნივ: ფართო ლოგეიე, ნიკელის. შუაზე: მრგვალი მაგიდა. ირგვლივ: სავარძლები. ავეჯი კარგი ხარისხისაა, წითელი ხისგან ნაკეთები და ძვირფასი.

ფანჯრები ბაღში იხედებიან. ორთავე ღიაა. თეთრ ფარდებს აფრიალებს გაზაფხულის თბილი ნიაფი.

კორნელი ფანჯარასთან მივიდა, ფარდა ასწია და ბაღში გაიხედა. ფანჯარასთან ქანაობდენ იასამანის სურნელოვანი. მტყეწები, ჩალამებული ხეთა გუნდები და ზევით ცაზე — უცხო და უცნაური ვარსკვლავები ციმციმებდნენ. კორნელიმ გაშხედა ვარსკვლავებს. ცასა და დედამიწაზეც მყუდროება იყო მოფენილი, ხოლო კორნელის გულში კი საშინელი მღელვარება. კორნელიმ იცოდა, რომ მას უცქერის ზურგს უკან ლოგინზე მჯდარი ნინო და მართლაც, როდესაც შემოტრიალდა, დაინახა: ასულის დიდრონი გაკვირებული თვალები, წუხილითა და კითხვითი ნიშნით შეტეხილი წარბები, ზედა კბილების რკალით მავრად დაქერილი ქვედა ტუჩი და გაფითრებული სახე.

კორნელის უნდა აეხსნა ნინოსთვის მიზეზი ასეთი უდროვო და საიდუმლო პაემანისა, მაგრამ ამ წუთისათვის წინასწარ მოშადებული და ათასნაირად განზომილი სიტყვა წარიშალა მის მეხსიერებიდან. აღარ იცოდა საიდან დაეწყო ლაპარაკი. ჰლელავდა. საწერ მაგიდასთან შეჩერდა. მაგიდაზე გადაკრული იყო

მწიანე ქალაქი. ზედ სამელნე, კალმისტარი, ფანქრები, ორიოდე წიგნი და რვეული იყო. ნინო „ქალთა უმაღლესი კურსების“ მამულის მფლობელი რვეული გადაფურცლა. შიგ ჩაწერილი იყო ლექციები.

— ვინ ჰკითხულობს ამ საგანს?— შეეკითხა კორნელი ნინოს.

— პლატონ ცრუაა!— უბასუბა ნინომ და კორნელთან მივიდა. გულზედ მოეშვა: ცუდი რამ არ ჰქონია ჩემთვის სათქმელი კორნელისო. მაგრამ პლატონის სახელი და გვარი ეკალივით მოხვდა გულზე კორნელის და გაიფიქრა: „სად მისულა?! ალბათ ლექტორი შეეცდება მახეში გააბას თავისი მსმენელი!“

— სხვათა შორის, პლატონის პოეტობა დაუწყია.— სთქვა ნინომ ლიმილით, რადგან დარწმუნდა: კორნელი ჩვეულებრივი საუბრისთვის იყო შესული მის ოთახში.

— მე წავიკითხე ერთი უნიკო მისი ლექსი, აბდა-უბდაა. სავსებით გამოჩერჩეტებული ამოდენა კაცი! ჩვენ კი მეცნიერი გვეგონა.— შენიშნა ღვარძლით კორნელიმ.

— მუდამ ახალი და დაუთოვებული კოსტუმით მოდის!— დაიწყო ნინომ.

— სულიცა და გულიც დაუთოვებული აქვს ტანსაცმელივით!— შენიშნა ისევ კორნელიმ. ნინომ განაგრძო:

— მსმენელი აქტიორს ეძახიან. მის ჰალსტუქზე საკინძის ძვირფასი თვალმარგალიტი კიაფობს.

— კარგად ჰკითხულობს ლექციებს?

— რუსული პლატონობს. საშინელი გამოთქმა აქვს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს, როდესაც იტყვის: „ეტო ბუდეტ“,— „პოდ უგლომ ზრენია“.— ვინაიდან არც კორნელი ლაპარაკობდა მაინცადამაინც უნაკლო რუსულს, ამიტომ დამომახე წავიდა:

— ეგ არაფერია. ისე?

— სხვაფრივ არა უშავს. საინტერესოა.— სთქვა ნინომ. სარკესთან მივიდა. თმა გაისწორა და ჯიბეში ხელი ჩაიწყო; სადაფის და ვეცხლისფერი ძაფით ნაქსოვი ჯემპრი-ტილეტი მძაფრად შემოეტმასნა ტანზედ გველის პერანგივით. ნინოს უყვარდა ხანდახან მამაკაცივით ჩაქმა და რომ ესტატე წინააღმდეგი არ ყოფილიყო, პიდეკსა და შარბელსაც ჩაიცმევდა.

კორნელის წინ იყო შოლტივით ამართული ტანი, წელში ოდნავ გაზნეჭილი, წვრილი, შემდეგ მრგვალი და განიერი. ნინომ დაინახა სარკეში კორნელის თვალები, ლედასავით კვეიანი, კეთილი და მორჩილი. გაიცინა. შემოტრიალდა. ჯარისკაცივით გაიარა და კორნელის მხედრული სალაში მისცა. ეს იყო ჩვეულებრივი მისი შეთამაშება კორნელთან.

— თავისუფლად!— უთხრა კორნელიმ და დაიწყო:— ნინო, ეს უკანასკნელი ღამეა.

— როგორ თუ უკანასკნელი?

— ხვალ ბორჯომისკენ გავსწევთ. გადავიართ ცხრა-წყაროს და შემდეგ ვინ იცის იქნებ ვერც კი ვნახო და თურქის ტყვია გავაცივო?— კორნელის ეს განცხადება ჩვეულებრივი იყო და ძალიან წააგავდა შამქორის ბრძოლაში წასვლის წინ

მომზადარ პაემანის დიალოგს. მიჯნურთა ქცევა და ენა უმრავლეს შემთხვევაში ერთფეროვანია!

— კორნელი!—დაიძახა ნინომ, მის ხმაში იყო წუხილი, ზრუნვა და სიწყვედური კორნელის მიერ თქმული უკანასკნელი სიტყვების გამო.

კორნელის ძალზე გაეხარა ეს საყვედური. გაახსენდა ბორჯომი და ჯიბოს სიტყვები: „ჩვენები ნაწყენია. განსაკუთრებით კი ნინო. რად არ გამოვმშვიდობე მათ ტფილისიდან წამოსვლის წინ?“ კორნელი სავარძელზე დაჯდა. ეს სავარძელი ყველაზედ უფრო ბედნიერი სავარძელია მთელს დღენაზე; ამ სავარძელზე წილად ჰვდა კორნელის ნინოსთან პირველი ალერსი. მოფერებით გადუსვა ხელი სახელურებს და მყისვე განმეორებული იქნა მისი გონების მიერ მიღებული შთაბეჭდილება—თვისი პირველი გამარჯვება. „გმირი ცეზარივით უნდა დავჯდე ამ სავარძელზე, არა და მოლაღატე ბედისწერის მიერ ბრუტევით განვიგმრო!“—ჰფიქრობდა კორნელი.

— ნინო, თუ მიხედებენ?

— რას?

— რისთვის ჩამოვედი ტფილისში?

— ლედა უნდა ჩამოგვეყვანა!—უპასუხა დარწმუნებით ნინომ, რომელსაც უცქერდნენ ისევ ლედასავით ჰქვიანი, კორნელის კეთილი და მორჩილი თვალები. ნინომ კვლავ გაიღიმა და ლოგინზე დაჯდა.

— განა ლედას გულისთვის ჩამოვიდოდი?—უპასუხა წყენით კორნელიმ?

— მაჴ?

— არ მასვენებდა შენი უნახველობა!—უთხრა გაბედულად კორნელიმ და ხანგრძლივ დააცქერდა სახეზე ნინოს. ნინომ დაინახა სიმზნით, ძლიერებით აღბეჭდილი სახე, რომელზედაც ანათებდნენ ეხლა დიდრონი, მომწვანო, შუქიანი თვალები და სულსა და გულში უძერებოდნენ მას. ნინო საშინლად გაწითლდა. თავი ჩაჰკიდა და წაილულულა:

— რომ არ ჩამოსულიყავ, მართლაც დაგმედურებოდი!—წაქეხებული კორნელი გადავიდა შეტყეაზე:

— ნინო, არ დაჰფიცო, სწორად მიპასუხე.

— არ დაფიცავ!—სთქვა დინჯად ნინომ და ფიქალ შუბლზე მერცხალივით გაფრენილი წარბი შეათამაშა. ჰფიქრობდა: „რას შემეკითხება ასეთს?“ გულის ცემა აუფარდა.

— იციან თუ არა ვარდომ და ესტატემ ჩვენა დამოკიდებულების შესახებ რაიმე?

— რა უნდა იცოდენ?

კორნელის გაუცვირდა ნინოს ასეთი გულუმბრყვილო განცხადება: თითქოს არადფერი ყოფილიყოს მათ შორის, თითქოს ესტატე და ვარდო მაჩაბელის ქალისთვის ჩვეულებრივი ამბავია ვაჟთან შეხვედრა, პაემანი, განმარტოება, ხვეენა და კოცნა?!

— ჩვენ შორის სერიოზული განწყობილება დამყარდა!—უთხრა კორნელიმ მტკიცედ.

— მე არაფერი მითქვამს დედისთვის!—სთქვა ნინომ საშინელი ხამსჯავროს წინაშე წამდგარივით და ისევ დაძვარა დარცხენით თავი. კორნელის შეცოდა, შესწვეტიტა ეგ უხერხული დაკითხვა და დააპირა ეთქვან <sup>[ქორნელს]</sup> პირდაპირ, მაგრამ სიტყვები კვლავინდებურად აღარ ემორჩილებოდნენ, <sup>[ქორნელს]</sup> კმძობითრებული მხედარი საშინლად ჭელავდა. ჩამოვარდა სიჩუმე, მღელვარება გადაედო ნინოსაც, ადვა და გაიარა, შემდეგ სავარძელთან შეჩერდა. კორნელის პაერი აღარ ჰყოფნიდა. ისიც ვერ სძლებდა ერთ ადგილს. ახალგაზრდებმა გამართეს ოთახში უაზრო სეირნობა და ბორიალი. შემდეგ კორნელი ფანჯარასთან მივიდა. ბალის კედელთან ჩამწკრივებულან ალვის ხეები. კენწეროდან ვიდრე ძირამდე შრიალებდნენ ფოთლები. ხეთა მწვერვალებს და ტოტებს უტყვდა ქარი, ტოტები ქანაობდნენ, იგრუხებოდნენ და ჰღელავდნენ ზღვის ტალღასავით. მამადავითის ზემოდ ციმციმებდნენ ვარსკვლავები. კორნელი გასცქეროდა თავის ბედის ვარსკვლავს: — ეხლა ან არასოდეს! უნდა გაუმკლავნო ნინოს ყველაფერი! — ჰფიქრობდა იგი. ღამის წყვილიადისკენ მიქცეული მისი თვალები უცნაურად აენთნენ. თავითფეხამდე დახლართულ ვაყის ძარღვებში გაისმოდა აჩქერებული სისხლის მიმოქცევა ალვის ხის ფოთოლთა შრიალივით.

— კორნელი!—გაისმა ოთახში ჩუმი ძახილი. კორნელი შემოტრიალდა და ნინომ დაინახა ვაყის გაფითრებულ სახეზე ჩირაღდნებივით ანთებული თვალები.

— რა დაგემართა? მოდი, დაჯექი!—კორნელიმ უსიტყვოთ შეასრულა ნინოს ბრძანება და კვლავ სავარძელზე დაჯდა. ნინომ განაგრძო:

— კიდევ რომ მეთქვა დედისთვის... მერე რა?

— არაფერი...

— მაშ რა გაწუხებს?

— სულ სხვა რამ.

— მაინც?

კორნელიმ დაიწყო განწირულის და გაგუდულის ხმით, თითქოს მისი ხმა სამაჩიდან ამოდისო:

— ნინო, ბრძოლაში წასვლის წინ... მოვედი შენთან... მოვედი უკანასკნელი პასუხისთვის...

— რა პასუხისთვის?—შეშინდა ნინო.

— ნუ თუ შენ ვერ ამოიკითხე ამდენ ხანს ჩემს გულში, ჩემს სახეზე, ჩემს თვალებში?..

— რა?

— სიყვარული!

— კორნელი!—დაიძახა ნინომ და უღონოთ მიეყრდნო სავარძელის ზღრგს, თითქოს თავზარი დაეცაო, დაღუნებული მკლავები უმწეოდ დაეკიდნენ მის სხეულს.

კორნელი უცდიდა, თუ როგორ გაელენას მოახდენდა მისი აღსარება ნინოზე, ისიც თავზარდაცემული უცდიდა შედეგს. გული სიონის ზარივით გუგუნებდა მკერდ ქვეშ. სავარძლის ზღრგს უკან მდგარმა ნინომ თვალი შეაპარა და დაინახა გააურივით მოღერილი ყელი. ლურჯ სატინაზე ელავდნენ სტუდენტთათვის მიჩნეული ოქროს ღილები. შუაზედ გაყოფილი გიშრისფერი თმა კრია-



ლებდა... ნინოს სახეზე კორნელიმ თანაგრძნობა წაიკითხა. ზუსტად უსწევლზე უმწეოდ დაკიდული, ქანცმიღებული და შორჩილი ხელი შეიპყრდა: ქანცის სინათლეზე ამეთვისტოსავით ანთებული თვალები მიაშუქა. ნინო იდგა კორნელის თვალთაგან გაისრული და ნებაწართმეული. კორნელის თითები დაეინებოდა ხელში. ქალის სხეულში ჩაიღვარა ნეტარი და ტყბილი ჭრეოლის მომგვრელი ჩქერი. სუნთქვა შეეკრა და ფართოდ აღებული თვალები შვექლიავის ლოყასავით ჩაენაცრა. კორნელიმ დაიკავა ასულის ორთავე ხელი, მოსწია. ნინო მოცელილი ყვაილივით დაეცა კორნელის მუხლებზე.

თავდაპირველად კორნელის თითქოს დაეკარგა გონი: აღარ იცოდა რა ექნა მის კალთაში დავარდნილ ყვაილისთვის. როდესაც გონს მოვიდა მკიდროთ მოჰხვია მაგარი მკლავები და ნინო გულში ჩაიხუტა. კორნელიმ იგრძნო მკერდის და ნაკვერცხალივით გახურებული ასულის მკერდი. ახლად გაპარსული და ხავერდით ნაზი ლოყა შეახო მის სათუთ სახეს. ნინომ გააღო დიდრონი და ცრემლიანი თვალები. ეს ორი ზღაპრული და საარაკო სამყარო ისე ახლოს გადაიშალა კორნელის თვალთა წინაშე, რომ მათი ჰერეტიკით აღტაცებულმა მხედარმა უნებლიეთ აღბეჭდა ასულის ტუჩებზე ხანგრძლივი კოცნა.

ნინომ სულმთლად დაჰხუტა თვალები გულწასულივით: მისი ტუჩები იყვნენ ოდნავ გაღებული და სიტყვებით აღსაგენი, და ასე კორნელის მუხლებზე და მკერდზე იწვა ნეტარ ჰუმანში გადასული, სანთელივით გამამდნარი მაჩაბელთა ასულის უჩვილესი სხეული.

კორნელიმ დახედა სახეზე. ფართო შუბლზე მერცხალივით ვაფრენილან წარბები. მკრთალსა და მარმარს ლოყაზე დახრილან შავი წამწაზნი გაშლილ მარაოსავით. თვალებგანაბული ასულის პატარა ცხვირის თხელი ნესტოები ირხევიან ჩქარის სუნთქვით და კორნელის ლოყაზე, ყურის ბიბილოზე მოჰქრის ცხელი ამალღვებელი ნიაგი. ზედა ბაგეს ამშვენებს პატარა, შავი ფუსუსი. პუბლის ორკაბი ფრთებივით შუაზედ გაყოფილი თხელი ნიკაბი მკიდროთ არის მიკრული გულის ყაფაზთან ლავიწის ძვალზე. ნიკაპზე ხალი აზის, თითქოს ძვირფასის ქინძისთავით გაისრული თეთრი პუბელა მიუქედნია ფიცარზე ბუნებისმეტყველსო.

როდესაც კორნელის თვალი გაძდა ლამაზი სახის ჰერეტიკით, ოთახში სხვა ნივთი და საგანიც შეამჩნია. შაფის სარკეში დაინახა საკუთარი თავი, მის მუხლებზე მჯდარი, მკერდზე მოწოლილი და თავჩაკიდული ნინო.

კაბა აეცილა ასულის მრგვალსა და მტრედივით სათუთ მუხლების ზემო, მარჯვენა ფეხი მოეცილა სავარძლისკენ, ხოლო მარცხენა შორს გაშვართულა შოლტივით. მკერდისა და ქვირითიანს წვივზე ვასვასებს ელექტრონის შუქით განათებული ხორცისფერი აბრეშუმის ჩულქი. ვიწრო და მოგრძო ტერფზე კრიანებს ლაიკის ტუფლი.

კორნელის სახესთან ისმოდა მიძინებული შელის ნუჯრის მსგავსი მიძიმე სუნთქვა და გიშრისფერი თმის ნაწნავთა სურნელება ბუშყისა და ამბრის სურნელებაზე უფრო საამო. კორნელი ითვრებოდა ამ სურნელებით, ეფერებოდა და უსწორებდა თვის მკერდზე დაცემულს, ღამეზე უფრო შავსა და სხივნაკრავ ზღვის ტალღასავით ელვარე მიძიმე თმის ნაწნავებს; პირველად იგრძნო ასულის

ნაწინათა უცნაური შეხება. იგი ირხეოდა მის ხელში ცოცხალ არსებანსავეთ, იგი იყო (ლამის სინესტის გამო) ოდნავ სველი და მაჯის სიმსხო გვერდებზე დაკლანჯილი. არასდროს უხილავს კორნელის ასეთის ძალით და ცეცხლით მსხუდული თვისი თვალები.

სდუმდნენ.

დუმობაში შეუმჩნეველად მიჰქროდნენ წუთები.

ნაშუალამევეს ჩაჭრა ლამთა. თვალები შეეჩვივნენ სიბნელეს და ეხლა ნათლად არჩევდნენ საგნებს, ურთიერთის სახეს.

ფანჯარა იყო ღია. იასამანის მტევნები ირხეოდნენ ეთერში სიზმაროვით. შორს მოსჩანდა მამადავითი, ფუნიკულიორი, მარცხნივ—ბოტანიკური ბაღი, სოლოლაკის მთაზე ამართული ციხეთა ნანგრევები. ტფილისს თავს დაჰლაღლაღებდა ვარსკვლავებით მოჭედბილი ცა.

კორნელის ბედნიერება უმაღლეს წერტილს აღწევდა. მთელი მისი არსება აღიევსო ნეტარის განცდით და მოიშართა ვით აცდერილი თარი.

ამ წუთას ცოლქმრობაზე ლაპარაკი აზრადაც კი არ მოსვლია. თუ წინად სიყვარულით გადამთვრალი მხედარი მღელვარების გამო, ვერ ახერხებდა სიტყვის თქმას, სამაგიეროდ ეხლა სიტყვა ნიაღვარივით წამოვიდა, სიტყვა მაგარი და ძველის ძველი.

ფანჯრიდან მოჰქროდა გრილი ნიავი. ნინოს შესცივდა, კიდევ უფრო მიეხუტა კორნელის და ჩურჩულით წარმოსთქვა:

— ჩემო კორნელი!

ეგ ორი სიტყვა საამური, ჩუმი და წყნარი ჰანგივით მოესმა კორნელის. ყურთასმენა სავსე ჰქონდა ამ სიტყვებით. ეგ სიტყვები ესმოდა მას ფოთოლთა შრიალში, იასამანის მტევანთა ქანობაში და ყველგან.

— შენა ხარ ჩემთვის საგანძური უძვირფასესი და ბედნიერება!—დაიძაბა კორნელიმ და კიდევ ერთხელ ეამბორა ნინოს.

კორნელიმ დაინახა ნინოს თვალები, დიდრონი, ღრმა და უძირო ვით ოკეანე. კორნელის მიერ ჩურჩულით თქმული სიტყვები მძაფრად არღვევდნენ სიჩუმეს და ეცემოდნენ ნინოს სულსა და გულში ვით ზღვის სიღრმეში კლდიდან მოწვეტილი ლოდები. ასე დილაშდე გასტანა აღერსმა. კორნელი და ნინო დაშორდნენ ერთმანეთს გარიერაჟისას.

კორნელი ფეხაკრეფით შევიდა ოთახში. ფანჯარა გამოაღო და მთებსა და ცას გაჰხედა. ღრმად ამოისუნთქა და გულმკერდი გაშალა. მასში იყო სურვილი ამაღლების, სურვილი ბრძოლისა, რომ გამზდარიყო ნინოს ღირსი. არ ეძინებოდა. ფანჯრის მოაჯირზე დაჯდა. თავი კედელს მიაბჯინა და ხანგრძლივ უცქერდა განთიადის მოციმციმე ვარსკვლავს. მისი გული უჩვეულოდ სძვერდა, სძვერდა გული ვარსკვლავამდე არსებული შორეთის მსგავსი გრძნობით და უცნაურ საგალობელს უმღეროდა მნათობს:

— ოი, შენ ვარსკვლავო, შუქურავ განთიადისა! შენი ციმციმი არის სანეტარო ჰანგივსზე და შენი ბრწყინვა სიამედო მზღვაურთათვის. არცა ღმერთებმა და არცა მომაკვდავმან მომცენ მე რაიმე უტკბილესის შენის ციმციმის სანაცვლო მაგრამ ხარ უბედური, რადგან უცხოა შენთვის გრძნობა სიყვარულისა...

ასეთის ქართულით უმღერდა ვარსკვლავს. შემდეგ მტრედისფერი ცა/გა-  
ფითრდა. ვარსკვლავი გაქრა. აღმოსავლეთი იღვიძებდა ვარდისფერ ფეხ-ბაღი  
აღივსო ვარდთა და ყვავილთა სურნელებით, ჩიტთა ქრიაშულით და მღერტელებით  
ხანძარში გახვეული გოლიათი მზე.

კორნელი დავარდა ლოგინზე. სახე ბალიშში ჩაძვლო და ცრემლით დაა-  
სველა.

### გ ა კ უ რ ი ა ნ ი.

მატარებელი ქაქანით მიდიოდა აღმართზე, პატარა ორთქლმავალზე მიბმუ-  
ლია პატარავე რონოდები — „უკუუშვები“. რონოდებში სხედან თითო, ორორი  
გლეხები: ქართველი, ოსები, სომხები და რუსები. კაპიტანს ალექსიძეს სძინავს.  
კორნელი რონოდის ფანჯარასთან სდგას. მატარებელი უვლის გარშემო ფიჭვითა  
და ნაძვით დაფარულ მთებს და ყოველ მოსახვევში განვლილი ლიანდაგი სჩანს  
ქვევით რამდენიმე მეტრის მანძილზე. ბორჯომი უკან რჩება...

კორნელის აგონდება ნინო. გულმკერდი ისევ მალა იწვევს ფართო სუნ-  
თქვით. გული ვერ იტევს შესრუტულს და მოზღვავებულ ნეტარებას. ნინოსთან  
გატარებული ღამის შემდეგ რალაც უფრო გამაფრდა შისი ხედვა, გრძნობა და  
გონება. თითქოს ხელმოკრედ დაიბადა. არასდროს უგრძენია ბუნების სიდიადე  
და სილამაზე ამრიგად. და თანაც რა ბუნებაა! მზიანი დილა. რონოდის ფანჯ-  
რიდან მოსჩანს ლილისფერი და სარკესავით სუფთა ცა. ზედ თეთრად შეგუნ-  
დული, ღუნღლივით ნაზი ღრუბლები მისცურავენ. ფიჭვითა დი ნაძვით დაფა-  
რულ მთის კალთებზე იისფერი ბურუსია გამდგარი აბოლებული საცეცხლური-  
ვით. ირგვლივ მთისა და ტყის სიჩუმეა, მყუდროება და საკმეველის სუნი. მიყრუე-  
ბული აგარაკების პატარა სადგურებზე მატარებელი ჩერდება ცოტა ხნით. მა-  
ტარებელი მიცოცავს სპირალივით დაგრებილს ლიანდაგზე სულ მალა და მალ-  
ლა, თითქოს ცას უნდა მიწვდესო. მთის მწვერვალიდან ჩანს თოვლით გადალე-  
სილი გვირგვინას ქედები და ტყის ზღაპრული სივრცეები. ბორჯომიდან გაყვა-  
ნილი რკინისგზის საბოლოო წერტილი — ბაკურიანია. იგი მდებარეობს 1650 მეტრის  
სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

მატარებელი უახლოვდება სადგურს, კორნელი მოშორდა ფანჯარას და  
კაპიტანი გააღვიძა:

— ბატონო კაპიტანო, უკვე მივედით ბაკურიანში!

კაპიტანის დეზებთან ჩქმები სდგანან იატაკზე. ბეწვიანი შალის საბანსა  
და ნაცრისფერ პალტოს ქვეშ გამოცურდა მუხლამდე ოდნავ გამრუდული ფეხი.  
კორნელიმ დაინახა წვივზე შემოჭირებული ლურჯი შალვრის პაქანაკიანი ტოტი.  
ვიწრო წვივზე: შიშველი კოჭი და კომოხინები. პალტოს საყელოსთან და ეპო-  
ლეტებთან სჩანს კედლისკენ შებრუნებული კაპიტანის ჭარხალივით წითელი და  
სქელი კისერი. ზამთარ-ზაფხულსაც გადაბოზრილ, მრგვალ თავის ქვეშ ჩანთა  
და პატარა ბალიში ამოედო. კორნელიმ კიდევ გაუმეორა:

— ბატონო კაპიტანო, მივედით!

— რა ამბავია? — დაიძახა კაპიტანმა და გადმობრუნდა.

— მივედით?



— დიხს! — უპასუხა კორნელიმ.

კაპიტანი იდაყვს დაეყრდნო და ფანჯარაში გაიხედა: *მარცხენა მხარე*

— ესეც შენი ბაკურიანი! — სთქვა მან და საწოლზე *მარცხენა მხარე* მშობნა სისხლით საესე, წითური სახე. ომში და პაერზე ყოფნით გამოქარული, გახევე-ბული და სადაფისფერი მისი პირის კანი ქერქევით იყო დახუტვილი. შესიე-ბული უპეებიდან იქიარებოდნენ მიმინოსავით კრელი თვალები. კაპიტანი ნა-ქეიფარი იყო და ხახის ფართო ნახევის ირგვლივ ხის ფითრივით მოპკინია თეთრი ლოპი; ლურჯისფრად გაბუშტული ცხვირის ქვეშ — გაბუშტულა ინგლი-სურად მოკლედ შერკევილი ქერა უღვაში. ფართოდ და შუახედ გაყოფილი ნი-კაპი ამხელდა სიმხნეს.

კაპიტანმა საბანი გადაიძრო. ლოგინზე დაჯდა. აგურისფერი წინდა გაის-წორა. ფეხის თითები და ცერი მიმინოს ნისკარტიანი თავივით შეათამაშა და ჩექმის ყელში შეაკურა. ღვინითა და ძილით შესიეებული ფეხი არ ჩადიოდა ჩექმაში. ძარღვიანი და მაგარი ხელით მოსკიმა ყელი. ვიწრო სათფურში გა-კრული განიერი მხარბეჭის კუნთები ლოდებივით იძროდნენ. შალვრის სათავე შამოიჭირა ვიწრო წელზე. მისი მკერდი და გულის ყაფაში მოჭიდავესავით იყო ამობორცვილი.

— ჩენი ბატარეია აღბათ წავიდა ახალქალაქისკენ! — სთქვა მან და კ-დეღზე ჩამოკიდული ფრენჩი ჩამოიღო. კაპიტანი მოეწყო და შემდეგ ფანჯარას-თან მივიდა.

ბაკურიანის პატარა სადგურის წყალსადენთან პირს იბანდნენ ზემდეგი ონოფრე ფერაძე, ბაკურიანში გამართული საწყობის მეკუჭნავე გოლა და ორიო-დე ჯარისკაცი: პეტრე ცხომელიძე, საშა მიქელაძე და სანდრო ზოტიფარი, ისი-ნიც კორნელივით ჩამორჩნენ ბატარეიას. ზემდეგი და ჯარისკაცები წარუდგენენ კაპიტანს.

— ბატარეია წავიდა?

— წავიდა, ბატონო კაპიტანო! — უპასუხა ზემდეგმა.

— როდის?

— დილის რვა საათზე.

— აკი. ექვსი საათისთვის გიბრძანეთ!!

— არ მოეწყო, ბატონო კაპიტანო!

— როგორ თუ არ მოეწყო?

— ხომ იცით სტუდენტები რანაირი ხალხია? — უპასუხა ზემდეგმა.

— თქვენ თავად უთავო ხართ, და იმიტომ. შეკაზმეთ ჩემი ცხენი!

— ეხლავე! — უპასუხა ზემდეგმა.

კაპიტანმა დაჰხედა მაჯის საათს: 11 საათი იყო.

— მე დავეწევი მათ ცხრა-წყარომდე! — სთქვა კაპიტანმა.

— ჩვენ რალა გვეშველება? ცხენები თან წაუყვანიათ! — უთხრა კაპიტანს კორნელიმ. კაპიტანს გარს შემოგრტყნენ დანარჩენი ჯარისკაცებიც.

— ჩენი ორთვალები ამოვლენ ბორჯომიდან ამ საღამოს. ღამით ნუ წა-მოხვალთ, ღამე აქ გაათიეთ და ხვალ დილით გამოსწით.

— ვაი, თუ უჩენოთ დაიწყეთ ბრძოლა?! — შეაპარა სანდრომ.

— არა მგონი!—კაპიტანი შევიდა სადგურის დარბაზში. კერძო დეიბანა. კორნელის და მის ამხანაგებს დაუძახა. მოხარული კვერცხები ვერაფერს ვერაფერს ვერაფერს ვერაფერს, არაყი გადაჰკრეს და ამის შემდეგ ბატარეის პუნქტისკენ წავიდნენ.

ბაკურიანი ფიჭვისა და ნაძვის ტყის შუა მოწიშვლებულ მოედანზე გაშენებული. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ დიდ სიმაღლეზე (1650 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან) მაინც კარგა მოზრდილ ტაფობს წარმოადგენს. ირგვლივ მთის მაღალი გრებილი არტყია. პატარა ორსართულიან ყოველ სახლთანაც კი საქონლის ნეხვი ჰყრათ. სველ ნეხვს მზისგან ომხივარი ასდის. ჭრელი, იმერული ქათმები გამალებით ჰქექენ ნეხვსა და აძერენენ ჰიბებს. ლობზე გრძელ დეზიანი მამალი შეფრინდა, ფრთაფრთას შემოჰკრა და მეფის არმიასი ნამსახურ ფელთებელივით შეეგება და მიადახა ალექსიძეს: „გაუმარჯოს ბატონ კაპიტანს!“ მოგარაკეთათვის მიჩნეულს ზედა საართულში არავინ სცხოვრობს. თავსაფრიალი ქალები, ბავშვები და მამაკაცები გამოვიდნენ ეზოში და ლამაზად შეფიცულ ლობებს მოადგნენ. ბაკურიანში სცხოვრობენ ქართველები, რუსები და ბერძნები, რუსები ვორონცოვის დროიდან არიან დასახლებული 1853 წ. აქაური ქართველები არიან გადმოსახლებულნი იმერეთიდან, უმეტესად — მიქაბერიძეები. ბაკურიანელები განცვიფრებით უცქერდნენ ხმალგადაკიდულ ოფიცერს და მის ჯარისკაცებს: რუს-ოსმალთა ომი ხომ დასრულდა და ეს კიდევ რა უბედურება იწყებაო — ჰფიქრობდნენ. ბატარეის პუნქტი მოათავსებულია ადგილობრივი სკოლის შენობაში, ტყის პირად. ერთს ოთახში ბაკურიანის კომისარის კანცელარია, მეორეში დგას მაგიდა და სამი ლოჯინი პუნქტზე მომუშავე ჯარისკაცთათვის, ხოლო მესამეში კი საწყობი გაუმართავთ. შიგ ბატარეისათვის საპირო მოკავშმულობა, ტანსაცმელი, პური და შაქრით სავსე ტომრები ეწყა.

კაპიტანმა დაათვალიერა პუნქტი, შემდეგ შეკავშული ფაშატი ცხენი გამოუყვანეს, მაღალი, ოქროსფერი, თეთრი ჩლიქებიანი და ფაფარგაპარსული. კაპიტანი შეეჯდა და ცხრა-წყაროსკენ წავიდა. ცხენი მიდიოდა მთისკენ კუდისწინეთ. იალქანივით მსუბუქს ზურგზედ ირხეოდა სალაშქროდ მოწყობილი მხედარი ალექსიძე. კაპიტანი მიუახლოვდა ტყეს და მალე მისი განიერი შარბეჭი, სქელი კისერი და ნაცრისფერი ბუხრის ქუდი დაიმალა.

კაპიტანის წასვლის შემდეგ კორნელიმ, სანდრომ, პეტრე ცხომელიძემ და საშა მიქელაძემ დაათვალიერეს ბაკურიანის მიდამოები.

ბაკურიანში ასი გლეხური ტიპის ორსართულიანი ხის სახლი თუ იქნება. იშვიათად, მაგრამ მაინც ნახეთ ლამაზ ევროპიულ ყაიდის შენობასაც. აქ არის — ფოსტა, საექიმო პუნქტი და აფთიაქი. აღსანიშნავია აგრეთვე ბოტანიკური ბაღი და პატარა პარკი. ბაკურიანი ქვეალბიურ და ალბიურ ზონას ეკუთვნის თავისი ფლორითა და წიწვიანი ტყით. იგი ცნობილია როგორც სამკურნალო ადგილი სუსტმკერდიანთათვის. აგარაკიდან გზა ცხრა-წყაროს უღელტეხილისკენ და ჯავახეთისკენ მიდის.

ჯარისკაცები ძალზედ დაიღალნენ ხეტიალით. ისადილეს. დაღამებისთანავე განიზრახეს დაწოლა, რომ განთიადისას გასდგომოდნენ გზას, მაგრამ ორთველები არ მოდიოდნენ ბოთჯომიდან.

კორნელი და მისი ამხანაგები მოთავსდნენ საწყობ-ოთახში. მათი გეგმები გადაიხურეს და ფეხილით საესე ტომრებზე დალაგდნენ. ბავშვები მხოლოდ კბენილი ლამე და უკუნეთი. მხოლოდ ბატარეის პუნქტზე ბეუტავდა სანთელი. ცასა და მიწაზე გამეფებული იყო სიჩუმე, მუდროება და ირგვლივ სდუმდნენ ტყე, შორეული ქედები. ხანდისხან თუ დაიყვებდა სოფელში ძალღი. ოთახის ფანჯრიდან კორნელი ხედავდა უმთავრო ცის ვარსკვლავებს და პეტიკობდა: „ბაკურიანის მალღობი ისე ახლოა ცასთან, რომ აქ ვარსკვლავებიც უფრო დიდრონი სჩანან.“—ფიქრი შეაწყვეტინა მეკუქნავემ. დაწოლის წინ იგი შემოვიდა საწყობში და ამხანაგები გააფრთხილა:

— ეი, თქვენ, ვირისთავებო, შაქარი არ ააცოცოთ, თორემ თქვენი გულისთვის მე მომხედება! რას იცინით?

მეკუქნავე იყო ოჩოკოჩივით მალღლი სტუდენტი, წელში მოხრილი, ტუჩებ გადმობრუნებული, ნაცრისფერთვალღებიანი და რუსივით ქერა.

— ამ ტომარს ძირამღის დაეყვანთ... ჩვენი მაზარის ჯიბეში ნახევარი ფუთი შაქარი მაინც ჩაეტევა!—დააყარეს სიცილი ჯარისკაცებმა.

— კარგია ერთი, თუ ძმა ხარ, ეგეთები არ იყოს. ისედაც ბევრი დამაკლდა...—სთქვა მეკუქნავემ გოლამ, რომელსაც ამხანაგები დაცინივით კოლა-დერიენცის უწოდებდნენ.

— ამ ჩემ ფეხებს თუ დაგაკლდა...

— ვა, რამოდენა ნატეხები ყოფილა?!

— აბა, მოშორდი, ხელი არ ახლო თორემ... მართლა, აქ სულერთია ვერ დაიძინებთ, წამო ჩემ ოთახში დაწვიეთ...—შესთავაზა ბინა ჯარისკაცებს მეკუქნავემ.

— ვითომ რათაო? რათ ვერ დავიძინებთ?—შეეკითხა პეტრე ცხომელიძე.

— აი, ნახავთ თუ დაიძინებთ.

— არხეინად!—უპასუხა პეტრემ.

— დაიცათ... ჩააქვრეთ ეს სანთელი და მაშინ ნახავთ სერის,—კატის ოღენა ვირთხები რომ დაგესევათ?!

— ვირთხები კი არა მგლებიც რომ შემოგვესიოს აქედან არ დავინძრევით... ცუდათ არის შენი საქმე, კოლა-დერიენცი!—აბრაზებდნენ მეკუქნავეს ჯარისკაცები, მაგრამ როდესაც მეკუქნავე წავიდა და სანთელი ჩააქვრეს, კუნჭულებიდან მართლაც გამოძვრენ ვირთხები, შაქრის ხვრა დაიწყეს და ჯარისკაცთა ტანზე გადარბოდნენ. კორნელის გარდა არავინ აქცევდა ყურადღებას ვირთხების წივილს, შლიგინს. გულდაგულ ხერინავდათ. კორნელის კარგა ხანს არ დასძინებია. ნაშუალამეს გამოალღიდა საშინელმა სიცივემ. მიუხედავით იმისა, რომ მაისი იყო, ბაკურიანში ღამით ძალზე სციოდა. კორნელი კატასავით მოიკსცა, დამრგვალდა, მაზარაში მკიდროთ გაეხვია და ტომრებს ზურგით მიაწეა.

უკვე კარგახანია რაც გათენდა. მზემ მწვერვალღდან გადმოანათა, მაგრამ ჯარისკაცებს ჯერ კიდევ სძინავდათ. შის სხივები საწყობ-ოთახის ფანჯრებს დაეცა. სანდრო საჩქაროთ წამოხტა, ამხანაგები გააღღიდა. ყველა დაბეჭილი და დამტვრეული იყო. ლეიბის—სეელი ფეხილით საესე ტომრების სინესტე ძვალსა და რბილში გაუჯდათ; თავი უმძიმდათ; მწარე და გამოყლარტული პირი

აპყვათ. ბაკურიანის ბუნება და ჰავა ნახევრად მკვდარსაც კი წამოაყენებს და განკურნავს, ცხადია სალსა და ლალ ჯარისკაცებზე მით უმეტეს მკურნალებსა და მოახდენდა.

მზიანი დილა იყო. ბაკურიანის წინ ცის ფართო ტატნობი იშლებოდა. საწყობის ახლო ჯანიანი, მწვანე ბალახით დაფარული მინდორი ბიბინებს. მინდორის პირად აქა-იქ ფიჭვი და ნაძვი ამართულა, ხოლო შემდეგ ბაკურიანის ხშირი და მიმდგარი წიწვიანი ტყე იწყება, მზით განათებული, მზის სხივთა ნემსში გაყრილი ძაფითა და ფერადოვანი შადით ამოჩითულს მოსასხამში გახვეული ნაძვთა მწვერვალები და გარდიგარდმო გაწვდილი მათი ტოტები მძიმეთ ქანაობენ გამჭვირვალე ეთერში. ცვარი ლაპალუპით ეცემა მაღალ ბალახს, თითქოს მთელი ღამე უცურნიათ ნაძვებს ეთერის თვალუწვდენ ზღვაში, და ესლა მათ ხაოიან, ხავსმოკიდულ და წყლით დამძიმებულ ხელებსა და თითებს მარგალიტის მძივებათ ჩამოსდით მზის სხივზე ელვარე წვეთებით.

— ადგილობრივ მცხოვრებთ ხშირად უნახავთ თურმე ამ მინდორზე ირემის ჯოგი...— უთბრა ამხანაგებს მკელქნავემ.

— წარმოიდგინეთ, რა წარმტაცი სურათი იქნება ამ ტყის პირად რომ ბალახს სძოვდეს ირემის ჯოგი?!—წამოიძახა კორნელიმ და წიწვიან ტყეს გაპხედა. ტყეში იყო სიწყნარე, უმძაფრესი სიჩუმე და მყუდროება, რომელსაც ნაძვთა და ფიჭვთა მძიმე ტოტების შრიალი და ზღვის ტალღასავით გამართული სისინი თუ დაარღვევს ხანდახან, ან კიდევ ჩხიკეთა ჩხავილი და ქიალუას მტერი კოდალის მიერ კაკუნი. ირგვლივ მთის მჩატე, ცივი და წიწვიანი ტყის ოზონით აღსავსე ჰაერია. შორს მოსჩანს უღელტეხილის უტყეო, შიშველი, მაღალი და აქაიქ ჩამოთოვლილი ქედები. აი, ეს ქედი, ზეალბიური ზონა უნდა გადაიარონ ჯარისკაცებმა. მაგრამ როგორ? ორთვალეები აქნამომდე არ მოსულან ბორჯომიდან.

ჯარისკაცებმა ზემდეგს მიაკითხეს, ზემდეგმა შეიყვანა ისინი გლეხის ოჯახში; რძე და კვერცხი მოითხოვეს. გოლას ტომრებიდან „აცოცხებული“ შაქრის ნატეხები ამოიღეს. ერთ დიდ ნატეხში იძლეოდენ ერთ ბოთლ რძეს, ან 10 კვერცხს, ან კიდევ ერთ წველა ყველს. შაქარი იშვიათი ხილია აქაურთათვის მაგრამ დახეულ ტანსაცმელში გამოწყობილი და წვრილი ცოლშვილის პატრონი გლეხი გიორგი მიქაბერიძე უფრო მეტის თავგამოდებით ძველ ხალათს და შალვარს სთხოვეს ჯარისკაცებს. მისი ფეხშიშველი ბავშვები კერასთან ისხდნენ და ჩამოკინებული ცოლი. რძეს ადუღებდა. გლეხობა უპატრონოთ არის მიტოვებული, ქალაქის ნაწარმოების გარეშე. აქ არავის ესმის რა ხდება ესლა საქართველოში, ამიერკავკასიაში და მთელს ქვეყანაზე. შიშველ-ტიტყელნი თავს მაინც გაიტანენ: აქაური მიწა მოსავლიანია, ნიადაგი შავი და ფხვიერი. ირგვლივ იშვიათი და საუცხოვეო საბალახო ადგილები. ბაკურიანის მოსახლეობა ეტანება უმთავრესად მესაქონლეობას. აქაური საქონელი ადგილობრივი ჯიშისაა, განთქმული მეწველე. მის სქელ და ნოყიერ რძიდან საუკეთესო ერბო და ყველი დგება, რაშიაც საესებით დარწმუნდნენ კორნელი და მისი ამხანაგები. ჯარისკაცებმა გამოსცალეს ერთი დიდი კასრა რძე, ზედ პური და მსუქანი ყველი დააყოლეს.

შუადღისას ბორჯომიდან ამოვიდენ პურის ფეკილით დატვირთული ფურგონები.

### ც ხ რ ა — წ შ ა რ ო .

ერყენულნი  
ზივლიქონიანი

ორთვალაში შებმული იყო წაბლისფერი, მაგარი, ძარღვიანი და გამძლე ცხენი. მას მართავდა სანდრო და ხან კიდევ კორნელი. ორთვალის ყუთში ისხდნენ: საშა მიჭელაძე და პეტრე ცხომელიძე თავისი ბარგი-ბარხანით. სანდრო მიერეკებოდა ცხენს სტეენით, აღმართზე კი ნაბიჯით მიჰყავდა.

ცხრა-წყარო შეტად მაღალი უღელტეხილია. გზა მიიკლაკნება წიწვიანი და ფოთლოვანი ტყით დაბურულ მთებში. მზის სხივებით გაისრულნი, ნორჩი და ჯავარიანი ფოთლები გადმოკიდლან ეთერში პარკიდან ახლად გამოჩეკილ პებლის ფრთებივით. ირგვლივ სიჩუმეა და გოლიათ ხეთა ტიტველი და თეთრი ტანის მღუმარება. ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, წიფელა, მუხა, რცხილა და ვერხვი ოდნავ ქანაობდნენ. იწყება ნარევი ტყე. ხშირად ჯარისკაცი მიჰყვებიან ციცაბო კლდეს. ნაპრალებიდან გზის პირს უსწორდებიან გოლიათ ხეთა მწვანე ქოლგებივით გადაშლილი მწვერვალები. ხევიდან მოისმის მთის ნაკადედების ხმაური, შხუილი და სველი ხავსისა და ნეშოის სუნი.

ტყიდან აღარ სჩანს ბაკურიანის ტაფობი. ჯარისკაცები ბაკურიანის მწვერვალზე უფრო მაღლა არიან ეხლა. კოჭდაბალი ცხენი ფრუტუნით, კუდის ქნევით და ბანჯგვლიან ჩლიქთა და ფლოქეთა გულდაგული ბიჯებით მიჰყვება აღმართს. ჰფიქრობ—თითქოს დასასრული აღარ ექნება ამ მაღლა ცისაკენ სვლასო.

მოუხვიეს, მაღლობიდან გამოინდა მწვანე მინდორი, შორეული ფართო ველები და იმ წამსვე იქედან შემოესმათ მძლავრი გრიალი. ცხენმა ყურები დაცქვიტა და ონჯისფერი მწვანე თვალები დააბამხამა. ჯარისკაცებს შორეული გრგვინვა ეგონათ, მაგრამ გრიალი განმეორდა ზედიზედ, მწყობრად. არტილერისტებმა გამოიცხენეს ზარბაზანთა გასროლის ხმა.

— ზარბაზანს ისერიანს!—დაიძაბა კორნელი.—სანდრომ მინდორთან შეაჩერა ცხენი. ახალციხე-აწყურის მხარიდან მოისმოდა განუწყვეტელი გრიალი.

— შავიშვილის ბატარეია იბრძვის!—სთქვა სანდრომ და ცხენს მათრახი შემოჰკრა, იჩქაროდა: იქნებ ჩვენც დროზე ჩაუსწროთ და ჩაგებათ ბრძოლაშიო.

დიდს ჯაფით გაუყვანიათ ბორჯომიდან ახალქალაქამდე ამ მთებზე, და ცხრა-წყაროს უღელტეხილისკენ თოკივით გადასროლილი და დაკლანკილი გზატკეცილი, რომლის სიგრძე 53 კილომეტრს უდრის, იგი გაყვანილია 1876—78 წლებში რუსეთ-ოსმალთა ომის დროს. ბორჯომიდან ბაკურიანამდე 32, ხოლო ბაკურიანიდან ცხრა-წყარომდე 15½ კილომეტრია. უფვე სამი საათია რაც ჯარისკაცები მიდიან და ცხრა-წყარო ჯერ კიდევ არა ჩანს. ცა თანდათან იღრუბლებდა. გზაზე ჰხედებიან ხანდახან მწყემსები და ჯაეახეთიდან გადმოსული ჩალვადარები. ისინი უამბობენ ჯარისკაცებს ოსმალთა შემოტევის შესახებ. სხვადასხვანაირად ამბობენ. ფაქტებს ამახინჯებენ, თანაც აზუიადებენ. ერთი კი აშკარაა: მთელს მცხეთე-ჯაეახეთში გავრცელებულია ეხლა მამამდიან და ქრისტიან მცხოვრებთა მიერ ერთმანეთის ცარცვა-გლეჯა და ხოცვა-ჟლეტა! მამამდიანების



ცეცხლი და მახვილი მიმართული იყო უმთავრესად სომეხთა წინააღმდეგ. დამნაშავეები იარაღს ურიგებდნენ სომეხობას, ხოლო ოსმალთა აგენტები კი მათგან მცხოვრებთ.

ტყემ თანდათან იკლო. დადაბლდა. დაიგვაჯა. დაგრეხილი როკიანი მთის ქნაი და ნაკერჩხალი შესცვალეს ჯაგებმა. წიფელისა და ნაძვის მავიერ სქელი დეკა, პატარა ბუჩქები და იალაღები მომრავლდნენ: ყვავილოვანი ზარნაირნი.. შემდეგ ესეც გაჭრა და დაჩა მხოლოდ მოშიშვლებული მთის კალთები. მერქნიან მცენარეების საზღვრიდან ბალახეული მცენარეულობაზე გადასვლა მეტად შესაძინევი აქ ადამიანის თვალისათვის. მთის კალთებზე ბიბინებს მაღალი ბალახი, კლდეებს მოჰკიდნიათ აგურისფერი ხავსი ხალისასავით. ეს არის მთის უმაღლესი ზეალპიური ზონა. აქა-იქ ჩრდილში და საფარში გაწოლილან ქიებით შექმული და დახერხტილი თოვლის ზოლები, რომლებიც ძველივით უცდიან მთაში ქარბუქსა და ზამთარს.

მოიღრუბლა და საშინლად აცივდა. ღრუბლები უახლოვდებოდნენ ჯარისკაცებს. კიდევ რამდენიმე მოსახვევი და ჯარისკაცებმა დაინახეს ცხრა-წყაროს მთის ძირში პატარა სახლი მოგზაურთა და დარაჯთათვის გაშენებული. საშინლად აცივდა. ჯარისკაცებმა მაზარები წამოისხეს. სანდრომ შემოჰკრა ოფლში გაღვარულ ბალანაქორჩინილ ცხენს გავაზე და უკანასკნელ აღმართს შეუდგა. კორნელი და პეტრე მოკლე გზით, ბილიკით აღიოდნენ, მაგრამ ნისლი მატულობდა. ტყვიისფერი ღრუბლები წამოეწიათ, დაბლა ეშვებოდნენ. ნისლთა ქარანებმა დაჰბურეს ცხრა-წყაროს მთები და მიწედნენ ჯარისკაცთაც. ფეხოსნებმა სირბილით, ხოლო ორთვალაზე მსხდომიან ქენებით მიაშურეს სადარაჯო სახლს. ის იყო სანდრომ მიაგდო სახლთან ქენებით ცხენი და კიდევ დაჰპერა ქარმა, წვრილი წინწლები, წვიმის წვეთები წამოვიდნენ განდაგან. ერთბაშად ჩამოიღამა. ორ ფეხის ბიჯზეც ძნელად თუ გაიჩრეოდა რამე. ჯარისკაცებს შეეგება დარაჯი დიმიტრი ეგოროვი.

დიმიტრამ დააყენა ორთვალა გადახურულში. ცხენი თავლაში შეიყვანა. ჯარისკაცები აიეანზე ავიდნენ. ცხრა-წყაროზე გაშენებული სადარაჯო სახლი შესდგება რამდენიმე ოთახისგან, ერთში სავსეშავოა და ჯარისკაცები სცხოვრობენ.

დარაჯმა ღუმელში ცეცხლი შეანთო. ჯარისკაცებმა ბარგი-ბარხანა, თოფები და ჩანთები ტახტებზე დაალაგეს. ოთახში შემოვიდნენ აგრეთვე ჯავახეთიდან გადმოსული, ზანგივით შავი გლეხები. სამი სომეხი და ორიც ქართველი იყო. მათი თქმით ბატარეია უკვე ჩასულა ქართულ სოფელში ხიზაბაერაში. ისინი სიზარულთ, ღიმილით უცქერდნენ ჯავახეთის სოფლების დასაცავად მიმავალ ჯარისკაცებს და მზით დასიცხულ აღმოსავლურ მათ შავს სახეზე ელაგდა თეთრი კბილების რკალი. პური და ყველი ამოიღეს. ჯარისკაცებმა თავის წილ ჩაითა და შაქრით გაუმასპინძლდნენ მათ. შაქრის დანახვისას აღტაცებულმა რუსმა, დარაჯმა—დიმიტრი ეგოროვმა წამსვე აადულა წყალი, შაქარავით დაუტკმა კორნელის და მის ამხანაგებს. ქერა და ხშირი წარბებით დაჩრდილული ნაცრისფერი თვალები განაბა იგი. გაქართველებული რუსია. მაღალი, გამბდარი და ქერა წვერულვაშიანი კაცი. ფეხზე ქალაშნები, ხოლო ტანზე ჯავახეთში მო-



ქსოვილი შალის ქურთუკი აცვია. მისი რჩევის თანახმად ჯარისკაცებმა დაუცადეს გამოდარებას, გადასწყვიტეს ღამე ცხრა-წყაროზე, <sup>განუხილონ</sup> და დილით ადრიან წასულიყვნენ ჯავახეთისკენ. ეგოროვმა ხუთი ყულაბა ჩაი დალია. კორნელისა და მის ამბანაგებს თვისი შაშხანა უჩვენა. იგი სცხოვრობდა ცხრა წყაროზე ზამთარ-ზაფხულს. საინტერესო იყო მისი ნაამბობი თვისი თავგადასავალისა, და ნადირობის შესახებ. იმპერიალისტური ომის დროს ამ უღელტეხილით რუსთა ჯარები მიდიოდნენ ოსმალეთისაკენ და ეგოროვსაც ბევრი რამ ახსოვს. მისი მაღალი კანკები შეჩვეული არიან მთასა და ტყე-ღრეში სანადიროდ სიარულს და იგი უფრო ტყის კაცსა ჰგავს. გარედ საშინელი სიცივე და უკუნეთი იყო. რკინის ღუმელის კარი და გვერდები ნაკვერცხალივით ძლივოდნენ. ცხრა-წყაროზე აუტანელ ყინევებს იტერს. აქ არა ერთი მწყემსი და საქონელი გაყინულა. გუდაურის სადგურის შემდეგ ეს სახლი, როგორც ამბობენ, ერთი უმაღლესი პუნქტთავანია არა მარტო ამიერ-კავკასიაში, არამედ ევროპაშიაც.

დარაჯმა დიმიტრი ეგოროვმა თანჯარაში გაიხედა და დაიძახა:

— უკვე გამოიდარა!

საიდან ასკენიდა გამოდარებას ეგ ცოცხალი ბარომეტრი და მთას შეჩვეული სეისმოგრაფი ჯარისკაცთათვის გაუგებარი რჩებოდა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ნისლთა უკუნეთი მართლაც დაილექა და გამოიდარა. კორნელი, პეტრე ცხომელიძე, სანდრო ხოტივარი, საშა მიქელაძე და ყველა სადარაჯო სახლში მყოფნიც აივანზე იდგნენ.

ბუნების იმ ღამეში სურათის ვადმოცემა, რომელიც იხილეს მათ ცხრა-წყაროს უღელტეხილიდან არ ძალუძს არც ერთ მწერალს, მხატვარს, კომპოზიტორს და თუნდ კინო-ოპერატორს. თეთრად შეგუნდულ ღრუბლებს დაუფარავთ მთის მწვერვალები და მთელი დედამიწაც. ნისლთა ქარაენები და ღრუბლები ტორტმანით ეშვებოდნენ ძირს. თეთრი ნისლი და ღრუბელი თანდათან იცრიცებოდა, ხევსა და ნაპრალებში მიიპარებოდა, როგორც დამარცხებული თეთრი ლაშქარი და ნაცვლად ამისა იმარჯვებდა დროშებგაშლილი აღისფერი ხანძარი; თითქოს უტყვედნენ მუდამეამ ნისლში გახეულ ჩრდილოეთის გოლიათ სატახტო ქალაქს რევრლიუციონური ჯარები და მეზღვაურები ბალტიის ზღვიდანო. მართლაც სულ მალე შორეულ პორიზონტზე ამოსურდა ძლევამოსილი, გოლიათი მზე და სხივთა ისრებით განგმირა ფეხქვეშ განართხული და დარბეული თეთრი ლაშქარი. მზის სხივები იღვრებოდნენ ნისლთა და ღრუბელთა თეთრ ქულულებზე, ზედ ენთებოდნენ ათასი ფერები, იღვა უცნაურ ფერთა ხანძარი და ნისლთა დაუსრულებელი ქარაენები იხევენენ შავი ზღვისაკენ, ვით თეთრგვარდიელთა დამარცხებული ლაშქარი ევროპაში გაქცევის ვაშს.

ღრუბელთა თეთრ ზღვაზე მოსჩანდნენ კუნძულებივით ამოწვდილი მთის მწვერვალები: იალბუზი, სვანეთის უშბა, დიხტაუ, ყაზბეგი, ბორბალო, მაგრამ ყველაზედ უფრო მაღალი (კორნელის აზრით) იყო ცხრა-წყარო, რომელსაც თავს დასდგომოდა ეხლა მოწმენდილი და ლილისფრად გადასარკული ცის გუმბათი.

ჯარისკაცები უსიტყვოდ უცქერდნენ ცხრა-წყაროდან ბუნების ამ დიდ და წარმტაც სურათს. ნისლი თანდათან ქრებოდა. კორნელიმ დაინახა: ბაკური-



ანი, ციხისჯვარი; მარცხნივ: სანისლო, კოდინი; მარჯვნივ: თორტინა, გვირგვინა; ძირს: ხელისგულივით გაშლილი ხეობა, თვალწუვდენი მთაწვეთით მოფენილი, წიწვიანი შენაბადა ტყე. რა მაღლა ამოსულან ჯარისკაცები! რა ახლოს არის ცა? სხვა ქედები და მწვერვალები კი გაცილებით უფრო ქვევით! ბარი ჯურღმულში ჩაეარდნო! იშლებიან შორეული, ფართო პორიზონტები და გულიც სიამით ფართოვდება. კორნელი რაღაც უცნაურ სიხარულსა და ხალვაობასს ჰგრძობს. სდუმს. შტერად გასცქერის ქედებს. უდნობი თოვლით დაფარული მთის მწვერვალები შეიღებენ იისა, იავუნდისა და ლალისფრად.

— შეხედეთ, როგორ ჩამწყრივებულან მუზარადში აღჭურვილ, ჯანიან დარაჯებივით ქედები? უსიტყვოთ დაყუდულან მრავალდროებისა და გარდასულ ეამთა მოწამენი! არწივი თუ ჩამოპყვილებს ხანდახან! რა სიწუშა და მღუმირება? ეს ადგილი დუმილის სამეფოა!—უთხრა ამხანაგებს კორნელი.

ბეტრე ცხომელიძემ მოიგონა ვაჟას „მთანი მალანი“.

— „იდგენ და ელოდებოდნენ. უსახლეროა მთების მოლოდინი“...

განცვიფრებული გასცქეროდნენ ჯარისკაცები ცხრა-წყაროდან ქვეყანას.

### ჯ ა მ ა ხ ე თ ი.

ცხრა-წყაროდან ჯარისკაცები გამოვიდნენ დილის 8 საათზე. მზიანი დღე იდგა, მაგრამ მაინც საშინლად სცივოდა. მაზარაში ვაეხვივნენ საყულო აიწიეს. ცხრა-წყაროს უღელტეხილიდან გზა ჯავახეთისკენ ეშვება. ირგვლივ ისევ მოშიშვლებული და ბალახიანი კალთებია. გაიარეს დაღმართი. სანდროს ქენებით მიჰყავს ცხენი და თანაც იმღერის. მზის სხივებსაც უფრო მეტი სითბო მოემატათ. თავზე ადგათ ცის მოწმენდილი ტატნობი. გზაზე მწყერჩიტები გადაფრინდნენ. ცაში ტოროლას სტვენა შემოესმათ. ტოროლა იწევდა მაღლა ცისაკენ; ვერ უწევდა; ფრთა შეგუნდული ბრუნდებოდა ძირს, თითქოს ფრენა ველარ შესძლო და ტყვიასავით უნდა დაეცეს დედამიწასო, მაგრამ წამიერ შეჩერდებოდა, მოწყვეტით ავარდებოდა მაღლა და ისევ იწყებდა სტვენას ლურჯად აელერილ ცისკენ. ტოროლას სტვენა ზარივით გაისმოდა ეთერში და გულს უამებდა კორნელის.

ჯარისკაცებმა მთას შემოუარეს და უეცრად წინ დაინახეს ჯავახეთის მაღალი, ფართო და ჰადრაკის დაფასავით გაშლილი ველები, მაღალ მთებითვე შემორკალული. ამ მთების იქედ ოსმალეთია. მწვანე ზღვასავით ლივლივობენ ყანები. მთის კალთაზე მოფენილია ცხერის ფარა. ჩანთავადაკიდული ბიჭი ცხვარშია. ჯოგს სწყყსავს და ტოროლას სალამურით უპასუხებს. ძნელად თუ დაიჯერებს ამ იდილიურ სურათის შემყურე ადამიანი, რომ აქავე, სულ ახლოს ბრძოლის ხახია. სალამურის ხმა შესწყდა. პირდაღებული მესტიერე შეპყურებს ორთავალზე მსხდომ მგზავრებს.

მწვანე მინდვრებსა და ყანებზე მთიდან ყვითელი თოკივით გაბმული გზა ახალქალაქამდე მიდის, შემდეგ პორიზონტს უერთდება. შორს მთებია, ოსმალეთის სახლვარი—არტანი...

როდესაც ჯარისკაცები ჯავახეთის ველებზე გავიდნენ, მზემ მძაფრად დააცხუნა; გზაზე იდგა მტვერი და აღმოსავლეთის მსგავსი პაპანაქება. მაზარა გა-

იხადეს ღ თვალსა ღ პირისახეზე ცხვირსახოცები ჩამოიფარეს. გამოიჩინა სოფელი ქოთელია, მიწური სახლები, ტალახისფერი, მიღრეცილ-მოჭრული ბანზე ქალები სხედან, ძაფს ართავენ და წინდას ქსოვენ. სოფელს ვერცხვებმა ბატარა მდინარე ჩამოუღდის. ტირიფების ჩრდილის ქვეშ შვით გარუჯული ტიტლიკანა ბალები და ყმაწვილები ბანაობენ, ცელქობენ და ღივილით ხტებიან მდინარეში. კორნელიმ დაინახა სოფლის შუაგულში მოედანი, ბაზარი, ხისგან აგებული ბატარა ბინტური დუქანი. მოედანზე შეკრებილან გლეხები ასურელების მსგავსი, შავწვერა და ზანგისფერი, ქალები—წითელის წინსაფარით და ვერცხლისა და ოქროსფერი თავსაკრით. პაპუასებივით წყალში ჩაცენილი ბავშვები ყვირილით შეეგებენ მგზავრებს. მდინარიდან გაყვანილია ღარი და ბატარა არხები ყანებისა და ბოსტნების მოსარწყავათ. ამ სოფლის მცხოვრებნი სომხებია.

სანდრომ დააყენა ცხენი მოედანზე, მგზავრებს გლეხებმა წრე შემოავლეს. გლეხების თქმით ბატარეიას გაუვლია გუშინ დილით. სანდრომ სამქედლო მოიკითხა. ცხენი დააქედინა. ცხოველიძემ კი ჭამის საკითხი მოაგვარა და მალე ჯარისკაცები შეექცნენ მოხარულ კვერცხებს. ყველსა და თორწეში გამომცხვარ შოთ პურს. სანდრომ დაუთვალა სომეხ გლეხს ქალაქის ფული, ბონები.

ქოთელია უკან დარჩა. ცოტა ხნის შემდეგ ჯარისკაცები წააწყდნენ გზაზე უპატრონოდ მიგდებულს, ტეხალ ქვების დასაბეკნ მანქანას და ახალქალაქისკენ მიმავალ სამხედრო ფურგონებს. შეფურგონენი იყვნენ სომხები. მათი თქმით ახალქალაქის დასაცავად ქალაქში სდგას სომეხთა ერთი ათასეული და სავლელ ზარბაზნებით შეიარაღებული ბატარეია. გარდა ამისა ჯავახეთს იცავდა სოფ. ხიზაბავრის მოხალისეთაგან შემდგარი ქართული ათასეული და ასეული შტაბსკაპიტანი ბოლქვაძის მეთაურობით. შეფურგონენი ლაპარაკობდნენ თურქების მიერ სომხურ სოფლების გადაწვისა, ცარცვა-გლეჯისა და ხალხის ზოცვა-გლეჯის შესახებ. პეტრე ცხოველიძეს მოაგონდა გენერალი ნიჟარაძის მიერ ტფილისის სადგურზე თქმული სიტყვა.

ჯარისკაცებს შეხვდათ აგრეთვე სათვალეებიანი სომეხი მასწავლებელი და მისი ცოლი. იმათ დაუტოვებიათ ახალქალაქი, ვინაიდან ქალაქში შიშაინობა დაიწყო. თურქები უახლოვდებიან ახალქალაქს. მის დასაცავად შეკრებილი მცირედი რაზმების იმედი სრულიადაც არ ჰქონდათ მასწავლებელს და მის ცოლს.

— ბატარეია კარგი საქმეა, მაგრამ თუ რუსთა ქვეითი ჯარების საქმეა რაოდენობა არ მოვიდა, მთელი მაზრა დაიღუპება.—ლტოლვილნი აღმაცერად უცქერდნენ ქართულ-სომხურ ჯარებს და ურუსეთოდ ამიერკავკასიის მიერ თურქების წინააღმდეგ ბრძოლას. მასწავლებლის შენიშვნამ შეურაცხყო ჯარისკაცდა თავმოყვარეობა.

— უპირველეს ყოვლისა ჩვენზე თავის იმედი უნდა დავიკავოთ!—უპასუხა მასწავლებელს ცხოველიძემ და მზად იყო გამასპინძლებოდა გესლიანი სიტყვებით, მაგრამ ჭილოფის შლიაპიანი რუსი ქალი აღერსიანის ღიმილით აცხრობდა გაბრაზებულ ჯარისკაცს. მზეზე დამწვარ და შავგვრემან სახეს შეწონდა კბილთა რკალის გაელევა.

სანდრომ ცხენს შოლტი შემოჰკრა. ცოტა ხნის შემდეგ გზის პირად გამოჩნდა ქართული სოფელი ღადო. ჯარისკაცებს დაესია ჯოგის ძაღლები. მოხუცმა



ქართულად შეუტყობთა ძალღებს, კომბალი მოუქნია და გარეკა ისინი. სანდრო მიესალმა მოხუცს და სთხოვა ემოვნა სოფელში ჯარისკაცთათვის მისწრაფი და თანაც ფული შესთავაზა.

— ფული რა საკადრისია? მობრძანდით.—საშინლად იწყინა მოხუცმა და ჯარისკაცები სახლში მიიპატიეა. სახლთან იდგა ურემი. ქათმები კალოზე მიმოზნეულ ბზეს ჰქექდნენ. ვიწრო და მიღრეც-მოღრეცილ ქუჩაზე წითელპერანგა გოგო და ბიჭები გიმოეფინენ.

მოხუცს შავი ჩოხა ეცვა. მოკლედ შეკრეკილი ქალარა წვერი ჰქონდა, მოღუზული ცხვირი, წყლის ფერი თვალები და წაბლისფერი ხშირი წარბები. ხელში ყავარჯენი ეჭირა. სახლი იყო მიწური. კედელთან ეწყო წივა ფიტრებივით დალაგებული და მზეზე ხმებოდა. წივა ანუ ხმელი ნებვი საწვავ-სათბობი მასალაა და ჯავახეთში ისე როგორც სხვა აზიურ ქვეყნებშიც შეშის მაგივრად იხმარება. სახლი ორი თვალისგან შესდგება. ერთში თორნეა და ბოსელი, მეორეში სასადლო და დასაძინებელი ოთახი. ასეთი ბინა აქვთ მდიდრებს. ღარიბებს კი ყველაფერი ერთად, ერთს ოთახში. საქონელი და ადამიანი აქ მჭიდრო კავშირშია. ფანჯრის მაგივრად მიწაგადაყრილ ქერში გამოჭრილია სათოფე საიდნაც მოსხანს ლილისფერი ცა. ჯარისკაცებმა გაიარეს სამხარეულო. წივის ნაკვერცხალით გაეარვარებულ თორნესთან ფუსფუსებდნენ ყვითელ, წითელ და თეთრ ჩითის კაბებით შემოსილი ჯავახელი ქალები, მოხუცი მასპინძლის სახლობა. თავი წაკრული ჰქონდათ თეთრი თავსაფარით და ჯარისკაცთა დანახვისას სახეზე ჩიქილის ტოტი აიფარეს და კუთხეში გაჩერდნენ დიდის რიდიით და მოწიწებით თავდახრილნი. მამაკაცთა წინაშე პირისახის დაბურვა აღბად მაჰმადიანთა ზეგავლენით აიხსნება. მეორე ოთახი ფართე და ნათელია. კედლის გასწვრივ აწყვია მოფარდაგებული ტახტები. ჯარისკაცები ზედ ჩამოსხდნენ.

— გავერანეს ჯავახეთი თათრებმა, გუმბრი, ორლოვკა, ყონდურა, კარწახი და სხვა მრავალი სოფლები გაძარცვეს, დასწვეს და მიწასთან გაასწორეს. წინ მოიწვევენ. მარტოკა სარო-ზიზაბარველნი იბრძვიან. თქენი ზარბაზნების იმედი მოგვეცა. მაგრამ მთავრობამ თუ ჯარი არ მოგვაშველა ჩვენ სოფლებსაც ყონდურა-კარწახის ბედი ეწვევა. მთავრობა ყურს არ გვიგდებს. მარტოხელანი ვართ ამ ურჯულოების წინაშე. ავერანებენ ჯავახეთს.—გაიპეორა ისევ მოხუცმა.

— ბორჯომიდან კიდევ მოდიან ბიჭები!—დააიმედეს ჯარისკაცებმა მოხუცი ჯავახელი.

— ღმერთმა გიშველოთ. ჩვენი მეშველი ყოფილხართ!—გაიღიმა მოხუცმა და ქალებს გადასძახა.—აჰა, ქალებო, პური მოართვით სტუმრებს!

ქალები დატრიალდნენ. ორ კოჭზე მდგარი შრგვალი ფიცარი მოიტანეს და ტახტზე დასდევს. ამ ერთი ცილის სიმაღლე, უცნაურს სუფრაზე დაალაგეს ჯამებით მაწონი, დაწული ყველი, კვერცი, კარაქი, თაფლი და თორნეში ახლად გამომცხვარი პური. ერთი ბოთლი პურის არაყიც მოიტანეს. პეტრე ცხომელიძე და სანდრო სუფრასთან ახლოს ისხდნენ და კიდევაც სწვდებოდნენ საკმელ-სასმელსა, ზოლო საშა მიქელაძე და კორნელი კი წამაღწამ ღებობდნენ, ტახტზე მდგარ უცნაურ სუფრასთან მივიდოდნენ, პურსა და ყველს მოსტებდნენ

და შემდეგ ისევ უბრუნდებოდნენ თავის ადგილს. მოხუცმა დაინახა, რომ სტუმრებმა არ იციან მის სუფრაზე ჯდომის წესი. ტახტზე ავიდნენ და მხოლოდ დაჯდა სუფრასთან და დაიძაბა:

— აბა, სტუმრებო, აქ მოდით, სუფრას მოუსხედით!

კორნელი და საშა მიჭელაძე სიცილით ავიდნენ ტახტზე და მოხუცის მსგავსად მოუსხდნენ სუფრას. ქალები კვლავ თავშალით პირახვეულნი აიტუზნენ კედლის ღუმელთან და უსიტყვოდ ასრულებდნენ მოხუცი ჯავახელის განკარგულებას. ოთახში ჩოხამოსხმული გლეხები შემოვიდნენ.

როდესაც გამაძლარი და არყაით შეზარხოშებული ჯარისკაცები გამოვიდნენ მოხუცი ჯავახელის სახლიდან, მზე უკვე საგრძნობლად გადახრილიყო დასავლეთისკენ. ჭერით გამაძლარი ცხენი ორთავალაში შეაბეს და გლეხების რჩევის თანხმად გზატკეცილიდან გადაუხვიეს და ხიზაბავრისკენ გასწიეს. მგლისმაზრჩობელა ჯოჯის ძაღლები კვლავ გამოსცივიდნენ მიწური სახლის სახურავზე და გააეგებით ჭყეფდნენ.

ხიზაბავრიდან ბატარეია წასულა იღუმალასკენ (იღუმალას ადგილობრივი მცხოვრებნი ხშირად დამალას ეძახიან; მათი თქმით აქ ერეკლემ დამალა ნაწილი თავისი ჯარისა. როდესაც იღუმალადან 4 ვერსის მანძილზე მდებარე სოფ. ასპინძაში ქართულ ჯარს მოულოდნელად თავს დაესხნენ ოსმალინი, ერეკლეს მიერ სოფ. იღუმალაში დამალული მარჯაფი გამოვიდა და ქართველებმა მტერი დაამარცხეს. სწორედ ამ გადმოცემის წყალობით ეძახის ზოგიერთი ჯავახელი სოფ. იღუმალას—დამალა-ს).

ხიზაბავრა ქართული სოფელია. მტკვრის მალალ ნაპირზე გაშენებული, მტკვრის გაღმა—დაბლობში ამწვანებული ბაღები, ხეხილით საგსე, ჯავახეთის სხვა სოფლებთან შედარებით ხიზაბავრა მეტად დიდი სოფელია. ბატარეიის წასვლა იღუმალასკენ ძალზედ ეწყინათ ჯარისკაცებს. უკვე ღამდებოდა. სანდრო გზადაბნეული დაბორიანობდა ყანებზე. ბოლოს მწყემსი ბაეში დაინახეს, რომელმაც ასწავლა გზა ჯარისკაცებს მახლობელ სოფლისკენ. სანდროს კვლავ ყანებზე მიჰყავდა დაქანცული ცხენი. პური ბიბინებდა და ხანგამოშვებით მოისმობდა მწყერთა კუკუკუკი. შავსა, ნოყიერ და ფხვიერ მიწაში ღრმად ეფლობიან ორთავალას ბორბლები და ცხენის ფლოჭვები. დაღლილი ცხენი საცოდავად ქშინავს. ჯარისკაცებმა დაინახეს სოფელი ვარევანი. შუაზე აჭაფებული პატარა მდინარე ჩამოუდის. მის ნაპირს მიჰყვება ამწვანებული ზეები. სოფლის ახლოს მინდორზე ნაბელი და გამშპარი ხე იდგა. ზედ ფიჩხი ეყარა. ხეს თავს დასტრიალებდა ყანჩა. ის სრულიადაც არ ერიდებოდა მინდორზე მომუშავე გლეხებს. მალალ კანკებზე მდგომი ფრინველი. ხეზე დაფრინდა ქანდაკივით აიშართა ხის სვეტის კვარცხლბეკზე. კორნელი ორთავალიდან გადმოხტა და გულდაგულ დაუმიზნა შაშხანა მყერდის ქვეშ. გაისროლა. ყანჩამ ფრთები გაშალა. გაფრენა დააპირა მაგრამ უღონოდ მოიქნია და ფრთათა უმწეო ფარფატით დააკვდა გადაბელილ ხეს. გრძელი ყელი და ნისკარტი გველივით იკლანებოდა.

— მოხედა!—დაიძაბა სანდრომ და ნანადირევისკენ გაჰკურცხლა. სწრაფად ავარდა ხეზე. ჩინჩაყვ-ვახვრეტილი და მოკლული ყანჩა ჩამოიღო. სოფლიდან ჯარისკაცის მაზარაში გახვეული სამი ვაჟაკი გამორბოდა. ერთი

მივარდა სანდროსთან, უყვირა და ფრინველი კინალამ არ გამოსტაცა ხელიდან. სანდრო განზე გახტა და თოფი მოიშარჯვა. კორნელიმ, საშა მიქერაძემ და მეტრე ცხომელიძემ თოფს ხელი მოაღეს, დაღმართი ჩაირბინეს და სანდროს მოპირდაპირეს შეუტყეს. სოფელ ვარევანის შეიარაღებული გლეხები ჰღელავდნენ.

— რას ერჩით მაგ ყანჩას? ეს ბუდე ჩვენ თითონ გაუმართოდ მას ხეზე! მთელ სოფელს იცავდა ურწმუნო და ქვეწარმავალისგან.

— მე ეს არ ვიცოდი. თუ ასეა, ძალიან ეწუხვარ. — მოიხადა ბოდიში კორნელიმ. სომეხი გლეხებიც დაცხრენ. დაინახეს, რომ ჯარისკაცები განათლებული ახალგაზრდები სჩანდნენ. თანაც მათი სოფლების დასაცავად მოდიოდნენ. სანდროს მოპირდაპირე სედრაკ ტონაგანიანიც დაცხრა და ჯარისკაცები მიიპატიჟა თავის სახლში ღამის გასათევად; გზა-გზა მუხლის თაეზე იჩოქებდა, უხილავ მეტრეს თოფს უმიზნებდა და თათრებს რჯულსა და დაბადების დღეს აგინებდა. კაცთმოყვარეობა ამაზედ შორს ველარ წავა.

ვარევანშიც ისეთივე მიღრეცილ მიღრეცილი ბინძური სახლებია როგორც ღაღოში. ქუჩა სავსე იყო თოფის გასროლის გამო შეშინებული ხალხით და უნდობლობის თვალით შესტკეროდნენ ჯარისკაცებს. ვარევანის მცხოვრებნი ნახევარი სომეხია და ნახევარიც — ქართველი. სოფელში არის ორი ბინძური დუქანი და „კანცელარია“. ბატარეია წასულა იღუმალასკენ. სანდრომ აიღო ტელეფონის მილი, თითები დააქირა და მიღმა ფურტარის ზუზუნის მსგავსი ხმა გამოსცა. იღუმალა გამოძახებული იქნა დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ. ბატარეიაში მოსამსახურეთ გაეხარდათ სანდროს და მისი ამხანაგების ჩამოსვლა ვარევანში. ბრძოლა ხვალ დილისათვის ყოფილა განზრახული. ასპინძა აუღლიათ თათრებს. ხიზაბავერელნი და სომეხნი გამაგრებულან იღუმალასთან. სანდრო იცახცახბდა ბრძოლის წყურვილით. გულისტკენით დასდო მილი ყუთზე და ამხანაგებს განუტუხადა:

— ეხლავე დავიძინოთ. გარიყრაყამდე უნდა გავსწიოთ იღუმალასკენ.

პირველ ნაწილის დასასრული შემდეგ №-ში.



## ს ა მ ნ ი

### მოთხრობა

ესი თალი ისე მალაღია და გამსჭვირვალე, თითქო მის თვალუწედენ სიღრმეს მსოფლიოს სახურავიდან დასცქეროდე.

არწივის ფრთებივით ფართოდ გაშლილი უზარმაზარი მთები ფერხულში ჩაბმულივით გარს ეხვევიან არარტის დაბლობს. იქ კი წინ ორი მასისი, ვერცხლის სახურავით თავშებურვილი, უძრავად სდგას აღმოსავლეთის კართან და შორს გაუტყორცნია მიდუნებული ცქერა.

ივლისის პაპანებაა.

მოსაზღვრე რაზმის წითელი მეთაური, ახალგაზრდა და ტანწერწეტა, სიომასის თავის მიწურის კარებთან და ზურგით კედელს მიყრდნობილი, ამღვრეული თვლებით გაპყურებს, როგორ ბრწყინავს მზეზე გულშენგრეულ კლდეთა შორის გამომწყვდეული და ეშმაკის წარბების ქვეშ მოელვარე თვლების მზავასად მიმალული არაქსი..

მიწურიდან ცოტა მოშორებით მისივე კედლების გრძელი ხაზი მიიმართება, და ამით იქეთ წეროს მზავს ფეხებზე წამოსკუპულან ლერწმის ფარდულეები—მებაღეების ღამის სათვეი ბინები. სოფლები გასულიყვენ ბაღებსა და ბოსტნებში და შინ კაცი არ ჰკაპანებდა. სიომას არ ესმოდა ამითი არც ენა და არც ჩვეულება. ესენი სომხები და თურქები იყვენ და მხოლოდ რომელიმე საერთო ზეიმის დროს თუ გამოჩნდებოდენ სოფლის პაწაწინა მოედანზე. სხვადასხვა ენაზე წარმოთქმული სიტყვა გარემოს სძრავდა და მისი აზრი ერთნაირად გასავები იყო რუსის, თურქისა და სომხისათვის. სიომაც აღზნებულ სიტყვებს წარმოსთქვამდა მათთვის თითქმის გაუგებარ რუსულ ენაზე და ჯილდოთ უხე ტაშის ცემას და ვაშას იღებდა. შემდეგ მოსაზღვრე რაზმელები თავს იყრიდენ კლუბში, სადაც სიომა, მიხეილი და მათი მესამე მეგობარი—მიტია—ესაუბრებოდენ წითელარმიელებს.

დღე დღეს მისდევდა, ერთფეროვან ყოველდღიურ ყოფას თან მოსდევდა ათასი ვარამი და საკვირბოროტო საქმე. რაზმი, ცენტრის მიწერ-მოწერა, კონტრაბანდისტები, კლუბის საქმეები, პარტიული კრებები, უჯრედი, კოლექტივი—აი რით ივსებოდა სიომას ცხოვრება. მაგრამ მიწინარდებოდა თუ არა დღიური ორომტრიალი და სიომა ის იყო მოასწრებდა თავის ბინის წინ ჩამოჯდომას, არაქსის უდაბნოს ლერწმებიდან ამოტივტივდებოდა ველური კაცის თვალისით მომდუნებელი სევდა.

ჩამოწოლილ ხეატს მიჰქონდა უკანასკნელი ძალა. სიჩუმეში რეტი ესხმოდა სოფელს, რაზმს, კლუბს...

\*) დ. დემირჩიანი არის საბჭოთა სომხეთის თანამედროვე, თანამგზავრი მწერალი.



ცხოვრება სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა.

აღმოსავლეთით უეცრად დაინთებოდა მზის კოცონი და ხანძრის ცეცხლად იწოდა დღე. გავარვარებულ დაბლობში ჰაერი ცეცხლად იქცებოდა და ცხელი სუნთქვით სწვავდა გულს და ბუჩქებს. შემდეგ ხანძარი დასავლეთისაკენ გადარბოდა, მეწამულ ზეწრად ააეღვარებდა მოსალამურებულ ცას, რომ უკანასკნელ სხივებში გამჭრალიყო გადამწვარ სანთელივით.

უდაბნო ღრმა სიჩუმეში იძირებოდა და ყურადღებად ქცეული, წარბებ შეკრული უსმენდა მარტო მისთვის ვასაგებ ხმებს...

მეცადინეობისაგან მოკლილ დროს სიომას უყვარდა მაქსიმესთან ყოფნა. მაქსიმე მისი მეგობარია, ისინი ამხანაგები არიან სამოქალაქო ომის დროიდან.

მაქსიმე თავის ცოლით—მარუსიათი სიომაზე ერთი წლით ადრე ჩამოვიდა არაქსის ნაპირებზე სამსახურში გაწვეული, სიომაც რომ აქეთ მოხვდა ისინი, კიდევ უფრო დაახლოვდნენ. მარუსიამ იმ თავითვე იგრძნო სიომასადმი მიშვილველობა და სიომა ოჯახის მეგობარი გახდა. შუადღეზე, დღისით, საღამოს—სიომა მოურიდებლად შედიოდა მათთან ჩაიზე, სადილად, ან ისე დროის მოსაკლავად—და არც იკითხავდა, სახლში იყო თუ არა მაქსიმე. ხშირად საუბარში გართული ისინი ვერც კი ამჩნევდნენ შუალამეზე გადასულ დროს, მაქსიმეს და მარუსიას მეგობრობა აადვილებდა ამ ნამდვილ უდაბნოში ცხოვრების სიმძიმეს.

სიომა განერდა მარუსიას ფანჯარასთან.

— საღამო მშვიდობისა, მარუსია.

— საღამო მშვიდობის. შემოდი ოთახში,—წყრიალებდა მარუსიას ხმა ვიწრო და ბნელი ფანჯრიდან.

— მაქსიმე შინაა?

— არა, ჯერ არ დაბრუნებულა.

— მატარებლით მოვა?

— არა, ავტომობილით. შემოდი, შემოდი.

სიომა შევიდა უბრალო მიწურ ოთახში, რომელსაც გარედან ხეების კოკების ზედაპირზე შემოყოლებული ჰქონდა ლერწამი, საიდანაც ხშირად ვარდებოდა მორიელი და ჩამოეცილებოდა გველი. კუთხეში იდგა ძველის ძველი, ჩაბნელებული საწოლი—ცოლქმრის საეანე. სამი ხის სკამი, როგორც ბავშვები დედას, ისე ეცვროდა მაგიდას.

— როგორ ცხოვრობ, მარუსია?

— ცხელი.

— ჰო.

— რას აკეთებ?

— მოწყენილი ვარ.

— იცი ახალი ამბავი?—ეშმაკურის ღიმილით ჰკითხა მარუსიამ.

— რა ამბავი?—ცოცხლად ჰკითხა სიომამ.

მის ხმაში მარუსიამ გამოურკვეველი მღელვარება იგრძნო და თავისდაუნებურად გაინაბა.

თითქოს სიომამაც იგრძნო თავის შეკითხვაში სხვანაირობა.

ჟურ. „მნათობი“ № 5—6.

— ბიცოლა მპატიეობს საზამთროდ მოსკოვში. კარგი რამეა ხომ? — სთქვა მარუსიამ და იღუმალი თვალი მიაპყრო — აბა რა შთაბეჭდილებას მთქვამს ღინეო.

— რა თქმა უნდა, კარგია, — გამოეხმაურა სიომა და თანამეტყაძის სისამოდ იგრძნო ეს ამბავი.

— მართლაც, რა მშვენიერობაა, მოსკოვში წასვლა... ჩვენი უდაბნოს სიჩუმის და მოწყენის შემდეგ.

— ჰო, ალბათ.

— შენ წარმოიდგინე, რა სამარისებური კუთხეა. თითქო მართლა საფლავია.

ემბაკურად გაიღიმა და შეხედა სიომას.

— შენ კი არ გინდა მოსკოვში წასვლა?

— არა. რა შესაქმება იქ?

— განა არ მოგეწყინა აქაობა?

— ესთქვით რომ მომეწყინა, მოსკოვმა რით უნდა გამართოს?

— მარუსიამ აანთო პრინუსი და საჩაე დაადგა.

— სიომა რა მოგივიდა, — სთქვა მან — შენ, ვვონებ, დარღმა ავიტანა. რა ამბავია?

— მართლა?

— დიახ, დიახ. რაღაც შეტის შეტად მოღუშული ხარ.

— შეიძლება...

ლაპარაკი არ იბმებოდა. თუმცა ორივესთვის სასიამოვნო იყო. მათი მუსაიფი თითქმის ყოველთვის ასეთი იყო. მოკლე და ძუნწი სიტყვა-პასუხი გადასროლილ ჭების ხმაურით არღვევდა ოთახს და უდაბნოს სიჩუმეს. როგორც კი ერთი მათგანი, ან ორივე ერთად გაჩუმდებოდნენ სულ ცოტა ხნითაც კი — იმ წუთშივე საიდანღაც ამოტივტივდებოდა ყოვლის მშთანთქავი სიჩუმე და თავისი სიცალიერით აწვებოდა მათ.

მარუსია ჭიჭებთან ფუსფუსებდა.

— მარუსია, მითხარი, გიყვარს მაქსიმე? — უცრად მიმართა სიომამ. თითონაც არ იცოდა, რისთვის ეკითხებოდა.

— ჰო, მიყვარს. რა იყო?

— ძალიან გიყვარს, თუ ისე, ჩვეულებრივ?

— არ ვიცი, როგორ ვითხრა. არ მიფიქრია ამახე. მაქსიმე... მაგრამ რად გინდა შენ ამის ცოდნა?

— თითონაც არ ვიცი. ისე...

— მოწყალეო ხელმწიფე, — ხუმრობით დაიწყო მარუსიამ, — მე მიყვარს ჩემი შეუღლე — ერთგული და მორჩილი ვარ მისი.

— როგორ მოხდა თქვენი ცოლქმრობა?

— ჩვენ თითონაც ვერ გავიგეთ — როგორ მოხდა. მაქსიმე ისეთი კარგი ბიჭი იყო, ისეთი კარგი, რამ არც კი მახსოვს როგორ დაიწყო ჩვენი საერთო ცხოვრება. მხოლოდ მერე გავიგე და მოვისახრე, რომ ცოლქმარი ვართ. წავედით მშაჩ-ში და გავაფორმეთ — ასე თუ ისე, ამას მოითხოვდა საშნახურის წესი და მაქსიმეს პარტიულობა.

მარუსიას ნაამბობმა სიომას რაღაც გამოურკვეველ კმაყოფილების გრძობა აღუძრა. მას ართობდა სხვისი ბედნიერი გრძობების და განცდების წარმოდგენა. უხაროდა, რომ მარუსიასთან და მაქსიმესთან დაახლოება საშუალებას აძლევდა ღრმად ჩაწვდომოდა მათ შინაგან არსებას და გაეზიარებია მათი ბედნიერება. მორიელების და გველების სიახლოვეში, სადაც მზით დამწვარი სივრცე მწუხარებას მოეცვა და ყველაფერი უგულო და მოღუშული იყო, ეს ოთახი მასში მობინადრე ქალით ნათელ კუთხედ და განმარტოებულ ცხოვრების მასალბუნებელ ღიმილად ეხატებოდა.

— ერიპა, თქვენ ვგონებ სიყვარულში შეგიტოპიათ?— გაისმა თანჯარასთან მამაკაცის სასიამოვნო ხმა.

— შენა ხარ მაქსიმე, დაბრუნდი!— გამოეხმურა მარუსია და მიეგება.

მაქსიმე შემოვიდა და, რა შეხედა პრიმუსს, გაეცინა.

— შე სულელი: წყალი დიდი ხანია აღულებულა. შენ და შენი გმირი კი სიყვარულის ბაღში გაბმულხართ.

მაქსიმე დატვირთულიყო ყოველნაირ პარკებით და უხარმაზარ ნესვით.

— სად დაიკარგე? არა სჩანხარ, — მიმართა სიომას და პარკები მაგიდაზე დააწყო.

— არსად, შინა ვარ.

— გუშინ სადილად გელოდით, რათ არ მოდი?

— განა შეგპირდი?

— რა ცხელა, რა ცხელა.

— ახალი რაა ქალაქში? — სხვათა შორის, უგულოთ იკითხა სიომამ.

— შეგიძლიან მომილოცო, — წამოხტა მაქსიმე, — პასანას კონტრაბანდა აღმოუჩინეს. მე ხომ ვამბობდი, ეშმაკს ჰქონდეს მისი თავი, რომ ის მარტო სამართებლებს არ გამოიტანდა — თქო.

პასუხად სიომამ რაღაცა წაიბურღლუნა და გაჩუმდა.

— ცხვირი რად ჩამოგიშვია, სიომამ? გეტყობა სამსახური გემძიმება? ჯერ ხომ წელიწადიც არაა...

— არაფერია.

— რა თქმა უნდა. გაიგე, მარუსია ზამთრისთვის მოსკოვისაკენ აპირებს წასვლას.

— ჰო მითხრა.

— არ მინდა გაუშვა.

მარუსიამ გაიცინა.

— ერთ დღესაც ვერ გაეძლებთ ამ დასაკარგავში. ასეა თუ არა, სიომამ? ვინ დაგვიზადებს ჩაის, სადილს, ვინ გაგვართობს მუსიკით? მოვიწყენთ და ისე...

„მართლაც უმისოდ მოწყენაში ვიქნებით“ — გაიფიქრა სიომამ.

— მართლაც რა საშინელი მოწყენაა აქ! ხომ შეგინიშნავეს, სიომამ — განაგრძო მაქსიმემ — ამ უღანბნოს შეხედვისთანავე გული გემღვრევა და მოხვალ თუ არა შინ სულით ისვენებ.

პასუხად სიომამ ისევ რაღაცა წაიღუღლუნა.

— მართალია, საქმე ბევრია, მოწყენისათვის არც გცალია, მაგრამ/ თავისუფალ დროს გულს გიღრღნის სევდა.

შემდეგ მაქსიმემ სიტყვა კონტრაბანტისტებზე გადაიტანა, გვერდულად აღმინისტრაციის შესახებ გავებული ახალი ამბები და ქალაქის ავან-ჩავანი.

— იცი, კინო ვიშოვე ჩვენი კლუბისათვის. მომავალ კვირას ჩამოიტანებენ.

ლაპარაკი არ იბმოდა. სიომა სდუმდა.

ოთახში სურნელოვან ჩაის სუნი დადგა. ჭიქებში დასხმული ჩაი მარუსიამ წინ დაუდგა მოსაუბრეებს.

მაქსიმემ ხელები აიჭნია.

— მარუსია, იცი რა ნამცხვარი მოვიტანე?

მარუსიამ გადმოაყარა პარკიდან ნამცხვრები და დაუწყო დაცინვა ქმრის ნაყიდს. ოთახი გამოცოცხლდა ქალის სიცილით. კაცებს გამოეცვალათ განწყობილება.

მარუსია გვერდით მოუჯდა მაქსიმეს და როგორღაც განზე და ღიმილით ჰკითხა:

— თავსახურავეები მიყიდე თუ მთელი ფული სამიკიტნოში გაუშვი?

— მე ხომ არასოდეს სხვებს არ მოუყვანივარ სახლში. აი შენი თავსახურავეები.

და მან ჯიბიდან ამოიღო გახვეული რალაც.

— გაუმარჯოს ჩემ ქმარს!—წამოიძახა მარუსიამ და გაშალა თავსახურავეები—კარგები ავირჩევია! ამისთვის ღირს შენი შეყვარება.

— დახე, მართლაც არ შემოყვარო,—გაიღიმა მაქსიმემ.

„უამისოდაც თქვენ გიყვართ ერთმანეთი“—რალაც შერეულ კეთილი გრძნობით და იქვიანობით გაიფიქრა სიომამ.

მთლად დაღამდა. ჩაის სმა გაგრძელდა. მოყვა ვახშამი.

მუსაიფობდნენ, ხუმრობდნენ და ყურადღების ღირსადაც არ ავდებდნენ საათის ხმაურს, რომელიც ერთფეროვანად იძახოდა, რომ ყოველ წუთს მარადისობისაკენ მიაქვს სიცოცხლის ნამცეცები.

სიომა თანდათან გამოცოცხლდა. გამოურკვეველი სევდა რომ გულს უხუთავდა, მოსცილდა, გაჰქრა, იგი განახლებულად და კეთილად, მშვიდად გრძნობდა თავს. სიმღერაც კი წამოიწყა. გაჰქრა ის გრძნობაც, თითქოს ის როგორც ორ ვარდს შუა ეკალი ზედმეტი იყოს აქ, ცოლქმრის ბედნიერება მას არ შურს და არა თუ არ უშლის მათ ხელს, არამედ ბედნიერ წუთების განცდაში გაერთიანებულია მათთან.

მარუსიამ ხელში აიღო გიტარა. გაისმა დამფრთხალ სიმების ხმა. სვედიან პანგებისაგან გამოცოცხლდა უდაბნოს მწუხრი. მარუსიას ხმა წკრიალა მელოდიით შეირბა სიმების ხმების შუა, როგორც ფრინველის სიმღერა ბუჩქებში.

აქ, ღამის სიჩუმით მოკულ არაქსის შორეულ ლერწმიან ნაპირებზე მარუსიას სიმღერა მტკივნეულად შეეხო სიომას და მაქსიმეს გულს, მოაგონა მათ წარმტაცი უსაზღვროება რუსეთის ველებისა.

მაქსიმემ ფეხი დაკრა იატაკს.

— ეხ, ეშმაკის არჩივო! ვახსოვს, სიომა, ის ღამე, მე და შენ ღრმად თორებს ჩაუვარდით ხელში? ვახსოვს როგორ ვღაობდით?— მე ვამბობდი, შენ კი საათის სიციცხლე დაგვრჩა“. შენ კი— „სამისო“. როგორ გავიქეცი და თავს ვუშველეთ. რამდენმა წელმა განვლო მას შემდეგ, ჩვენ კი არხეინადა ვართ. რა დრო იყო!

— მართლაც რა დრო იყო— ანთო სიომა— ცეცხლი იყო, ცეცხლი. ცხოვრებას ლეინოსავით ვენაყოფით და ვთერებოდით მისგან.

— სიძნელეც იყო, სიმძიმეც ხანდახან, მაგრამ რევოლიუცია მშვენიერება იყო. არა?

— ჰო.

— სიომა!— კონიაკით და მოგონებით ვახურებულმა წამოიძახა მაქსიმემ.

— სთქვი!

— სიომკა, აი მარუსიას ვახარება მინდა, მოსკოვში ვუშვებ და თან ეკვებიც მეპარება. ეშმაკის იყოს, და უმისოდაც მოვიწყენ. რას მირჩევ რა ვქნათ?

მარუსიამ ეშმაკურად გაიღიმა.

— გაუშვი, ჭკუით მოიქეცი, წავიდეს. ა, მარუსკა?— მიმართა სიომამ.— წადი მოსკოვში, მაგას რად უგდებ ყურს. სწორედ ვამბობ თუ არა?

— სწორედ ამბობ, დიხაც, — დაეთანხმა მარუსია და განაგრძობდა დაკერას. — ამისთვის მიყვარხარ.

შემდეგ ადგილიდან წამოიჭრა, სწვდა კონიაკიან რიუმკას, უჩვეულ ჟესტით ასწია და წამოიძახა:

— შენი სადღეგრძელო იყოს, სიომა!

— აი, სიომა, ეშმაკმა წავილოს ბარემ, — დაიძახა მაქსიმემ, — შენ მოაჯადოვე ჩემი ცოლის გული. გადღეგრძელოს!

მიუბრუნდა მარუსიას, ხელი კისერზე მოხვია და უთხრა:

— ნებას გაძლევ მარუსია, წადი.

— ბრავო, ბრავო, ჩემო მაქსიმე, — ხუმრობით იძახდა მარუსია, — ამისათვის უნდა გაკოცო.

მიუახლოვა ტუჩები მაქსიმეს და ნელა სული შეუბერა პირისახეზე.

შემდეგ იქვე თავის გიტარას დაუბრუნდა და მზიარულმა ჰანგმა შეარხია უღაბნოს სიწიმე.

მაქსიმე წამოხტა და მარდათ გაუსვა. სიომაც თან მიჰყვა.

თვალეები ანთო სატანას შუქით. გაგიჟებულ ცეკვის რხევასთან ხტოდა თავზე ბუჩქად დადგმული თმები. თითქო ორი მხედარი ქარიშხალივით მიიქროლებდა გამალებულ ცხენებს. ცეკვა გადაიქცა შეჯიბრად. გაწითლებულ სახეზე გაშმაგება იჭრებოდა, ნასროლი ცქერა სჭრიდა დანასავით. უსაზღვროებით დამთვრალნი მრისხანედ სცემდნენ ფეხებით ტაქტს.

გაზაფხულის განთიადის შორეული შუქის მსგავსად უბრწყინავდათ სახეზე მორეულ დროის ველური ბუნება, შეუცნობელი მოგონებები გარდასულ საომარ შემზისა და თავშეუკავებელ შეტევის სიმამაცე.

მაგიდას მიუსხდნენ.

მაქსიმემ კონიაკი დაასხა.

— მარუსკა, შენი სადღეგრძელო იყოს!

— იყავი დღეგრძელი, მარუსკა!—დაიძახა სიომამაც.  
დასცალეს რიუმკები.

შეუმჩნევლად შუალამე წამოვიდა.

მარუსიამ ხმამალა მოსკოვზე ოცნება დაიწყო და თან ორ-სამ ხმას ჩამოჰკრავდა მიძინებულ გიტარაზე.

საუბარი თავდებოდა. მზიარულ აფეთქების შემდეგ დალილილობა ეპარებოდათ, ტკბილი ჟრუნტელი ათრობდა და ეუფლებოდა სიომას სხეულს, იგი გატაცებით შეტყუებდა მარუსიას. ფინიკების და კონიაკის სურნელით ცბიერად დამათრობელ და ჭრიჭინობლების გატაცებულ აცახცახებით საესე ლამეში იგი უფრო მიშხიდველი სჩანდა. სიომა ტკბებოდა მარუსიას მზერით, ისე როგორც შეიძლება დატკბეს ადამიანი ნამდვილ მშვენიერებით, ვნების გარეშე. სიომას ჭეშმარიტ სიამაყით და მამაკაცის რაინდული გრძნობით იყო გამოწვეული ეს ვნებისაგან და მგრძნობელობისაგან განთავისუფლებული დამოკიდებულება ახალგაზრდა ქალისადმი. და მას სიამეს გვრიდა ასეთი გრძნობა. მაქსიმე ხომ მისი ძმა, რომელთანაც მას აკავშირებდა თავისუფლებისათვის ერთად დაღვრილი სისხლი. ისინი ერთად იბრძოდნენ რევოლუციისწინათვის, პირისპირ ხედებოდნენ სიკვდილს და ერთად გაიმარჯვეს. ეხლა კი კვლავ განუყრელი მონაწილენი არიან დიადი აღმშენებლობის.

მარუსია წყნარად ეხებოდა სიმებს. ფეხი-ფეხზე გადადებული გიტარაზე საესე მკერდით დაყრდნობილი—იგი ნაზად ჭაქლარუნებდა საკრავს. მისი მოქნილი ტანი თქობების დახვეწილი ხაზი შეუმჩნევლად რომ გადადიოდა კაბით დაუფარავ ფეხებისაკენ, მოკლეთ შეკრევილი თმა, გამოკვეთილი, სიმებზე იოლად მიმავალი თითები—ყველაფერი ხიბლავდა სიომას.

მაგრამ ამასთან უბრალო და ერთფერი ჰანგი სხვა აზრსაც უღვიძებდა მას.

„მარუსია მეტად ლამაზია, მაგრამ მაქსიმეც ხომ კარგი ბიჭია“,—გაუელვა თავში სიომას. თითონაც არ ესმოდა—რატომ მოუვიდა თავში ასეთი დაპირისპირება. გრძნობდა კი, რომ ამით როგორღაც დამშვიდდა.

უხაროდა ეს შეუფოთებელი სიმშვიდე. აზრით ერთხელ კიდევ ჩაეხვია მარუსიას შალალ და მოსულ ტანს, თვალი შეაჩერა მის ლამაზად ჩამრგვალებულ გულ-მკერდზე და მოხდენილ ფეხსაცმელში გამოკაშვიებულ ვნების აღმძვრელ მშვენიერ ფეხებზე—და უეცრად აენთო სურვილისაგან.

ფიცხლად წამოიჭრა.

მარუსიამ შეამჩნია ნდომით ამღვრელი მისი შემოხედვა, ქალის ინსტიქტით მიხვდა, თუ რას განიციდდა იგი, მაგრამ როგორც ყოველ ქალს, მიჩვეულს მამაკაცის გამაწიშვლებელ ცქერას, არ მიუტყვევია ამისთვის დიდი ყურადღება.

„სიომა ტკბება ჩემი სილამაზით,—გაიფიქრა მან,—ჩვეულებრივი მოვლენაა, აქ არაფერი არაა საკვირველი“...

შემდეგ წამოხტა. გიტარა ლოგინისაკენ გადაისროლა, ღია კარებში შედგა და მის ჩარჩოზე დაყრდნობილი ლამის სივრცეს დაუწყო ცქერა. გარშემო წყვედიანი იყო. ცაი იღიმებოდა დასაბამიდან გაუგებარ ღიმილით. მის უსახლეგო შუბლზე თითქო ცეცხლოვან ოფლის წვეთები, ვარსკვლავი შირიადები ციმციმებდნენ. ცის ლურჯ სივრცეში იძირებოდა მარუსიას პროფილი, კარების ჩარჩოში სურათებით გამოხატული. ქალის თავის გვერდით ოდნავ სწანდა არარატის შორეული სილუეტი.

უკუნითი ღამე იდგა.

მარუსია რაღაც სიმღერის ღიღინით თავის ალაგას დაბრუნდა.

— მაშ ღამე მშვიდობისა, მივდივარ—სთქა სიომამ. ხელში აიღო ქუდი, კეფაზე წამოიხურა და თან ღია შუბლზე თემები გაისწორა.

— რად გარბიხარ? იჯექი,—გამოყრკვა მაქსიმეც.

— დროა, ხვალ მორიგე ვარ.

— დიდი საქმეა, ძილი თუ დაგაკლდა,—მხარი დაუჭირა ქმარს მარუსიამ—  
დარჩი.

და ძალად დასვა სიომა.

— არა, მარუსია, წასასვლელი ვარ.

— რა დაუთანხმებელი ხარ! დაჯექი,—შესძახა მარუსიამ და დაასხა კონიაკი.

— დალიე!—უბრძანა სიომას და თითონაც აიღო თავისი რუმკა.

ჩუმად ისხდნენ, მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი და უსმენდნენ მარუსიას გიტარას.

შეიძლება ასე დიდხანს გაგრძელებულიყო, მაგრამ ბოლოს სიომა უყოყმანოდ ფეხზე წამოდგა.

— მიდლობელი ვარ. საღამო კარგად გავატარე. ღამე მშვიდობისა!

— ღამე მშვიდობისა,—მხიარულად უპასუხა მარუსიამ.

— ე, ჩაშალე მხიარულება და ესაა. ღამე მშვიდობის, რა გაეწყობა,—წაიბურღლუნა მაქსიმემ და სიომას გასაცილებლად წამოდგა.

გარეთ გამოსვლისას, სიბნელეში სიომამ უნებლიედ მოისინჯა რეველვერი. შავბნელი უღამნო თავისი გადამწვარი ბურჭებით და ეკლნარებით გარს შემოადგა მას და საფრთხობელასავით ხან აქ და ხან იქ წამოყოფდა თავს.

„კარგი ბიჭია მაქსიმე და მარუსიაც კარგია“,—ფიქრობდა სიომა არა ერთი გზის. და სწყინდა, რომ უნდა მოშორებოდა ამ წყვილს, რომლისაგან მან ამდენი გულითადი სითბო იგრძნო. სიომას აზრი სულ მარუსიას დასტრიალებდა, მაგრამ მაქსიმეს სახე იქვე გვერდში ამოუდგებოდა მას. სიომა გრძნობდა, რომ მაქსიმეს მთელი არსებისაგან რაღაც გამოუთქმელად კეთილი, მეგობრული და კარგი გრძნობა ღვიოდა.

მაქსიმესადმი ცხოველ დაახლოების გრძნობის განცდამ მეტად გაახარა სიომა, თითქოს მას უნდა დაეფარა იგი იმ საშიშ და ქარიშხლიან ენებათა მოვარდნისაგან, რომლის ცეცხლი საღღაც სულის მიმალულ სიღრმეში ირხეოდა. მაგრამ სიომა უძღური იყო გამოეცნო როგორც მიზეზი, ისე არსება მის ამაფორიატებელ გრძნობებისა.

„ეხლა ისინი მარტო არიან. მაქსიმე, ალბად, ეხვევა და კოცნის მარუსიას, გაიფიქრა სიომამ, თუმცა სწორედ იმის ცდაში იყო, რომ ასეთად მდგომარეობაში შეეცა თავის ფიქრებისათვის.“

„მაქსიმე ღირსია მისი, მამაცი მეომარია, მარუსიაც ცოლია მაქსიმესი“, — დაუმატა სიომამ და სცდილობდა საჩქაროდ გასცლოდა ამ დიუპატივებელ აზრებს, მოსვენებას რომ არ აძლევდნენ. მაგრამ ისინი შემოუჩნდნენ, გაიელვებდნენ და გაქრებოდნენ, რომ ისევ მოსულიყვენ. სიომა ამაოდ ცდილობდა ხელინდელი დღის ვარამზე ეფიქრა. რამოდენიმე ქალაღი უნდა დაეწერა პასუხად მიღებულ მომართვებისა. იგი შეუდგა ქალაღების შინაარსის მოფიქრებას.

„ჰო, მარუსია ლამაზი ქალია“, — უცრად ლურსმანივით ჩაერქო თავში სიომას, — „ეხლა ისინი ჩახვეულნი ლოგინში არიან და მე კი არ შემიძლია იქ ვიყო“...

— უჰ, ეშმაკმა წაიღოს! — თან იგინებოდა სიომა და სწყვეტდა აზრს.

და შემდეგ ხმამალა დაუმატა:

— სულელი ვარ! მაშ რას იზამენ...

მოუკიდა პაპიროსს და გაუჩქარა. „მარუსია კეთილი და კარგი არსებია. არავითარ დაბალ აზრებს მის შესახებ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ბოლოს და ბოლოს რა ხელი გაქვს შენ სხვის ბედნიერებასთან... ვაეკაცი ხარ სიომა!“

და მან ძალის მოვარდნა იგრძნო. თითქოს რაღაც გრძობამ, ალბათ ამხანაგობის გრძობამ, შეაჩერა იგი დაეცემისგან. იქ, იმ უბრალო ქოხში, მისი მეგობარი ეხვევა თავის საყვარელ ცოლს და ის, სიომა, ხომ მათი ერთგული ამხანაგი და კეთილის მსურველია, რომელსაც იმათ მთელი ღამის განმავლობაში გაუზიარეს სიხარულის განცდა, გაათბეს მისი გული მეგობრული სიტყვით, სიმღერით და გაშლილი სტუმართმოყვარეობით. ამის მეტი რა შეეძლოთ მათ მიეცათ სიომასთვის? თვით სიომამაც ხომ ანგარიშიუტყემელი მწუხარებით ამოიგლიჯა გულიდან და დაუთმო ამხანაგს თავისი უფლება მარუსიაზე, რომელსაც ბუნდოვანად გრძობდა.

ღლით სიომას რაღაც ცუდ გუნებაზე გაელვოდა. რა იყო, რა მოხდა? რისგანაა ასეთი სიმძიმე? იმ წუთსავე მიხვდა:

— მარუსია.

მოუსვენრობა დაეფულა მას. მოუსვენრობა მამაკაცის, რომლის მშვიდ ცხოვრებაში შეიქრა ახალი გრძობა.

წამოდგომა და სამსახურში წასვლა დააპირა და ვერ შესძლო. პაპიროსი მოსწია და მიეცა ფიქრს. პაპიროსის ბოლივით სასიამოვნო გუშინდელი დღის მოგონება ადგომის ძალას ართმევდა. დიდხანს იქნებოდა ასე, ტკბილ განცდების ტყვეობაში, მაგრამ წასვლის დრო იყო და საჩქაროდ ჩაცმა დაიწყო.

ცივმა წყალმა გამოარკვია, გაულვოდა მიმალული ძაღლივით.

უსაუზნოდ გაეშურა კომენდანტის სამმართველოსაკენ და მთელი ღლით შეტობა საქმიან ქალაღებში. საქმემ გაიტაცა, გაახარა:

„ბოლოს, რომ ვსთქვათ, რას ვეძებ? მარუსიას? რა თქმა უნდა, არა. ამაზე ფიქრიც სისულელია“... მობეზრებულ ბუზივით იგერიებდა აზრს და შემდეგ ქალაღებს ეცნობოდა. მუშაობით გატაცებული, საქმიან ფაციფუტში, იგი კვლავ



დაუბრუნდა იმის განსჯას, რომ მარუსიას მიმზიდველობა არც ისე დაუძლეველია, როგორც ხანდახან ეჩვენება. მართალია, წარსულ ღამეს ფეხქვეშადად მოხიზველელი იყო, მაგრამ ამას თავის მიზეზი ჰქონდა. უდავოა, ყველაფერზე მეტად იმოქმედა ღამემ, კონიაკმა, სიმღერამ და ცეკვამ... „ნუ თუ მე ქალს ვეძებ?“— გაიფიქრა სიომამ. დღის ვარამი, მუშაობის გამალბული ტემპი, წითელ საბეებიანი მოსაზღვრე რაზმელები, მრავალნაირი მოვალეობა სამსახურისა— ყველაფერი ეს განზე ერეკებოდა გადაუჭრელ კითხვებს. გამოფხიზლებული სიომა თავის თავს გამოუტყდა იმაში, რომ ძალთა მოდუნების წუთში დაუშვებელ გრძობებს, დაღლილობის და უსაქმოობის ამ დაუპატივებელ სტუმრებს, მიეცა. ასეთმა დასკვნამ გული გაუმრთელა და სიომამ სტვენაც კი დაიწყო.

წითელარმიელებმა მოუყვანეს კონტრაბანდისტი, რომელიც არაქსის ნაპირას ლერწმებში დაეჭირათ. ერთ-ერთმა რაზმელმა მოახსენა, თუ რა პირობებში შეიპყრო ბოროტმომქმედი. წითელარმიელი მთელი ღამე უთვალთვალებდა ნაპირს.

ხუტუკი თმა, დამწვარი სახე, ღრმა ჩაცვივებული ცისფერი თვალები ფოლადისებურ სიმტკიცით აზრებ შემოკრეფილ სახეზე...

სიომა სტკებოდა რაზმელის ცქერით. მისგან გამამზნევებელი ძალა მოდიოდა და სიომა ვატაცებთ მიეცა საქმეს. საზოგადოებრივი, არა პირადი, ცხოვრების ტალღამ გაიტაცა იგი და გაანთავისუფლა დროებით დათენთისგან.

მაგრამ ეს გრძელდება ცოტა ხანს.

მუშაობის შემდეგ სიომამ ისადილა და შინ დაბრუნდა. წამოწვა თუ არა ლოგინზე, წინანდელი ფიქრები კვლავ შემოესია მას, თითქოს ტკბილ ბურანში გაეხვია, იგი ათრობდა და სურვილთა შხამით სისხლს უწამლადა. მარუსია ისევ ისე წამოიჭრა ვენებით გაღიზიანებულ მის წარმოდგენაში. აი მარუსია, ნაზი და აცხატებული, ჰერითით გამსჭვირვალე, ზვიადთ მოძრავი, გამოჩნდა ფანჯარასთან, გაცურა კედლისაკენ და წინ დაუდგა სიომას.

„ქალი აუცილებლად საჭიროა ცხოვრებაში“,—ფიქრობდა სიომა,—საჭიროა როგორც ჰაერი, თუნდაც იმიტომ რომ მისი ძებნა არ გვირდებოდეს. სიყვარული, დაჩვევა თუ სხვა რამე—სულ ერთია: ქალი არის მოთხოვნილება. ხომ არ შეიძლება, მართლაც, ამდენ ხანს მოანდომო შენი ფიქრი ქალს. მე რომ მაქსიმესავით ცოლი მყავდეს, ამდენს და ამრიგად აღარ ვიფიქრებდი ქალზე“.

ეს ფიზიკური მსჯელობა ამწვიდებდა, მის განწყობილების ნამდვილ გასაღებს აძლევდა სიომას. ეს „განწყობილება“ კი ნამდვილად არსებობდა და სულიერ სიმშვიდეს უფორიაქებდა.

სიომას ფიქრებს დაეუფლა მარუსია. ეს ექვს გარეშეა, მაგრამ ნუ თუ ის სწორედ მართლაც მარუსიაზე ოცნებობს? რა თქმა უნდა, არა. ახლა რომ მასთან მარუსიას მავიერ სხვა ქალი იყოს, მისი ფიქრი გადავა მასზე. შეიყვარებდა მას ან და ისე დროს გაატარებდა,—და საკითხიც გადაჭრილი იქნებოდა. სირცხვილია ბოლოს და ბოლოს, ის ხომ მამაკაცია, რევოლუციონერი და მიტმანსებია ქალის კაბას.

გატარებულმა უძილო ღამემ მაინც თავისი ჰქნა. სიომას დაეძინა ღრმა და ჯანსაღი ძილით.

მას უკვე კარგა ხანია რაც ეძინა, როდესაც ოთახში შემოვიდა მოსახლურე რაზმის წითელი მეთაური. მძინარეს რომ შეებედა, შეჩერდნენ და უკან დახრიალნი ხანია სძინავს“, — ჩურჩულით სთქვა მან, მიუახლოვდა სიომას და ზეგნებდა კადალს. სიომა წამოხტა და ტკბილი მთქნარებით წამოიძახა:

— მიტია! რა ეშმაკის გულისთვის მოდენილხარ აქ?

და პაპიროსისაყენ ვასწია ხელი.

— შენ თითონ სად დაიკარგე, რად არ მოდი უჯრედის კრებაზე?

— მართლა, როგორ დამავიწყდა. როდის იყო კრება?

— სულელური კითხვაა. სხდომების დღეები ხომ ცნობილია. შენ თავზე ჩემო ძმაო, რალაც ამბავია. ავად ხომ არა ხარ?

— არა.

— მაშ რატომ არ იყავი კრებაზე?

— საბატო მიზეზი არა მაქვს. შეეცდი, გადამავიწყდა. მეტს აღარ ვიხამ.

— კარგი, ეს ვიცით, მაგრამ რას აკეთებ, რომ ასეთ დაუდევრობას იჩენ.

— სრულიად არაფერს. ხომ ვითხარი აღარ ვავიშვებ მეთქი.

— არა, ძამია, ეს არ კმარა. ხეალ შემოიარე უჯრედში ახსნა-განმარტების მისაცემად. როგორაა კინოს საკითხი? მისწერე პოლიტგანყოფილებას?

— არა.

— აი სწორედ ესაა. როგორ შეიძლება. წითელარმიელებს არ შეუძლიათ ველური ცხოვრება. რადიო ცუდად მუშაობს, კინო არაა, „კუთხე“ დაცალიერებულია, კედლის გაზეთს სძინავს, ამას ემატება სიცხე. კოლმეურნეობების შესახებ მოხსენება თუ დაამზადე მაინც?

— არა, მაგრამ მალე დავამთავრებ.

— მე ვიცი, შენ თავზე რალაცა ამბავია.

სიომა ლოგინიდან წამოხტა.

— ეს რაა, შენ პარტიულ დისციპლინის სწავლებას მიპირებ, მგონი.

— ზედმეტი არ იქნება ისეთ პარტიულლებს, როგორც შენა ხარ, ზოგჯერ დისციპლინა მოგაგონო, — თითქოს ეკალივით შეასო მიტია. — ერთი ეს მითხარი, რას წარმოადგენ შენ ისეთს, რომ შენი დარბევა არ შეიძლებოდეს? როდის აქეთ შეიქნა შენთვის და ჩემთვის ზედმეტი სწავლება? შენ, ჩემო კარგო, მაგნიორ ლაპარაკით ვერ დამაშინებ. ძალზედ მოეშვი და ესაა, აი რას გეტყვი.

— თუ მოშვებული ვარ, თავში მომწივი.

— და კიდევ გეწივი. მე თუ არა, უჯრედი იხამს ამას. პარტია, ჩემო ძმაო, ლუქანი კი არაა.

სიომამ იფეთქა.

— კარგი, კარგი, ნუ გადააქარბე. გეყოფა ჰკუის სწავლება.

— არა, არ მოგიშლი ჰკუის სწავლებას, — იმიღლა ხმა მიტია. — რა წარმოდგენის ხარ შენ თავზე? წარსულთ ამჟამზე? ვის არა აქვს რაიმე დამსახურება? და თუ ყველამ წარსულის გვირგვინებზე მოისვენა, შორს ვერ წავალთ.

— რას მიჰქარავ, — უკვე მშვიდობიანის კილოთი უპასუხა სიომამ, — რა შუაშია აქ წარსული ან მომავალი? გეუბნები არ მახსოვდა. მარტვი და გასაგებია.

— ეს არაა მიზეზი, — ისევ თავისაზრზე იდგა მიტია, — უჯრედში მოგვლამა-  
რაკები ამაზე.

— მაშ ასე, არა?

— ჰო, ასე.

მიტია გაჩუმდა. პაპიროსი ამოიღო და ასანთი ითხოვა.

— ცხელა, ჯანდაბას იყოს მისი თავი, — მშვიდობიანის კილოთი დაიწყო  
მიტიამ და პაპიროსი მოსწია. — ოთხი ახალწვეული ციებით ავად ვახდა. ემე-  
ლიანებს ვთხოვე ქალაქიდან კონიაკის ჩამოტანა.

— შითხარი, გამოტყედი, ხომ მოწყენაში ხარ ჩავარდნილი, — გაიღიმა  
სიომამ.

— მოსაწყენი რა მაქვს? — გაუყარა მიტომ თვალი სიომას. — დედაკაცი ხომ  
არა ვარ? შენ, განა შენ მოწყენილი ხარ?

სიომასთვის შეკითხვა მოულოდნელი იყო.

— მე? არა, მაგრამ ქალები არაა, აი რაშია საქმე.

— ქალები! — გააღიზიანა მიტიამ. — აი რა მონდომია. საიდან მოვიყვანო  
ქალები. ღმერთები ხომ არა ვართ რომ გავიზინოთ.

— არ ვიცი, საიდან და რანაირად ვიშოვოთ ისინი, მაგრამ დედაკაცი სა-  
ჭიროა, — სთქვა სიომამ და თანაც გრძნობდა რომ იმას ვერ ამბობდა, რაც უნ-  
დოდა. ჰო და, ათასიკ რომ იყოს აქ ქალი, — განაგრძო მან და ტახტზე ჩამოჯდა —  
სულერთია, ყოველ მათგანთან გული არ მიგივა... შენ რა ვაგიგონია, მამაკაცი  
ქალს ისე უბრალოდ ხომ არ ეძებს, რომ...

— მაშ როგორ?

— ქალი, იცი, სხვანაირი უნდა იყოს, ისეთი...

— რას სულელობ, სიომამ. ქალები ყველა ერთნაირები არიან, — მოუქრა  
მიტიამ. — განსაკუთრებული ქალები არ არსებობს, ისე როგორც მამაკაცები. ერთ-  
თან თუ გაქს საქმე — უკვე იცი როგორია სხვები.

— კარგი, ტყუილა ნუ შედიხარ ფილოსოფოსის როლში, — გააწყვეტინა  
სიომამ და ხელი წამოავლო ფანჯრიდან ქაღალკს. — დაჯექი, სანამ თავში ასეთი  
არეც დარევა გაქვს, გიჩვენო კარგი თამაში.

დაიწყეს ქაღალკის თამაში.

— როგორ სეველიანად გამოიყურება ეს გადამწვარი უდაბნო. სიცხე, კო-  
ლოები, გამზარი მიწა და გახურებული ქვები — ყველაფერი საშინელ მოწყენას  
ბადებს კაცში, — დაიწყო სიომამ და თან თვალს არ აცილებდა საქაღალკო  
ასპარეზს.

— სტეპი ხომ ვახსოვს? ხომ იცი, როგორი იყო სამოქალაქო ომის დროს  
რომ ვნახეთ ასტრახნის სტეპი?

— მაშინ სხვა იყო, ვომობდით. ვის ეცალა ომის დროს სეველისათვის.

— აქ კი არ არის ომი? სულელო! ომია მაშ რაა ჩვენი ბრძოლა კონ-  
ტრაბანდისტებთან? შე უტყენო ნამდვილ პოზიციებზე დგახარ. რა შუაშია უდაბ-  
ნო. არაქსის ნაპირი — საბჭოთა კავშირის ნაპირია.

მას დაავიწყდა ქაღალკი, ზეზე წამოხტა.

— ტყუილა კი არ გელაპარაკები ამას. შენც იცი, რომ ასეთა და მაინც წუწუნებ. გამოცოცხლდი, უჯრედში იარე, იმუშავე. კომუნისტმა არ უნდა იცოდეს რა არის სევდა: ყური გამოიბერტყე! სულ ერთი არაა— გინდ-მეცხე და გინდ არაქისი?

— კარგი, კარგი, მადლობელი ვარ პოლიტბანის გაკვეთილისათვის, — გამზიარულდა სიომა.

მას სრულიათ არ ესაჭიროებოდა მიტიას დარიგება, მაგრამ მისმა აღფრთოვანებამ გამოაცოცხლა. სასიამოვნო იყო სხვისაგან გაგონება გულში შეშავალ სიტყვისა იმაზე, რაც შენც გწამს. ეს ამავრება და აკაეება.

და რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა მიტია მით უფრო უბრწყინდებოდა წყნარი თვალების ფოლადისებური ელვარება. მკაცრ სახეზე სიმკაცრე არ სცილდებოდა, მაგრამ რალაც სინაზე გადაკრავდა.

სიომამ იგრძნო, რომ მიტიამ გახსნა მის წინ ნამდვილი აზრი რაზმის არაქისის ნაპირებზე ყოფნისა. მიხედა, რომ იგი და მისი ამხანაგები აურიცხველ და განუწყვეტელ ძაფებით არიან გადაბმული რევოლუციასთან, რომელიც თავის მოძრაობის სფეროში იტყვის არაქისის ნაპირებს და მის მოსაზღვრე რაზმელებს. უტყველი გახდა, რომ აქ, მოსაზღვრე ხაზზე, ისინი ჰქმნიან საერთო საქმის ნაწილს და ამით მონაწილეობას იღებენ ქვეყნის დიად საქმეში. აქ, არაქისის ნაპირას არ არის მშვიდობა. ამგვარ მსჯელობის სინათლეზე ეს უდაბური მზარე უკვე აღარ სჩანდა ასე მიკარგულად და შავბნელად.

მკაცრი კომუნისტის მთლიანი პიროვნება, როგორც იყო მიტია, მისი ჯიუტი ლაპარაკით და გაბედული აზრით— ახარება სიომას. იგი უკვე აღარ გრძნობდა იმ მოღუწებულ განწყობილებას, რომელსაც „სევდას“ უწოდებდა.

ამხანაგები კადრაკს დაუბრუნდნენ. საუბარსა და თამაშში ვერც კი შეამჩნიეს დაბინდება. შემდეგ ჩაის მიუხდნენ. იმუსაიფეს მოსაზღვრეთა ცხოვრებაზე, პურის დასამზადებელ კამბანიაზე, საბჭოთა კავშირზე და რაზმის ქირ-ვარამზე. საუბარმა საბოლოოდ დაამშვიდა სიომა და დაუბრუნა იგი ფხიზელ ყოველდღიურობის ავანჩავანს.

მიტია წავიდა, სიომა დარჩა მარტო. როგორც კი სიომა მარტო დარჩა და თვალი მოავლო გულშემზარავ უდაბნოს, იმ წუთშივე შავბნელ განწყობილებათა ტყვეობაში მოხვდა:

— „რა ცხოვრებაა. უდაბნოა. ველური“...

ქუჩაში გავიდა. კარებს მიეყრდნო. მის წინ მასისის კლდოვანი საშეფო აღმართულიყო, ზღაპრულ კვერთხის თელისმისაგან გაქვავებული სამეფო, ქვის ციხე-სიმაგრე საუკუნეებით რომ წყალზე ოცნებობს— მოღუწული, მიუსაფარი.

აი იქ, ძველი გადმოცემით, ვეშაპების თავშესაფარია. კლდის თავზე დაფარინავს „შქმარი“.

თითქოს შორეული წინაპარი დაპყრებს სიომას თეთრით მოსილ საუკუნეებიდან. და გუნება უფრო უბნელდება, აზრი პირველყოფილ ადამიანისკენ მიჰქრის.

აქ, მსოფლიოს დროის უდაბნოში, მასისის ქვიან სამეფოში, მას მისჯილი აქვს მარტოობა და უმეგობროდ, უქალოთ, მხოლოდ შხამიან შქმარების, მარილოვან ველების დაშორებულ სამუშის ცხელი სუნთქვის ამარა ყოფნა.

სიომა სევდით ჩააცქერდა სივრცეს, სადაც ყალყზე შემდგარ ცხენების მზგავსად ამართულიყვნენ უზარმაზარი კლდეები და ელავდენ თავის ვრანტიის ეშვებით.

„ჰო, ქალი აუცილებელია... მაგრამ სად არის, ან ვინ არის იგი?“

და უეცრად სიომას სულში გაიღვიძა იქ დაბუღებულმა ველურმა ინსტინქტმა. ცხენზე შეტრიალა მოუნდა, რომ მოდებოდა ლერწმის სიხშირეს, გაჩენილიყო იქ მთის ნაპრალებში, ადევნებოდა გარეულ ღორს და მგელს.

რამდენიმე დღე ზედიზედ სიომა ჩაფლული იყო მუშაობაში და დრო არ ჰქონდა თავის განცდების დაკვირვებისათვის. დღე დღეს მისდევდა, მისთვის უცხო და ზედმეტი, სიომას ახლოსაც არ ეკარებოდა მათი დენა. ყოველდღიურობისაგან მოწყვეტას და გარემოს სიცილიერეს მტკივნეულის გრძნობით განიცდიდა. და მით უფრო მწვავე სევდით იყვებოდა.

შუადღის პაპანებით შეწუხებულმა გაეშურა მარუსიასკენ.

კოლოფის მზგავსი მარუსიას სახლი, როგორც ოაზი უდაბნოში, სივრცეს და თავშესაფარს პირდებოდა შორიდან. ღია კარებში ჩრდილი ჩამდგარიყო.

გულის გამაღებულ ძვერას გრძნობდა.

სახლთან მიახლოებისთანავე მარუსიამ გადმოსძაბა.

ოთახში შესვლისას მაქსიმეს შეეფეთა. იგი სადღაც მიდიოდა.

— სად დაიქარგე? როგორა ხარ? ველარ გხედავ—შეუტია მაქსიმემ.

— მთელი საღამო გელოდით, ბიჭო,—ბურღულუნებდა მაქსიმე,—მარუსიამ მწვადი შესწვა, გვეგონა მოხვიდოდი. სულ ამას გიძახი: „სიცხეს ნუ აყვები, ნუ ჭალაჩუნობ, მოდი ჩვენთან. არ იქნა, ვერ დაგაჯერე. შეკეტილა თავის ბუნაგში ნადირივით. ჰო, მე მივდივარ, ლაპარაკს შეექციეთ, მალე მოვალ.“

მაქსიმე წავიდა. სიომა დაჯდა და ჩუმად გადახედა მარუსიას. ისიც ჩამოჯდა და ცქრილა თვალებით მიუალერსა სიომას.

— რატომ ხარ მოლუშული?

— სრულიადაც არა. დალლილი კი ვარ.

ნამდვილად იგი არც მოლუშული და არც დალლილი იყო. უფრო სწორი ის იყო, რომ მარუსიასთან მარტო დარჩენის სიხარულმა რალაცხაირი ფიზიკური და სულიერი დაჭიმვა აგრძნობინა. და რაც უფრო დიდხანს ჩასცქეროდა, მით უფრო სუბტყლდ გრძნობდა თავს. რანაირის სიმჩაბით შეეძლო ამ ქალს ყოველივე მოწყენის გულიდან გაქარვება. გაზაფხულის ძალა ჰქონდა მისგან მონაბერ ალერსს და გულითად სითბოს. სიომა დარწმუნდა, რომ მარუსიას სახლი იყო მისთვის ერთად ერთი ადგილი, სადაც შეიძლებოდა მისი გაუგებარი სევდის განკურნება.

ისეთი საუბარი გამართეს, როგორიც ნამდვილ მეგობართა შორის შეიძლება იყოს. ერთი საგნიდან მეორეზე გადადიოდენ. საუბრის გულითადი ხასიათი სიომაში ისეთ რწმენას ბადებდა—თითქოს არავითარი უფსკრული არ არსებობდა მის და მაქსიმეს, ან და მის და მარუსიას შორის.

მარუსია წმინდა ქალური ინსტინქტით ზედებოდა სიომას „განწყობილების“ ნამდვილ მიზეზს. მამაკაცებს ადვილად იპყრობს სხვადასხვა „განწყობილება“ და ისევ ისე იოლად თავიდან იცილებენ მათ. ასე ფიქრობდა მარუსია და

გადასწყვიტა მაინცა და მაინც ყურადღება არ მიაქცია სიომას სულსკვეთები-სათვის. ამასთან მას იმედი ჰქონდა მათ შორის არსებულ მეგობრობებს, სიმტკიცის და თავს დაზღვეულად სთვლიდა სიომას მხრივ „ყოველგვარ შემთხვევებში“.

სიომას თავში კი მეტად ეშმაკურ აზრებს გაემართათ ჯირითი.

„შესაძლოა მარუსიამ მეც შემიყვაროს... და მაქსიმეც უყვარდეს იმავე დროს?—მხიარულად გაუელვა აზრმა და მყისვე კვამლივით გაჰქრა.

„რა სისულელეა!“ — შეუტია თავს სიომამ.

ეს აზრები შეგნების სიღრმეს ვერც კი აღწევდნენ.

სადღაც ქვე შეგნების სფეროში მისრიალებდნენ და ჰქრებოდნენ. სიომა იბნეოდა მათში, გრძნობდა მათ წინააღმდეგობას და შეუსაბამობას, მაგრამ მაინც, როგორც ნიაღვარს, ეძლეოდა მათ დენას. თან როგორც გადარჩენის იმედს, ყოველთვის უბრუნდებოდა მოგონებას „წყვილის“ შესახებ. მარუსიას ამაყად და ოქროსფრად აქონრილ გვირგვინის იქეთ, სიომას წარმოდგენაში განუყრელი იყო გაშლილ სახეზე კეთილშობილების და სიკეთის ბეტედ დასმული მაქსიმეს სახე. და ასე მუდმივ მაქსიმე და მარუსია ერთად დაუდგებოდნენ წინ მის ოცნებას.

მაგრამ საკვირველი იყო: მიუხედავად იმისა, რომ მარუსიას დამოკიდებულებას მაქსიმესადმი სიომა ამომწურავის სისაესით გამოხატავდა ტერმინით „თავდაპირველი სიყვარული“, თითონ მარუსია გამოუცნობ სფინქსად რჩებოდა. მისგან მოდიოდა უსაზღვრო ინტიმობა, რომელიც ისე სასიამოვნოთ ათბობდა და ამშვიდებდა სულს და გულს. თითქოს იგი დაუღვევი წყარო იყო, რომელსაც შეეძლო დაწაფებოდა ყველა, ვისაც სწყუროდა გასხვიოსნებული სიცოცხლე, სიხარული და მეგობრობა. მას ძალა შესწევდა ერთ და იმავე დროს მრავალ-სათვის ყოფილიყო დედაც, დაც და მეგობარიც. ყოველ შემთხვევაში, სიომას ასე ეგონა, რადგან მისი მშვენიერება და გრძნობა ოკეანესავით უსაზღვრო იყო.

თითონ მარუსია იყო მიზეზი მასზე ასეთი წარმოდგენისა.

საკმარისი იყო თვალი მოგველოთ მისი სახის ნაზად გამოკვეთილ ხაზები-სათვის და შეუძლებელი სულ ადვილად მისალწვევი გენიენბოდათ. ცოდვიანი უბამისი ზრახვა კი იღებდა ამაღლებულ საფერს. ყოველივე რასაც მარუსიასთან მოიმოქმედებდით უნდა გამხდარიყო მშვენიერი და კეთილშობილი. თავის გარეგნობით ის აღვიძებდა თავდავიწყებულ სურვილს, მაგრამ თითონ მიუწოდმე-ლი რჩებოდა.

აი რატომ არ გრძნობდა სიომა თავს ზედმეტად და უცხოდ მარუსიასთან და მაქსიმესთან, პირიქით, ის თითქოს გაითქვიფა მათში.

„რა იქნება მარუსია რომ შემიყვარდეს“, — თავისთვის მოულოდნელად გაიფიქრა სიომამ. — „მაქსიმე? დეე, მან არაფერი არ იცოდეს, თვით მარუსიამაც ნუ იცოდეს. არც ერთს მათგანს შე ხელს არ შეუშლი“.

სიომა გააწითლა ამ აზრმა. ხმამალლა ამოიხენეშა. ხარბად ხელი ჩასკიდა უკანასკნელ გადარჩენის აზრს და ჩიხიდან გამოსვლის გზად მოეჩვენა.

უეცრად მაქსიმეს ხმა მოესმა. ის შემოვიდა ოთახში მხიარული ფართო-ღიმილით, რომელმაც მოაცილა სიომას ფარული ნააზრევი.

მეგობრის მომხიბლავმა ნდობამ მზურვალე მხესავით გაუფანტა გონაობე - ლობის ნისლიანი ოცნება. სიომა გამოერკვა.

მაქსიმე ეუბნებოდა სახლიდან მიღებულ წერილის შესახებ: „გადმოაკრე და ზოგიერთ იქიდან ამოღებულ სასაცილო სტრიქონებს და კეთილხუნოვან ბუბრობით იცინოდა მათი შინაარსის გამო. ოთახი იესებოდა ხმამაღალი, გამამხნეველი სიცილით.

მარუსია ადგა და გაიარა ოთახში, სიომამ თვალი გააყოლა. მისი მშვენება სულ იზრდებოდა სიომას თვალში. ეჩვენებოდა საკვირველად და მიმზიდველად. ამაოდ ცდილობდა დაეძლია თავი, მოეცილებია აზრი მარუსიასთვის. ნაცნობი, დამძალავი სევდა კვლავ ეუფლებოდა მას. საბოლოოდ დარწმუნდა, რომ დღეიდან აღარ ძალუმს წინ-ალუდგეს თავის აზრებს, რომ მარტო მითი სცოცხლობს და ნებისყოფა წართმეული მიდის ხახალა უფსკრულისაკენ.

„არა, ეიოცნებებ და ვიფიქრებ მარუსიაზე ისე, რომ არც მან იცოდეს და არც მაქსიმემ“, — გაიფიქრი სიომამ.

უეცრად დასცხა და ოფლმა დაასხა. ხელი წაავლო ქუდს.

— საით? — გზა გადაუჭრა მარუსიამ.

— საქმეზე...

— კარგი, რა დროს საქმეა. ერთად ვისადილოთ.

სიომა წავიდა.

სახლში მისვლისას წამოწვა და თამბაქო მოსწია.

ფიზიკურ დაღლას გრძნობდა, შხამი რომელმაც მოუწამლა სული, სხეულს ეღებოდა.

ეჭვი არაა — ის ავითაა, ამის მიზეზია — მარუსიაზე ფიქრი, უეცრად და მოულოდნელად თავს ესხმის ავადმყოფობა, რომელიც საფრთხეში აყენებს მის დამოკიდებულებას მაქსიმესთან, იმ მაქსიმესთან, რომელთანაც გაუვლია სამოქალაქო ომის ცეცხლი, უგემია გამარჯვება და ეხლა ხელიხელ ჩაქიდული აშენებს ახალ ცხოვრებას.

— ვაი სირცხვილო ძლივს სთქვა სიომამ, — მამაკაცი კი არა საცოდავი ქალაჩუნა ვარ.

ცხადი იყო, რომ სრულიად უმიზნო და ზედმეტია ეს თავის გამათრახება. სულ ერთია იგი ისეა შებოროტილი, რომ გაძრომა აღარ შეუძლია. ის, რაც შორეულ მომავლის ბურუსში ეჩვენებოდა, პირისპირ დაუდგა წინ დღევანდელ დღეს. ჩამოენგრა მოულოდნელის ძალით და გაანადგურა.

უყვარს მარუსია, ცხადია რომ უყვარს.

მთელი დღე მუშაობას მიეცა. და ასე იმუშავებს სულ, კვირების და თვეების განმავლობაში, არ მივა მარუსიასთან სანამ არ განიკურნება „ავადმყოფობისაგან“.

— სიომა რა მოგივიდა? იქნება რამე გაწყენიეთ? — შეეკითხა სიომას უეცრად ოთახში შემოსული მარუსია, — სოკევი, რა მოხდა. მაქსიმემ მითხრა, გიყვივით დადიხო. რაშია საქმე?

— დაჯექი, მარუსია.

— ეს არაფერი, დავედები, მითხარი რად გაიქციე იმ დღეს გამწყრა-  
ლივით.

— მე არაფერი მწყენია მარუსია.

— აბა რაშია საქმე?

სიომამ შეხედა მარუსიას. და მის თვალებში წაიკითხა, რომ წმინდა ჭა-  
ლურის მოხვედრით მას გაგებული ჰქონდა სიომას ყოფაქცევის საიდუმლოება.  
ამ წუთში სიომა მზად იყო ყველაფერი ელიარებინა, მაგრამ როგორც კი მოი-  
კრიბა ამისთვის ძალა, იგრძნო რომ ამაზე ძნელი არა იყო რა.

— მოსამზებრებელი ყოფნა აქ, მარუსია,—ჩაილაპარაკა.

— ვიცი, რომ ასეა. მაქსიმეტ ამბობს, რომ შენთვის ძნელია. ამისათვის  
საჭიროა ხშირად მოხვიდე ჩვენთან, გაერთო.

— არა, მარუსია, ჩემი სევდით თქვენთან მოსვლა არ მინდა.

— იქნება შინაობაზე ფიქრობ?

— შინაობაზე? რა მელის იქ? მე ვერსად ვერ ვნახავ სულის სიმშვიდეს.

— რას ეძებ, რა არის ისეთი, რომ ვერც აქ და ვერც შენ სახლში ვერ  
გინახავს?—სერიოზული სახით ჰკითხა მარუსიამ.

— არაფერი,—და სიომამ თვალები ძირს დახარა.

მარუსია წამოდგა.

— მე არ მინდა მაინცადამაინც ჩემსას ვადგე. შეიძლება, ჩვენთან ყოფნაც  
გემძიმება. ვინ იცის. მაგრამ იცოდე, რომ მე და მაქსიმე ყოველთვის მზათა  
ვართ მიგიღოთ. ჩვენ გვაქვს ამზანავებთან ყოფნის მოთხოვნა. თავი დაანე-  
ბე სისულელეს, მოდი დღეს ჩაიზე.

— მარუსიამ წასვლა დააპირა, მაგრამ სიომამ ხელით ანიშნა შეჩერე-  
ბულიყო.

— მარუსია, შენ გინდა სიმართლის ცოდნა? აი გაიგე. საქმე იმაშია, რომ  
მე ყოველთვის მეშინოდა ხელი შემეშალა თქვენთვის... ცოლქმრისათვის,

— ჩვენთვის ხელი შეგეშალა?—გაუკვირდა მარუსიას.

— უფრო გარკვევით გეტყვი. აი თქვენ ცოლქმარი ხართ. ვინ იცის რაზე  
მოგინდათ ლაპარაკი, მე, შეიძლება ხელი შეგიშალოთ.

მარუსიას გაეცინა.

— საიდუმლო ლაპარაკისათვის დროს კი მოენახეთ, ქმარი და ცოლი  
არსად გარბის, მოესწრება.

სიომას არ ესიამოვნა არც მარუსიას გაცინება და არც პირდაპირი თქმა  
იმისა, რომ მას და მაქსიმეს შუა არსებობს მისგან დამალული „საიდუმლოება“,  
თითქოს ეს თავისთავად გასაგები რამ ახალი ამბავი ყოფილიყოს. და საკვირ-  
ველი იყო, რატომ მოხდა, რომ ცოლქმრის ასეთი უდაო და კანონიერი უფლე-  
ბა „ოჯახურ კონსპირაციაზე“ ასე მწვავედ მოხვდა გულში!

გული სევდით დაეხურა.

„მას შეეძლო სულ არაფერი არ ეთქვა ამის შესახებ“,—წყენით გაიფიქრა  
სიომამ და მოიღუშა.

— მარუსია, შენ ისე ლაპარაკობ ამაზე თითქო სრულიად არ გაინტერე-  
სებს ქმართან ყოფნა, თითქო არ გიყვარს,—დაიქარებით დააყარა სიომამ, თი-



თქო ეშინოდა არ გადაეფიქრო სათქმელი. — ნუ თუ შენ არ გუჯეს მრავალნი-  
ლება მაქსიმესთან რაც შეიძლება მეტი ხანი ყოფნის?

— რა თქმა უნდა მაქვს. მაქსიმე მიყვარს მაგრამ მეტად ცუდი ხომ არ  
შემიძლია მართო მასთან ვიყო პირისპირ. სხვასთან ყოფნაც მაინტერესებს.

ამ სიტყვებმა დაამშვიდეს სიომა

— მარუსია, შეგიძლია შენ სხვისი შეყვარება? — მოულოდნელად ჰკითხა  
სიომამ და თან გრძნობდა, რომ თავვე თავდაუპერლად ეცემოდა.

— რა კითხვაა? — გაიკვირა მარუსიამ.

— ნუ გიკვირს. ისე, თეორეტიულად მაინტერესებს: შეუძლია თუ არა  
ქალს, რომელსაც უყვარს თავისი ქმარი იმავე დროს გრძნობდეს, რომ მას შეუძ-  
ლია შეიყვაროს სხვა მამაკაცი?

— მართლა ასე გაინტერესებს? ჩემის აზრით, შეუძლია. საერთოდ ეს შე-  
საძლებელია. სიყვარული ცეცხლივით აენთება და დაქრება კიდევ, არაფერი  
შეუძლებელი ამაში არ არის.

— შეგიძლია წარმოიდგინო ის დღე, როდესაც შენ აღარ გეყვარება მაქ-  
სიმე?

მარუსია ჩაფიქრდა.

— მაქსიმე რომ არ მიყვარდეს? არა... არა, მისი არ ყვარება არ შემო-  
ძლია..

— არასოდეს?

— არასოდეს. არც დაფიქრებულვარ ამაზე.

— აბა დაუფიქრდი.

— ვინ იცის, ცხოვრებაში ყველაფერია მოსალოდნელი. მომავლის თავდე-  
ბი ვინაა. მაგალითად ეხლა ვგრძნობ, რომ მაქსიმე მიყვარს.

— მაქსიმე?

— მაქსიმე! მასაც ძალიან ვუყვარვარ.

საუბარი ამოიწურა.

— ჰო, — განაგრძო მარუსიამ ცოტა შეჩერების შემდეგ, — მისი სიყვარული  
უდიდესი ბედნიერება და ნუგეშია ჩემთვის ამ უდაბნოში. უმაქსიმოდ — რა და-  
გიფარო — მე ვერ შევძლებდი აქ ყოფნას და მუშაობას.

„რა ლამაზია, — ფიქრობდა სიომა, — რა ექნა როგორ მოვიტყე?“

მარუსიამ შეხედა სიომას და უსიამოვნო გრძნობის მორევა იგრძნო. მიხე-  
და, რომ მათ შორის გაირღვა ის საზღვარი, რომლის გადალახვის ნებას ის არ  
აძლევდა უცხო მამაკაცს. როგორც გამოცდილმა ექიმმა, ავადმყოფობის სწორად  
გამოცნობის შემდეგ, იცის რომ მიუხედავად პირველი იოლი ნიშნებისა, ავად-  
მყოფს მოელის ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის გადატანა, სრულ განკურ-  
ნებამდე და ეშვადება სათანადო გაზომილ მოვლა-ექიმობას, — ისე მარუსიამ  
შეუცდომელად გამოიცნო სიომას „ავადმყოფობა“ და გაიფიქრა: „ეს მხოლოდ  
დასაწყისია“.

ჩაფიქრებული მივიდა იგი ფანჯარასთან და გულზე ხელდაკრეფილმა შორს  
ცქერა დაიწყა.

ფიქრებში წასული სიომა მას მისჩერებოდა. რაღაც იყო საგანგებო მარუსიას მალალ მოყვანილ ტანში, რაც ხიბლავდა ყველას.

„მას შეუძლია არასაც მოისურვებს ის მიეოს“ — ელვასავებდა მარუსია სიომას.

ყოველის დამამბობელი, სტიქიური ვულკანის ძალა აშფოთებდა სიომას სულიერ სიმშვიდეს. და ის პირველად გამოუტყდა თავს, რომ არ ძალუძს ჩაიხშოს კატასტროფიულად მარუსიასადმი მოვარდნილი გრძნობა. ერთი რამე რჩებოდა — არ ეღალატა ამხანაგისათვის. და ამიტომ მან უნდა დაფაროს თავისი გრძნობა, როგორც ცოლისაგან, ისე „იმისაგან“. დღე ეს გაგრძელდეს მთელი წლებით. სხვა გამოსავალი არ არსებობს, თუ თვით „ავადმყოფობა“ უკურნებელია. თითქოს გამოსავალი გამოინახა და სიომაც ჯერჯერობით დამშვიდდა.

მარუსიამ აიჭიქარა და წასვლა დააპირა, სიომამ გადასწყვეტა მისი გაცოლება.

ის დიდ სიმსუბუქეს გრძნობდა, როგორც ყველა, ვინც დიდი მოფიქრების შემდეგ მოქმედებაზე გადასვლას გადასწყვეტს. მაგრამ იმავე დროს რაღაცნაირ სულიერ გაორებას გრძნობდა, თითქოს მასში მეორე „მე“-მ დაისადგურა, რომელიც საკვირველად მელანდებოდა და სიომასაგან დამოუკიდებლად სწყვეტდა და ადგენდა. ეხლა ის უკარნახებდა ნებისყოფას.

გასაგებია: სიომას უყვარს მარუსია, ფარულად თავისთვის. მაგრამ შევლა ან იმედი იმაშია, რომ ეს არა საღი გრძნობა, რომელიც ხელს ყოფს ამხანაგურ ურთიერთობათა და ამხანაგურ მოვალეობის სიმტკიცის შეღაბვას, თითონვე მონახავს გამოსავალს და სულიერ სიმძიმის გადაღაბვის შემდეგ გაქრება.

ასეთი მდგომარეობა რამოდენიმე დღეს გაგრძელდა, მაგრამ სიომა მასში ვერ ნახულობდა სიმშვიდეს. პარიქით — დაუძლეველი სიცხადით გამოირკვა რეალობად მიღებულ ილიუზიათა სიყალბე. უკანასკნელი საყრდენი წერტილები შეირყა და წინააღმდეგობის უნარდაკარგული და ნება გამოცლილი სიომა მიეცა შემთხვევის ტალღას. იგი ეცადა ბრძოლის გაგრძელებას, რომ განთავისუფლებულიყო გრძნობისაგან, უნდა შეეყვარებია სხვა, ოცნებობდა მარუსიაზე უფრო მშვენიერ ქალზე, ცდილობდა ოცნებით დაეხატა ეს სხვა ქალი, მაგრამ ამაოთ. მას აკვირებდა ეს ბრძნული, და შეიძლება, პიპნოტიური და უაზრო ძალა სიყვარულისა, რომელიც ასე მძლავრად ჰქრავს გულს და დაღავეს ერთ და გარკვეულ არსებისადმი სიყვარულით და სხვას, თუნდაც დიდის გარეგანის მზგავსებით საეყეს „მასთან“ არ ძალუძს დააკმაყოფილოს ახირებული მოთხოვნილება შეყვარებულ გულისა.

რაშია არსი, საიდუმლოება სიყვარულისა, რომელიც ერთ არსებას მეორესათვის ერთადერთად და გაუმეორებლად ხდის? სად არის იღუმალების ახსნა?

რა იქნება, სიომას რომ შეუყვარდეს მარუსია, დაუკავშირდეს მას ისე, რომ ვეღარ შესძლოს მოშორება?.. მაქსიმე? იქნებ, მაქსიმესაც ისე ძლიერად უყვარს თავისი ცოლი, რომ არც მას შეუძლია გაშორდეს მას და სიომას დაუთმოს?..

და თითონ მარუსია? ისიც ხომ უსულო საგანი არაა, რომ უსიტყვოთ გაჰყვეს მას, ვინც აირჩევს.

მარუსია მარტოდ იყო და პირსახოცს აუთოვებდა.

მის დანახვაზე სიომა გამოერკვა. მიხედა, რომ განზრახვა უფრო ადვილი ყოფილა შესრულებაზე. მაინც რა უნდა მოექმედა?

მარუსიას დინჯმა სახემ და მაქსიმეს წარმოდგენამ გამაფხიზლებელი მოქმედება იქონიეს მასზე.

— აბა მითხარი, რა იცი ახალი,— მიეგება მარუსია თავისი ჩვეულებრივი კითხვით.

— არაფერი. კარგი ის იქნებოდა, სხვა რაიონში რომ გადამიყვანდენ— მიახალა სიომამ.

— აქედან გაქცევას აპირებ განა?— გაიღიმა მარუსიამ.

— შესაძლებელი რომ იყოს..

— რუსეთი მოგენატრა?

— სულერთია სადაც იქნება.

გაჩუმდენ.

— უშენოთ გაგვიკირდება,— თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მარუსიამ.

— რატომ?— ჰკითხა სიომამ და თან იგრძნო მომატებული გულის ძვრა.

— რაც არ უნდა იყოს შეგეჩვიეთ.

— სხვაც ბევრია აქ ამხანაგები.

— რა თქმა უნდა არიან, იმათაც ვხვდებით მაგრამ...

— მაქსიმე ძალზედ შეგეჩვია. მეტად ახლობელი ამხანაგები ხართ.

— შენ კი?

— მე?— და მარუსია ძალით დააწვა უთოს ტარს, რის გამო კაბის ქვეშ მხრებზე გამოჩნდა თეთრი ტანი.

სიომამ შეამჩნია ეს ნერვიული ქცევა და შეშფოთდა.

— ჰო, შენ,— გაიმეორა სიომამ და იგრძნო, რომ ხმა საესებით შეეცვალა, თითქოს ეს სიტყვები ვილაცა სხვამ წარმოსთქვა. აღელვებისაგან ხველება აუტყდა.

სიომას აღელვება არ გამოეპარა მარუსიას და სიომას კითხვა უპასუხოდ დარჩა.

— მარუსია, იცი,— ხმის კანკალით წარმოსთქვა სიომამ,— მე შენ მიყვარხარ.

სთქვა და მაშინვე გაიფიქრა: „რა საოცარის სიჩქარით მოხდა ყველა ეს“. მაგრამ მაინც კმაყოფილება იგრძნო, ისეთივე როგორსაც გრძნობდა ყოველთვის, როდესაც დაიწყებოდა დიდი ხნიდან მოსალოდნელი ბრძოლა. „როგორც იქნა, დაიწყო“,— შევებით ამოისუნთქა სიომამ,— „რაც იქნეს-იქნეს“.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, თითქო ესაა რაღაც არა ჩვეულებრივი რამ უნდა მოხდესო, როგორც ქარიშხლის წინ.

— მე ამას ვგრძნობდი,— უპასუხა მარუსიამ ყრუდ, მაგრამ მტკიცეთ.

კარგა ხანს სდუმდენ.

— მერმე?— აცახცახებული ხმით ჰკითხა სიომამ და ამღვრეული თვალებით შეხედა მარუსიას.

— მერმე?.. მერმე არაფერი. შენ ისევ ჩვენი მეგობარი იქნები. ყველაფერი გაივლის. ვის არ შემთხვევია. ჩემთვის საესებით გასაგებია...

სიომა სრულიად არ მოელოდა ასეთ დაბოლოებას. სულელოურ მდგომარეობაში ჩავარდა. უკან დახვევა გვიან იყო, ამ მდგომარეობაში უკან წაბრუნება უკუტანელი. რჩებოდა ერთად-ერთი—შეტევა.

წამოვარდა და მარუსისათან სულ ახლო მივიდა. იგი ადგილიდან არ დაძრულა.

— მარუსია!

პასუხი არ იყო.

— მარუსია!—წამოიძახა და ხელი მოჰხვია.—მარუსია, ნება მომეცი.

დინჯის მოძრაობით მარუსიამ თავი გაინთავისუფლა.

შემდეგ მშვიდად მოჭრა:—დაჯექი შენ ალაგას.

— მარუსია, —წაიღულლულა სიომამ, —იმის მეტს, რაც გითხარი არაფერს გეტყვი. იქნება, გეწყინა? ყური დამიგდე რა გითხრა. არ მისმენ?.. მაშ მშვიდობით!

და სიომა გასავლისაკენ გაექანა.

— მოიცადე!—მტკიცედ შესძახა მარუსიამ.

— რა გინდა?—მკეახედ ჰკითხა სიომამ და იატაკს ჩააჩერდა.

— წადი სახლში, დასტოვე იქ შენი ბალღობა და დაბრუნდი. სირცხვილია, შენ ხომ ჭალაჩუნა არა ხარ, მამაკაცი ხარ! და ბოლოს გახსოვდეს რომ შენ მაქსიმეს ამხანაგი ხარ.

სიომა იღვა და მზად იყო კიდევ ესმინა მარუსიას მამხილებელ სიტყვისათვის, მაგრამ ის სიომას აღარ უყურებდა და უთოობას განაგრძობდა.

სიომა მოწყდა ადგილიდან და სახლისაკენ გაეშურა. სირცხვილი, სინიღისის ქეჯნა, დამცირება, მარუსიას წინაშე დანაშაულის გრძობა—გახტურებული შანთივით სწყვადენ სიომას. გახსნა კონიაკი და მწყურვალესავეით დაეწაფა. თითქმის მთელი ღამე პირქვე იწვა საწოლზე და ძილი არ მიჰკარებია...

გავიდნენ ღლები.

საკომენდანტო სამართველოს გარდა სიომა არსად არ დადიოდა. „იმით მხარისაკენ“ გამოჩენას ვერ ბედავდა. ერთი კვირის შემდეგ შემოვიდა მასთან მაქსიმე. მოყვა ერთ გაუგებრობის შესახებ, რომელიც მოხდა საბაჯოსა და ერთ ამხანაგს შორის.

— წამოდი ჩემთან სადილათ, —მოულოდნელად მიმართა მაქსიმემ სიომას. სიომამ ვერაფერი ვერ უთხრა პასუხად.

— ადე, ადე, წამოდი, მარუსია გელის.

„მელს?!.. სიომა განცვიფრებაშია, მაგრამ კმაყოფილებასაც გრძნობს. მაშასადამე მარუსიას უპატიებია მისთვის. და სიომას თითონაც პატიების ღირსად მოეჩვენა თავისი საქციელი.

წავიდნენ.

ოთახში შესვლისას სიომამ თვალებით ძებნა დაუწყო მარუსიას, მაგრამ ის იქ არ იყო.

— სადაა მარუსია?

— სოფელშია. ამხანაგებს, ვგონებ, წარმოდგენა გაუმართავთ რკინისგზებისა და მოსახლერე რაზმელებისათვის. თუმცა მარუსია სცენაზე არ თამა-

შობს, მაგრამ მონაწილეობას შეპირდა. მალე ჩვენ ბინას მოგვეყვინა საუფელში და შორს სიარული ასეთ რამეებისათვის აღარ დაგვეპირდება. მარტინის კუთხის აურზაური. ჭკუის კოლოფი ეგორი მირჩევს აუკრძალო მარუსიას ჩვენ მიქეში ყოფნა, მეუბნება წაგართმევნო.

— შენ რა უპასუხე?

— სისულელეა, რას ვეტყვი? ვის შეუძლია ჩემი მარუსია წამართვას? ნივთი ხომ არ არის. და მერე ყველაფრის თუ შეგეშინდა—ფონს ვერ გახვალ. რალა სოციალიზმის აღმშენებელი ვიქნებით, თუ ჩვენ ცოლებს გალიაში გამოვამწყვდეით?

— არ იქვიანობ?

— არა.

მარუსია დაბრუნდა. უბრალოდ, საერთო სალამით მიესალმა.

— გამარჯვება!

— გამარჯვება!—წაილულულა სიომამ და დამნაშავესავეთ შეხედა მარუსიას.

მერმე ისევ ისევ უბრალოდ მიმართა ორივეს:

— დღეს ჩვენ უჯრედში მოხსენებაა გლეხკომების შესახებ...

მარუსიას მთელი არსება გამოცანად ეჩვენებოდა. რას წარმოადგენს იგი ბოლოს და ბოლოს: ახლო მეგობარს, მოღალატეს, მოარზიყეს? რალაც ახლობელს და ძვირფასს გრძნობდი ამ ქალში. მასთან ყველაფერს აღვილაფ აიტან—სიცოცხლეს, სიკვდილს, იმედების დამსხვრევას და აღორძინებას...

ზევიად ტანის ლამაზ ფორმებს შემოხვეოდა მოხდენილი ხეულებით კობტად მორგებული კაბა.

სიომა გრძნობდა, რომ უიმედო ტყვე იყო მარუსიას სილამაზის და რომ სულ ზედმეტია წინააღმდეგობაზე ფიქრი.

სადილი მზად იყო. დასხდნენ. მარუსიამ გახსნა კონიაკი.

— შენი სადღევრძელო იყოს, სიომა,—სთქვა მარუსიამ.—მაინცა და მაინც ნუ მოიწყენ,—სამუშაოში ჩაგაბამთ.

რიუმები დასცალეს. მარუსიამაც შესვა.

სიომას გუნება გამოუკეთდა. იმ შემთხვევის მოგონებით გამოწვეულ სიმძიმეს ძალა ეკარგებოდა. ალბად მარუსიას განსაკუთრებული ყურადღება არ მიუტყვევია იმისთვის რაც მოხდა და აპატივია, ან კიდევ მაქსიმეს უნდა რომ დაუმალოს მეტის-მეტე სიშიშვლე იმ ამბისა.

მარუსიამ გიტარა აიღო და მომეტებულის ყურადღებით დაიწყო დაკვრა. მუსიკამ კიდევ უფრო ააფრთოვანა სიომა.

ამ დროს გზის ბოლოში გამოჩნდა ცხენიდან ჩამომხტარი მხედარი, რომელსაც აღვირით მეორე ცხენიც მოჰყავდა. მხედარი ცხენის სელის თანაბრად ხან წამოდგებოდა ხან ისევ უნაგირს დაეკვროდა. ცხენის ფეხთა ქვეშ როგორც გამსკლარ ყუმბარისაგან ვარდებოდა მტვერის ბუდი. მოახლოვდა. მოსაზღვრე რაზმელი იყო.

მაქსიმე გავიდა მასთან.

— რა ამბავია, ემელიანე?

— საჩქარო ქალაღლია, — უბასუბა და ჩანთიდან დაბეჭდილი ქალაღლი ამოიღო.

მაქსიმემ გამოართვა და ხელი მოაწერა დასატარებ წიგნში: წაიკითხა.

— კარგი, — ჩაიღაპარაკა და თავი მოიფხანა.

— რაშია საქმე? — იკითხა მარუსიამ.

— საჭიროა ეხლავე საკომენდანტო სამმართლოში წასვლა.

— როდის დაბრუნდები?

— არ ვიცი. განაგრძეთ საღილი უჩემოდ.

მაქსიმე შეჯდა ცხენზე და რაზმელთან ერთად გაქუსლა. მისი წასვლის შემდეგ სიომამ თითქო ხაფანგში იგრძნო თავი, თითქო ვილაცას დახელოვნებული ხელი განგებ ქსოვდა მის წინააღმდეგ ხლართს, რომლისგან თავის დაღწევა მის ძალას აღემატებოდა. მუსიკისა და კონიაკისაგან გახურებული სისხლი ძალზედ ასკდებოდა საფერთქლებში და თითქმის გასაგონი იყო მისი მოძრაობა. მოპარვით თვალი შეევალო მარუსიას, რომელიც უღარდელად ეხებოდა სიმებს და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ხმებს აღებიინებდა.

სღუმდენ. სიომა მუსიკას არ უსმენდა, მაგრამ კმაყოფილი იყო, რომ გიტარის ხმა ავსებდა აუტანელ სიჩუმეს. უეცრად მათი თვალები შეხვდენ. მარუსიამ მიიღო ნაძალადევი დინჯი გამომეტყველება სახისა, გაუყარა სიომას თვალი და ტუჩები მოკუმშა.

— ბავშო!

შემდეგ ისეე განაგრძო დაკვრა.

სიომამ არ უბასუბა. მარუსია უყურებდა მას ყოვლის პატიებელ ღიმილით. იყო რალაც უსაზღვრო სინაზე და ქალური აღერსი მის გამათბობელ ღიმილში.

ამ ქალს გამოუთქმელი ჯადო ჰქონდა. თავისი მიხვედრით, დინჯი სიტყვით და გულუბრყვილო გაოცებით იგი არბილებდა, აკეთილშობილებდა ყველაფერს უხეშს და ცოდვას. ყოველ უალაგო და უზრო საქციელს, რომელიც შეეძლო ჩადინა სიომას გაცხებელულ ოცნების ზეგაფენით, იგი უბრალო ხუმრობად აქცედა. გულის ახირებულ კარნახით ჩადენილ დანაშაულის პატიებაც თითქოს არ იყო მისთვის ძნელი.

ძნელი გადასაწყვეტი იყო — რომელი ძალის განხორციელება იყო მარუსიას საზეიმო მშვენება, მისი ტანის მოხდენილ მოძრაობაში და ჰაეროვან ხაზებში რომ კრთოდა, ის გამოუთქმელი მოხიბვლა აღერსიან ღიმილისა; დედის გულის ძგერასავით და დის საყვედურით რომ გათბობდათ. ცხადი იყო ერთი — რომ ეს ძალა არსებობდა.

და სწორედ იგი აღელვებდა და იტაცებდა სიომას. მარუსიას სიღამაზე იზიდავდა უფსკრულის მზგავსად. სიომაც ეცემოდა უფსკრულში და გრძნობდა მთელ სიტბოებას ცოდვისას.

ამ მოხიბვლელ და მომაჯადოებელ ქალში თითქო იმდენი აღერსი და სიყვარული იყო, რომ ერთი არსების გასაბედნიერებლად მეტად სჩანდა.

მაგრამ სიყარული ხომ ერთი პიროვნების საკუთრებას არ შეადგენს. იგი არ შეიძლება საკუთრების სავანი იყოს. ჰაერი, მზე, წყალი და ცეცხლი ხომ ერთ ადამიანს არ ეკუთვნიან. სიყვარულიც ხომ ისეთივე ბუნებითი მონიჭებული

რამეა? არა, სიყვარული გამოუცნობია, როგორც თვით ბუნება, როგორც ბაერი, როგორც მზე, როგორც წყალი, როგორც ცეცხლი.

სიყვარული ბრმაა.

სიყვარული დარგულ მცენარის მსგავსია. ამოგლიჯეთ იგი მიწიდან და ყველა დაწვეტილ ძირებით წინაღუდგება ძალადობას. მაგრამ თუ სხვა ნიადაგში გადარგავთ—რა რიგ გაიხარებს, აყვავდება, გაიყურჩქნება—თითქო თავიდან აქ იზრდებოდა.

ვინ სთქვა,—სიყვარული არავის საკუთრებას არ შეადგენს!..

ყოელის მპატიებელი და უფაქიზესი გრძნობისაკენ მომწოდებელი მარუსიას სილამაზე იყო მიზეზი სიომას აზრების ასეთი მიმდინარეობისა. და მხოლოდ ეხლა შეიგნო სიომამ, რომ მას წარმოდგენილი ძალით იზიდავს ისეთი რამ, რაზედაც წინაღ მას ფიქრიც არ შეეძლო. და თავისთვის გადასწყვიტა, რომ ეს ისე იოლად მისაღწევი და სასიამოვნო რამაა, როგორც მარუსიას ახლობელი და ინტიმური სილამაზე.

მარუსიამ შესწყვიტა დაკრა და ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად დაიწყო.

— არა გრცხენია? „შეგიყვარე“, ერთი ამას შეხედეთ. როგორი რომანტიკაა! არა უშავს, არა უშავს, ყველაფერი გაივლის და დავიწყებას მიეცემა.

შნატელ წამოხტა და სიომასთან მივიდა. ბეჭებზე ხელები დააწყო და სულ ახლოს მიუახლოვა სახე, ჩახედა ღრმად თვალებში.

— ბავში!—წარმოსთქვა საყვედურის კილოთი.

სიომამ ხელები გაიშვირა, უნდოდა წელზე შემოეხვია, მაგრამ მარუსია სხარტად გაუხტა და გიტარას მისწვდა. დაამლერა. შემდეგ თვალებში სიმკაცრე გამოხატა და უთხრა:

— აბა, სიომკა, კმარა. სისულელეს თავი დაანებე. ხომ გთხოვე კმარა მეთქი და შენ კი...

სიომას თვალებში ნისლი ჩაუდგა. მარუსია სადღაც შორს ღრუბლით მოსილი მოეჩვენა. გული მომეტებულად უძგერდა. მძიმედ სულს ითქვამდა, წამოდგა და მარუსიასთან მივიდა. იგი ისევ დაკვრას განაგრძობდა, მაგრამ სჩანდა რომ უთვალთვალებდა.

— შემდეგ?—პკითხა მან სერიოზულად და სიომასთვის თვალმოუშორებლივ სიმებზე თითებს ავლებდა.

სიომა სდუმდა.

— სიომა, კუთით იყავი,—ვეგობრულად უთხრა მარუსიამ.—ხომ იცი, კმარი რომ მყავს.

სიომა დაეინებით სდუმდა.

— დაბრუნდი შენ ალაგას,—უკვე მკვახეთ უთხრა მარუსიამ.

სიომამ ამღვრეული თვალებით გადახედა მარუსიას.

— სიომა, ხომ არ გაგიღდი?.. დაიწყო მან საყვედური, მაგრამ როცა სიომას შეხედა, ხმა ჩაუწყდა, შეეშინდა. მისი სახის შეცვლილმა გამომეტყველებამ და გაკვირებულმა თვალებმა მოაგონეს მისი თვალთ წინ თეთრების მიერ წამებით

მოკლული ბიძა. იგი ამას არ მოელოდა, მაგრამ უკვე გვიან იყო სიომა თითქოს მის თვალბთან შეხვედრას ელოდა. სტაცა ხელი და საწარწინსვენი განითრია.

— სიომა!—დაიყვირა მარუსიამ და ხელი ჰკრა.

ბასუხად იგი ახროტინდა, სიტყვა ყელში გაუჩერდა. შემდეგ ისევ სწვდა. ის რაც მას უნდოდა, მეტად სასიამო და იოლად მისაწლომი ეგონა. და ძალადობას რომ ჩადიოდა არც უფიქრია. მას ეგონა, რაც არ უნდა ჩაიდინოს, მარუსია აპატიებს, აპატიებს, როგორც ამზანავი, როგორც ახლობელი მეგობარი, როგორც მშვენიერი და კეთილი ქალი. ვნებისაგან გახურებული ტვინი საღად ველარ აზროვნებდა.

უცერად მან თავბრუდამხვევი სურვილი იგრძნო, რომელიც ართმევდა ყოველგვარ ღონეს და თავის თავთან ბრძოლის უნარს. სტიქიურმა, გიჟმა ძალამ დაიპყრო. თითქოს იგი კი არა, სხვა ვინმე მოქმედებდა და სთელავდა კეთილშობილის და რიგიანის ყოველგვარ წარმოდგენას.

მარუსია სუსტ წინააღმდეგობას უწევდა და საქიროდ არ სთვლიდა სერიოზულ ფიზიკურ ძალის გამოჩენას. მას იმედი ჰქონდა სიომაზე სხვაგვარი ზეგავლენის მოხდენისა. მაგრამ სიომამ გონება დაჰკარგა, სახეც კი დაეღმიჭა წყენით—ეს ქალი კიდევ წინააღმდეგობას მიწევს და არ უნდა იგემოს გამოუთქმელი სიტკბოება მომდგარ ბედნიერებისაო.

— სიომა, ხელი მიშვი!—დაიძახა მარუსიამ და თითქო ხუმრობით ხელიდან გაუსხლტდა.

სიომა განაგრძობდა შეტევას.

— მომეშვი, გესმის, წადი!—იყვირა მარუსიამ და ოთახიდან გაქცევა მოინდომა.

ისევ ეცა და მოეხვია, ჩაბლუჯა. შემდეგ ვნებიანი კოცნით დაეწაფა. მარუსიამ სახე მოაჩიდა. მაგრამ რა უსიამო, ცივი და ჩვეულებრივი იყო კოცნა! თითქოს იმ მშვენიერმა, წარმტაცმა არსებამ, რომელზედაც ასეთი ძალით ოცნებობდა სიომა, დასტოვა მარუსიას ტანი და თავისი მაცოცხლებელი სახე ხევენას გაატანა.

არა, მას ნამდვილ მარუსიასთვის არ უკოცნია და სასოწარკვეთილმა ხელიდან გაუშვა.

— ყაჩაღო!—ზიზლით და ცახცახით დაუყვირა მარუსიამ და გაწეწილ თმებით გაეარდა ოთახიდან.

მეზობელ სახლთან მიმავალმა წითელარმიელმა შენიშნა მარუსიას ადვლეკება და შერჩერდა. მარუსია იმ წამსვე ოთახში შემობრუნდა.

თმის სწორებით შემოვიდა და უბრძანა სიომას.

— ამ წუთში გადი აქედან!

სიომამ ქუდი აიღო და ფიცხლად გასწია სახლისკენ.

„ნუ თუ მის ტანთან მიკარების გრძნობა ასე უბრალო და ჩვეულებრივია?—წყენით გაიფიქრა სიომამ და ჩადენილისათვის თავს მტყუნება დაუწყა.

ღამით იგი თუთუნს ეწყოდა და სევამდა, მაგრამ არ თქრებოდა.



კარებს თვალს არ აცილებდა და ცახცახით ელოდა მაქსიმეს მოხვლას. მარუსიას მიმართ სრულ გულგრილობას გრძნობდა. მეტად უტყუარად მოხვდა გულზე მარუსიას საყვედურები. მეტად მტკივნეულად და მუწულოდ მოეხვედრათითქო ქვებით ჩაქოლეს.

თავის საქციელის შესახებ კი არაფერს არ ფიქრობდა.

აფორიაქებაში და დაბნევაში გაიარა ორმა დღემ. მხოლოდ საკომენდანტო სამმართველოში დადიოდა.

მისი გრძნობა ვაწყდა, დაიხშო. არაფერი აღარ აკავშირებდა მარუსიასთან.

და განთავისუფლების სიხარულს გრძნობდა.

თითონაც არ იცოდა, რატომ დაეინებით ელოდა მაქსიმეს.

ბოლოს შეხედნენ ერთმანეთს. არა ოთახში. ქუჩაში, შემთხვევით, ლერწმის შამბნარში. მაქსიმეს ვითომ სიჩქარით უნდოდა გვერდი აეველო, მაგრამ უნებლიედ შეჩერდა და შეხედა სიომას. შეჩერდა სიომაც. მაქსიმეს სახე შეეცვალა.

ორთავემ ხელი რევოლვერებზე იტაცეს, მაგრამ წუთშივე გაუშვეს.

— აჰ?—წარმოსთქვა სიომამ.

—აჰ?—გაიმეორა მაქსიმემ, მძიმედ შეისუნთქა ჰაერი და შეხედა სიომას. რამოდენიმე წამს შეჩერდა, შემდეგ თავს მოერია და დაუძახა:

— ძალღვივთ გაგათავებდი აქვე, პარტიული წესი რომ არა...

— მეც—მოკლედ და ყრუდ უპასუხა სიომამ.

— ჩვენ კიდევ შეგხვდებით ერთმანეთს პარტიის სამსჯავროს წინ,—დაემუქრა მაქსიმე.

— ვიცი,—მძიმედ უპასუხა სიომამ.

მაქსიმეს ძალიან უნდოდა ეთქვა მეტად შეურაცხყოფელი რამე, მაგრამ მხოლოდ ეს მოახერხა:

— შენ—უმზავგასო და უსინიღისო ვინმე ხარ!...

სიომამ წასასვლელად მიბრუნდა.

— ყაჩაღო!—გააფრთხილებით დაიძახა მაქსიმემ და მუშტით დაემუქრა, მაგრამ ვამვლელ თურქების მიზეზით მყისვე შეჩერდა.

იგი საკომენდანტო სამმართველოსაკენ გაეშურა. სიომამ თავის გზას გაუდგა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქო რაღაც ცხელი ლურსმანივით ესობოდა ზურგში. და განკდა მაქსიმეს თვალიდან მიფარებამდის არ მოშვებია.

აი რა მისცა მაქსიმესთან ამდენი ხნის ნანატრმა შეხვედრამ. თითქოს ელოდა ამ შეხვედრას, რომ მეგობრისგან შეურაცყოფა მოესმინა. მაქსიმემაც იგივე სიტყვა ესროლა სახეში—ყაჩაღო. მხოლოდ ეხლა, მას შემდეგ რაც ქუჩაში მოხდა, იგრძნო მთელი სიმძიმე იმისა, რაც ჩაიდინა.

სალამოს მასთან მიტიაშ შემოიარა.

— პარტიული სასამართლო სამი დღის შემოგე შესდგება,—გამოუცხადა მან ყოველ წინასიტყვაობის გარეშე.

სიომამ უაზროდ შეხედა მას.

— ჰმ,— განაგრძო შიტიაშ,— რა დომხალი არიე, ვასამართლენს შეიძლება მიმიე შედეგი მოჰყვეს,— დღემატა მან, რა რომ დაინახა, ჭეჭინენ უღმელი,— შეუძლიათ... ჰო, ჰო, შეუძლიათ.

— მაპატიე და ამაში კი უღებო...— ცივად მოუჭრა სიომამ.

— როგორ? აძლევ თუ არა თავს ანგარიშს იმაში, რაც მოიქმედე?— გამოცდელი თვალთ შეაჩერდა შიტია სიომას.

— საესებით...— ჩაეარდნილის ხმით უპასუბა სიომამ. და ცოტა სიჩუმის შემდეგ ჰკითხა:— მან შეჩივლა მაქსიმეს თუ მაქსიმემ ათქმევინა?

— ეს სულერთია, მაქსიმემ უჯრედში განცხადება შემოიტანა.

— მით უკეთესი. ვინც დაზარალდა დეე იმან იძიოს დაკმაყოფილება.

— ესე იგი როგორ? შენი აზრით დაზარალებული მართო მაქსიმე და მარუსია?— და შიტია ახლოს მიიწია სიომასთან და ცხვითან მიუტანა ხელი:— აქ პარტიული სინიდიცი დაზარალდა, გაიგე? ვესმის, რა ჩაიღინე? ჭალის გაუპატიურება მოინდომე— აი რა. სად გჭონდა ჰეუა?

სიომა სდუმდა.

„ესე იგი ჩემი მოქმედება გაუგიათ, როგორც გაუპატიურების ცდა“— გაიფიქრა სიომამ და შინაგან ტკივილისაგან დაიღმიჭა. ამ სიტყვამ თითქო უკბინა. „გაგებულია როგორც გაუპატიურება“. ეს წმინდა სასამართლოსებური ჩამოყალიბება აწვალბდა. ეს სიტყვა— „გაუპატიურება“ უხეზად, სასტიკად და თავშემოუფლელად რეკდა.

თავმჯდომარეობდა შიტია. შიტიას სახის ცივი და შეუშფოთებელი რკინისებური გამომეტყველება არ აშინებდა სიომას, მხოლოდ იმას კი აგონებდა, რომ სამოჭალაჭო ომის დროს შიტიაშ თავისი ხელით დახვრიტა ორი თავისი ამხანაგი რალაც დანაშაულისათვის. შიტია არც სიომას წინ შედრკებოდა, მაგრამ ის დრო წაეიდა. ესლა საჭმე სხვანაირად იყო.

დანარჩენ ამხანაგებს მძიმედ დაბლა თავი დაეღუნათ და სდუმდენ. აქვე იყვენ მაქსიმე და მარუსია. ჭალი მშვიდათ იყო, უფრო მშვიდათ ვიდრე შეიძლება ასეთ შემთხვევაში.

— გვიამბეთ, როგორ მოხდა,— შეეკითხა შიტია მარუსიას.

მარუსიამ დაიწყო.

— მე მაშინვე არ მიტყეანს მაქსიმესთვის... მთელი დღის განმავლობაში ვუშალავდი. მინდოდა თავი გამომეცადა, შეეძლებდი თუ არა დაეწყებისთვის მიმეცა... და ბოლოს მაინც გადავწყვიტე მეტყვა. და ეს გჭენი არა იმიტომ, რომ მაქსიმეს შეეძლო ეკითხა ჩემთვის მიზეზი იმისა, თუ რატომ აღარ მოდის ჩვენთან სიომა, ამხანაგი მირონოვი, და არც იმიტომ რომ მომხდარის დამალვას შეეძლო მაქსიმესთვის ზედმეტი იჭვები და შეწუხება მიეყენებია. არა. ჩემის აზრით, ფაქტის მიჩქმალვა და დამალვა დასცემდა როგორც ჩემს, ისე მაქსიმეს ღირსებას. და თუ გნებავთ, თვით ამხანაგ მირონოვის ღირსებაც და სანამ მაქსიმეს რამეს ვეტყვოდი, მე ჩამოვართვი მას სიტყვა, რომ იგი მოიჭკოდა ისე, როგორც პარტიის წევრს შევნოდა. მან აასრულა შეპირება და ეს ჩემთვის მეტად გასახარელია. მაქსიმემ უჯრედს მიმართა— ეს მისი უფლებაა... რაც შემეგება მე...

სიომას შეტის შეტად უნდოდა უკანასკნელი სიტყვების ბოლო გაეგონა მაგრამ მარუსიამ აზრი არ დაამთავრა.

— ეს ყველაფერი კარგი. ერთი გვიამბეთ როგორ მოხდა თვით ეს ამბავი. მაქსიმეს სახეს მძიმე და მკაცრი იერი გადაეკრა, მარუსია შერყვობისაგან ტუჩებს იჩქმეტდა.

— მე ვიამბობთ თუ შეიძლება!—ჩაერია სიომა.

— ამბანაგო ხელს ნუ გვიშლით,—შეაწყვეტია სიომას თავმჯდომარემ.

მარუსიამ უბრალო და მართალ სიტყვებით გადასცა მათ რაც მოხდა და ზედმეტად ხაზი არაფრისთვის არ გაუსვია და არც გადაუმეტებია.

მაქსიმესა და მარუსიასადმი მიმართულ რამოდენიმე შეკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ სიომას მიმართა:

— სცნობთ თავს დამნაშავედ, ამბანაგო?

— ესე იგი, როგორ?—შეკითხა სიომა,—თქვენ ფორმალური მხარე გაინტერესებთ...

— აღიარებთ თუ არა თქვენ, როგორც ფორმალური მხრივ, ისე არსებითად, რომ შეეცადეთ მოგებდინათ... გაუპატიურება—დაიძახა მიტიამ და ეტყობოდა, რომ საკითხის უფრო რბილად დაყენება ვერ მოახერხა.

— ერკვევით თუ არა თქვენ სახელწოდებებში თუ საპირობა თქვენი...— აღშფოთებით წამოიძახა სიომამ, მაგრამ თავმჯდომარემ სიჩქარით შეაჩერა.

— გთხოვთ ნუ აღელდებით და შეურაცყოფაზე ხელი აიღეთ!—გადაჰკრით განაცხადა თავმჯდომარემ.

— საკითხი დასმულია მარტივად და გასაგებად: სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

— მე გეკითხებით თქვენ, იცით თუ არა ტერმინების გარჩევა, თუ აზრის გაუთვალისწინებლად ისერით მათ?

— ამბანაგო, თქვენ შეურაცყოფთ!—გაისმა აქამდე გაჩუმებულ ამბანაგების ხმები.

— თუ ფიქრობთ, რომ გაყენებთ შეურაცყოფას მე და არა პირიქით, იმ შემთხვევაში, ახსნა-განმარტების მოცემაზე უარს ვაცხადებ.

და სიომა ადგა.

— ასეთ შემთხვევაში საქმე საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიას უნდა გადაეცეს.

— როგორც ვნებავთ!

— ეს დაუშვებელია, ამბანაგო,—ხმა აიმაღლა უჯრედის ერთმა წევრმა,— ასეთი რამ არ შეუძრის კომუნისტს. იმის მაგივრად, რომ გულწრფელად გამოტყდეთ დანაშაულში ამბანაგების წინაშე, თქვენ მეშინაურ ხერხებს მიმართავთ, საქმეს აპიანურებთ. ნამდვილი რევოლუციონერები ამას არ შევბიან.

სიომამ განზე გადახედა მოლაპარაკეს.

— თქვენ ბავში ხართ,—ესროლა მას სიომამ—და უკეთესი იქნებოდა რომ ასეთი კილოთი არ ლაპარაკობდეთ.

— მოდი უყურეთ—როგორ გველაპარაკება?—აღშფოთდნ უჯრედის სხვა წევრები.—ნეტა რას ფიქრობენ თავის თავზე? გადავსცეთ საქმე პარტკოლეგიას და გათავდა!

— მაშასადამე, წინადადება შემოვიდა, საქმე პარტკოლეგიის გადაცემის თანახმა ხართ?

— თანახმა ვართ. სხვა გზა არაა...

უჯრედის წევრები ადგილებიდან წამოცვიდნენ, ყველა ერთხმად ალაპარაკდა, აკამათდა. მიტია მოსცილდა თავმჯდომარის ადგილს და პაპიროსს მოუკიდა.

სიომამ ფიცხლად დასტოვა დარბაზი.

მისი წასვლის შემდეგ დავა ახალი ძალით გაგრძელდა.

— გაგივებულა, რა უხამსია...

— რა უნდა ბოლოს? ვიციტ ვერ ქვეშ მუშაობდა, სამოქალაქო ომის მონაწილეა—ეს ყველაფერი კარგი, ჩვენც გადაგვიტანია. რა შუაშია ყველაფერი ეს ამ საქმეში? ჩვენ უფროსობას აპირებს თუ?

— ამხანაგო, ლაპარაკი ზედმეტია. უჯრედის ნებას უნდა დაემორჩილოს. ყოველ შემთხვევაში ჩვენ გადაწყვეტილებას გამოვიტანთ. კმარა კამათი.

— ის რომ რევოლუციონერი და კომუნისტია, განაგრძობდა იგივე მოწინააღმდეგე ხმა, —ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ მას დაუსჯელად ქალების გაუბატოურების და ახსნა-განმარტების არ მოცემის უფლება აქვს... რას წარმოადგენს ის?

— კარგი, კარგი, ნუ ცხარობ!—დაამშვიდა იგი მიტიამ და გარეთ გასწია.

სიომა ნელა მიჰყვებოდა გაშლილ მინდორს. აზრები ვერ მოეკრიფა და ყველაფერში, რაც მოხდა ვერ გარკვეულიყო. გრძნობდა კი, რაც მოხდა მეტად უხეში რამ იყო.

— სულ ერთია, უჯრედი თავის დადგენილებას გამოიტანს და პარტკოლეგიას გადასცემს. ასე რომ ჩემო კარგო, მაინც ვერ გამოძვრები—მოესმა სიომას ზურგს უკან მიტიას ხმა.

— დამცინი თუ?

მიტია მიუახლოვდა და თვალბნებში ჩახედა სიომას.

— ეშმაკის არჩივო, იცი რომ პარტიიდანაც გამოგაპანლურებენ.

— თავი დაანებე მაგნიარ კილოს, —ყრუდ დაიწყო სიომამ და თავით ფეხამდე გაზომა მიტია.

— სრულიადაც არ შეეცვლი კილოს, —თითქოს მარწუხები მოუჭირაო მიტიამ. —მე შენ გეუბნები: შე მამაძაღლო, პარტიიდან გაგდებენ, გაიგე.

სიომა დიდხანს და დაეინებით ჩააქცვრდა მიტიას და ქედმაღლურად სდუმდა.

ადგილიდან დაიძრნენ.

— გესმის, —ხელახლა დაიწყო მიტიამ, —მოკლედ და სწორედ მითხარი—მართლა გაუბატოურებას უპირებდი?

სიომამ დაიპირა მიტიას მშურლავი შეხედვა და დანებდა.

— ჰო! —ამოხდა.

მიტია არ ელოდა ასეთ პასუხს და გაკვირვებული სახტად დარჩა.

— ჯანდაბას იყოს და... უჯრედზე რატომ არ გამოტყდი?



— არ მინდოდა მისთვის კიდევ ერთხელ შეურაცყოფის მიყენება.  
 — ვისთვის?  
 — მარუსიასთვის. ასეთი უხეში, პირუტყვეული სიტყვებით ვსაუბრობდი მას.

— მოკლედ რომ ვთქვათ, გაუპატიურება მინდოდა მისი...  
 — ჰო, მეშინური ერთი რომ ვთქვათ, ასე იყო. ზედმეტი შრომა რომ არ მოგაყენოთ საქმის არსებობის გამოსათვის და თქვენთვის უფრო ადვილი და გასააგები იქნეს...

— ჰო, ჰო, გასწიე და გასწიე. შენ ამისი თქმა გინდა:  
 „საზიზღარი ამბავი შემეშთხვა და სუფთად მინდა თავი დავახწიოთქო“...  
 სიომა სდუმდა და უჯრედის სხლომაზე მომხდარის გარშემო უფრო ფიქრობდა, ვიდრე უსმენდა მიტიას.

— მეშინური გამოთქმა!—დასცინა მიტიამ და დაიღმეჯა.— ყველა ძუძუ-მწოვარა იშველიებს ეხლა ამ სიტყვას თავის დასაცავად. შეხედეთ, რით გვაშინებს. შენ გგონია სთქვი „მეშინობა“—და მორჩა! არა, ძამია, მაგნაირად ვერ გაქეცივი პასუხისგებას. გაუპატიურების უხეში ცდა მოახდინა, აურ-ზაური შექმნა და ეხლა, როცა პარტიამ ჩაიჭირა, უარობს—„მეშინობაზე“ გაიძახის. ეს ადვილი საქმეა. აი სწორედ ესაა მეშინობა შენის მხრივ!

— გესმის რას ლაპარაკობ?—მოულოდნელად თავს დაესხა სიომა.  
 — ჰო, ჰოი,—დააყარა მიტიამ,— ძალიან კარგადაც მესმის. მე ნუ მაშინებ, ყური მივდე. ხვალ მოხვალ უჯრედში და ყველაფერს აღიარებ. უჯრედი დადგენილებას გამოიტანს და პარტკოლეგიას გადასცემს.

— შენ ვერ მასწაველი.  
 — მით უკეთესი. ხვალ ხელახლა შევიკრიბებით. მოდი უჯრედზე და ყველაფერი წმინდათ გადმოალაგე. გესმის?

— ჩემი აღიარების გარეშეც ცხადია ყველაფერი. მიკვირს—როგორ არ გესმის. მაქსიმემ უჯრედს შეატყობინა, მარუსიამ გიაშბოთ საქმე. მეტი რა გინდათ. მორჩა და გათავდა, რა საჭიროა ჩემი აღიარება. ჰო, ადგილი ჰქონდა გაუპატიურების ცდას, ვიცი საქმე პარტკოლეგიამდე მიიღწევს და იგი თავის დადგენილებას გამოიტანს. გამომრიცხავენ პარტიიდან დროებით ან სამუდამოდ...

— და მეტი არაფერი, ფეხებზე გკიდია, არა?  
 სიომამ პირდაპირ შეხედა მიტიას და განაგრძო:  
 — სისულელეს ნუ ლაპარაკობ. გამოგონე. თუ მაინც და მაინც გინდა, მისი გაუპატიურება ვცადე. ეხლა მომშორდი. ნახეამდის.  
 და სიომა სიჩქარით მოშორდა.

მეორე გარჩევაზე სიომა არ გამოცხადდა. უჯრედმა მისი პარტიიდან გამორიცხვა დაადგინა და თავისი დადგენილება საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიას გადაუგზავნა,  
 „პარტკოლეგია სცნობს, რომ ამხ. სიომა თავის ქმედობისათვის პარტიიდან გამორიცხვის ღირსია, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში მისი არა პირ-

დაპირი აღიარება, კერძვე მუშაობის სტაჟი და რევოლუციონური დასახურება და აგრეთვე ის, რომ დანაშაული ჩადენილია პირველვეტ. მთავარ ნაწილების ცხოვრების განსაკუთრებულ პირობებში—აღენს გზაზე ცხლის ამხ. სიომას უსასტიკესი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით“.

პარტკოლეგიის დადგენილება გამოაცხადეს უკრედზე, დაბეჭდილი იყო ვახეთში და მოსახლერე რაიონის სალაპარაკო საგნად გახდა.

რამოდენიმე დღე ზედიზედ სიომა სვამდა და თამბაქოს ეწეოდა. ადამიანები და საგნები—ყველაფერი როგორღაც გაშიშვლებულად ეჩვენებოდა.

სწორედ ისე, როგორც არიან ისინი ნამდვილად.

როგორც უდაბნოს დამწვარი ბუჩქები, ლერწმები და მარილოვანი ღრეები.

სექტემბრის მზე ოქროსფერ სუღარას აფარებდა უდაბნოს, რომლის სიგრცეს სასახლერო გზით გულდაგულ შესდგომოდენ ცხენდაცხენ მიმავალი სიომა და მიტია.

— სისულელეს როშავ და სხვა არაფერი. მარუსიამ ვერ გამიგოო,—როგორც ყოველთვის დაეინებით ამბობდა მიტია. მარუსიას არ შეუძლია ჩამოეკიდოს კისერზე ყველას, ვინც მიეტკისნება. ის—სულ სხვა ქალია, გესმის!

— სჯობია ის სთქვა, რომ საკუთრებაა.

— საკუთრება? თუნდაც ასე იყოს, თუ ისინი ნებაყოფლობით ეკუთვნიან ერთმანეთს. ის შენთან არ მოსულა, არ უყვარხარ, ეშინია ქმრის, საზოგადოების ერთდება, მეუღლის ერთგულია. ცოტაა მიზეზი? ბოლოს, არც ფიქრობს ყოველივე ამას. არ სურს და რა გინდა. თავის პატრონია თუ არა?

— რა თქმა უნდა,—ამოიხვენეშა სიომამ.

ორივე მოდავე საესე იყვენ სიძულვილის შხამით და შხამადენ ერთმანეთს როგორც შხამიანი შორიელები.

— მარუსია თავის პატრონია, რა თქმა უნდა,—მძიმედ წარმოსთქვა სიომამ. შემდეგ აენტო და გაუგებარის ენით შეუტია მიტიას.—მიტია, გესმის... რევოლუცია, რევოლუცია ვისი საკუთრება იყო? იგი ხომ ჩვენ ყველას თანაბრად გვეკუთნოდა, ჩვენ ხელთ იყო იმისი სიყვარული... მის ცეცხლში, მის ტრიალში ვიწოდით, ვიბრძოდით, ძირს ვეცემოდით,—და ვიცოდით კი ერთი: რომ თვითველ ჩვენგანის უფლებას შეადგენდა მისი სიყვარული და მსხვერპლად გახდომა... გიყვარს, ერთგული ხარ, ვაყვანი ხარ—მაშ გაფრინდი, ილტვოდე, იტაცებდე. რევოლუცია ვაყვანიობის, სიყვარულის, თავდავიწყების ასპარეზი იყო. და ქალი კი რა არის? რაც უფრო მეტად გიყვარს—მით უარესია შენთვის...

— ვიცი!

მაგრამ სიომას არ იამა მიტიას დასტური. თითქო მარტო მას შეეძლო ჰქონოდა და გამოეთქვა ასეთი აზრი. როგორც იმას, ვინც თავის თავზე ხელს იღებს, გონია რომ მარტო ისაა უფლება მოსილი თავის არსებობის საკითხის გადაჭრის და უარყოფის სხვის ჩარევას.

— ტყუილია. სიყვარული არ შეიძლება რომ იყოს საკუთრება,—ჩიოდა სიომა.—სიყვარულის უფლება ეკუთვნის ყველას და პირველ ყოვლისა მას, ვისაც უფრო უყვარს.

— მაქსიმეს უფრო უყვარს,—გალიზიანებით გააწყვეტინა მიტიამ.

ორ ქინიან და ფიცხ ამხანაგს შუა დაეა უფრო და უფრო ღვივდებოდა.

როგორც ჰადრაკის შეგვიბრით, ხმალი გაწვევით ან თავდასხმის შემდეგ კვე-  
კვით გატაცებულნი ისინი ხან დაუზოგავად სცხებდნენ ერთმანეთს, ხან მიწყობარ-  
დებოდნენ და სულ დადუმდებოდნენ მწვავე ღუშვილით შეპყრობილნი.

— მარუსია ვერცკი გრძნობს, რომ იგი, ბოლოს და ბოლოს არ ეკუთვნის  
არც ქმარს, არც მე და არც სხვა ვისმეს,—ქინიანობდა სიომბა და თან იტანჯე-  
ბოდა იმისგან, რომ უფრო მკაფიოდ ვერ გამოეთქვა თავისი აზრი... ჰო, სულის  
გაზომვა, მისი მიუწვდომელი სიღრმის მიგნება შეუძლებელია... მარუსია არაა  
„საკუთრება“. მისი სული ჩაკეტილია მეშინაობის საკეტით და ეს კლიტე არ  
აძლევს საშუალებას თავისუფლად გამოვიდეს და სუფთა ჰაერით ისუნთქოს,  
შებნდოს ამ მზეს, რომელიც ასულდგმულებს ნამდვილ და ქეშმარიტ სიყვარულს.

მიტიას უნდოდა ჩაწვდომოდა სიომბას სიტყვების ნამდვილ აზრს.

— მოიცა, მოიცა,—შეაწყვეტინა მან სიტყვის ნაკადი სიომბას და აღვირის  
მოწვევით ცხენი შეაჩერა. სიომბაც ასევე მოიჭკა. რა გინდა შენ, თქვი, ქაოსი?  
თქვი მოკლედ და გასაგებად, ლამაზი სიტყვების გარეშე.

— ბუნება ყველაფერს გაარიგებს,—უპასუხა სიომბამ, რომელიც მიხვდა  
მიტიას აზრს.—არაფერი არ შეირყვია. მხოლოდ უფრო შესაფერი, ბუნებრივი  
წყვილები გაჩნდებიან.

— ქალი ეკუთვნის მას, ვისაც ის ამ წუთში უფრო უყვარს—ამის თქმა  
გინდა არა?

— ჰო.

მიტიას ფოლადისებურ სახეზე იოტის ოდენა დათმობა არ იზატებოდა.  
მან მკრელის გადახედვით შეანათა სიომბას თვალები და გააქარა.

— თუ ასეა, მაქსიმეს ყველაზე მეტად უყვარს მარუსია. ქალიც ხომ იმას  
ეკუთვნის, ვინც თითონ მას უფრო უყვარს. რა საჭიროა აქ ბევრი მსჯელობა.

— ქალს ის უფრო უყვარს, ვისაც ყველაზე უფრო უყვარს იგი,—გალი-  
ზიანებული ქინიანობდა სიომბა.

— სისულელეა. სოფიზმია, გროშად არა ღირს, სთქვა მიტიამ და ცხენს  
ღეზი გაკრა.—შენ გაგიყვებული ხარ.

სიომბას ცხენი თავისით გაჰყვა მიტიას ცხენს.

— თუ ორს ერთი ძალით უყვართ ერთი და იგივე ქალი,—გულმოსულმა  
შეუტია სიომბამ,—მაშინ როგორ მოვიტყუით?

— საკითხს წყვეტს ქალი. მესამე ზედმეტია.

— ჰმარიც კი?

— ჰმარიც.

— და მესამემ კი სისხლი ანთხიოს?—დაიძაბა სიომბამ.

სიჩუმე ჩამოვარდა. ცხენებიც ნებაზე მიდიოდნენ. მარჯვნივ სიჩუმით მოკუ-  
ლი ლერწმები იყო. ყვითლად მოსილი სივრცე დალილილად ილიმებოდა.  
ჰაერში პაწია ზარების ხმა ირხებოდა. სადღაც შორს აქლემების ქარავეანი მიდი-  
ოდა.

სიომბა მარუსიაზე ფიქრობდა. მის წინ საოცარის სიცხადით გამოიხატა მი-  
სი სახე. აი ის, ჰადარივით ასული და მოყვანილი. მოყვითალო თმები უმშვენებს

შუბლს. თვალები მშვიდი როგორც ტბა დილას. ამაყი და შალოვანი, სიომას გადამრევი იერი.

უცრად თითქო უცბინაო—ტანში ერთნატივლმა გაუარა, წაქრობნა, მძაფრმა ტკივილმა ვაკევა გრძნობის მომალავი, წარმოდგენაზე გადაფარებული ხისლი და ნათელმა სხივმა გადმოიხედა. სიომას წინ საოცნებო ადამიანი დადგა, სინამდვილესავით ცოცხალი და სიცხადით ბოდვის მსგავსი.

ბედკრული მარუსია.

სიომას ველური გრძნობა მოერია. თვალებიდან ცეცხლს ჰყრიდა. თავი შეარხია, შეუბრალებელ სახის მოშორება უნდოდა. თვით სიცოცხლესავით მართალი, სიცოცხლესავით აუხსნელი და უღრმესი გრძნობა ზემით დაირხა მის არსებაში. სიომა გრძნობდა—სიმართლე მის მხარეზე იყო.

— მოიხედე, მიტია, შენ ხომ იცი, ჩემთვის რევოლიუციამ მალალი და სანუკვარი არაფერია. ვფიცავ, რევოლიუციასავით მიყვარს ის ქალი, მაგრამ გესმის...

— შერე?—ფოლადივით გასჭრა მიტიამ.

— ვიცი—ყოველი ჩვენი შეცდომა, არა სწორი ნაბიჯი გვირტყამს კრილობებზე, ურტყამს რევოლიუციას, სოციალიზმს. მიყვარს რევოლიუცია, მისი რკინისებური დისციპლინა. ადრე თავს მივცემ სიამებულად მის ყველა მოთხოვნას რომ არ დავემორჩილო. მაგრამ ღმერთია მოწამე, ეშმაკმა წაიღოს ეს ღმერთი,—რევოლიუციას გეფიცები,—შენ ხომ იცი, იმაზე მეტი ძვირფასი არაფერია,—ის ქალი ჩემია და სხვისი არავისი.

მიტიას სახე დაეღმეოდა მეტის გულის მოსვლით. ზიზღთან შერეულ სიბრალულთ გადახედა მან სიომას და მათრახივით მწარედ გადაჰკრა.

— და შენ კიდევ კომუნისტს გეძახიან!.. შენ საცოდავი, პირველყოფილი ადამიანი ხარ და სხვა არაფერი. შენ შორს დგეხარ იმ ძველ რაინდებისაგანაც კი, თავის მეგობრის ცოლის პატივს რომ საკუთარი სიცოცხლის ფასით იცავდნენ. შენ ესეც არ გაქვს, შენ ჭურღლად გინდოდა მისი წართმევა.

შინაგანი ტკივილისაგან სიომა მოიღუნა და საშინელი ძალით გადაჰკრა ცხენს. პოულოდნელი დაკვრისაგან ცხენი განზე გახტა და ყალბზე შედგა.

უნდოდა მწველი და მტკივნეული პასუხით გული დაეკოდა მიტიასთვის, მაგრამ, ამის მაგიერად, ერთხელ კიდევ გადასწვდა ცხენს მათრახით... მწვევედ ალაპარაკდა სინიდისი... რა იყო? აღიარება? ჩადენილის გამო სინანული თუ მძიმე მწუხარება და წინააღმდეგობა, რა დაიძრა სულის სიღრმეში?

— გესმის,—მძიმედ წარბოსთქვა სიომამ ცოტა სიჩუმის შემდეგ,—თავი დაანებე მაგ რაინდებს და პირველყოფილ ადამიანებს. შენ მსხვერპლს ელი, არა? აჰა, მიიღე. მაგრამ ჩემი ნებით, კეთილის სურვილით, გესმის, ჩემის სურვილით და თანხმობით. სულ სხვა რამე მინდოდა მეთქვა. კრილობა ისევ ისე გახსნილია. კმარა.

გაჩუმდენ.

ლერწმებიც დუმილში თითქოს გაქვადენენ.

დამტყრეული ხმლის პირივით ბრწყინავდა არაქსის ფოლადი. იქ კი, შორს მხედართა წინ ლერწმების ისართა შუა მოსჩანდა ცის კიდვზე მასისი, დაულალავი დარაჯი შორეთისა, თითქო სფინქსი.



## დავით კლდიაშვილი

დ. კლდიაშვილის გარდაცვალებით ქართულ ლიტერატურას გამოაკლდა მეცხრამეტე საუკუნის 80—90 წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოსულ თაობის უდიდესი წარმომადგენელი.

დ. კლდიაშვილი ქართულ ლიტერატურაში შევიდა, როგორც აზნაურობის დაცემული ცხოვრების, შერყეული ეკონომიური მდგომარეობის გამოშვებულნი.

დ. კლდიაშვილს ჰქონდა თავისი ენრი, რომელშიაც ჯერჯერობით მას არ ჰყავს მოქიშვე ჩვენს ლიტერატურაში. მან მოგვცა დასრულებული სურათი წერილი აზნაურობის ცხოვრებისა ბატონ-ყმობის გადაფარდნის შემდეგ. მის შემოქმედებაში აზნაურობის წრე აისახა ფართოდ და სრულად, როგორც ეკონომიური, ისე ფსიქოლოგიური ვარიაციებით.

დ. კლდიაშვილს თავისუფლად შეგვიძლიან უწოდოთ წერილი აზნაურობის მწერალი. მისი შემოქმედების სოციალურ საფუძველს სწორედ წერილი, გალატაკებული აზნაურობა წარმოადგენს.

დ. კლდიაშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა მაშინ, როდესაც ჩვენში ხდებოდა გადასვლა ფეოდალურ-მემამულეთა კულტურიდან ბურჟუაზიულ კულტურაზე, ნატურალური მეურნეობის ფორმიდან სავაჭრო და საქარხნო-საფაბრიკო წარმოებაზე—კაპიტალისტური მეურნეობის ფორმაზე.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში სავაჭრო და საწარმოო კაპიტალი მტკიცედ იკიდებს ფეხს. არსდება ფაბრიკა-ქარხნები, ფართოვდება ბაზარი და ეკონომიური ურთიერთობა. ნავთის წარმოება, მარგანეცის დამუშავება, ტყიბულის ქვანახშირი და მათი ექსპორტი, რკინის გზის გაყვანა და სხვა მოვლენები უდიდეს გარდატეხას, უდიდეს რევოლუციას ახდენდა საქართველოს ცხოვრებაში.

კაპიტალისტურ ფორმის ეკონომიურ ურთიერთობასთან ერთად წარმოიშვა ჩვენში ბურჟუაზია და მუშათა კლასი.

კაპიტალისტური ელემენტები უყურადღებოდ არც სოფელს სტოვებენ. ისინი სოფლის მეურნეობაშიაც იჭრებიან.

ამ დროისათვის თავად-აზნაურობის ეკონომიური მდგომარეობა მეტად შერყეული იყო. თავად-აზნაურობა, რომელიც არ იყო მიჩვეული საქმიანობას, თავისი ადგილ-მამულის ხარჯზე სცხოვრობდა. თავისი ვაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იგი იძულებული იყო გაეყიდა ადგილ-მამული. ამ პროცესს სისტემატიური და ფართო ხასიათი ჰქონდა მიღებული. თავად-აზნაურობას თანდათან ხელიდან ეცლება მამულები და იგი ჩარჩ-ვაჭრების მფლობე-

ლობაში გადადიოდა. თავად-აზნაურობის მატერიალური საფუძველი ძლიერ ირყეოდა.

მაშინდელი მთავრობა ყოველნაირად ზრუნავდა, ხელს ტყვეობისა და თავად-აზნაურობის, როგორც შემამულეს, მაგრამ მას მაინც არაფერი ეშველა. თავად-აზნაურობის ხელში მამულები შეიქნა ფულის შემოსავლის, გაცვლა-გამოცვლის საშუალება.

მთავრობამ თავად-აზნაურობისათვის დაარსა ე. წ. „პრიკაზი“—ბანკი, რომელშიაც მათ შეეძლოთ დაევირთებინათ მამულები.

თავად-აზნაურები მეტად ენერგიულად სარგებლობდნენ „პრიკაზებით“ და მამულებს ხელვაშლილად ავირთებდნენ მასში. ისე ფართოდ სარგებლობდნენ „პრიკაზების“ სტუმართმოყვარეობით თავად-აზნაურები, რომ 1864 წლისათვის „დროების“ ცნობით (1867 წ. № 4) მასში დაგირაევებული იყო საქართველოში ყმურ მდგომარეობაში მყოფ გლეხობის ერთი მესამედი. 1878 წელს „პრიკაზს“ გაცემული ჰქონდა სესხად 6 მილ. 201,000 მან.

„პრიკაზმა“ ვერ შეაჩერა თავად-აზნაურობის ეკონომიური კრიზისი. პირიქით, ხელი შეუწყო მისი მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებას.

თავად-აზნაურობის ეკონომიურ კრიზისს „ივერია“ (1886 წ. № 23) შემდეგნაირად ახასიათებდა: „თავად-აზნაურობის ბლომად ჰქონდათ მიწა-წყალი, ყმა და მოსამსახურე, დიდი უფლებანი, სამხედრო და სამოქალაქო სამსახური, სახელმწიფო სასწავლებლებიც მხოლოდ მათთვის იყო კარ-ღია უკანასკნელ დრომდე. ამას გარდა რუსთა მმართველობამ მას მიანიჭა დიდი უფლება: თავად-აზნაურობას ნება მისცა ჰყოლოდა თავისი რწმუნებული და წარმომადგენელი, რომელსაც კანონისამებრ შეეძლო პირდაპირ ეშუამდგომლა იმპერატორის წინაშე თავად-აზნაურთა და მათი საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. თუმცა ასე იყო მოწყობილი თავად-აზნაურთა საქმე, მაგრამ მან ვერ მოახერხა თავის თავზე ზრუნვა. მხოლოდ სადილ-ვახშებები, საპატიო ყარაულები, შანანა ციდან ჩამოვარდებო. მას ვერ უშველა ბანკის დაარსებამ, ფულები შეჭამეს, მამული ბანკმა წაიღო, ბანკის შემოსავალი შემცირდა, სკოლებს საღსარი გამოეღია“.

აქვე აღსანიშნავია, რომ თავად-აზნაურობის იდეოლოგები ცდილობდნენ აბ შეეშინათ ცხოვრებაში ახალი წარმოებითი ძალების გამოსვლა. ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის გაბატონება, რომელიც მათ ეკონომიურ შესაძლებლობებს სწრაფად აცლიდა საფუძველს. კაპიტალისტური ურთიერთობა და მის საფუძველზე შექმნილი კლასობრივი წინააღმდეგობანი მათთვის თითქო შეუმჩნეველი იყო, „ივერია“-ში, რომელიც თავად-აზნაურული მიმართულების ორგანო იყო, 1888 წ. ერთ-ერთ ნომერში შეზღვევი ეწერა: „ჩვენი ხალხის უმთავრესი განაწილება გარეგნობრივ მაინც ეს არის: გლეხობა და მეპატრონეობა—ჩვენი თავად-აზნაურობა. სხვა განცალკევებულ წოდებასა, სახელდობრ, სახელმწიფო და საზოგადოების გამარიგათ მოსამსახურეთა და ჯარისკაცებისა, ვაჭრებისა და სხვათა ამგვართა ჯერ თავი დავანებოთ (კურსივი ჩვენია. შ. რ.). აქ გარკვევით სჩანს თუ რა სიბეკემდე, განხრახ თვალების დაბრმავებამდე მიდიოდა თავად-აზნაურობა და მისი იდეოლოგები. ამ სიტყვებს სწერდნენ ისინი 80—90-იან წლებში, როდესაც კაპიტალისტური ურთიერთობა

და მისი დამახასიათებელი კლასები უკვე ძირითად და მომქმედ ძალას წარმოადგენდნენ ჩვენს ცხოვრებაში.

დ. კლდიაშვილი გვიხატავდა აზნაურობის ცხოვრებას *ქვეტანამეცხრასა* დაფუძვლის გამოცვლის, გალატაკებისა და დაცემის შემდეგ.

დ. კლდიაშვილის შემოქმედება იქმნებოდა აზნაურულ ყოფის და იდეოლოგიის საფუძველზე. ამ წერებში მისცა მას მასალები შემოქმედებისათვის. აზნაურულ ყოფის გავლენა დ. კლდიაშვილის შემოქმედებაზე არსებითი და ძირითადი იყო. როგორც სწერს მისი ბიოგრაფი: „მწერალმა უკვე ბავშობიდანვე შეისრუტნა თავის არსებაში ის ჰაერი, რომლითაც სუნთქავდნენ მომავალში მისი მოთხოვნების გმირები და გულმა უკვე მაშინვე იგრძნო ყვილაფერი ის, რაც შემდეგ უფრო ნათლად დაინახა თვალმა“. მწერალმა შემდეგში განაზოგადოვა, აიყვანა მხატვრულ კატეგორიაში, ის რაც დაინახა.

გოგოლი თავის ავტორის განცდებში სწერდა: „ჩემს საგანს შეადგენდა თანამედროვეობა და ცხოვრება მის ეხლანდელ ყოფაში. ეს შესაძლოა იმიტომაც ხდებოდა, რომ ჩემი გონება ყოველთვის ხასიათდებოდა მიდრეკილებით არსებითისაკენ და უფრო ხელშესახებისაკენ. რამდენათ წინ მივდიოდი, იმდენათ ძლიერდებოდა ჩემში სურვილი ვყოფილიყავი თანამედროვეობის მწერალი“.

საერთოდ თანამედროვეობის შეგნება და მხატვრული გადმოცემა მეტად ბევრს ავალებს მწერალს. აქ მართო სურვილი არ არის საკმარისი. აქ საჭიროა მოვლენათა ორგანიული და ღრმა შეგრძნობა, განცდა. ეს თვისებები გოგოლს ჰქონდა. იგი ჰქონდა უსათუოდ დ. კლდიაშვილსაც, მაგრამ შემოზღუდულად, „ცალმხრივად“.

დ. კლდიაშვილი მხატვრულ ფორმებში გვაძლევდა თავის დროის ცხოვრების ნამდვილ სურათებს. იგი არ მიმართავდა „გამოჯონებებს“, არამედ ავკიწერდა სახეებით იმას, რასაც სინამდვილე იძლეოდა.

დ. კლდიაშვილი მართო საერთოდ სინამდვილეს კი არ იძლეოდა, არამედ მას უმეტეს შემთხვევაში თავისი მოთხოვნების ფაბულათ აღებული აქვს ფაქტი, ცხოვრებაში მომხდარი ნამდვილი ამბავი. ასეთ ფაქტებზეა აგებული „შერისხვა“, „წრფელი გული“, „მიქელა“, „მსხვერპლი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“ და სხვ. <sup>1)</sup>

<sup>1)</sup> რომ დ. კლდიაშვილს თავისი მოთხოვნები ფაქტიურ მასალაზე აქვს აგებული, ამის შესახებ თვითონ მწერალი თავის მოგონებაშიც („ჩემი ცხოვრების გზაზე“) მოგვითხრობდა: „ჩვენ ახლოს მეზობლად ცხოვრობდა „საიკოს ნამყოფი“ გლეხი ლევანა სირბილაძე. შექსანნევი პიროვნება იყო. ბევრი ამბავი იყო და ლევანამ. ხშირად იტყოდა—დიდი ხნის სიცოცხლე მაქვს, რადგან საიკო მაქვს მოწარბნიო. „საიკოს ყოფნის“ ამბავი არა ერთხელ მომიყოლებია ლევანასთვის და მისი ეს ნაამბობი თითქმის სიტყვა-სიტყვით შეტანილი მაქვს ჩემს მოთხოვნაში „მსხვერპლში“...“

დ. კლდიაშვილის ბიოგრაფი (ს. კლდიაშვილი) „სამანიშვილის დედინაცვალი“-ს შესახებ სწერს: „თვით ამბავი, რომელზედაც აგებულია მოთხოვნა, დაახლოებით წარმოადგენს ფაქტს. ამბავი გადახდა დავითის სიმაშრის ერთ ნაცნობ აზნაურს“...

იგივე ბიოგრაფი აღნიშნავს: „აზნაურები შეძლებულნი, ღარიბნი, გალატაკებულნი, მთელი ეს ჭარავანი. იმ ტიპების, რომლებიც ასე ცხოვვლად აქვს გადმოცემული დავით კლდიაშვილს, დავითის სიმაშრის ოჯახში არის გაუღილი და აქ მწერლის მიერ დანახული“.

ამ ფაქტიურ მასალას მწერალი სათანადოთ იყენებდა. მას იგი „სოლოლოდ“ არ იმეორებდა, არამედ აჰყავდა მხატვრულ სახეებამდე, მხატვრულ განზოგადოებამდე, ესტეტიურ კატეგორიამდე. ამიტომია, რომ მისი მოთხრობები კომპლექსურად უმთავრესად ერთნაირ მოვლენათა სამყაროში ტრიალებენ, არ გვაბეზრებენ თავს; ამიტომია, რომ მისი მოთხრობების გმირები, რომლებიც ერთი ქვეყნის შვილები არიან, მრავალფეროვან და დაუფიქსარ ტიპებათ არიან გამოყვანილი.

აზნაურობის ცხოვრებას დ. კლდიაშვილი ვეჩხატავს უმთავრესად შემდეგ მოთხრობებში და პიესებში: „სოლომონ მორბელაძე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „როსტომ მანველიძე“, „ქაშუშაძის გაჭირვება“, „ირინეს ბედნიერება“ და „დარისპანის გასაჭირი“. სხვა ხასიათისაა მისი მოთხრობა „შერისხეა“ და „მრეველი“.

დ. კლდიაშვილის მიერ მოცემული აზნაურები ყველა ერთ მდგომარეობაში იმყოფებიან. აქედან ხასიათის ერთნაირობა. მათი საგვარეულო ნიშანია: მათი არსებობის უბადრუკობა და ფსიქოლოგიური სიღატაკე. მათ უბადრუკობა მოსჩანს მათივე მდგომარეობაში და მოქმედებაში. თვითონ ისინი ხშირად ვერ გრძობენ ამ მდგომარეობას. მათ კურობულობას და კომიკურ მდგომარეობას აძლიერებს მათივე მოქმედება.

დ. კლდიაშვილი თავის ცალკეულ მოთხრობებში იძლეოდა ამათუიმ ტიპის განსაზღვრულ თვისებებს, რომელიც პარაზიტულად შეხამებული იყო მის როლთან ცხოვრებაში.

დ. კლდიაშვილი თავის პორტრეტებს იძლეოდა არა მარტო, როგორც ცალკეულ მოვლენას, არამედ, როგორც დამახასიათებელს მთელი აზნაურობის ყოფისათვის.

პისარევი მწერალ სალტიკოვ-შჩედრინის შესახებ სწერდა: „მისი მოთხრობების თითქმის ყველა მომქმედი პირი გამოიკვირება მკვდრათ, რომელიც ამოყვანილია საფლავიდან განზრახ იმისათვის, რომ გაამხიარულოს მკითხველი“. სწორედ ასევე, დ. კლდიაშვილის მოთხრობების თუ პიესების მომქმედი პირებიც საფლავიდან ამოყვანილ მკვდრებსა ჰგვანან. თუმცა ისინი დადიან, მოქმედობენ, ლაპარაკობენ, მაგრამ მაინც არ გვერათ, რომ ისინი ცოცხლები არიან, რომ მათ ახასიათებთ რაიმე ადამიანური თვისებები და სხე.

პირველი მოთხრობა, რომელშიაც მძლავრად გადაიშალა დ. კლდიაშვილის ნიჭი, იყო „სოლომონ მორბელაძე“.

ყველა იცნობს ამ მოთხრობას. რას შეეხება ის?

ერთ დროს გაბატონებული და შეძლებული წოდება—თავად-აზნაურობა და შლისა და დაცემის გზას დაადგა. იგი უკვე ცხოვრებისაგან განადგურებულია. ამ წოდების არსებობის უკანასკნელი დღეები მისი უბადრუკობისა და არარაობის სურათად იშლება.

ვინ არის ამ მოთხრობის მთავარი გმირი—სოლომონ მორბელაძე?—აზნაური, რომელიც ეკონომიურად განადგურებულია. მას არა ყავს ყმები, არა აქვს ადგილ-მამული, არა აქვს არავითარი შემოსავალი, რომ ოჯახი და თავისი თავი გამოკვებოს, ის იძულებულია თვითონ იმუშაოს. ის „იოლ“ საქმეს მიმარ-

თავს. მაქანკლობას ეწევა. იგი ხედავს, რომ „ამ უკანასკნელ ხანებში“ ამ ხელობის შემოსავალმა იკლო“, მაგრამ რა ჰქნას? მიწაზე მუშაობამ რა შედეგებს იტოვებს, არ შეეფერებას როგორც აზნაურს.

სოლომონ მორბელაძე გაურჩევებს ბესარიონ საკარაძის ქალიშვილს ქაიხოსრო ქათამაძის ვაჟს ნიკოს, რომელიც სამღვდელოდ იყო გამზადებული. ბესარიონს მზითვად უნდა მიეცა ორმოცი თუმანი ხელში, ხოლო ოცი თუმნის თამასუჭი და ოცი თუმნის ბარგი. ყველაფერი უკვე მოგვარებული იყო, როდესაც ბესარიონმა უეცრად განაცხადა, რომ ნაღდათ ოცდაათი თუმნის მეტს აღარ გადაიხდიდა. ქორწილის დღეს სასიძოს მამას ეს ოცდაათი თუმანი მიუტანეს. როდესაც ქაიხოსრომ დაპირებული ორმოცი თუმნის მაგიერ ოცდაათი თუმანი დაინახა, ძლიერ გაბრაზდა, არ თანხმდებოდა ჯვარის დაწერაზე. შვილისა და ერთი აზნაურის ხანგრძლივი თხოვნისა და მუდარის შემდეგ ქაიხოსრომ თანხმობა განაცხადა, შვილს ჯვარი დაწერა.

ამ დროს ცუდ და თან სასაცილო მდგომარეობაში მხოლოდ სოლომონ მორბელაძე ჩაეარდა. ის ამ მაქანკლობისაგან ბევრ ფულებს მოელოდა, რომლითაც მისი ფიქრით ვალებს გაისტუმრებდა და ოჯახსაც დააქმყოფილებდა. მაგრამ ის მოსტყუვდა. მან მხოლოდ ექვსი მანეთი და ორი აბაზი მიიღო და ერთი ხარის ტყავი. ეს ფულიც მას სასიძომ მისცა, თორემ ბესარიონმა და ქაიხოსრომ პირში ჩალა-გამოვლებული გაისტუმრეს.

ეს მოთხრობა თავის ბუდიდან ამოვლებულ ადამიანის მთელი ეპოპეიაა. თითქმის მთელი ცხოვრება სოლომონ მორბელაძის წინააღმდეგაა მიმართული. მის წოდებრიობას აღარ უწევენ ანგარიშს. მას მხოლოდ ჯორი და შერჩენია, რომელიც პატრონთან ერთად გრძობს ცხოვრების სუსხს.

სოლომონი იბრძვის არსებობისათვის, ის ცდილობს ჩაეჭიდოს ცხოვრებას, რათა, ფიზიკურადაც არ დარჩეს გარიყული. მაგრამ დიდი ჯაფისა და წანწანის შემდეგ ის მაინც ყველგან დამარცხებული გამოიღის.

თუ ერთის მხრივ, მთელი ეს ამბავი, რომელსაც კლდიაშვილი სატირულ ფორმებში აგვიწერს, და ამით მკითხველში სიცილსა და მზიარულებას იწვევს, მეორეს მხრივ, უსათუოდ გრძობს ს. მორბელაძის მთელ მძიმე მდგომარეობას, ტრალედიას, რომელიც მასში იქნება არსებობისათვის ბრძოლაში. სოლომონს ცხოვრებაში ბევრი რამ არ უნდა. მისი წოდებრივი ქედმაღლობა უკვე მოტეხილია. ეხლა მხოლოდ ლუკმა პურისთვის იბრძვის.

როდესაც სოლომონის იდეალებს ფრთები შეაკვეცეს, დაპირებული ფულების მაგიერ მან რაღაც გროშები მიიღო, მაშინ ის გამწარებული ამბობს:

„— მოიტანე, ბატონო, მაშ მაინც მოიტანე... თვარა მაგიც დაკარგული შეიქნება ჩემთვის! გასაროზგავი ვარ, ამნაირ კაცებთან რომ შევები, მარა გვიანლა... მე კი ჩემი დამემართა, მარა ღმერთი მოწყალეა, ერთ დღეს იქნება, ჩვენსკენაც გადმოიხედავს მზე! ჯერეთ არ დამმართნია ამისთანა საქმე, მარა... ჰმ... პატიოსან სიტყვას ვენდევ, მშვიერ კაცს სად აქვს ღონე, თავის პატიოსან სიტყვას გაჰყვებს... მე სულელმა, ეს რაეა ვერ ვეთქვამ? ამ დაწყვეტილ ხელობაში მაინც რა არ შეგემთხვევა, რა? შოუშეა ხელი? წანწალსა და ათასგეარ უსიამოვნებას გადარჩები კაცი—კი, მარა ეს ოხერი გროში რომ გპირდება, სად უნდა იშოვო? რით

უნდა იმოვოვ?“ ამ სიტყვებში სოლომონის მთელი „ფილოსოფიაა“. ცხოვრებაში არსებულ წინააღმდეგობებს ის მკვეთრად გრძნობს, სინამდვილე მის წინააღმდეგ არის მიმართული.

შეწუხებული, მოტყუებული სოლომონი სახლისკენ მიეშურება თავის გა-  
ნუყრელ ჯორთან ერთად, დასევდიანებულია. გაახსენდა ცოლი, რომელსაც წი-  
თელ თუმწიანებს პირდებოდა, გაახსენდა მოვალე და ოხვრით წარმოსთქვა:  
„დასწყველა ლმერთმა ხელმოკლე აზნაურის უსაშუალო გაძალღებული ცხოვრე-  
ბა! რით გამოაქვთ თავი, მეტი გზა რომ არ აქვთ? ტყუილი, ტყუილი და ტყუ-  
ილი. რა გამოვიდა ორი თვის წანწალიდან? მოვატყუე, მომატყუეს და ერთი  
მოტყუებული ხვალ ან ზეგ კარზე მომადგება“.

როდესაც ამ მოთხრობას კითხულობთ, გრძნობთ თუ როგორ უბრალოთ  
და უშვალთ გესაუბრება დავით კლდიაშვილი წარსული ცხოვრების დამახასი-  
ათებელ მხარეთა შესახებ. მწერალი არ მიმართავს ძალადობას თემისადმი. ცხო-  
ვრება მას უამრავ მასალას აძლევს. ის მხოლოდ არჩევს მათგან ისეთს, რომე-  
ლიც შესაძლებლობას აძლევს სრულყოფილად გაშალოს მასალა.

დ. კლდიაშვილის ნაწერები უმთავრესად ეკუთვნის კომიკურის ურთულეს  
ფორმას—ჰიუმორს.

ჰიუმორში, როგორც ფორმა კომიკურისა, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს  
კომიკურის და სერიოზულის ურთიერთ მტკიცე კავშირს სერიოზული მხოლოდ  
მაშინ მოქმედობს ჰიუმორისტად, როდესაც იგი იქმნება კომიკურ მოძრაობათა  
და მოქმედებათა საფუძველზე.

ასეთ გადასვლებს ადვილი აქვს კომიკურიდან სერიოზულში განსაკუთრე-  
ბით მკვეთრად „სოლომონ მორბელაძე“-ში. კომიკურ მოძრაობათა საფუძველზე  
ამ მოთხრობაში დ. კლდიაშვილი იძლეოდა სერიოზულ ამბავს. სოლომონ მორ-  
ბელაძის მკვეთრი ჰიუმორისტული სახე, მდგომარეობა—მოთხრობის ფინალში  
ჰეარგავს კომიკურ უბრალოებას და იგი ცხოვრების კალაპოტიდან ამოგდებულ  
ადამიანის განცდების გამომხეურებას შეიცავს.

რომ დ. კლდიაშვილი კომიზმის გზით ანვითარებდა სოლომონ მორბელა-  
ძის ცხოვრების მოცემას, იმის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა მწერლის თვისებებში,  
სურვილში ან მიმართულებაში, რომ ყველაფერში დაენახა უარყოფითი, სასა-  
ცილო, არამედ იმაში, რომ იგი ცხოვრებას სწორედ და დაკვირვებულად უდგე-  
ბოდა.

ბეჭინა სამანიშვილი ორჯელ ნაქვრივალი იყო და ეხლა მესამე ცოლის  
მოყვანას აპირებდა. მისი ვაფი—პლატონი—ცოლ-შვილის პატრონი, ჯავრზე  
ალარ იყო, რადგანაც ცოტა მიწა ჰქონდა და თუ მამას შვილი გაუჩნდებოდა,  
მოზიარე ეყოლებოდა. მისი ისედაც გაჭირვებული ცხოვრება კიდევ უფრო გა-  
უარესდებოდა. რა უნდა მოემოქმედა პლატონს, რომ მოსალოდნელი საფრთხე  
თავიდან აეცილებია? ჯერ შეეცადა რომ ხელი შეეშალა მამისათვის, რომ ცოლი  
არ მოეყვანა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ისევ მან გაუწია თავის მამას მაჭან-  
კლობა. ის ეძებდა ისეთ ჭალს, რომელიც ორჯერ ნაქვრივალი იყო და არც შვი-  
ლი ყავდა, რადგანაც ამ გზით ფიქრობდა ის, რომ არც მის მამასთან შეეძინე-  
ბოდა შვილი და ამით ხიფათსაც აიცილებდა. როგორც იყო პლატონმა გამოუ-

ძებნა თავის მამას ასეთი საცოლო და ქორწილიც მოხდა. მაგრამ დანებ უბედურებას. ბეკინას ცოლი დაორსულდა და შეილიც ეყოლა. **უბედურების განხორციელება დაიზადა. მამა და შეილი იყოფიან.**

ახანაურობა ეკონომიურად დასუსტდა. მისი ქონებრივი შესაძლებლობა მხოლოდ რამდენიმე ქცევა მიწით ამოიწურება. ზოგიერთი მათგანი არც კი ცდილობს ის მიწა გამოიყენოს, დაამუშაოს, სხვებისათვის კი ეს მცირედი მიწაც, რომლის პატრონია ის, მთელი მისი არსებობის წყაროს წარმოადგენს. ასეა ბეკინა და პლატონ სამანიშვილებიც. მათ მცირედი მიწაა აქეთ. ის არის მათი არსებობის მთავარი წყარო. პლატონ სამანიშვილი შიშით შეჰყურებს მომავალს, ვინაიდან ერთი ახალი წვერის მომატებაც კი კიდევ უფრო სამძიმოს ხდის მის ისედაც გაჭირვებულ ცხოვრებას. რა ჰქნას მან? ის თავგამოდებით იბრძვის, რომ მას ოჯახში არავინ გაუზნდეს მოქიშვე, ქონების მონაწილე. ამ ნიადაგზე მთელი კონფლიქტი იზადება მამასა და შეილს შორის, რომელიც ტრადიციული ფინალით თავდება.

ასე გამწარებით იბრძვის ერთი ნაქერი მიწისათვის ის წოდება, რომელიც ერთ დროს ქეიფსა და ლხინში ავირავებდა, ჰყიდდა უამრავ მიწებს, ყმებს და სხვა ქონებას. ეხლა მისი მატერიალური არსებობის საშვალეები ძლიერ შეზღუდულია, მოთხოვნილებებიც შემცირებულია. მაგრამ ცხოვრება მათთვის საძნელო გამხდარა.

„სამანიშვილის დედინაცვალში“ დ. კლდიაშვილმა გვიჩვენა თუ როგორ წინააღმდეგობებისა და შეჯახების გზით მიმდინარეობდა დაცემული ახანაურობის ცხოვრება. ეკონომიური სივიწროვე ჰბადებს განხეთქილებას ოჯახში—მამასა და შეილს შორის.

ბეკინა სამანიშვილის შეხედულებები და განწყობილებები ისევე ძველი დარჩენ. იგი არ იცქირება შორს. მას მომავალი აღარ აშინებს. იგი ყოველდღიურობით ცხოვრობს. მას ჯერ კიდევ შერჩენია ახანაურული ქედმაღლობა, მიუხედავად იმისა, რომ იმას ეკონომიური ბაზისი აღარ აქვს.

პლატონ სამანიშვილი მიწაზე ამყარებს მთელ თავის ცხოვრებას. მას სხვა საშვალეა და გზა არ აქვს და ვერც წარმოუდგენია. მისი ოჯახის არსებობის წყარო მხოლოდ მიწაა. ისედაც ცოტა მიწის კიდევ შემცირებას იგი ვერაერთარ შემთხვევაში ვერ შეურიგდება. იგი შიშით შესცქერის მომავალს, რადგანაც არ უნდა გაუზნდეს მიწაზე მოქიშვე, მონაწილე.

როგორც ვხედავთ პლატონი და ბეკინა, როგორც სოციალური ფიგურა ძირითადად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ სავაქრო კაპიტალის განვითარებაში. მოხუც ბეკინაზე, რომელიც მთლიანად წარსულში იყო, რომელიც ნატურალურ მეურნეობის შეხედულებით იყო გამსჭვალული ვერაერთარ ზეგავლენას ვერ ახდენდა ახალი ფართო საზოგადოებრივ-ეკონომიური პროცესები, მაშინ, როდესაც მისი შეილი პლატონი უკვე ამ ახალ ურთიერთობის უახლოესი მონაწილე, აქტიური წევრი იყო, ეს მდგომარეობა საზღვრავდა მთლიანად პლატონის მღელვარებას, მის დამოკიდებულებას მამისადმი, დედინაცვლისადმი და სხვ.

„სამანიშვილის დედინაცვალში“ გამოყვანილია აგრეთვე რამდენიმე მეტად დამახასიათებელი ფიგურა მაშინდელი ყოფისა. ესენი არიან ქვემოთ მოხსენიებული და არისტო ქვაშავაძე.

კირილე შიშინაშვილი უდარდელი კაცია. მას ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია. იგი მხოლოდ სიამოვნებას ეტანება. მისთვის სერიოზული საქმიანობა შეუძლებელია. იგი მუდამ მოჭიფვე, თევობით ოჯახს გარეშე მოსიარულეა, ღვინოში „ნამხვრნალი“, სკანდალისტი, რომელსაც ქორწილებსა და „სატირალში“ ხეტილის მეტი არა სწამს-რა, რადგანაც მისი „მსოფლგაგებით“ „ორი დღე ვიცოცხლო და ისიც ვიმწუხარო“, კირილეს ბუნებაში სინამდვილე და ფანტაზია, მსგავსად დონკიხოტისა ერთმანეთშია არეული. იგი ვერ ამჩნევს რომ უკვე მოისპო ის პირობები, რომელშიაც მისთანა ხალხი ბატონობდა.

არისტო ქვაშავაძე, აზნაურია როგორც თვითონ ამბობს—„კეთილშობილი“, რომელიც თავისივე მამიდას მაქანკლობს და მისი მოტაცებით სამანიშვილების ოჯახს „გააბედნიერებს“. იგი ქლეცა, გამოქნილი და გაიძვრება, თითქოს მუდამ ენა ტყბილი, მაგრამ დამღობი ნათესავებისა (გაიხსენეთ საკუთარი ბიძის დამახასიათებელი და სინანული ამ დამახასიათებლის გამო). იგი მუდამ სხვის კარებთანაა ატუხული. წანწალის მეტს არაფერს აკეთებს.

დ. კლდიაშვილი თავის მოთხრობებში თუ პიესებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მხატვრულ დეტალს. ეს დეტალი მეტად დამახასიათებელია. იგი საერთო ფონზე იშლებოდა, როგორც უზარმაზარი სურათი აზნაურობის გადაგვარებისა და დაცემის.

„სამანიშვილის დედინაცვალში“ უბრალო დეტალია, როდესაც პლატონი ცხენს კაშმავს, რომ გზას გაუდგავს:

—„აი, ამოგივარდა პატრონი! მიიძახა პლატონმა, მოსართავს ხელი რომ მოჰკიდა—მეიტა მელანო, ჩინკი იქნება რამე... ენა არ ჰქონებია ამზინდას! მეიტა მალე, თუ ქალი ხარ!

ან და: პლატონი და არისტო, როდესაც ბრეგვაძეებს ეწვიენ და ვახშმისათვის ქათმის ჰერა რომ შეეჭნათ მასპინძლისას:

„ეზოდან მოისმა რალაც ხმაურობა... აგერ გაირბინა ქათამაც, მას უკან მის ფეხდა ძალლი დასაქვრად, აგერ კაცის ფეხის ხმაც მოისმა, რომ მირბოდა“ და სხე.

ამ დეტალებში ყველაფერი დამახასიათებელი და ნიშანდობლივია თავის დროინდელ ყოფისათვის.

„ქაშუშაძის გაქირვება“-ში დ. კლდიაშვილმა მკაფიოდ და ფართოდ გვიჩვენა აზნაურობის დეგრადაცია ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის—კაპიტალიზმის ზრდის ნიადაგზე. მოთხრობაში ძირითადად ქალაქის და აზნაურულ-პატრიარქალური ცხოვრება დაპირისპირებული. კაპიტალიზმის შეჭრა ძალთა გადაჯგუფებას იწვევს სოფელშიაც. სოფელი აგზაენის ქალაქად ახალ ძალებს.

აზნაურმა ოტია ქაშუშაძემ ხელი მოჰკიდა მიწის მფლობელს, მაგრამ სოფლის მეურნეობამ ვერ დააკმაყოფილა მისი ცხოვრება. სიღარიბისა და მატერიალური სიღიწროვის აჩრდილი დასტრიალებს მას თავზე. თვით მისი მეზობელი—



გამდიდრებული გლეხიც კი აბუზად იგდებს და არ აფანებს მის აზნაურაშვილობას—არ აძლევს ქალს, როგორც ეკონომიურად დაცემულს, *კერძო ქმუშაძე* იძულებულია მიაშუროს ქალაქს, ვინაიდან სოფლად მისთვის *წებმსჯქვის* გზები უკვე დახურულია. ყოფა-ცხოვრების ნიადაგზე შექმნილი კონფლიქტი კიდევ უფრო აჩქარებს ქამუშაძის გაქცევას სოფლიდან.

ოტია ქამუშაძემ ცხოვრებაში მხოლოდ ერთი გზა იცოდა. ეს იყო თავგამეტებით, თავდადებით მიწაზე მუშაობა. მისთვის უცნობი იყო სხვა გზა. მისი სამოქმედო ასპარეზი, ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში მხოლოდ იმით ამოიწურებოდა, რომ ფიჭობდა ჩვეულებრივზე მეტი ემუშავა ქალაქელი ქალის შერთვის შემდეგ:

—კიდევ უფრო მეტს ვიმუშავებ, თავს შევაკლავ!—განიმეორა ოტიამ იმავე კილოთი,—უფრო ვეცდები კიდევ!

—რას ეცდები ოტია? რას შეაკლავ თავს? მაგით რომ არაფერი გამოდის!

—აბა სხვა რა ვქნა შენ გენაცვალე, შენ მითხარი, მირჩიე... მიმახვედრე და ისე გავირჯები, ისე მოვიქცევი! მირჩიე?

ოტია მტკიცეთ არის მიჯაჭვული თავის მიწასთან. ის ვერ ხედავდა სხვა გზას, რომელიც მის შევიწროებულ ეკონომიურ ცხოვრებას გააუმჯობესებდა. ქალაქი მისთვის თითქმის არც კი არსებობდა. მას ვერ წარმოედგინა თუ კი შეიძლებოდა, რომ აქ მის შგავს ადამიანებს ეშოვნათ საარსებო საშვალუბანი.

ოტიას ცოლი—სონია უფრო ჯანსაღად უყურებს ცხოვრებას. იგი გრძობს, აუცილებელია ახალი გზის ძიება. მისთვის ნათელი ხდება, რომ სოფლად დარჩენა სიკვდილია, რომ აქ მათ კიდევ უარესი თუ მოუღიოთ მომავალში, თორემ უკეთესი არაფერი.

ოტიას არსებაში იწყება ბრძოლა. მასში თანდათან მუშავდება ახალი გზის ძიების აუცილებლობა. მისთვის დროთა ვითარებაში თვალსაჩინო ხდება, რომ ძველ გზაზე დარჩენა მეტი აღარ შეიძლება, რომ მარტო მიწა ვერ დააკმაყოფილებდა მისი ცხოვრების მთელ მოთხოვნილებას.

ოტია იწყებს ძველი გზის უარყოფას და ახლის ძიებას. მაგრამ მისთვის არ არის ნათელი ახალი, მომავალი გზა. აქ ჩნდება სონია:

—ოტია! ჩვენი აქ დარჩენა სიკვდილია, ოტია... სიკვდილი, ოტია! ამდენი ხანია გიცდი, გითხრა ეგ... ჩვენ კიდევ უარესი თუ მოგველის აქ, თორემ უკეთესი არაფერი. ჩვენ უნდა წავიდეთ, უნდა გავშორდეთ აქაურობას, ოტია... უთუოთ, უთუოთ. ოტია!

ოტიაში დიდი ბრძოლით, წინააღმდეგობებით, მაგრამ მაინც ხდება გარდატეხა. ეკონომიური სივიწროვე, კოლის აგიტაცია, ბიძის სიკვდილი სიღარიბეში და სიმშლში—ოტიას არწმუნებს, რომ ძველი გზები უკვე დახურულია. „არა... მეტი საშველი არაა!—ეუბნება თავის თავს ლევანისაგან დაბრუნებული ოტია:—მეც უნდა ავიბარგო, მეც უნდა შევეხიზნო იქ, სადაც ყოველი კაცი საშველს პოულობს... სადაც იმოდენა საშოვარია და საშუალება!.. გზა აღარ არის!..“

ოტია ქამუშაძე თავისი ოჯახობით მიეშურება ქალაქში.

ეკონომიურმა პირობებმა შესცვალა ქამუშაძის მსოფლმხედველობა. მისი კონსერვატიული შეხედულება, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ისევ ძველს



ეჭიდებოდა, დამარცხდა. სოციალური ლუნატიზმი რომლითაც დაავადებული იყო დ. კლდიაშვილის აზნაურობა, თითქოს არ ვრცელდებოდა ქვეყნის მთელზე, რადგან მან მაინც სცადა ახალი ცხოვრების შეგუება. სამწუხაროდ მწერალმა არ გვიჩვენა თუ რა სახით მოხდა ქამუშაძის ეს შეგუება ახალი ცხოვრებისადმი, ისე, როგორც ამას გოგოლი სჩადიოდა, რომელიც თავის ნაწერებში გვიჩვენებდა, რომ გადატაცებული აზნაურები შედიოდნენ სამსახურში და ხდებოდნენ მოხელეები.

გალარიბებული აზნაურების ცხოვრების მრავალი დამახასიათებელი დეტალი არის მოცემული „ქამუშაძის გაჭირვება“-ში. შემოდგომის აზნაურთათვის ეკალაც სანატრელი გამხდარა. ზოგიერთ აზნაურისათვის კი ძალით გამხდარა მარჩენალი. სხვისი ოჯახებიდან გამოტაცებულ სურსათს უზიდავს ძალით თავის პატრონს. ეს უკანასკნელი კი დიდი ამპლომბით და ტრაბახობით ლაპარაკობს ამის შესახებ საზოგადოებაში, თითქოს აქ რაიმე სასახელო იყოს.

დაცემული აზნაურები არ თავილობენ სიცრუე ილაპარაკონ. ეკვირინე—ოტია ქამუშაძის დედა ამაყობს, რომ იგი დიდი გვარის ჩამომავალია. იგი ცრუობს, რათა დააჯეროს რძალი, რომ ოტიას დიდი მამულები აქვს და სხვ.

ემოციების მხრივ დ. კლდიაშვილის ნაწერების მომქმედ პირებს—სულ ერთია ეს იქნება სოლომონ მორბელაძე, ბეკინა სამანიშვილი, პლატონ სამანიშვილი, კირილე მიმინოშვილი, ოტია ქამუშაძე, აბესალომ სალამთაძე თუ სხვა ვინმე, ახასიათებს შინაგან განცდათა სიღარიბე, ინტიმიურ გრძობათა პრიმიტივობა. მთელი მათი ცხოვრება ზედაპირზეა ამოტივტივებული. შინაგანი სიღრმე, შინაგანი ცხოვრება მათ თითქოს არც აქვთ— ისინი უფრო მეტს ლაპარაკობენ და მოქმედებენ ვინემ განიცდიან და გრძობენ. იქაც კი, სადაც მწერალი ცდილობდა მათი ემოციების გადმოცემას—ყველაფერი რაღაც უბადრუკ და უსუსურ შთაბეჭდილებას სტოვებდა, ვინაიდან იმდენად დაბალი იყო ემოციები.

„ირინეს ბედნიერება“-ც აზნაურულ ყოფას შეეხება. მისი მომქმედ პირებია: აბესალომ სალამთაძე, სამსონ სალამთაძე, ფილიპე ბარბაქაძე, ირინე, ბავლე როდამიშვილი და სხვ.

„ირინეს ბედნიერება“ ორი სურათისაგან შესდგება. პირველი მოქმედება წარმოადგენს ბარბაქაძის ეზოს. ნიგვზის ხის ქვეშ გაშლილია სუფრა, სადაც სხედან აბესალო, ვიქტორ, სოგრატ, ნესტორ და სხვა ყმაწვილები. ცეკვა-თამაშია. დღეობაა ბარბაქაძისას.

აბესალოში სრული ბატონია პირველი მოქმედების. ყველა სცენები მისი გამოსვლებით და სიტყვებით არის სავსე. ამ მოქმედებაში მთელი თავისი ავლადიდებით წარმოსდგება აბესალომ სალამთაძე. პირველ მოქმედების მანძილზე ძნელი გამოსარკვევი ხდება თუ სად თავდება აბესალომის არსებაში ფიზიკური კაცი და სად უთმობს ადგილს მთვრალ კაცს. ლენომ მისი ადამიანური არსების მთელი შინაარსი ზევით ამოატივტივა. აბესალომს არავისი არ ერიდება, არ რტყენია, არ ეშინია, არავის ანგარიშს და თანაგრძობას არ უწევს.

აბესალო გრძობა-დაუფარავად დაუფარავობს ბარბაქაძის ოჯახში და მთელი პირველი მოქმედების მანძილზე სდევს ირინეს, არ აძლევს მას მოსვენებას. ერთი სცენიდან მეორეში გამოვარდება იგი, ეძებს ირინეს, სხვებს ყურად-

ლებას არ აქცევს და არ ერიდება. მას შეეხებება ვიქტორი — აბრეშქა, ან უშვებს, ამშვილებს:

ვიქტორ — თუ ჩემი ძმობა გწამს, თავი დაანებე იმ ბაჭყალს... აბრეშქა

თუ ჩემი ძმობა გწამს! შეხურობასაც თავისი საზღვარი აქვს. აბესალო — სადაური შეხურობაა?! კაცს გონება მეშლება, თვალები ეს არი წამომცინდება მაგის მხერით და ეს შეხურობაზე მელაპარაკება!.. ნუ ამაცუნებ, ვიქტორ, მომიყვანე ირინე...

აბესალო არ უსმენს ვიქტორს, გარბის, გამომწვანდება შემდეგ სცენაში. აქ ირინეს საქმრო დაუხვდება, გულნატკენი და შეწუხებული უკმაყოფილოდ უცქერის თავის მოქიშპეს. აბესალო უშვერი ხარხარით მიმართავს მას: „ხა, ხა, ხა!.. ხა, ხა, ხა! ძალიანია, შენ ნუ მომიკვლები, ძალიანია! ვიდაცა ჩანჩურა როდამიშვილის გულისთვის ყოველივე სიამოვნება უნდა მოვიკლოთ! აბა კაცი მხოლოდის ყოფილა — ჩვენ არაფერი!“

ცნება-არეული და მთვრალი აბესალომის მდგომარეობა და მოქმედება მეტად დამაჯერებლად, საინტერესოდ და დეტალებით აქვს ამ მომენტებში გადმოცემული შწერაღს.

აი, დაიჭირა აბესალომმა ირინე. ამ უკანასკნელს არ უნდა ცეკვა, დაიღალა. აქ აბესალომის სიტყვებია: „აბა თუ დაიღალეთ, აგერ დაბძანდით და დანსენეთ, აბა, ყმაწვილებო, სულიკო, ისე ტკბილად, ნაზად, რომ ყველას გვიამოს! დასხედით! ჩვენსკენაა ღზინი წამოსული“...

შემდეგ აბესალო ირინეს საქმროს მიუბრუნდება: „სთხოვე იმ ყმაწვილს, ისე მწყრალად რომ გვიყურებს, და შემოგვჭერებია, ეგებ დაბრძანდეს სუფრისბოლოში, ეგებ გული გაუკეთდეს“.

აბესალო იმდენად გათაყბედებულია, გრძნობა დაკარგულია, რომ არაფრად აგდებს, არავითარ ანგარიშს არ უწევს ირინეს საქმროს — როდამიშვილს.

აბესალო საღამოაძე დ. კლდიაშვილმა ტიპიურ აზნაურად წარმოგვიდგინა. მას აქვს მამა-პაპეული შეძლება და ამიტომ ყველაფრის ფეხით გათელვას ცდილობს, არავინ არაფრად არ მიაჩნია, ირინესაც ვერავენ წაართმევს იმიტომ, რომ ლომაში ქალი, თან შეუძლო გვარიშვილი — შეძლებული ყმაწვილის საკუთრებაა უსათუოდ. დამახასაათებელია მისი და ვიქტორის საუბარი:

აბესალო — მე მინდა-შეთქი, მე ირინე და არავინ როდამიშვილი არ ვიცი მე...

ვიქტორ — შენ გინდა?!..

აბესალო — მე!

ვიქტორ — თუ მართლა გულში რამ მაგისთანა განიზრახე, გარწმუნებ, აბესალო, როგორც მითხარი, შენი ყინი ასე ადვილად არ ასრულდება.

აბესალო — რატომ, როდამიშვილი მჯობია, როდამიშვილს მირჩევენ?

ვიქტორ — არა, მაგრამ გაიგონე კაცის, იმათ სიტყვა აქვთ ერთმანეთისათვის მიცემული.

აბესალო — თუ გინდ ჯვარსაწერად წამდგარი იყვენ, მე რომ ვთქვა, უარს მეტყვიან?!..

ჩვენც ვგრძნობთ, რომ აბესალომს ირინეს მშობლები უარს არ ტყვეიან. აბესალო შეძლებული აზნაურიშვილია, ფილიპე ბარბაქაძე კი უკეთესი მშობელი ირინეს საქმრო—როდამიშვილიც ღარიბია.

როდესაც აბესალომ თავისი სურვილი გამოუცხადა ფილიპეს, ამ უკანასკნელმა მაშინვე ირინე მის საყვარელ ღარიბ საქმროს წაართვა და შეძლებულ სალამთაძეს ჩაუტოვა ხელში.

ფილიპე ბარბაქაძე ნამდვილი ძველი დროის აზნაურია. იგი ძველი ჩვეულებების შეურყეველი მიმდევარია. მისთვის პირველ რიგში წოდება და შეძლება სდვას, სხვას არაფერს არ აქვს მისთვის არსებითი მნიშვნელობა. იგი არავითარ ანგარიშს არ უწევს ადამიანის გრძნობებს, სურვილებს.

ირინეს პასუხს, რომ მას აბესალო არ უყვარს, ფილიპე შემდეგნაირად ამკობს: „რა ამბავია შენს თავზედ, ირინე, დღეს? სხომის როდის გილაპარაკნია აგრე სულელურად? რამ წამოგვიარა დღეს? ასეთი უცნაური გაჯიუტება! ასეთი უცნაური საქციელი შენი, მითხარი ერთი რითი აეხსნა, რას მივაწერო?! ბედნიერება კარზედ მოსდგომოდეს კაცს და კაცი უარს ამბობდეს?! ჰმ! ღმერთო, შენ დასწყევლე ყოველი მავნე და ბოროტი სული... არ მიყვარსო, ჩუ, აბა, ჩუ! ხმა არ ამოიღო! დიალ, მანამდე ნუ გათხოვდები, სანამ ვინმე არ შეიყვარო ქალიშვილობაში და კისერზე არ მოეხვიო ისე მაგრად, რომ ვერსად გაგეჭყეს... დიალ! შენმა სიცოცხლემ! არ მიყვარსო? არ გიყვარს, მერე შეგიყვარდება—მანამდი რომელი თავმოყვარე ქალიშვილი დაიწყებს შენსავეთ ასე მოურიდებლად სიყვარულზე ტარტალს!.. ამას მოველოდი შენგან?! შენი უტკუობისათვის ამნაირ ბედნიერებას რავა დაგაკარგინებ? მერე მადლობასაც კი მეტყვი...“

ადამიანის ცხოვრება, გრძნობები და მისწრაფებები ბარბაქაძისათვის ანგარიშს გასაწევი არ არის. ცოცხალ ადამიანს ნაკლები ფასი აქვს ბარბაქაძეთა თვალში, ვინემ შეძლებას და წოდებას. სიმდიდრე—აი, მთავარი მამოძრავებელი ფატი შეხედულებების. ეს იღვია ფილიპეს მშობლიურ გრძნობას და ვალდებულებასაც კი ავიწყებს.

ვიქტორაც ცდილობს დააჯეროს ფილიპე, რომ ირინეს ჩადგება აბესალომის ხელში საცოდავი ქალიშვილის დაღუპვას მოასწავებს: „აბესალომს სრულიად არ აქვს თავი ოჯახს მოეციდოს, არა თუ მოეციდოს, მეტს გეტყვი—იგუოს ოჯახი. დღეს თუ ირინეს გთხოვთ და იმისთვის ირევა, ეგ იმიტომ კი არა, მართლა მისი სურვილით ჰქონდეს გულში, მართლა ცოლად ირჩევდეს მას... არა, მერწმუნეთ ამაში, ბატონო ფილიპე, არასოდეს, მაგ კაცი ასე უტაბედათ აღძრული სურვილითაა და არაფერს ერიდება, რამე გზით კობტა ქალი დაისაკუთროს და მერმისზე ის სრულიად არ ფიქრობს... მაგას დარდი არაფრად აწუხებს, იმიტომ, რომ ცოლსა და ოჯახს თავის თავს არ შეაწუხებინებს. აბესალომისთანა ხასიათის ყმაწვილები საოჯახოთ არ გაუჩენია ღმერთს და როცა შემცდარან და შემთხვევით მოჰკიდებიან ოჯახს, იქ სიკეთე ჯერეთ არავის უნახავს. საუბედუროთ ამის მაგალითები საკმაოა ჩვენში!.. თუ ვინმე გაძლებს მაგასთან, ისევე მაგ ხასიათის მაგვარი ქალი, თორემ მეოჯახე, მშვიდობიანი, ღვთისნიერი ჭმნილება მაგათ სიახლოვეს უკიდურესად გაწვალბებულია და წამებული. დამიჯერე, ფილიპე, რომ შენს ირინესაც ამგვარ მომავალს გაუმზადებთ თუ უარი არ მიუვცე აბესალომს.“

აბესალომის დახასიათება, როგორც მეოჯახე ადამიანისა საუბრებში კრის მოცემული ვიქტორის ამ სიტყვებში. მაგრამ სამწუხაროდ ვიქტორის სიტყვებს არავინ ჰყავს გამგონე. ფილიპე ბარბაქაძე სიბნელისა და უვიციობის მორევშია შეტყობილი. მასზე ვერავითარი კეთილი სურვილი, გონიერი სიტყვა ვერ მოქმედობს. ვიქტორის სიტყვებს არავითარ ანგარიშს არ უწყევს. მას შეუძლებლად მიიჩნია აბესალო სალამთაძისათვის უარის თქმა, რომ ვერ მისცემს ცოლად ირინეს. მას ამ საქმეში გონება დაუხშო აბესალოს შეძლებამ და გვარიშვილობამ. ირინე მისცა ცოლად აბესალოს. ფილიპემ უარყო როდამიშვილი და სამაგეროდ თავისი შვილი ჩაუგდო ხელში უბადრუკ, თავქარიან და დაცემულ ადამიანს.

„ირინეს ბედნიერება“-ს მეორე მოქმედება შედარებით მკრთალი და მოდუნებულია. ის ცხოველმყოფელობა, ის დინამიურობა, რომელიც უადრესად ახასიათებდა პირველ მოქმედებას, აქ უკვე აღარ სჩანს. ამის მიზეზი მეორე მოქმედების საერთო ხასიათშია ცუნდა ვეძიოთ.

ძალით გათხოვილი ირინე კარგ, მშვიდ და ენერგიულ მეოჯახე ქალად გამოჰყავს დ. კლდიაშვილს. სცენაზე რომ დებს შემოდგამს, მაშინვე თავის ორ დაკარგულ ტუტზე დაუწყებს ლაპარაკს თავის დედამთილს.

მეორე მოქმედების დასასრულს იქვიანობის კლანჭებში ჩაეარდნილი აბესალო ხანჯალს დასცემს ირინეს და მოჰკლავს.

ღარიბ აზნაურს, დარისპანს („დარისპანის ვასაჰირი“) გაუჭირდა ქალიშვილების შენახვა, პატრონობა, იგი ღარიბი აზნაურია, იგი ცდილობს რაც შეიძლება აღრიანათ გაათხოვოს ქალიშვილი. ამოსდგომია თავის დამთხვეულ ქალიშვილს და სოფელ-სოფელ დაატარებს დარისპანი, რათა საქმრო უმოეროს, მაგრამ არაფერი ეშველა, ვერ გაასალა თავისი კაროენა. იგი ამას შესჩივის ყველას.

სადაც დაირის და „ბუზიკის“ ხმას გაიგონებს დარისპანი, იმ წუთშივე იქ გაჩნდება თავისი ქალით. სადაც სადმე შეკრებილებაში მოხვდება, დარისპანი ცდილობს შეკრებილებაში ხმა ამოაღებინოს კაროენას, ამღეროს აცეკვოს, დააკრევინოს „ბუსიკანტი“—იქნებ ვისმეს მოეწონოს და ამით გაასალოს ქალი. მაგრამ კაროენა ვერ მოქმედობს მამის დავალების მიხედვით. მეტად მძიმეთ მიმდინარეობს მისი საუბარი, ცეკვა და მღერა.

—„წაწალმა მომკლა, მართა ჩემო, წაწალმა“—ერთ საღამოს მოსვლის უმაღ მიმართა გამწარებულმა დარისპანმა თავის ნათესავ ქალს.—დავთარევე ამ ოჯახდასაქცევს, და კაცი არ გამოჩნდა ამის წამყვანი“.

დარისპანს გაუბარდება, როდესაც გაიგებს, რომ ამ საღამოთი მართას უცოლო ვაჟი ეწვევა: იქნებ კაროენას ეხლა გაუღიმოს ბედმაო. მოუთმენლად მოვლის სტუმარს.

მოვიდა ძვირფასი ნანატრი სტუმარი. საერთო მზიარულება და დროს ვატარება. მხოლოდ დარისპანია გაჭივრებაში, არ მზიარულობს მისი გული: ამის მიზეზია კაროენა. იგი ვერ იჩენს შნის სტუმრებთან, ხმას არ იღებს.

დაირის ხმამ დაარღვია ეს მდგომარეობა. კაროენა თითქო გამოცოცხლდა. იგი ეჯიბრება სხვებს ცეკვაში. თავგამეტებით მოძრაობს, მაგრამ ბედლა აქაც უმტყუნა: თურმე ვაჟს საცოლე უკვე დანიშნული ჰყოლია.

ამ ამბავმა შეაშფოთა დარისპანი, მაგრამ იგი არ იმჩნევს ამას არც ერთს გულს და სხვების გასაგონად გაიძახის: „თავს ლაღი დაეასხე ქვედაწიქს, სისიძოს, ჩემი ქალი კიდევ, რომ შემეტებოდეს გასათხოვებლად, მაგას მაინც არ ვატან“.

ეკონომიურად შევიწროვებული აზნაურის ტრალი-კომედია მეტად ღრმად არის გადმოცემული „დარისპანის გასაქირში“.

დ. კლდიაშვილი არ იყო სატირიკოსი, იგი მხოლოდ თავის სოციალურ გარემოს ჰიუმორისტული იყო. საერთოდ ჰიუმორისტისათვის დამახასიათებელია ის, რომ გვიხატავს რა მოვლენას გამოხუმრებით, ის მაინც ამ მოვლენას შებრალებით ეპყრობა, სატირიკოსი კი ყოველთვის თავის ამოცანად ისახავს ცხოვრებაში არსებულ ბოროტებას დასცინის, რადგან ის პრინციპიალურად სამტრო და დასავმობია. დ. კლდიაშვილი, როგორც ვიცით დაქვეშაობული იყო მაინც ამ წყრილ მემამულეთა ყოფასთან, აზნაურობასთან. და ამიტომ არ შეიძლება ყოფილიყო მისი სატირიკოსი.

„ირინეს ბედნიერება“ და „როსტომ მანველიძე“ აზნაურული ყოფის სხვა მხარეებს გვაცნობს, მაგრამ მათი მომქმედი პირობები—აზნაურები სოლომონ შორებელაძე და კირილე მიმინოშვილზე შორს არ არიან წასული.

დროულია აქ ერთი პარალელი:

სალტიკოვ-შჩედრინი იცინოდა ყოველთვის არა იმაზე, რასაც ხედავდა ცხოვრებაში, არამედ იმაზე, თუ თვითონ როგორ გვიამბობდა და აგვიწერდა მოვლენებს, მდგომარეობას. შეიცვალოს ცოტათი თხრობის მანერა, ენის მოქნილობა და კონსტრუქცია და მაშინ ჰიუმორისტული ეფექტიც უსათუოდ მეტად შენელებდა. სალტიკოვ-შჩედრინი მოგვითხრობს, რომ ერთ გუბერნატორს ჩვეულებად ჰქონდა მთელი დღეები ემეორებია ერთი და იგივე რომელიმე სიტყვა. მოაგონებოდა მაგ. სიტყვა: „არ არის კანონი“ და მას მთელი დღეების განმავლობაში იმეორებდა. იქამდე გაიტაცებდა მას ეს სიტყვა, რომ როდესაც მას მოახსენებდნენ სადილი მზათ არისო, იგი მაინც გაიძახოდა: „არ არის კანონი“.

—„აჰ, Nicolas, როგორი გონება დაფანტული ხარ!—შენიშნავდა ხოლმე გუბერნატორმა“.

—„აჰ, ქალო!—გამოეხმარებოდა გუბერნატორი და ამ წამიდან „არ არის კანონის“ მაგიერ დაიწყებოდა „აჰ, ქალო“.

„უნდა ითქვას, რომ ეს ჩვეულება მეტად აძნელებს ჩვენი კუთხის უფროსთან კავშირს, ხოლო ის ვინც არ იცნობს მის ჩვეულებებს, მეტად აკვირებს თავისი ქცევით. მე მახსოვს, ერთი ესტლანდიელი ბარონი, რომელმაც ორასი ვერსი გამოიარა საჩივლელად, რომ მას საწყობიდან ორი ალუბლის ხე მოჰპარეს, ძლიერ შეურაცყოფილი დარჩა, როდესაც გუბერნეტორმა მას ყოველგვარი რეზოლიუციის მაგიერ უთხრა მას: „აჰ, ქალო“. ბარონმა კინალამ უჩივლა მას ამის შესახებ უმაღლეს მმართველობასთან.

—„რას გავს ეს,—მიამბობდა ის,—მასთან ვეძებთ სამართალს და იგი კი შეუბნება: „აჰ, ქალო“.



ასე არ იყო კლდიაშვილი. მკითხველში მის მოთხოვნებიდან პიუორის-ტულ განწყობილებებს ქმნიდა უმთავრესად მომქმედი პირების მოქმედება, ხოლო სიტყვიერი მასალა კი კიდევ უფრო აძლიერებდა მას.

ერთ განსაკუთრებულ მოვლენას ვამჩნევთ დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში: მწერლის თვისებები, მატერული უნარიანობა მკრთალდებოდა როდესაც იგი გამოდიოდა თავის სამყაროდან, აზნაურების ცხოვრების დახასიათებიდან და ეხებოდა სხვა ხასიათის მოვლენებს. დ. კლდიაშვილი მხოლოდ აზნაურობის ყოფის საფუძველზე ქმნიდა „უკვდავ“ სურათებს.

წერილ მემამულეთა, აზნაურთა წრემ განაახლგრა დ. კლდიაშვილის შემოქმედების მთელი სტრუქტურული ელემენტები—ხასიათები, პორტრეტები, სცენები და მოძრაობები.

აზნაურობის ყოფა, რომელიც ქმნიდა თავისებურ ხასიათს, განირჩეოდა თავისებური სასაუბრო ენითაც. დ. კლდიაშვილის მოთხოვნები და პიესები სავსეა ავოლიზმით და ამლიკაციებით, პროვინციალიზმით, დამახასიათებელი სფიტყვებით და გამოთქმებით. აზნაურების ყოველდღიური, ჩვეულებრივი სასაუბრო ენა დ. კლდიაშვილის ნაწერებში იქცა მთელ სტილისტიურ ხერხათ, რითაც საშვალემა მოგვეცა სრულად გაგვეთვალისწინებია აზნაურული ყოფა.

დ. კლდიაშვილის აზნაურების ფსიქიკა არ არის რთული. იგი მეტად პრიმიტიულია. ამიტომ მწერალს არ სჭირდებოდა მომქმედ პირთა ფსიქოლოგიური ანალიზი. სამაგიეროთ დავით კლდიაშვილი მომქმედ პირთა დიდ გალერეიას იძლეოდა.

დ. კლდიაშვილის კომპოზიციურ ხერხთაგან აღსანიშნავია, რომ იგი არ იძლეოდა ხასიათის ევოლიუციას. იგი თავისი მომქმედი პირების უკვე გამომუშავებულს, მყარ ხასიათს იძლეოდა. ამას თავისი გასამართლებელი საბუთიც ჰქონდა. მეტად პრიმიტიული იყო მისი ნაწერების მომქმედი პირები, მათი ფსიქიკა, რაც არ იძლეოდა მასალას ევოლიუციის გადმოსაცემად.

მომქმედი პირის ევოლიუციის მიუცემლობა თავისებური დამახასიათებელია დ. კლდიაშვილის მთელი შემოქმედებისათვის. როგორც ცნობილია, ყველა მწერალი ამ კომპოზიციურ ხერხს არ მიმართავდა (ი. ჭავჭავაძე, გ. წერეთელი და სხვ.).

დ. კლდიაშვილის ნაწერების მომქმედი პირები არა მარტო წოდებრივი ან ეკონომიური ნიშნებით ემსგავსებიან ერთმანეთს, არამედ თავიანთი ფსიქოლოგიური წყობითაც. მაგ., ფსიქოლოგიურად დაღ განსზვავებას ვერ დაინახავთ კირილე მიმინოვილსა („სამანიშვილის დედინაცვალი“) და აბესალო სლამთაძეს („ირინეს ბედნიერება“), ან, პლატონ სამანიშვილსა („სამანიშვილის დედინაცვალი“) და ოტია ქამუშაძის („ქამუშაძის გაჭირება“) შორის.

დ. კლდიაშვილის ნაწერებში ვერ ფნახულობთ ძირითად მომქმედ პირებს—გმირებს. აზნაურულ წრეში ყველა თანასწორი იყო თავისი ეკონომიური, მორალური და გონებრივი თვისებებით.

დ. კლდიაშვილი უდიდესი პორტრეტისტი იყო. პიროვნებებს იგი პრიმიტიულ და მარტივ სახეობათ გვიდგენდა, მაგრამ თვითთულ მათგანს მაინც ჰქონდა თავისი, ნიშანდობლივი თვისებები. ამ პიროვნებების პრიმიტიულობას

დ. კლდიაშვილი არ იგონებდა მხატვრული ეფექტისათვის, ხელოვნურად არ ქმნიდა მას, არამედ ასეთი იყო ცხოვრებაში ის წრე, რომელშიც მას უნდა შეეტყობა.

დ. კლდიაშვილი კონტურების უჩვეულო ხელოვანი იყოს მისი მხატვრობის რამდენიმე სიტყვით დაეხატა სახე ისე, რომ იგი მკითხველის წინაშე წარსდგებოდა, როგორც ცოცხალი და დამახასიათებელი მოვლენა.

ასეთია დ. კლდიაშვილის შემოქმედება.

ებლა, როდესაც მთელი ეს შემოქმედება დასრულებულ, ისტორიულ ფორმაში გვაქვს მოცემული, საჭიროა ერთგვარი დასკვნაც გაუკეთოთ მას.

კლასი მთლიანად არ არის მონოლიტური თავის იდეოლოგიაში და ფსიქიკაში. ისტორიის ასპარეზზე იგი შოდის წინააღმდეგობებით. მოძრაობის პერიოდში კლასში ხდება „დიფერენციაცია“, იქმნება სხვადასხვა ჯგუფები, რომლებიც ებმებიან ერთმანეთის საწინააღმდეგო შინაკლასიურ ბრძოლაში. თავისთავად ცხადია, ეს ბრძოლა მიმდინარეობს განსაზღვრულ კლასიურ ფარგლებში.

თუ ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ესა თუ ის ჯგუფი ან მისი წარმომადგენელი გამოდის თავის კლასის წინააღმდეგ, სინამდვილეში ამ გამოსვლას აქვს განსაზღვრული კლასიური „აქედან“ „აქამდე“: ჩვენ ვიცით მთელი რიგი მწერლებისა, რომლებიც ოპოზიციონურად იყვენ განწყობილი ბურჟუაზიისადმი, მაგრამ მათ მაინც არ მიიღეს ოქტომბრის რევოლიუცია. რას ამტკიცებს ეს?—ეს ამტკიცებს იმას, რომ ისინი წარმომადგენდნ ბურჟუაზიული აზროვნების ერთ-ერთ ჯგუფს, რომელიც სახადა კლასის შიგნით არსებულ წინააღმდეგობებს.

ასეთივე იყო დ. კლდიაშვილის შემოქმედებაც. იგი თავისი წოდება—აზნაურობის შიგნით არსებულ წინააღმდეგობებს გვიხატავდა.

გოგოლმა ოდესღაც რომში ყოფნისას თავის თავის შესახებ სთქვა: „მე მომწონს ის ყვაილები, რომლებიც თავისთავად აღმოცენდებიან საფლაგზე“. ასევე შეეძლო თამამად ეთქვა დ. კლდიაშვილსაც, რომლის შემოქმედებაც იგივე ყვაილები იყო მიმავალ თავად-აზნაურულ საქართველოზე.

დ. კლდიაშვილის შემოქმედება წარსული კულტურის მემკვიდრეობაა. გამარჯვებული პროლეტარიატი მას მიიღებს, კრიტიკულად გადაამუშავებს და ისე გამოიყენებს.





# ბიბლიობრაფია

ლ. მელიქსეთ-ბეგი: „საიათნოვა“. გამ. „ქართული წიგნი“. 1930 წ.

საიათნოვა მეთვრამეტე საუკუნის ცნობილი აწვლია, რომელიც რამდენიმე უნახე წერდა ლექსებს. ბესიკის შემდეგ ქართული პოეზიიდან იგი გამოარჩევა თავისი ინტონაციითა და პოეტური სახეებით. ამ ტიპის მგოსნებს იცნობს დასაუღეთიც: მინგინგერებისა და ტრუბადურების პოეზია ძვირფასი მასალაა ლიტერატურის ისტორიკოსებისათვის და მისადმი ინტერესი დღემდე არ შენელებულა.

ამჟამად ხელახლა წამოიყვანა თავი საიათნოვას საკითხმა. გამოიყვა ორი შრომა—გ. ლეონიძის: „მგოსანი საიათნოვა“ და ლ. მელიქსეთ-ბეგის: „საიათნოვა“. (ორივე „ქართული წიგნი“-შიერ). ჩვენი რეცენზიის საგანს ამ უკანასკნელის მოკლე განხილვა შეადგენს.

ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ საიათნოვას საკითხი უმთავრესად ისტორიულ-ფილოლოგიურის ვხით არის კვლეული. იქ, საცა ავტორი საიათნოვას ფორმალ მიღწევებზე საუბრობს ნაკლებაა ყურადღასაღებო, რადგან საკითხებს გადაჭრა მარტივს დასკვნებშია მოცემული.

ლ. მელიქსეთ-ბეგი იწყებს საიათნოვას საკითხის ისტორიით, რომელიც საიათნოვას გარშემო არსებულ ლიტერატურულ მასალების ჩამოთვლით ამოიწურება. ამ მასალების აღმოცენების ეტაპებად დავყოფისას მთავარ მაგისტრალს ტრონილოფია ტწნის. მკვლევარის მიერ დაწერილებით არის ჩამოთვლილი ის ავტორები, რომელთა შრომებს ლ. მელიქსეთ-ბეგი გზა და გზა შესაფერ შენიწენებს უყუთებს. ამ ავტორთა შორის მთავარ ყურადღებას საიათნოვას პირველი ბიოგრაფი და მკვლევარი გ. აბევრდოვი (აბევრდიანიცი) იტყვეს, რომელიც ცნობილია აგრეთვე თავისი საინტერესო მონოგრაფიით ტფილისის ამკართა შესახებ.

ამ მასალების კრიტიკისა და მთელი რიგ აბალ მკვლევათა ნიდაღზე ლ. მელიქსეთ-ბეგი

არყვეს საიათნოვას საკმაო ძნელით მოცულ საკითხს.

სარეცენზიო მიზობილვაში შეფილებელია დაწერილებით აღნუსხვა ყველა იმ მოსახრებების, რომელიც ლ. მელიქსეთ-ბეგს გამოყავს სხვადასხვა ფაქტების კრიტიკულად შემოწმებიდან—საიათნოვას დაბადების თარიღის გამოსარკვევად, მისი პროფესიის საკითხის გადასაწყვეტად და სხვა კულტურულ-ისტორიული პრობლემების გასაშუტებლად.

წიგნის ცენტრალურ იდეას, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს მტკიცება იმის შესახებ, რომ „საიათნოვას“ ერთარსი პირიყნება ზალბში სამ სახედ იყო ცნობილი, რომელთაგან ერთია „არუთინა მკეტრვალის“, მეორე „საიათნოვა მელექსეთ“ და მესამე „სტეფანე მლედელი“ გინა „ბერი“. ამ მოსახრებას ლ. მელიქსეთ-ბეგი ჰაპოტეხის სახით გამოთქვამს, რომლისათვისაც მას შესაფერი საბუთები გააჩნია. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მკვლევარის მითითება „თავერიშის სომხური კატალოგის“ მინაწერებზე, რომელსაც თვით მისი პირველ რედაქტორის, არმენისტ ატარიანის ყურადღება არ მიუტყვევია და სხვა მკვლევართაც გაპირებით შედეფილობიდან. ამ მინაწერებს, როგორც შენიშნავს ლ. მელიქსეთ-ბეგი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საიათნოვას ეინაობის საკითხის გამოსარკვევად. პირველი მინაწერი მოკლედ ასეთია „საიათნოვას დაწერილია“ (სარეც წიგნის გვ. 82). მეორე მინაწერში კი „მლედელი სტეფანე“ თხოფლობს „ლოციით მოხსენებას“ და ჩამოთვლის მშობლებს: „მატეს, კარაპეტა“-სა და სარას. ესენი კი ცნობილი არიან, როგორც საიათნოვას მშობლები მესამე მინაწერი ასეთია: „ო, მკითხველო, მოიხსენე მლედელი სტეფანე ტფილისელი დაიწერა კახს) 1215 (=1766)-ს“ მესამე მინაწერში კი „მლედელი სტეფანე“ პირდაპირ აღ-

ნიშნავს, რომ მას წინად საცად-ნოვას უწოდებდნ და ჩამოთვლის იმავე შემობლების სახელებს. (გვ. 83).

ამ მინაწერთა მოყვანის შემდეგ ლ. მელიქსედ-ბეგი დასძინს, რომ „თავისთავად ცნაჲლი, თუ რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ზემოდ მოყვანილ ლაკონიურ მინაწერებს „ანაფორიანი“ საიათნოვას საკითხის გამოსარკვევად“—ო. (იქვე).

ცნობილია, რომ ქართულ ხელნაწერებში დაცულია ვინმე სტეფანე მკერცელის ლექსები, რომელიც საიათნოვას ლიტერატურულ მიმბაძევლობად არის მიჩნეული, თვით ავტორის ვინაობა კი დღემდე გამოურკვეველია. ლ. მელიქსედ-ბეგი ფიქრობს, რომ ეს „სტეფანე მკერცელის“ არის სწორედ ის „ღვთისმეტყველანი“, რომლის შესახებაც „თავისთავად სომხურს კატალოგის“ მინაწერები ლამპარაკობს. ყოველ შემთხვევაში ამ ჰიპოტეზის საფუძვლიანობას მოუთხოვებს სხვა გარემოებაც: როგორც ლ. მელიქსედ-ბეგი აღნიშნავს, ი. გრიშაშვილის მიერ გამოქვეყნებული საიათნოვას ლექსი „ღმრთიდან არ მსურს სული შენთვის“ (გრიშ. „საიათ.“ გვ. 106), ქ. შ. წ. ს.-ის ხელნაწერის № 1543-ის ქვეშ არის დაცული, ხოლო იგივე ლექსი კოლექციის № 3688-ით „სტეფანე მკერცელის“ ლექსად არის მიჩნეული. (იხ. სარცე, წიგნის გვ. 94).

ასეთსავე შემთხვევას აქვს ადგილი პრ. კ. კეკელიძის მიერ გამოქვეყნებულ საიათნოვას ერთი ლექსის მიმართაც. (იხ. „ქართ. ლიტ. ისტორია“, II, გვ. 485—6; სარცე, წიგნის გვ. 94). ჯერჯერ ამითა და ამასთან ერთად, სხვა საბუთების მოშველებით ლ. მელიქსედ-ბეგი გამოთქვამს იმ ჰიპოტეზას, რომლის შესახებ ზემოდ გვქონდა საუბარი.

წიგნს დართული აქვს „სტეფანე მკერცელის“ ლექსები. ამ ლექსების წაკითხვისას საიათნოვას ლექსებს მიჩვეული მკითხველი ადვილად შეამჩნევს ისეთ მოუხეშებელ გამოთქმებს, რაც საიათნოვას პოეზიისათვის უცნობია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ინტონაციურ ტაქტოლოგიებს (რომელიც აწუღებდა პოეზიას ახასიათებს საერთოდ და ამ მხრით იგიუბობის ნიშნის დასმა ორ პოეტს შორის მუდამ არის შესაძლებელი)—არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ საიათნოვას გეთენოდეს მაგალითად ასეთი სტრიქონი: „მაჯნულს ლულ ქვეყანა მოვარია“ და სხვა. მაგრამ შეიძლება ასეთი შემთხვევების მიხედვით დადამწერის შესწორებანი დავასახელოთ და მაშინ საკითხის დასმა სულ სხვა მიმართულებას მიიღებს: სტეფანე მკერცელის უნიკო პოეტად გამოცხადება (როგორც ეს წარმოადგენდა ვარიანტების მიხედვით ნაწილობრივად შესაძლებელი) ამით საფუძველი ეცლება.

საერთოდ „ნიტოსა“ და „პოეტურა“ ტალანტის შესახებ საუბარი ჩვენს ისტორიკოს-სოციოლოგიურს ნარკვევებში მშრიად სასაცილო სახეს იღებს. ი. გრიშაშვილი თავის გამოკვლევაში საიათნოვას ქართულ ლექსებს „დაბდაბუდას“(!) უწოდებს. პრ. კ. კეკელიძე იმეორებს ამ აზრს და პოეტის შეხედულებას მინდობილი (თავის წიგნში გრიშაშვილი ბევრ სხვა უცნურ შეხედულებებსაც გამოთქვამს) წერს: „მიუხედავად ამისა, საიათნოვას „დაბდაბუდა“ პოეზია გაკვლენას ახდენდა მის თანამედროვე პოეტს ბესიკ-ზე“—ო (ქართ. ლიტ. ისტორია, II, 487). როგორც გრიშაშვილი, ისე კ. კეკელიძე სცოდავენ იმ მხრით,—რომ საიათნოვას მინიშნელოვანი პოეტურ ღირსებებს (მათი ქართული ლექსების მიხედვით) ზემოდ მოყვანილ სიტყვებით ამკობენ

საიათნოვას იდეების სფერო ეიწროა და შეხედულებით. მის ინტერნაციონალურ მნიშვნელობაზე საუბარი შეიძლება იმედნად, რამდენადაც საიათნოვად წერდა ქართულს, სომხურს და თათრულს ენაზე და ერთი ერთი პატრიოტიზმით არ იყო სწეული. მაგრამ ეს არ კმარა მკოსნის ინტერნაციონალურ შემოქმედად გამოცხადებისათვის: საიათნოვას იდეების ჰორიზონტი არც ისე ფართოა, როგორც ეს ზოგიერთებს გახვიადებოდა წარმოუდგენიათ.

ლ. მელიქსედ-ბეგის მიერ საიათნოვას ბიოგრაფიის ბეგრი, დღემდე საკამათო საკითხი საბოლოოდ არის გადაწყვეტილი. ასეთია მაგ. უარყოფა საიათნოვას შესახებ შეთხზულ ეპისკოპოზობის ზღაპრისა, რომელსაც მკვლევარი იგემ-მითხარეული საბუთებით აქარწყლებს. ასევე მამაგრებელი მტკიცებით არღვევს იგი ვ. ბრთსოვისა და ო. თფანიაანის შენიშვნებს საიათნოვას ბიოგრაფიის სხვა დეტალების გარშემო. ეს გამოკვლევა ქართული არამნიშტიკის სფეროში მნიშვნელოვანი მოვლენაა საზოგადოდ და საიათნოვას სკიოთის ისტორიაში ახალი თარიღის შემტანი—ყროდ.

დასასრულ უნდა აღინიშნოს შემდეგი: თუ ჩვენში შესაძლებელი ხდება ერთსადაიმავ პოეტზე რამდენიმე მონოგრაფიის გამოშვება, მაშინ ისიც უნდა იქნას შესაძლებელი, რომ მონოგრაფიის ავტორებმა უფრო მეტად იფიქრონ მწერლის შემოქმედების სოციოლოგიის რკვევებზე ლიტერატურის ისტორიკოსებს თითქმის ეს არ ევალბათ.(!) ნამდვილად კი ლიტერატურის ისტორიული კვლევისათვის აუცილებელია მარტისიტულ—სოციოლოგიური თვალსაზრისის მიმარყვება.

ა. კ. გაწერელია.



0. სიხარულიძე. „ენის დაკვირვება“. გამოც. სახელგამოცემი

სოციალისტური აღმშენებლობა გარკვეულად სეამს იდეოლოგიური ფორმის მთლიანად დაპყრობის საკითხს. სოციალიზმის ბუმბერაზული აღმშენებლობა მოითხოვს სოციალისტურ შეტევას ყველა ფორმებზე, ერთობლად ასეთ ფორმად მიჩნეულია განათლების ფორმა. ამ მხრივ ჩვენ ვერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაფიქრებელი, ჩვენ მოსწავლელ ახალგაზრდობას ზოგ შემთხვევაში უბედება იდეოლოგიურად გაუმართლებელი სახელმძღვანელოებით სარგებლობა. იდეალისტური მეთოდოლოგია ცდილობს ყველა დისციპლინებში თავის გამოვლენას. ბრძოლა იდეალისტურ ფორმალისტურ მეთოდოლოგიის წინააღმდეგ სოციალისტური აღმშენებლობის გადაუდებელი ამოცანაა. დღეს იდეალისტური ნაყარნჯვართ სოციალიზმისათვის მებრძოლი კადრების აღზრდა შეუძლებელია. იდეალისტური მეთოდი, როგორც არა შეცნობილი, რეაქციონერი მეთოდი განდევნილ უნდა იქნეს ყველა დისციპლინიდან, ყველა სახელმძღვანელოებიდან.

ამ მიზნით უნდა განვიხილოთ ილია სიხარულიძის წიგნი „ენის დაკვირვება“, რომელიც განკუთვნილია მოსწავლელ ახალგაზრდობისათვის. ავტორის მიერ აქ დასმული და თავისებურად გადაჭრილია მთელი რიგი ენობრივი მოვლენები. აქ უნდა შევხვთ ავტორის მიერ ორთოგრაფიის საკითხის გამოჭერას. რასაკვირველია, ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ სხვა საკითხების გადაჭრა სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველს ემყარებოდეს, მაგრამ წიგნის მთელი მეთოდოლოგიური ბუნების გამოსარკვევად საქმეა მარტოოდენ ორთოგრაფიის და კერძოდ სასვენი ნიშნების ხმარება. სწავლების საკითხის განხილვისას ავტორი არ მიაღეს თავის იდეოლოგიურ სახეს და წიგნს განმარტებით ბარათში დასძენს, რომ იგი ანალიზს ახდენს მხოლოდ ინტონაციაზე დაკვირვებით, რომ მისთვის მთავარია მეტყველების ინტონაციურ ერთეულებად დანაწილება. იგი ფერდნობა რუს ფორმალისტს პეშკოვსკის და ფორმალისმის ქართველ წყარომადგენლებს შენიშნავს, ჩიკობავას და სხვ. რასაკვირველია, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ სიხარულიძეს ორგანიზებული რამ შემოატანდეს ორთოგრაფიაში. მის მიერ სასვენი ნიშნების ბუნების გამოკვლევა გადამღერება პეშკოვსკის მიერ ამ საკითხებზე დაწერილ შრომის.

სასვენი ნიშნების სწავლებას სიხარულიძე, ისე როგორც პეშკოვსკი და სხვა ფორმალისტები უკავშირებს სიტყვის ინტონაციის ცვლას, ხმის აწევას ან დაშვებას. სანამ კონკრეტულ საკითხებზე გადავიდოდეთ, მანამ ურდა გამოკვეთულ იქნას თუ რამდენად სწორია სასვენი ნიშნების ინტონაციის და ხმის აწვევა-დაწვევის მიხედვით დასმა. რამდენად სწორია, რომ იქ, სადაც დიდი პაუზაა წერტილი დასვას, ხოლო სადაც მცირე პაუზაა—შიმე და ა. შ.

როგორც ცნობილია, აზროვნებას საქმე აქვს ცნებებთან, ხოლო კავშირი ამ ცნებათა შორის არის აზროვნების პროცესი. მაგრამ რომ ეს პროცესი სხვებისთვის გასაგებები გახდეს საჭიროა მეტყველება, რომელიც ცნებათა კავშირს ბგერითი სახით წარმოვადგენს. რომ გავივით სხვისი აზრი ამისათვის საჭიროა ბგერათა გარკვეულ კომპლექსში გამოთქმული აზრი სმენითი სახით აღვიქვით, მაგრამ სხვისი აზრის გასაგებად ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ არა მარტო სმენითი აღქმას, არამედ მხედველობითი აღქმასაც, ე. ი. მხედველობით აღვიქვით ის, რაც დაწერილია. მაშ, აზრი ჩვენ შეგვიძლია აღვიქვით ან სმენითი ან მხედველობითი გზით. ამიტომ, გასაკვირია, როდესაც სასვენი ნიშნების თეორიული მხარის გარკვევისას ამტკიცებენ, რომ სასვენი ნიშნების დანიშნულებაა—შეაჩივოს მოწაფეების გონებითი ხმით იკითხოს ესა თუ ის ნიშანი. ანალოგიური აზრი აქვს გამოთქმული ი. სიხარულიძეს თავისი წიგნის განმარტებითი ბარათში. მე ვფიქრობ რომ აქ ხმით კითხვა არაფერ შუაშია.

ძირითადი ამოცანაა, რომელიც სასვენი ნიშნების უნდა დაეცახოს მდგომარეობს იმაში, რომ იგი დაგვეხმაროს გავიგოთ ერთი აზრის მეორე აზრთან მიმართება. იგი უნდა დაგვეხმაროს გავიგოთ აზროვნების ის ნაუანსებები, რომლის მიტარებელია მათ აზრზე სუბიექტი.

თუ ეს ასეა მაშინ რალა საჭიროა აქ მეტყველების მოსაშვალეობა, როგორც ამას სიხარულიძე ამტკიცებს? ჩვენ ხომ შეგვიძლია ჩვენი ნაზრები უშუალოდ ქალაქზე გადავიტანოთ და მარტო მხედველობითი აღქმას მივმართოთ? როცა მეტყველების მოსაშვალეობაზე ლაპარაკობენ, როცა ამბობენ, რომ სასვენი ნიშნები უნდა და-

გვემხაროს წაეკითხათ ისე, როგორც ეს მეტყველებდა შიკარა მარმადგენილი, ამას მხოლოდ საქმის გართულება თუ შეუძლია.

როცა სასვენი ნიშნებს ერთგარ დეკლამაციურ როლს უსახევენ, როცა ამ ნიშნების გამოყენებას ინტონაციით, პაუზით და ხმის აწვე-დაწვევის სხვადასხვა ვარიაციებით განსაზღვრავთ ეს სხვა არ არის რა თუ არა იმ შთავარის დავიწვება, რომ მეტყველებაშიც და ორთოგრაფიაშიც საფუძველი და შინაარსი არის აზრი. ეს არის დავიწვება იმ დებულების, რომ ინტონაციის და პაუზის ესა თუ ის ცვლილება გამოიწვევლია თვით აზრის, შინაარსის მოთხოვნილებით. ასეთ ყალბ მეთოდოლოგიურ საფუძველს ადგია პეშკოვსკი და მისი ქათუველი გვიგონი ი. სიხარულიძე. წინაშე მოყვანილ დებულებიდან ერთი შეხედვით თითქოს გამოდის, რომ სასვენი ნიშნების იმგვარი გამოყენება, როგორც ეს პეშკოვსკის და სიხარულიძეს აქვს მოცემული მართებულაა, ე. ი. თუ პაუზა-ინტონაციის ცვლილება აზრის ცვლილებით არის გამოიწვეული, მაშინ სასვენი ნიშნების ხმარების დროს თითქოს პაუზა-ინტონაციას უნდა მიეცეს უფრადღება, ე. ი. თუ შინაარსის ცვლილება იწვევს ფორმის ცვლილებას, მაშინ ჩვენ თითქოს შეგვეძლება, რომ ფორმის ცვლილებით თვით შინაარსის ცვლილება გავიგოთ. მაგრამ ეს უმეტადი შეხედულებაა: ყოველთვის როდი ხდება რომ ფორმა ყოველგან და ყოველთვის გამოხატავდეს შინაარსის ცვლილებას. ამგვარაა, რომ შინაარსის ცვლილება შეიძლება ფორმაში, მაგრამ საყვებით შესაძლებელია რომ შინაარსის ცვლილება არ იყოს სათანადოთ გამოხატული ფორმაში. ენის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე შინაარსსა და ფორმას შორის ჩნდება ერთგვარი შეუსაბამობა, ერთგვარი კოლიზია, მაგრამ ეს ფორმის და შინაარსის დამოუკიდებელ არსებობაზე კი არ მიგვითითებს. თვით ეს შესაბამობა, კოლიზია, შინაარსსა და ფორმის შორის არის ერთგვარი შესაბამობა, რომელიც ნაკარნახევია თვით შინაარსის მოთხოვნილებით. ფორმა და შინაარსი ენაში კი არ არიან ერთმანეთისაგან მოწყვეტილად მოცემული, არამედ მათ შორის დიალექტიკური ერთიანობაა. თვით ის ფაქტი, რომ შეუსაბამობა ფორმასა და შინაარსს შორის არსებობს ობიექტიურად, რომ ის მეტყველებაში გამოხატულია ლაპარაკობს ამ დებულების საპირგებლით.

ჩვენ უარვევად როგორც დოგმატიზმს, ისე ფორმალისტს, როგორც ფორმის ისე შინაარსის თა-

ვისთავადობას. ჩვენთვის ორივე ეს მიმენტი ერთიანობაშია მოცემული. მაგრამ ანალიზის დროს ამოსავალ წერტილად უნდა მივიღოთ იქნას არა ფორმა, არა ინტონაცია, არა სხვა შინაარსი, აზრი. აი სწორედ ამ სწორ მეთოდოლოგიურ მიდგომას უფლის გვერდს ი. სიხარულიძე. სადაო აქ სწორედ ის არის, რომ ანალიზის ამოსავალ წერტილად სიხარულიძეს ფორმის ანალიზი აქვს მოცემული, ანალიზი, რომელიც უტყულებულ ყოფს იმ ფაქტს, რომ ცვლილება შინაარსში ყოველთვის ვერ ნახვლობს სათანადო გამოხატულებას ფორმაში, რომელიც იხილება ფორმის შინაარსისაგან მოწყვეტილად და არა მასთან დიალექტიკურ ერთიანობაში. დაეა აქ მეთოდოლოგიური ხასიათისაა, ვინაიდან მივლ სახელმძღვანელოში სიხარულიძე აწვითარებს პირწავარდნილ ფორმალისტურ-იდეალისტურ მეთოდოლოგიას. როგორც ყველა ენობრივი მკვლევარი, ისე ყველა სასვენი ნიშნები წიგნში იდეალისტურ-ფორმალისტური მეთოდით არის დამუშავებული. ავტორი ოდღში იწერება, უაბრავ მაგალითებს იმველიებს, უფრო მეტიც—წინასწარ შთაგონებასაც კი მიმართავს მოსწავლეთა დასარწმუნებლად. და ეს მაშინ, როცა მის მიერ მოყვანილი მაგალითები ავტორის წინააღმდეგ ლაპარაკობენ. მაგ. ის ასეთ კითხვას აძლევს მოსწავლეს: „რომელ კითხვაზე შეტყვადით მეორე სათქმელში? ხმის აუმაღლეთ თუ დაუდაბლეთ?... მათი დასრულება ხმის და დაბლებით და შეტყვებით აღნიშნეთ“ (გვ. 3). ხახი ჩვენია გ. ხ.). ეს ავტორს მაშინ სჭირდება, როცა წერტილის დასმის შესახებ ლაპარაკობს. ამგვარად „ეპარჯიზობით“ მას მოსწავლეები მიყავს შემდეგ დასკვნამდე: „სათქმელის დასრულება ლაპარაკში ხმის დასვებით და შეტყვებით აღნიშნება, წერაში კი წერტილით“ (გვ. 4) გ. ი. სადაც სათქმელი სრულდება იქ თურმე უმეტად და ხმის დადაბლებაშიან გვაქვს საქმე და წერის დროს კი იქ წერტილი უნდა დავიწეროთ. ასევე პაუზა-ინტონაციის მიხედვით სწევს ავტორი სხვა სასვენი ნიშნების საკითხს. მაგ. „ჩართული სიტყვა სათქმელში თავისებური ინტონაციით წარმოითქმის; ამგვარ სიტყვაზე ხმის ვასუსტებით, ვადაბლებით რამდენიმედ“ (გვ. 381). აქედან სიხარულიძე ასკვნის, რომ „ჩართული სათქმელ და სიტყვები მძიმით ეალკვედება წერაში სათქმელის სხვა ნაწილებისაგან“ (გვ. 383).

იგი სულ გაიძამის: ძახილის ინტონაცია, გრძობითი ინტონაცია, კითხვითი ინტონაცია და სხვ. იგი ინტონაციას უღებს საფუძვლად



როგორც ძახილის ნიშნის დაწერას, ისე წერტილშიმის დაწერას, ძახილის ნიშნის შესახებ ის ამბობს: „ამგვარ სათქმულებს ერთგვარი შეძახილის ინტონაცია ახასიათებს. ამიტომ გრძნობითი სათქმულის ბოლოში ძახილის ნიშანი (!) იწერება (გვ. 37). წარტილშიმის შესახებ ამბობს: „ამგვარ სათქმულების ინტონაცია წერტილისას უხბლოვდება, მაგრამ მას სრული წერტილის კილო არ ახასიათებს“ (გვ. 350).

ორი წერტილის შესახებ კი შემდეგს ვაძმოგვცემს: „ჩამოსვლის ბოლოდანის აწეული მკაფიო კილო წერაში ორი წერტილით აღინიშნება“ (გვ. 108).

კიდევ სხვა მრავალი მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა იმის საილიუსტრაციოთ თუ როგორ იყენებს ავტორი ინტონაციას სასვენ ნიშნების დაწერის საფუძვლად, მაგრამ კითხვის არსებითი შიზრესათვის ესეც საკმაოა, მაგრამ ფორმალისტი ავტორი ვეღვანე უფრო მკვეთრად მაშინ გამოიყურება, როდესაც იგი კითხვითი ნიშნის ფუნქციის გარკვევას იწყებს. ავტორის აზრით კითხვითი ნიშანი იქ უნდა დაიწეროს, სადაც ხმის ამაღლებასთან გვაქვს საქმე. „თუ კითხვითი სიტყვა, შენიშნავს ავტორს, სათქმულის ბოლოშია, ხმის ამაღლება,—კითხვის კილო—ამ სიტყვისაგან თანდათან ძლიერდება და კითხვითი სიტყვაზე უმაღლეს წერტილს აღწევს“ და შემდეგ განაგრძობს: „კითხვითი სათქმულში თუ კითხვითი სიტყვები არ არის ნაბმარი, ხმის ამაღლება—კითხვის კილო—სათქმულის უკანასკნელ სიტყვის ზედაშია. ხმის აწევა, კითხვის კილო და აქაქრება თანდათანობით იწყება და ბოლო სიტყვებში და ბოლო სიტყვაში უმაღლეს წერტილსა აღწევს. თუ ასეთი სათქმულის ბოლოში კითხვისნიშანი არ დაესეთ, ვერ გავიგებთ სათქმული კითხვითია თუ თბრობითი“ (გვ. 36).

ჩვენ კი გვგონია, რომ კითხვის ნიშანი უნდა დაიწეროს არა იმის მიხედვით თუ სადაა ხმის ამაღლება, არამედ იმის მიხედვით თუ სათქმულში კითხვა არის თუ არა მოცემული. აქაც ამოსავალ წერტილად უნდა მივიღოთ არა ინტონაცია, როგორც ამას სიზარულიძე ფიქრობს, არამედ წინადადების შინაარსი, აზრი. რასაკვირველია, არ უნდა იქნას უგულვებელყოფილი თვით ფორმაც. სიზარულიძეს აქსიომად მიღებული აქვს, რომ თუ კითხვითი სიტყვა, ინტონაცია წინადადების ბოლოშია, იქ უმაღლესად კითხვის ნიშანი უნდა დაიწეროს, მაგრამ როდესაც კითხვითი სიტყვები (კინ, რომელი და სხვა) არ არიან

მოქცეული წინადადების ბოლოში, მაშინ ავტორს შესაძლებლად მიაჩნია არ დაიწეროს კითხვის ნიშანი. „კითხვითი სათქმულში“ მტკიცებითი სიტყვებია, კითხვის ნიშანი! რომც არსადაც კითხვითი სიტყვის ინტონაცია მაინც გვაძმენებს, რომ სათქმული კითხვითია“ (გვ. 36). საიდან ვამოდის ეს ანტიბული დასკვნა? რა გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ სადაც კითხვითი სიტყვები გვხვდება, რომ იქ კითხვითი ნიშანი არ უნდა დაიწეროს? მაგ. ავტორის მიერ მოყვანილ მაგალითში: „ჩემი შეინდა სად არის“, რომელსაც იგი კითხვითი ნიშნის გარეშე მზარინის—მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ აქ ინტონაცია არა იქ, სადაც მას ავტორი მოვლოდა, არა წინადადების ბოლოში, არამედ სიტყვა „სად“-ზე, ინტონაციამ ბოლოდან ადგილი გადმოინაცვლა და რაღაგანაც სიზარულიძეს მიღებული აქვს, რომ კითხვითი ნიშანი მოწაფეებს იქ დააწერინოს, სადაც წინადადების ბოლოში გაძლიერებული ინტონაციაა, ამიტომ იგი ზემოაღმოყვანილ მაგალითში შესაძლებლად სცნობს გვერდი აუაროს კითხვითი ნიშნის დასმას. ამ „პატარა“ ფაქტშიც მოსიანს ფორმალისტური მეთოდის საუკეთესო გამოყენება.

საქმე რომ ისე მარტივად იყოს, როგორც ეს სიზარულიძეს წარმოუდგენია, რომ ხმის დაშვება აუცილებლად იქ ხდებოდეს, სადაც აზრი დასრულებულია, მაშინ შეიძლებოდა სასვენი ნიშნების დასმა ინტონაციისათვის დაგვეკავშირებოდა, მაგრამ აქ ავტორს მხედველობიდან ეპარება ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც აზრის და ინტონაციის ურთიერთობას სხვა სახით წარმოგვიდგენს. ეს არის ფიზიოლოგიური მომენტის მოსაპუბროსა. მაგ. ფიზიოლოგიურ ჯანსაღი პიროვნება პაუზას გააკეთებს უმრავლეს შემთხვევაში იქ, სადაც ამას აზრი მოითხოვს, მაგრამ, როცა ფიზიოლოგიურ სუსტ არსებასთან გვაქვს საქმე, იგი წმინდა ფიზიოლოგიური მიზნების გამო შესვენებას გააკეთებს არა იქ, სადაც ამას აზრი მოითხოვდა, არამედ სულ სხვა ალგას. ჩვენ მშორად ვხედვით მოწაფეებს იქ ფაქტის, როცა მოწაფე, განსაკუთრებით ლექსის დეკლამაციის დროს შეისვენებს, ჩასუნთქვის მიზნით იქ, სადაც ეს საჭირო არაა. აზრი მოითხოვდა პაუზას ერთ ალგას, ბავშვა კი ფიზიოლოგიური მიზნის გამო გადაუხვია ამ მოთხოვნილებას. იგივე ფიზიოლოგიური მიზეზი გავლენას ახდენს ინტონაციებზედაც. მშორად ბავში და ჩვენც, მოზრდილები, ხმა-

იქ აღმალეობთ, სადაც ეს საჭირო არაა. ამის შემდეგ ცხადია იმ აზრის უმართებულობა, რომელიც სასვენი ნიშნების დასმას პაუზა-ინტონაციას უკავშირებს, რომელიც ამბობს, რომ, სადაც დიდი პაუზაა იქ წერტილი უნდა დაიწეროს, სადაც მცირე პაუზაა—მიმე და. ა. შ. როგორც ჯანსაღი, ისე ფიზიკურად სუსტი ბავშვი ინტონაციის სცვლის აზრის მიხედვით, მაგრამ ერთის მიერ მოხმარებული სასვენი ნიშნები სრულებით არ იქნება სავალდებულო მეორესათვის, ერთი ერთგან შეჩერდება, მეორე სხვაგან და საკითხის ისე გადაჭრა, როგორც ეს სიხარლძეს აქვს მოცემული, იქნება ამ ერთგრაფიული არეგ-დარევის დაკანონება.

აქ მივიღებთ საკმაოდ ბრელ სურათს, რადგან გზა ესწნება უსაზღვრო სუბიექტივიზმს. ამ გზით მართლწერა ვერასოდეს ვერ დადგება მკვიდრ საფუძველზე. ეს საკითხის როგორც მეთოდოლოგიური, ისე პედაგოგიური თვალსაზრისითაც

მიუღებელი გადაწყვეტა იქნება ასევე ფორმალისტური მიდგომით სწავლას ატორი სხვა ენობრივ მოვლენებს, მაგრამ უნდა მეთოდოლოგიურ ბუნების გამორჩეულ შემსუბუქებას დაწარბს საკითხებზე შეჩერება საჭიროდ არ მიმაჩნია შევნიშნავ მხოლოდ რომ ატორი ყველგან ფორმალისტურ თვალსაზრისს ანვითარებს. მაგ. როგორ მარტაეს ის ზნნას და სახელს. „სიტყვა რომელსაც პირის ნიშანი აქვს ზნნა არის“.

„სიტყვა, რომელიც იბრუნვის სახელია“. ზნნის მართლად პიროული ნიშნების მიხედვით განმარტება და უგულვებელყოფა მისი შინაარსის, როგორც მოქმედების, სახელში მარტო ბრუნვის ფუნქციის დანახვა და უგულვებელყოფა იმის, რომ იგი საგნის სახელია, ნიშნავს ენობრივ მოვლენების აშკარა ფორმალისტურ ინტერპრეტაციას.

ველა ამის შემდეგ, ვგონებ, ცხადი უნდა იყოს, რომ ასეთი წიგნი, ვერ აკვიზრდის მარტოსტულად მოაზროვნე ადამიანებს, სოციალისტური აღმშენებლობისათვის საჭირო კადრებს.

გ. ხავეთასი.

## სარედაქციო კოლეგია:

- ი. ვაშაყშაქე
- მ. დევილარინი
- ს. თული
- შ. რაღინი
- გალ. ტაგიძე
- ბ. ტაგიძე
- ს. ჩიქოვანი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### პ ო ე ჯ ი ა

1. გ. კაქაბიძე—წითელი ყაზარმა . . . . .	83-
2. ს. ჩიქოვანი—შემოღამება ხახმატში . . . . .	3
3. ტ. ც. ტაშიძე—სომხეთში . . . . .	5
4. ვ. გორგაძე—სოც.შეჯიბრი. . . . .	8
5. მ. ჩართახ—ისმინე, მოსკოვო . . . . .	17
	18

### პ რ ო ჯ ა

6. მ. ბ. ჯავახიშვილი—არსენა მარაბდელი . . . . .	21
7. დ. შენგელაია—ბათა ქექია . . . . .	61
8. ა. ქუთათელი—განთიადის წინ . . . . .	106
9. დ. დემირჩიანი—სამნი . . . . .	128

### კ რ ი ტ ი კ ა, მ ი ც ნ ი ე რ ა ზ ა, პ ო ზ ლ ი ც ი ნ ს ტ ი კ ა

10. შ. რადიანი—დავით კლდიაშვილი . . . . .	161
---	-----

### ზ ი ბ ლ ი ო ზ გ რ ა შ ი ა

11. ა. გაწერელია—ლ. მელიქსეთ-ბეგი—საიათნოვა. . . . .	177
12. გ. ხავთასი - ი. სიხარულიძე—ქართული ენა . . . . .	179